

დავან მანაგრა

ძველი ქართული მწერლობის კერები

ტომი I

ნაკვეთი მეორე

თბილისის უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკა

თბილისი — 1962

„ქველი ქართული მწერლობის კერების“ პირველ ტომში მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კერებ-ის ისტორია. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია დგას, მაგრამ მონოგრაფიულად შესწავლილი არ ყოფილა. წინამდებარე შრომა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ამ ხარვეზას შეესებინა ცდას წარმოადგენს.

მეორე ტომში მოცემული იქნება მიმოხილვა ქველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთელი კერებისა.

ტექნიკური მიზეზების გამო პირველი ტომი ორ ნაკვეთად გამოდის. პირველი დაეთმო შესავალსა და აღმოსაქვლეთ საქართველოს, ხოლო მეორე — სამხრეთსა და დასავლეთ საქართველოს.

კ ლ ა რ ჯ ე თ ი

ო პ ი ზ ა

კლარჯეთის კულტურულ-ლიტერატურულ კერებს შორის უძველესია ოპიზის მონასტერი. მისი ადგილმდებარეობის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ვახუშტის ცნობა: „შავშეთის-წყლისა და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთასავე, არს მონასტერი ნათლისმცემლისა... ამას უწოდებდენ ოპიზის მონასტრად“¹. ეს მოწმობა საკმარისი არ აღმოჩნდა, მეცნიერებას მაინც გაუჭირდა ოპიზის ადგილმდებარეობის დაზუსტება და დადგენა. ადრე ოპიზა აჭარაში ეგულებოდათ². მას შემდეგ, რაც დაინტერესებულმა სპეციალისტებმა მოინახულეს ტაძარი, მონასტრის ადგილმდებარეობა საცილობელი აღარაა, ის კლარჯეთშია. იქ მყოფთა ჩანაწერებში ვხვდებით დეტალურ ცნობებსაც, რომელთაგან ვგებულობთ, რომ ოპიზის მონასტერი მდებარეობს იმერხევში, მაღალ მთაზე.

ძველ წყაროებში ოპიზა დიდად შექებულია. ვახუშტი წერს: „იყო დიდ-ქელოვნებით ქმნული და შენებული.... ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლითა საეკლესიოს წესითა და მამულითა შეწირულობითა“³. ადრეულ ძეგლებში ასეთ დახასიათებას ვხვდებით: „წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ“, „განთქმული უდაბნო“, „დიდი უდაბნოჲ კლარჯეთისაჲ“⁴, „დიდებული ლავრა“⁵, „უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა“⁶ და სხვა.

მონასტრის ასეთი დახასიათება ბუნებრივად იწვევდა და იწვევს მეცნიერთა დაინტერესებასა და ტაძრის ნახვის სურვილის გაძლიერებას.

ოპიზის ნახვა ძალზე ძნელია. გზა სავსებით უფარგისია, მასზე გავლა თითქმის თავგანწირვაა. ძველ ქართველთა ნამუშავევისაგან არაფერი დარჩა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება სრულებით არაა დაინტერესებული გზის

¹ აღწერა, გვ. 135. აკად. ნ. მარის დაკვირვებით, „ოპიზა“ წმინდა კანურ-მეგრული ფორმაა (ოპიჯა, საპირე, სანაპირო) და ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ მხარეში ადრეულ ხანაში ქართული მოდგმის ტომების (მეგრელებისა და ქანების) მოსახლეობას.

² Д. Б л е р а д з е, Кавказ в древних памятниках христианства. Акты, V, 1873, გვ. 1069. შდრ. მისივე, Свaнeтiя, ЗКОРГО, VI, 1864, გვ. 77; А. Х а х а н о в, Свaнeтские рукописные евангелия, МАК, X, 1904, დამატება, გვ. 16.

³ აღწერა, გვ. 135.

⁴ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 150, 168, 170.

⁵ Опис. рукописей (A), I, გვ. 95.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 259.

კეთილმოწყობით. მიუხედავად ასეთი სიძნელისა, ქართველმა თუ რუსმა სწავლულებმა მაინც მიიღწიეს ცნობილ ქართულ ლიტერატურულ კერამდე.

1874 წ. გაზაფხულზე ოპიზაში იყო გ. ყაზბეგი. მან ტაძრის ნახვის ხალისით ადვილად გადაიტანა გზის სიმძიმე. „Я жаждал видеть эту святыню старой Грузии, воспетую Вахуштом и до сих пор не посещенную ни одним из европейцев; труд мой был вознагражден“¹.

სოფელი და ტაძარი გ. ყაზბეგს ცულ მდგომარეობაში დახვდა. სოფელში 12 კომლილა იყო. მოგზაურის ცნობით, მონასტერი არის „городок, обнесенный кругом каменной стеной и с удобством могущий вместить в себе несколько сот человек“². გ. ყაზბეგმა მოგვცა ტაძრის დახასიათება, გადმოიღო სატრაპეზოს ბარელიეფის წარწერა. მისი აზრით, ოპიზის მნიშვნელობას ამოწმებს ეკლესიის გარშემო მრავლად შემორჩენილი ნანგრევები სხვადასხვა შენობისა. „Просторные помещения Опизского монастыря показывают, что некогда здесь кипела многолюдная жизнь. Обширные флигеля монастыря вероятно служили приютом богомольцам, которые стекались сюда из окрестных деревень. Но где же эти деревни? Неужели время могло так безжалостно стереть их след с лица земли!“³

1879 წლის ნოემბერში ოპიზა დაათვალიერა დ. ბაქრაძემ, რომელმაც გადმოიღო და გაშიფრა ეკლესიისა თუ სატრაპეზოს წარწერები და ტაძრის ამგებად აშოტ კურაპალატი მიიჩნია⁴.

1888 წელს ოპიზაში იყო რუსი მკვლევარი ა. პავლინოვი, რომელმაც შემდეგში გამოაქვეყნა ძეგლის აღწერილობა და სურათები⁵. მისი აღწერილობიდან ჩანს, რომ ოპიზის ტაძარს არა აქვს ცენტრალური შესასვლელი. მას, ისე როგორც ტბეთის ეკლესიას, უბრალო კარი აქვს, რომელიც პატარა მინაშენში გამოდის. კარი თითქოს შენიღბულია. მკვლევარი კითხულობს: „Не делалось ли это с целью замаскировать вход в главный храм, где могли быть сокровища монастыря, и сделать его менее доступным на случай появления неприятеля?“⁶

ერთობ საყურადღებო მასალა მოიპოვა ოპიზაში აკად. ნ. მარმა, რომელიც იქ იყო 1904 წელს. მან აღწერა ოპიზის მონასტრის მისასვლელი გზა და მიდამოები. ეკლესია და დამხმარე ნაგებობანი, საკმაოდ დაახასიათა სატრაპეზოს შენობაც, გადმოიღო წარწერები და გამოაქვეყნა ვრცელი აღწერილობა და სურათებიც. სხვათა შორის, მისი ყურადღება მიიპყრო იმ მხარეში

¹ Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОРГО, X, 1876, გვ. 76.

² იქვე, გვ. 77.

³ იქვე, გვ. 79.

⁴ Д. Бахрадзе, Об археологической посадке, совершенной в 1879 г. по поручению Академии Наук, в Чорохский бассейн, в Батум, Арташи и Артанудж, ЗАН, XXXVII, 1880, გვ. 49—50; მისივე, Заметка о Батумской области, ИКОРГО, VI, № 2, 1880, გვ. 154, 163; მისივე, Историческо-этнографический очерк Карсской области, ИКОРГО, VII, № 1, 1881, გვ. 200; მისივე, წერილი რედაქტორისადმი, „დროება“, 1884, № 64; მისივე, Статьи по истории и древностям Грузии. Приложение к LV-му тому ЗАН, № 1, 1897, გვ. 29—30; მისივე, ისტორია საქართველოსი, გვ. 214. იხ. აგრეთვე ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 122.

⁵ А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, МАИ, III, 1893, გვ. 6, 63—65.

⁶ იქვე, გვ. 64.

მაშინ ჯერ კიდევ შემონახულმა ქართულმა სახელებმა¹. გამოჩენილი მეცნიერი დიდი გულისტკივილით გამოთხოვა და გამოსცილდა ოპიზას: „Хозяин-мусульманин на одном повороте, далее которого Опизы не видать, сам предложил мне проститься с церковью. Я охотно и в то же время с грустью бросил последний взгляд на монументальные постройки“².

მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნა ოპიზის მონასტრის ადგილმდებარეობა და შესწავლილ იქნა მისი არქიტექტურული ანსამბლი, დაწყებულ იქნა მონასტრის ისტორიის შესწავლა. არა ერთი მეცნიერი იკვლევდა ოპიზის მონასტრის აგების თარიღს, ვითარებასა და ამგვების ვინაობას.

აკად. ნ. მარი, თავის დღიურში, ოპიზის ძველ ბინადრებად სომხებს მიიჩნევდა, მათზე ადრინდელ მოსახლეებად — თუბალ-კაინებს (მეგრელ-ქანებს). „Первыми основателями Опизы, очевидно, были тубал-кайны, именно или иверы (мингрельцы), или чаны (лазы). Но в монастыре грузинам непосредственно предшествовали, вероятно, не тубал-кайны, а армяне, которые также могли сохранить прежние тубал-кайнские названия, как впоследствии пришедшие на смену армянам грузины сохранили армянские названия Шатберда, Мидзнадзора и других обителей“³.

დღეს არავინ იზიარებს აზრს ოპიზის მონასტრის სომხური წარმომავლობის შესახებ და ის ფაქტი, რომ ოპიზის ტაძარი ქართველთა მიერაა აშენებული ადრეულ ხანაში, საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ ჩვენთვის უცნობია აგების თარიღი. უკანასკნელ წლებში ჩვენს მეცნიერებაში იყო ცდა ოპიზის ეკლესია-მონასტრის აშენების თარიღის დადგენისა. საამისოდ განოყენებულ იქნა ერთი ადგილი ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის წიგნიდან. შემატანიე ჯუანშერი გვაუწყებს, რომ გორგასლის ბრძანებით არტანუჯის ერისთავმა არტევაზმა „ალაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, სამნი ეკლესიანი: ბაბამერისა და შინდობისა და აღიზისა“⁴. „ქართლის ცხოვრების“ ერთ გვიანდელ, კალაშვილისეულ, ნუსხაში იკითხება: „არტევაზ ალაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელ არს ოპიზისა, და სამნი ეკლესიანი: ბაბამერისა, შინდობისა და ახიზისა“. ეს ვარიანტი, რომელიც პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა⁵, ექვს იწვევს. გამომცემლის აზრით, ის „სწორი ვარიანტი უნდა იყოს“, რადგან ციხისა და ეკლესიების სახელწოდებებთან ერთად შემონახული აქვს მონასტრის სახელი, რომელიც ყველა სხვა ნუსხაში გამოტოვებულია⁶.

აღნიშნულ ცნობაზე დამყარებით პ. ინგოროყვამ ოპიზის მონასტრის აგება მე-5 საუკუნით დაათარილა⁷. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად

¹ ТРА-1-Ф, VII, გვ. 157 — 167. შემდეგში გარკვეულ იქნა, რომ ის შენობა, რომელიც მკვლევართ სატრაპეზო ევონათ, სემინარია-სასწავლებელი ყოფილა.

² იქვე, გვ. 167.

³ იქვე, გვ. XXII.

⁴ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 119 — 120. განსხვავებული წაკითხვა იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 178.

⁵ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. LXXXIII.

⁶ იქვე, გვ. LXXXIII, შენ. 1.

⁷ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 324, 340, 364.

მკვლევარი არ მოერიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების გადათარიღებასაც კი. მისი მტკიცებით, ვახტანგ გორგასლის ხანაში აგებულ ტაძარში მე-6—7 საუკუნეთა მიჯნაზე სერაპიონ ზარზმელის ხელმძღვანელობით ჩატარდა მშენებლობა. მურვანის შემოსევის დროს მონასტერი განადგურდა და განახლდა მხოლოდ მე-8 საუკუნის 50-იან წლებში, სამოელ ოპიზარის შემწევობით. 815—826 წწ. მშენებლობა ჩაატარა აშოტმა. მანვე ააგო საოსტიგენე-სემინარია 815—818 წლებში. ახალი მშენებლობა ჩაატარა გუარამ დიდმა¹.

ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ მოსაზრებას მყარი საფუძველი არ გააჩნია (იხ. ზარზმა). როგორც ცნობილია, სამონასტრო მშენებლობა ჩვენში იწყება ასურელ მოღვაწეთა ჩამოსვლის შემდეგ, მე-6 საუკუნის შუა წლებიდან და ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება ჭალაშვილისეული ნუსხის ერთი შემთხვევითი და უსაფუძვლო ცნობისათვის, არაფრით არაა გამართლებული².

აღნიშნული გარემოება არ გვაძლევს უფლებას ოპიზის სავანე გვიანდროინდელ მონასტრად მივიჩნიოთ. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოპიზა კლარჯეთის უძველესი სამონასტრო კერაა. ამას დაბეჯითებით ადასტურებს ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის უტყუარი მემკვიდრე—გიორგი მერჩული. მოვიგონოთ მისი ცნობები.

გიორგი მერჩულის განცხადებით, კლარჯეთის „ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზაჲ“ (ლთ). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ოპიზის სიძველე სხვაგანაცაა აღნიშნული: ხანძთის მშენებლებს მხოლოდ ოპიზელი ბერები დახმარებიან, რადგან, აგიოგრაფის სიტყვით, „მას ჟამსა სხუაჲ მონასტერი არა შსნ იყო მათ ქუეყანათა თვნიერ ოპიზისა“ (ია).

მე-8 საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს კლარჯეთს მივიდა გრიგოლ ხანძთელი. ის პირველად დადგა ოპიზას, სადაც მაშინ „იყვნეს ძმანი მციარენდი შეკრებულ“ (ვ). ე. ი. ამ დროს მონასტერი უკვე არსებობდა. სხვათა შორის, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორს შემონახული აქვს ოპიზის პირველმშენებელთა სახელებიც. ბასილ ზარზმელი წერს: აღვშენა „ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მკაარი“³.

მერჩული, რამდენადმე, გვეხმარება ოპიზის ქართული სავანის აღმოცენების დათარიღებაშიც. გრიგოლ ხანძთელის ოპიზაში მისვლის დროს იქ წინამძღვრად იყო გიორგი, რომელიც „მესამშ მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რაჲთგან სამოელ და ანდრს გარდაცვალებულ იყვნეს“ (ვ). თუ მე-8 საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ოპიზის ქართულ მონასტერში მესამე წინამძღვარი მოღვაწეობდა, გასაგებია, რომ მონასტრის დაარსება უფრო ადრეულ ხანაშია საგულგებელი.

ისტორიული წყაროებითა და ეპიგრაფიკული მასალებით ირკვევა, რომ მე-9 საუკუნეში ოპიზაში მშენებლობა ჩატარებულა, იგი განუახლებიათ და აღუდგენიათ.

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 46, 57—58, 303, 315, 324—326, 328, 331—332, 340—343, 445. პ. ინგოროყვა კონცეფცია შესაწყნარებლად მიიჩნია განსვენებულმა მ. თარხნიშვილმა (იხ. მისი ქართული სასულიერო პოეზია და მისი ურთიერთობა ბიზანტიურ პოეზიასთან, „მნათობი“ 1958, № 1, გვ. 132).

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 147.

³ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 150. გიორგი მერჩულისა და ბასილ ზარზმელის ცნობათა სვაობა ადრევე იქნა შენიშნული (TPA-I¹, VII, გვ. XXII).

ვახუშტი წერს: ოპიზა „ალაშენა მეორედ გურგენ, აშოტ დიდის კურად-პალატის ძემ, და დაეფლა თვთცა მას შინა“¹. თითქოს, მშენებელი გურგენ აშოტის ძეა. ეს აზრი ადრე რამდენიმე მკვლევარმა შეიწყენარა², მაგრამ მალე გაირკვა მისი მცდარობა. აშოტ დიდის შვილების სახელები კარგადაა ცნობილი (ადარანეს, ბაგრატი, გუარამი), გურგენი მისი შვილი არ ყოფილა.

„მატიანშ ქართლისაჲ“ ოპიზის მეორე ამგებად ასახელებს გუარამ აშოტის ძეს: „მოკულა გუარამ, ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას, მეორედ მიაგან ასშენებულსა“³. ესაა გუარამ მამფალი, აშოტ დიდის ძე (გარდ. 882 წ.).

ოპიზის მონასტრის მეორე ამგებად დასახელებულია აშოტ კურაპალატიც. ამას თავისი საფუძველი მოეპოვება. როგორც აღვნიშნეთ, ოპიზის სატრაპეზოს (-სემინარიის) კედელზე გ. ყაზბეგმა შენიშნა ბარელიეფი, გადმოიღო წარწერაც. შემდეგში წარწერიანი ქვა სხვა მეცნიერებმაც ნახეს (დ. ბაქრაძე, ნ. მარი). წარწერა შემონახულა ასეთი სახით: „ქ. ესე მე ატმნ დ წელსა გავა...“⁴. მეცნიერთა აზრით, ეს წარწერა ასე უნდა იქნას გაშიფრული და წაკითხული: „ქ. ესე მე აშოტმან 4 წელსა გავა [კეთებინე, შიწნებინე]“⁵. განსხვავებული წაკითხვა („ესე მე აშოტ მეფემან...“) მოგვცა პ. ინგოროყვაძე, რომელმაც ამის მიხედვით დაათარიღა კიდევ სატრაპეზოს (-სემინარიის) შენობა (815—818 წწ.)⁶. რომელი წაკითხვაც არ უნდა იყოს სწორი („აშოტმან“ თუ „აშოტ მეფემან“), ერთი ცხადია, სატრაპეზოს (-სემინარიის) ამგებად, განმახლებლად აშოტია მოხსენიებული.

აშოტი იხსენიება ოპიზის ბარელიეფის წარწერაშიც. დ. ერმაკოვმა ოპიზიდან ჩამოიტანა ორი ქვა, რომელიც ერთ მთლიან კომპოზიციას წარმოადგენს⁷. მისი შესრულება სიბრტყობრივ-გრაფიკული მეთოდით ხასიათდება და დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სკულპტურის განვითარების საერთო მსვლელობის გასაგებად⁸. ოპიზურ ქვებზე გამოსახულია მეფის სამოსიანი კაცი ხელში დიდი ეკლესიის მოდელით, რომელსაც აწვდის ქრისტეს (წარწერებში იხსენიება ქრისტე, დავითი, აშოტი...). აქ ასეთი იდეაა გატარებული: აშოტს ქრისტესთვის მიაქვს მის მიერ აგებული ტაძარი ოპიზისა. აღნიშნულ ბარელიეფს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ის გვაუწყებს ოპიზის ამგების

¹ აღწერა, გვ. 135.

² П. Носеланип, Различные иашменовании грузинои, Т., 1846, გვ. 20—21, შენ.; Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОРГО, X, 1876, გვ. 77; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 102. შდრ. მისივე, Святения, ЗКОРГО, VI, 1864, გვ. 77; А. Хахаиов, Сланетские рукописные евангелия, МАИ, X, 1904, დამატება, გვ. 16.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 260.

⁴ ТРА-ГФ, VII, გვ. 163.

⁵ იქვე; Д. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии. Приложение к LV-му тому ЗАН, № 1, 1887, გვ. 29. შდრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 122, შენ. 1; სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27, 1949, გვ. 76.

⁶ პ. ინგოროყვაძე, გიორგი მერჩულე, გვ. 57—58, 342.

⁷ ოპიზის ბარელიეფი ამჟამად ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმში (იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 8, ტაბ. V, სურათი № 2).

⁸ ნ. ალადაშვილი, რელიეფი ოპიზიდან აშოტ კურაპალატის გამოსახულებით, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XV, № 7, 1954, გვ. 553—558.

ვინაობას და გვაწვდის ბაგრატიონთა გვირის ერთ-ერთი წარმომადგენლის სურათს. ამასთანავე ატარებს იმ აზრს, რომ ბაგრატიონებს მეფობის უფლება თვით ზეციით აქვთ დამტკიცებული¹.

ოპიზის ბარელიეფის აშოტს კურაპალატად მიიჩნევენ და ეს შემთხვევითი არაა. ოპიზის მთავარ, გუმბათიან ეკლესიაში, შიდა კედელზე მეცნიერებმა შენიშნეს ფრესკის ნაშთი წარწერით: „აშოტ კურაპალატი მეორედ მამნებელი ოპიზისა და წმიდისა ამის საყდრისაჲ“². ამ წარწერის საფუძველზე აშოტ პირველი ბევრმა მეცნიერმა (დ. ბაქრაძე, დ. ფურცელაძე³, ე. თაყაიშვილი, ნ. მარი) მიიჩნია ოპიზის რესტავრატორად. აკად. ნ. მარის აზრით, აშოტის მიერ აშენებული ტაძარი ბაზილიკას წარმოადგენდა, ხოლო გუმბათიან ეკლესიად ის მე-12 — 13 საუკუნეებში გადაკეთდა⁴. აკად. ე. თაყაიშვილი ამ აზრს არ იწყნარებს. ის ითვალისწინებს გუმბათიანი ეკლესიის ფრესკის წარწერასა და ბარელიეფს, აგრეთვე სატრაპეზოს (-სემინარიის) წარწერას და ასკვნის: აშოტი ბაზილიკის გუმბათიან ეკლესიად გადაკეთებული და სატრაპეზოს (-სემინარიის) ამგებიოა⁵.

ამრიგად, ოპიზის მეორედ ამგების შესახებ ორი ცნობა გვაქვს: მატიანისეული და ტაძრისეული. პირველი კტიტორად ასახელებს გუარამ მამფალს, მეორე—აშოტ კურაპალატს. როგორ შევათანნმოთ ეს ორი ცნობა, რომელი მათგანია სწორი?

აშოტ კურაპალატი ჩვენთვის ორია ცნობილი. პირველია აშოტ დიდი (გარდ. 836 წ.), მეორე — აშოტ IV, ქართველთა ზედა მთავარი (გ. მერჩული), გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფის თანამედროვე (გარდ. 954 წ.). ოპიზის ეკლესიის მეორედ ამგებად მათი მიჩნევა, რამდენადმე, ძნელია, რადგან სათანადო ცნობებს წყაროებში ვერ ვხვდებით. ის გარემოება, რომ მათიანე არას ამბობს მათ მიერ ოპიზის აშენების შესახებ, კიდევ არაა გადამწყვეტი. როგორც ცნობილია, მათიანე დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტერში დიდი ეკლესიის აგებასაც არ გვაუწყებს და რომ არა სხვა დოკუმენტი, ჩვენ ეგების არც კი გვცოდნოდა ეს ფაქტი. მთავარი ისაა, რომ არას გვაუწყებს გიორგი მერჩული, რომლისთვის საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა ძირითად თემას წარმოადგენდა. მართალია, ის არც იმ ფაქტს გვაუწყებს, რომ აშოტ პირველმა არტანუჯში პეტრე-პავლეს ეკლესია ააგო, — ამას სუმბატ დავითის ძის ქრონიკა გვაცნობებს⁶, — მაგრამ ეს, შედარებით, მცირე მნიშვნელობისა იყო, ხოლო ოპიზის მშენებლობის მოუხსენებლობა ყოველად წარმოუდგენელია.

¹ Е. Такайшвили, Арх. экскурсии, разыскания и заметки, II, Т., 1905, гл. 58.

² ТРА-ГФ, VII, гл. 160.

³ Д. Бахрадзе, Статьи по истории и древностям Грузии. Приложение к LV-му тому ЗАН, № 1, 1897, гл. 29. შდრ. მისივე, Об отношениях Армении и Грузии к Византии вообще и в X в. в особенности, ИКОИА, т. I, №33. I, 1882, гл. 81; მისივე, ისტორია საქართველოსი, გვ. 214. იხ. აგრეთვე ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 122, შენ.; Груз. церк. гуджарц, гл. 120, შენ. 7.

⁴ ТРА-ГФ, VII, гл. 161.

⁵ Е. Такайшвили, Арх. экскурсии, II, гл. 58 — 59. შდრ. მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, №33. 27, 1949, გვ. 77.

⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 377.

აქვე ყურადღების გამახვილებას მოითხოვს ერთი გარემოებაც. ოპიზის ეკლესიის მხატვრობა და წარწერაც მე-12 — 13 საუკუნეებისაა და არა ძველის აგებისდროინდელი¹. საფიქრებელია, ეკლესიის მხატვრებმა სატრაპეზოს (-სემინარიის) წარწერის აშოტი კურაპალატად მიიჩნიეს და მისი სახელი ეკლესიის შიდა კედელზე გადაიტანეს. მაშასადამე, მყარი საბუთი ოპიზის კტიტორი აშოტის კურაპალატობის სამტკიცებლად არ არსებობს. მაშ ვინაა ეს აშოტი?

აკად. კ. ქველიძის მართებული მოსაზრებით, ოპიზის მეორე ამგებად მატიაწისეული გუარამ მამფალი უნდა ვიცნოთ (ამას თითქოს ადასტურებს ოპიზის სიგელიც, რომელსაც ქვემოთ შევხებით), ხოლო ბარელიეფის აშოტი, ამ გუარამის ძე (გარდ. 869 წ.) უნდა იყოს. მამამ ააგო ეკლესია, შეიღმა — სატრაპეზოს (-სემინარიის) შენობა. ერთის სახელი მატიაწემ შემოგვინახა, მეორესი — წარწერამ. „მეორედ აშენება“ დასრულებული ჩანს 869 წლისთვის. ის რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა, ყოველ შემთხვევაში, 4 წელი სატრაპეზოს (-სემინარიის) დასჭირდა, ე. ი. რესტავრაცია 864—868 წწ. მოხდა².

ამრიგად, ოპიზის მონასტრის მეორედ აშენება მე-9 საუკუნის 60-იანი წლებით თარიღდება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ „მეორედ აშენება“ არ ნიშნავს რიგით მეორე აშენებას, ის ნიშნავს ახლად აშენებას იმის განურჩევლად, აშენება მეორეა, მესამე თუ მეოთხე. ძველ ქართულ ძეგლებში ასეთი გაგებაა დამკვიდრებული და აქაც ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე³.

ოპიზის მონასტერი მომდევნო ხანაში საკმაოდ გაძლიერდა. მეფე-დიდებულთა შეწირულებით ის მალე ძლიერ საეკლესიო ერთეულად იქცა. მის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბრძანება და სიგელი ბაგრატ მეოთხისა (1027 — 1072). ამ კლასიკური მდივანწიგნობრულით დაწერილ ეტრატის საბუთს შემოუნახავს საყურადღებო ცნობები ოპიზის ისტორიიდან მე-11 საუკუნეში. საინტერესოა ის სასამართლო პროცესის შესასწავლადაც⁴.

¹ ТРА-ГФ, VII, გვ. 161.

² აღნიშნული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 113 — 114. აკად. ა. პავლინოვი უმართებლოდ დაეკვდა ქართული წყაროების სისწორეში და ნაგებობათა ანალიზით ოპიზის ტაძრის აგება მე-13 საუკუნით დაათარია (МАК, III, 1893, გვ. 64). ეს მცდარი მოსაზრება ადრევე მკაცრად გააკრიტიკა აკად. ე. თაყაიშვილმა (Арх. записки, II, გვ. 59).

³ ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის შოაბე, VI, 1931, გვ. 285. ოპიზის ტაძრის გუმბათს მე-10 საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ (ე. ბერიძე, კაცხის ტაძარი, „ქართული ხელოვნება“, III, 1950, გვ. 78; მ. ისიკე, სამცხის ზღოთომოდურება (XIII — XIV საუკუნეები), თბ., 1955, გვ. 122).

⁴ აღნიშნული სიგელი იმერეთში იპოვა დ. ფურცელაძემ. მანვე დაბეჭდა მისი შემოკლებული რუსული თარგმანი (Грѹз. церк. гуджарин, გვ. 120 — 121). შემდეგში ქართული ტექსტი, რუსული თარგმანი და განხილვა გამოაქვეყნა დ. ბაქრაძემ (Статьи по истории и древностям Грѹзии. Прихождение к LV — му тому ЗАН, № 1, 1887, გვ. 20 — 30). 1896 წელს სიგელი დაბეჭდა თ. ყორღანიძემ (ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 8 — 9). შემდეგში ის გამოისტა აკად. ე. თაყაიშვილმაც (საქ. სიძველენი, II, გვ. 1 — 5). მანვე სიგელის პირი დაბეჭდა პალეოგრაფიულ ალბომში (პალეოგრაფიული ალბომი, დამატება „საქართველოს სიძველენის“ II ტომისა, რეეული № 1, თბ., 1909, გვ. 1 — 7). უკანასკნელი გამოცემა სიგელისა ეკუთვნის აკად. ა. შანიძეს (ძველი ქართულის ქრესტომათია, I, თბ., 1935, გვ. 93 — 94). ჩვენ ამ გამოცემას ვემყარებით. ამგებად სიგელი დატულია ზღანწერით ინსტიტუტში (Sd № 1201).

ბაგრატ მეოთხესთან, ქუთაისს, მივიდნენ „მამანი მიჯნაძოროელი“ და „მამანი ოპიზარნი“. მათ შორის საადგილ-მამულო დაეა იყო. პირველებმა „მოიხუნეს სიგელი“ გურგენ ერისთავთ-ერისთავის, გურგენ მეფეთა-მეფის, ბაგრატ კურაპალატისა (975—1014) და გიორგი მეფისა (1014—1027), „რომლითა იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძოროისათუის დაემტკიცეს“. ოპიზელებმა წარადგინეს „ღაწყრილი გუარამ მამფლისაჲ“. მეფემ „ქარსა დარბაზისა“ შეკრიბა „მღვდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა კევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ და განიხილა საქმე. მიძნაძორელებმა მოიგეს სადავო მამული, მაგრამ მეფეს არ სურდა ოპიზელთა გაწბილებული გასტუმრება და გულის მოსაგებად უბოძა „სამამასახლისოისა სამსახურებლისა“ მისისა სოფ. ბარევენი.

როგორც ჩანს ბაგრატი საქმაოდ სერიოზულ საქმედ მიიჩნედა მონასტერთა დავას. დიდმნიშვნელოვანი საქმის გასარკვევად, მნიშვნელოვანი მხარეების—მონასტრების დავის მოსაგვარებლად მან სპეციალურად იხმო დარბაზისაყურადღებოა, რომ დარბაზს მოკამათე მხარეებთან ერთად¹ ეწვრებიან „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“. მართალია, სიგელში ვერ ვხვდებით ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს—ვეზირებს, მაგრამ მათი მონაწილეობა საქმის გარჩევაში თავისთავად იგულისხმება². მეფის აზრით, „უდაბნონი მშუიღობისა და დაწყნარებისათუის“ არიან აშენებულნი, ამიტომაც მან არც ერთს არ აწყენინა, რათა „ორნივე წმიდანი უდაბნონი მშუიღობით და უშფოთველად იყუნენ“. მეფეს აშინებდა შფოთის გაგრძელება, ამიტომაც დაასაჩუქრა ოპიზელები. ზოგ მკვლევარს ბაგრატის მიერ ოპიზელთათვის ს. ბარევეანის ბოძება სამეფო ხელისუფლების სისუსტედ მიაჩნია³. ეს არ უნდა იყოს სწორი ახსნა. საფიქრებელია, მეფეს გულით სურდა მონასტრების მორიგება და შფოთის დაწყნარება. სხვათა შორის, „სამამასახლისო სამსახურებელი“ წარმოშობით გვაროვნულ საზოგადოებაზე მიუთითებს, მაგრამ ამ დროს ის უკვე ფეოდალურ ურთიერთობას გამოხატავს, ის მეფის დომენია. ეს ქონება ეკუთვნის მეფეს, როგორც ფეოდალს⁴. საყურადღებოა, რომ ოპიზელ ბერებს მეფემ საკუთარი ქონებიდან მისცა სოფელი.

ბრძანება-სიგელის ბოლოს ბაგრატ მეფემ „მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერთა და ყოველთა კელისუფალთა და საქმის მოქმედთა“ ამ განაჩენის შეწყნარება-გატარებისაკენ მოუწოდა.

ოპიზის მონასტრის შესახებ ცნობებს შემდეგდროინდელ მწერლობაში ნაკლებად ვხვდებით. ერთი საინტერესო ცნობა შემოუნახავს „ქართლის ცხოვრებას“. მემატეანეს გადმოცემული აქვს მონღოლთა ლაშქრობა არტაანის

¹ ა. ხახანაშვილი, იმუნიტეტი საქართველოში, „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1533.

² ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ II, თბ., 1929, გვ. 239.

³ ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, გვ. 58.

⁴ ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, გვ. 173; მისივე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 169, 287.

მთიანეთში. მონღოლებმა გაიგეს, რომ „მთათა შინა ლადოსათა“ იყო მონასტერი ოპიზა. დამპყრობლებმა გადაწყვიტეს ტაძრის დარბევა და გაძარცვა. მხედართუფროსმა გაგზავნა მარბიელი რაზმი. მოულოდნელად ჩამოდგა „ნისლი და სიბნელე“, ატყდა „ქარი სასტიკი მთისა ლადოსა და ხოშკაკალა, სეტყუა და წვიმა მძაფრი, და აღდგეს ლელვანი ვითარცა შუა ზღუასა, და წარმოეცა წყალი მძაფრი“. მოდიდებულმა წყალმა მოსპო მომხდური მტერი. ოპიზის ქართველი მოღვაწენი გადაურჩნენ მონღოლთა მახვილს. „ქართლის ცხოვრებით“ ამ ფაქტს დავით ულუსა და დავით ნარინის ეპოქაში ჰქონდა ადგილი¹. რასაკვირველია, მოტანილ ცნობაში ჩვენთვის საყურადღებოა არა მემატინის მიერ გადმოცემული სასწაულებრივი გადაარჩენა ქართული მონასტრისა, არამედ თვით ფაქტი იმ მხარეში მონღოლთა ლაშქრობისა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მონღოლთა ხანის შემდეგ ოპიზა არც კი იხსენიება. ჩანს, დამპყრობელთა ძალადობამ გაანადგურა მონასტერი, მოსპო ლიტერატურული კერა, დააპარიელა და უკაცურ-ყო იგი. ვახუშტი ბაგრატიონი მე-18 საუკუნის შუა წლებში წერდა: „აწცა არს დიდ-შენებულეზანი, არამედ უქმ-ცარიელ არს“².

ოპიზა ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი კერაა. იქ სხვადასხვა დროს ცხოვრობდა რამდენიმე ქართველი მწერალი, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და კულტურის მუშაკი. შეგვიძლია დავასახელოთ გრიგოლ ხანძთელი, მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი, ათანასე ოპიზელი, ანტონ ოპიზელი, ბეშქენ და ბექა ოპიზარნი, ილარიონ ოპიზელი და სხვა.

გრიგოლ ხანძთელი, როგორც აღვნიშნეთ, ქართლიდან პირველად ოპიზას მივიდა და იქ დაყო ორი წელი. მერჩულის ცნობით, „ორისა წელიწდისა ჟამთა იყვნეს ოპიზას მამაა გრიგოლ და მოყუასნი მისნი ლუაწლითა ფიცხლითა მონაზონებისა შრომისაჲთა“ (ვ). როდესაც გრიგოლი ხანძთას გადავიდა და იქ იწყო მშენებლობა მონასტრისა, მას ოპიზელი ბერებიც ეხმარებოდნენ. „ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი... და თანაშემწე ექმნნეს ყოველითა საკმრითა“ (ია). ხანძთაში დამკვიდრებული გრიგოლი ყურადღებას არ აკლებდა ოპიზას, მის წინამძღვარს საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების საკითხებს უმარტავდა, სავანეში აშოტის მემკვიდრენიც, — „ქელმწიფენი მის ჟამისანი“, — მიიყვანა და სხვა³.

ოპიზაში მოღვაწეობდა ქართული ეკლესიის გამოჩენილი წარმომადგენელი მიქელ პარეხელი. ამას ამოწმებს ბასილ ზარზმელი, რომლის ცნობით, „აღეშენა რა წმიდაა და დიდი უდაბნოა ოპიზაჲ... ამისა შემდგომად მოვიდა მუნით [მიქელ] და აღაშენა უწყებითა საღმრთოჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ აღვილსა კლდოანსა და უფალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდებინა“⁴. ამრიგად, მიქელი ერთ ხანს ოპიზაში ყოფილა და იქიდან მისულა პარეხს. ყურადღებას იმაყრობს ერთი დეტალი გიორგი მერჩულის წიგნისა. ამ უკანასკნელით, მიქელი ჯერ მიძნადორში მოღვაწეობ-

¹ ქართლის ცხოვრება. II, გვ. 259 — 260. შდრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 249. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 200 — 203.

² აღწერა, გვ. 135

³ TPA-I-ფ, VII, გვ. ლა, ად — ეფ, ოდ — ოვ.

⁴ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 150.

და. შეპლედ ხანძთა-პარებს. რომელია სწორი? ბასილი ცნობებს იღებდა გიორგი მაწყვერლისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი ოპიზაში მიქელთან ერთად მოღვაწეობდა და, საფიქრებელია, მას უფრო ზუსტი ცნობები ექნებოდა. მიქელის გზა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ოპიზა → მიძნადორი → ხანძთა → აარები. ბასილ ზარზმელმა მიძნადორი და ხანძთა, ალბათ, იმიტომ არ ახსენა, რომ მიქელმა იქ მცირე დრო დაყო¹.

ოპიზაში ყოფილა სერაპიონ ზარზმელიც. მისი ბიოგრაფის ცნობით, სერაპიონის ოპიზაში მისვლისას იქ მშენებლობა იყო გაჩაღებული. სერაპიონი იხილვებოდა მდგონარად ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუთა თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა [შენებისათა] და ფრიად შემკულ წესითა ხუცობისათა². აკად. კ. კეკელიძის აზრით, აქ ივარაუდება მგორედ აშენება ოპიზისა, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, 864 — 868 წლებში აქონდა ადგილი.

ბასილ ზარზმელის ცნობით, ოპიზაში აღიზარდა და სწავლა-განათლება მიიღო მე-9 საუკუნის მიწურულისა და მე-10 საუკუნის დამდეგის გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა გიორგი მაწყვერელმა. აგიოგრაფით „აღმოსცენდა (ვიორგი მაწყვერელი — ლ. მ.) კვეისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთისმოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას“³.

მე-10 საუკუნის მოღვაწეთაგან ცნობილია გრიგოლ ოპიზელი, რომელსაც გადაუნუსხავს ოპიზის ხელნაწერთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხელნაწერი — 913 წლის სახარება, რომელიც ათონის მთაზე დაცული იქ უნახავს ის დ. ბაქრაძეს. შეუნიშნავს ანდერძი: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლავრასა შინა წმიდისა ნათლისმცემლისასა ოპიზას და ქრონიკონი იყო რღგ (= 913 წ.)“⁴. პროფ. რ. ბლეიკს გადამწერის სახელი — გრიგოლიც ამოუკითხავს⁵. აღნიშნული ოთხთავე ერთობ დიდი მნიშვნელობისაა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაიწყო მისი ბეჭდვა ტბეთის ოთხთავეთან (995 წ.) ერთად. დაიბეჭდა მათესა და მარკოზის თავები⁶. სტამბური გამოცემის ჩვენებას პროფ. რ. ბლეიკი იყენებდა აღიშნის ოთხთავეს ბეჭდვის დროს⁷.

მე-11 საუკუნის მოღვაწედ ჩანს სტეფანე ოპიზელი, რომელიც აბუსე-

¹ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 115 — 116.

² იქვე, გვ. 170. შდრ. კ. კეკელიძე, „ხუც“ ტერმინისათვის სერაპიონ ზარზმელის „ტბოვრებაში“, ეტიუდები, I, გვ. 235 — 237.

³ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 168.

⁴ დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 228.

⁵ R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d' Iviron au Mont Athos, Extrait de la Revue de l' Orient Chrétien, 3-e Série, IX (XXIX), № 3 et № 4, 1934, გვ. 266.

⁶ სახარებაჲ ოთხთავე, ორთა კელნაწერთაგან შიგ და შეე წელთათა გამოსცა ვ. ბენე შევეიჩ მან, ნაკვეთი ა. სახარებაჲ მათის თავისაჲ, სპბ., 1909; ნაკვეთი ბ. სახარებაჲ მარკოზის თავისაჲ, სპბ., 1911.

⁷ The Old Georgian Version of the Gospel of Mark from the Adysh Gospels, with the Variants of the Opiza and Tbet, Gospels. Edited with a latin translation by R. Blake, PO, XX, fasc. 3, Paris, 1928, გვ. 435 — 574; Gospel of Matthew, იქვე XXIV, fasc. 1, 1933, გვ. 1—168; Gospel of John, იქვე, XXVI, fasc. 4, 1950, გვ. 451—599. იბ. აგრეთვე PO, XXVII, fasc. 3, 1956, გვ. 275—427.

რისცე ტბელის ისტორიულ თხზულებაში იხსენიება¹. ჩვენთვის ისაა საყურადღებო, რომ აღნიშნულ ძეგლში ნაჩვენებია ოპიზელთა დახმარება სხვა ეკლესიის მშენებელთადმი, რაც, თავის მხრივ, ოპიზის მონასტრის შეძლების მოწმობს. თუ სწორია განსვენებულ ლ. მუსხელიშვილის შეხედულება შუარტყალში ბოლო-ბასილის მიერ ეკლესიის 1055—1060 წწ. აგების შესახებ, მაშინ სტეფანე ოპიზელი მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ყოფილა.

მე-11 საუკუნის ბოლოს მოღვაწეობდა ათანასე ოპიზელი, რომელსაც გადაუნუსხავს პარაკლიტონი, თარგმნილი გიორგი მთაწმიდლის მიერ (A № 93). ტექსტი გადაწერილია გიორგი მთაწმიდლის ნუსხის პირიდან (და არა გიორგისეული ნუსხიდან, როგორც თ. ეორდანიას ეგონა!). ამას ადასტურებს გადაწერის ანდერძი: „ღედაჲ გიორგი მთაწმიდელისა ნუსხისაგან დაწერილი მქონდა“. ათანასე არვანად-ყოფილი გვაუწყებს, რომ პარაკლიტონი „დაიწერა ქორონიკონსა ტიგ (=1093 წ.), დიდებულსა ლავრასა შინა ოპიზას“². ათანასე ოპიზელის მიერ გადანუსხული ხელნაწერი შეიცავს გიორგი მთაწმიდლისეულ პარაკლიტონს, შევსებულს კლარჯულ საწელიწდო იადგართაგან გამოკრებილი მასალით³.

მე-12 საუკუნის მოღვაწეთაგან ჩვენთვის ცნობილია ანტონ ოპიზელი. მას, როგორც ოპიზის წინამძღვარს, 1161 წ. ახლოს იხსენიებს ტბეთის სახარების მინაწერში პავლე მტბევიარი. ანდერძით, ანტონი პავლეს დისწული ჩანს. პავლეს ანდერძის ერთი ნაკვეთი ასე იკითხება: დაეწერინე მოსახსენებლად „დისწულთა ჩემთა: ნიკოლოზ ქუთათელ მთავარეპისკოპოზისა, და არსენი ქუთათელ მთავარეპისკოპოზისა, იოანე ანჩელ მთავარეპისკოპოზისა, ანტონი, ოპიზისა წინამძღურისა“⁴. პ. ცხვილოელის აზრით, ანტონ ოპიზელი არის საღირისძე, შემდეგ ქუთათელი, რომელმაც 1184 წ. მეფედ ცხებულ თამარს გვირგვინი მიართვა⁵. ეს აზრი აკად. ე. თაყაიშვილმა შესაწყნარებლად მიიჩნია⁶.

განსაკუთრებით საყურადღებოა ბეშქენ და ბეჟა ოპიზართა მოღვაწეობა. ამ გამოჩენილ ოქრომქანდაკებელთა ნაწარმების გაცნობა ნათელ სურათს იძლევა ოპიზის, — როგორც ქართული კულტურის დიდი ცენტრის, — მნიშვნელობაზე.

ბეშქენ ოპიზარს ეკუთვნის ბერთის სახარების (Q № 906) მოკედილობა. ესაა ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნამუშევარი ბეშქენისა. ოთხთავის ოქროქედურ ყდაზე გამოსახულია ვედრება და ჯვარცმა, დაკულია წარწერა: „მოიქედა კელითა ბეშქენ ოპიზისაითა“. სტილით, შესრულების ტექნიკით, წარწერათა პალეოგრაფიული ხასიათით ბეშქენის ნამუშევარი მე-12 სა-

¹ ა ბ ლ ს კ რ ი ს ძ ე ტ ბ ე ლ ი , ბოლო-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატრიანე, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941, გვ. 58 — 59. შტრ. ქრონიკები, II, გვ. 113.

² Опис. рукописей (A), I, გვ. 95; ქრონიკები, I, გვ. 237. იხ. აგრეთვე К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, გვ. 395 — 398.

³ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , გიორგი მერჩულე, გვ. 062 — 073.

⁴ Q № 929; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 356; პ. ცხვილოელი, ტბეთის ტაძრის სახარება ტყავზე დაწერილი, „იფერია“, 1900, № 229; Е. Такайшвили, Тибетское четвероевангелие XII века, МАК, XII, 1909, გვ. 156 — 157.

⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 26 — 27.

⁶ МАК, XII, 1909, გვ. 158.

უკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. სპეციალისტთა დაკვირვებით, ბეშქენს-დანლეული არა აქვს ტრადიცია, ახასიათებს ერთგვარი არქაიზმი. ის ბექას-თან შედარებით, უთუოდ, უფროსი თაობის ოსტატია¹.

ბექა ოპიზარის ნამუშავეს ჩვენ, რამდენადმე, უკეთ ვიცნობთ. ბექას მოკედლითა ქართული ოქრომქანდაკებლობის საუკეთესო ძეგლი — ანჩის ხა-ტის ჩარჩო. წარწერით ირკვევა, რომ „იოანე ანჩელმან რკინაელმან“ ხატი მოაქედინა ბექას „ბრძანებითა და ნიეთისა ბოძებითა ღმრთივ გვირგვინოს-ნისა დიდისა დედოფალთ-დედაფლისა“ თამარისა. ანჩის ხატის წარწერაში თამარის მარტო მოხსენიება საფიქრებელს ხდის, რომ მისი მოკედლობა შესრულებულია თამარის ქორწინებამდე, ყოველ შემთხვევაში, ლაშამდე, ე. ი. 1193 წლამდე².

ბექასვე მოუქედავს მოოქრული ვერცხლით ვედრება და ჯვარცმა წყაროს-თავის სახარებისა (Q № 907). მაცხოვრისა და ღვთისწმობლის გამოსახულებათა შორის იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე ოქრომქედელი ბექა ოპიზარი“. ოთხ-თავი 1195 წლით თარიღდება, მოკედლობაც იმ დროისა უნდა იყოს³.

ბექა ოპიზარის ხელით იყო მოკედლილი კიდევ ერთი სახარების ყდა. ეს ხელნაწერიც წყაროსთავისა ყოფილა. ბექას ის მოუქედავს 1193 — 1207 წლებ-ში. ლაშას დროს, დავით სოსლანის სიცოცხლეში. მოკედლობის შემკვეთი „მწიგნობარი სოფრომ“ იხსენიებს „ოქრომქანდაკებელსა ბექას“⁴. აკად. შ. ამირანაშვილის მონოგრაფიაში ბექა ოპიზარის შესახებ ოპიზის სკოლა ცალ-კეა გამოყოფილი. მკვლევარი წერს: „ორივე ოსტატს (ბეშქენსა და ბექას — ლ. მ.) ახასიათებს მაღალი ტექნიკა, დიდი ცოდნა რელიეფური ოქრომქედლობის მხატვრული პრინციპებისა; მათ შორის არის დიდი ნათესაობა: ნაოკების გად-მოცემასა, მოხაზულობასა და პირისახის ნაკვთების მოცულობაში ჩვენ ვაო-ულობთ ერთი ძირითადი სკოლის ნიშნებს, რომელსაც ჩვენ ოპიზის სკოლას ვუწოდებთ“⁵.

მე-13 საუკუნიდან ცნობილია იოანე მთავარაიხისძის მიერ აღზრდილი მოღვა-წე იოანე ოპიზელი, რომელსაც ბერთის მონასტრისათვის უბოძებია ბეშქენის მიერ მოკედლილი სახარება (Q № 906)⁶.

მონღოლთა ხანიდან ცნობილია ილარიონ ოპიზარის სახელი. ის იხსენი-ება ერთ საინტერესო ხელნაწერში (სახარებაში), რომელიც 1860 წელს სვა-ნეთში, ლაბსყალდის ეკლესიაში აღმოაჩინა დ. ბაქრაძემ. ის გადაუწერიათ იოანე და სვიმეონ ბერებს. ანდერძში ვკითხულობთ: „დაწერე. ანდერძი ესე ამა წმიდასა სახარებასა შინა მეფისა მოძღუარმან ბერმან ილარიონ სოფრო-მისძემან, მას ეამსა, ოდეს პატრონმან დავით მეფემან, ძემან რუსულანისამან.

¹ შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბ., 1956, გვ. 5 — 6, 44.

² იქვე, გვ. 6, 8, 12.

³ იქვე, გვ. 7.

⁴ იქვე, გვ. 7, 12. შტრ. კალისტრატე, ძვირფასი სახარება, „ივერია“, 1891, № 227; Е. Такашвили, Арх. экскурсия, II, გვ. 71; III, გვ. 35 — 47.

⁵ შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, გვ. 36; მისივე, История грузинско-го искусства, I, გვ. 219 — 220.

⁶ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 319.

ობიზით წამომიყვანეს და გელათს ქედსა წმიდათა მთავარ-ანგელოზთა წინაშე მამყოფეს, ესე წმიდაჲ სახარებაჲ მიბოდეს და ვითა მმართველთა მათად სადი-ღებოდ და სალოცავად ქედსა წმიდათა მთავარ-ანგელოზთა შვესწირე და მათსა ეკლესიასა დაედევ და რომელი ჩემგან ეგებოდა მათითა ნაბოძვართა რაჲცა აკლდა, ესე სახარებაჲ შევკაზმე“. მანვე მოაქვდინა „წიგნი საწინასწარმეტყუე-ლოჲ“¹. ილარიონ სოფრომისძე დიდად ზრუნავდა ქართულ ხელნაწერებზე. ჩვენ-თვის ცნობილია მის მიერ ტყეეობიდან დახსნილი რამდენიმე ხელნაწერი. მაგალითად, 1049 წ. გადაწერილი თენი (H № 2337) მინაწერებით: „ქ. ესე წიგნი ჯუარისაჲ პატრონისა დავით მეფისა სალოცავად მე მისმან მოძღვარმან ილარიონ ვიყიდე სპარსთაგან მას ჟამსა, ოდეს ჯუარი სპარსთა დაიტირეს... ესე წიგნი ობიზარმან ილარიონ იყიდა, მეფისა მოძღვარმან“ (2r); მასვე შე-უძენია მე-11 ს. გადაწერილი თენი (H № 2336). შემონახულია სათანადო მი-ნაწერი: „ე[სე] დავით მეფისაჲ ნასყიდი არის. ობიზარმან ილარიონ იყიდა, მეფის მოძღვარმან“ (1r)².

ილარიონ სოფრომისძე ობიზარი დავით ნარინის თანამედროვე პირია³. სოფრომისძეს იხსენიებს „ველმწიფის კარის გარიგება“⁴, მაგრამ მისი სახე-ლი არ ჩანს და ვერ ვიტყვით, რომ ის ილარიონია. მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნობილია მწიგნობარი სოფრომისძე გიორგი, რომელსაც 1290 წელს დაუწერია დავით ნარინის მიერ ვახტანგ თულაისძისადმი ბოძებული სიგელი⁵. დავით ნარინის მოძღვარი ილარიონი არც ეს არაა. საფიქრებე-ლია, ილარიონ სოფრომისძე იყო ის „ილარიონ მოძღვარი“, რომელიც მოხ-სენიებულია დავით ნარინის ერთ დოკუმენტში, რომელსაც თ. ფორდა-ნიამ „დავთარი საბანელასი“ უწოდა⁶.

აკად. ე. თაყაიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა დაშვება იმისა, რომ ილა-რიონ სოფრომისძე იყო სვანი და შემოხსენებული სახარება ლაბსყალდის ეკ-ლესიას უანდერძა⁷.

ჩვენამდე მოღწეული მასალებით, დასახელებულ პირთა გარდა, ცნო-ბილია კიდევ ზოგიერთი ობიზელი მოღვაწე. მაგალითად, მარტვილის ტაძრის

¹ ხელნაწერის აღწერილობა და ანდერძი რამდენჯერმე დაიბეჭდა (Д. Ба к р а д з е, Сванетия, ЗКОРГО, VI, 1864, გვ. 73 — 77; А. Ха х а н о в, Сванетские рукописные евангелия, МАК, X, 1904, დამატება, ევ. 14 — 17; ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 398 — 403). დ. ბაქრაძე და პროფ. ა. ხახანაშვილი ხელნაწერს მე-11 საუკუნით ათარიღებენ, აკად. ე. თაყაიშვილი — მე-12 — 13 საუკუნეებით (იხ. აგრეთვე Д. Ба к р а д з е, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 72 — 73).

² ხელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 232 — 233. ორივე ხელნაწერი იერუსალიმი-დან ჩამოტრანიდა გ. ავალიშვილს. ანალოგიური მინაწერები დაცული აქვთ იერუსალიმის სა-პატრიარქო ბიბლიოთეკის სხვა ხელნაწერებსაც (მაგალითად, ა. ცაგარლით № 135, რ. ბლე-იკით № 21, ნ. მართი № 13; ა. ცაგარლით № 138, რ. ბლეიკით № 16, ნ. მართი № 25).

³ და არა დავით მეგრის (კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 205) ან დავით მე-ათისა (ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 0186).

⁴ ველმწიფის კარის გარიგება, გვ. 13.

⁵ ს. კაკაბაძე, თულაისეთა სიგელი, დავით ნარინის მიერ მიცემული, „საისტო-რიო მოამბე“, 1925, I, გვ. 239. შდრ. ველმწიფის კარის გარიგება, გვ. 28.

⁶ ქრონიკები, II, გვ. 159.

⁷ ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 403.

ერთი ეკვდერის წარწერაში (998 წ.) მოხსენიებული მიქელ გალატოზი ოპიზარი¹, ათონის მთაზე დაცული ზატიკის (ა. ცაგარლით № 23) გადამწერი სვიმეონ ოპიზარი² და სხვ.

ხ ა ნ ძ თ ა

კლარჯეთის კულტურულ-ლიტერატურულ კერებს შორის ქრონოლოგიულად ოპიზის საეპისკოპოსოს მომდევნო და მთელი მხარის სამონასტრო კოლონიზაციის საყრდენი ბაზა იყო ხანძთის მონასტერი. იქაურ მოღვაწეთა დახასიათებით, ის ამქვეყნიური ცხოვრებისაგან გამდგარ პირთა საუკეთესო სამუფის წარმოდგენდა: „კეთილ არს უდაბნოა იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქუს მას წყაროა მდიდრად გამომდინარქ, შუენიერი, გრილი და ჰამოა, და მალნართა სიმრაველქ ურიცხვ და მცირედი რაჲმე სხუაჲცა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა, ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთით არა არს, არცა იქმნების ღირლოლოგანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა“ (იხ).

ხანძთის³ ადგილმდებარეობა დიდი ხანია კვლევის საგანს წარმოადგენს. მართალია, ქართულმა მეცნიერებამ მის შესახებ ადრე არაფერი იცოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ივერიაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც გრიგოლის მიერ აწვინებული ტაძრები ხანძოეთი (ასეა!) და შატბერდი იხსენიება⁴, ქართველმა სწავლულებმა იწყეს მისი ადგილმდებარეობის დაზუსტება.

ა. ქუთათელაძე ხანძოეთს (= ხანძთას) ანჩის ახლოს მდებარე პუნქტად მიიჩნევდა⁵. აკად. ე. თაყაიშვილმა მისი ძებნა სომხეთში დაიწყო და ეფერა-

¹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 41. შდრ. ი. ციციშვილი, ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრები, „დროშა“, 1952, № 4, გვ. 13. როგორც ჩანს, იქაური ხელისნები სხვა კუთხეებშიც მუშაობდნენ (III. Месхи, Города и городская строи феодальной Грузии, გვ. 33).

² А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 79. გვიანდელ ნუსხებში იხსენიება ოპიზის წინამძღვარი მათე (A № 193; არქ. ხელნ. № 160).

ანტონ კათოლიკოსის „სპეკალის“ ცნობა იოანე პეტრიწის ოპიზაში მოღვაწეობის შესახებ (ქ. ქეკელიძე, შენიშვნები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ეტიუდები, I, გვ. 279) ჩვენი მასალებით არ დასტურდება.

³ ხანძთის სახელწოდების შესახებ იხ. ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა თა სუფიქსისათვის ქართულში, „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 11—12, გვ. 7—10. ლ. მელიქსეთ-ბეგის ტოპონიმიკური შტუდიები, ხუანისა და ვარძიის სახელწოდებათა ეტიმოლოგიისათვის (ცალკე ამონაბეჭდი), თბ., 1934, გვ. 159.

⁴ ა. ქუთათელაძე, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი, ჯვარის მონასტერი და იქაური ხელნაწერების მოკლე აღწერილობა მოგვცა ნ. ჩუბინაშვილმა. მისი არქივი დარჩა პროფ. დ. ჩუბინაშვილს. ამ უკანასკნელის მასალებში მოპოვებული აღწერილობა 1894 წელს გამოაქვეყნა პროფ. ა. ცაგარელმა (Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 44—52). ნ. ჩუბინაშვილის მასალები უნახავს და იქიდან გრიგოლ ხანძთელის შესახები ცნობა გადმოუწერია მ. საბინის (H № 40, გვ. 213—214; ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 33. იხ. აგრეთვე М. Сарниш, Полное жизнеописание, III, გვ. 85—87).

⁵ „ივერია“, 1889, № 70. შდრ. დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოს, გვ. 233—234.

ტის ხეობის ხანძითი მიიჩნია ჩვენს ცენტრად¹. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმოჩენამ, რამდენადმე, გადაჭრა საკითხი: ხანძთა კლარჯეთშია. საძიებელი გასდა მისი ზუსტი ადგილმდებარეობა. ეს საქმე აკად. ნ. მარმა წამოიწყო. კლარჯეთში, სოფ. ფორთის ზემოთ, მან მოინახულა ერთი ძნელად მისასვლელი ტაძარი — „ნუკა-საყდარი“. ეს ტაძარი აღრე აკად. ა. პავლინოვ-მაც შენიშნა, მაგრამ გზის სიძნელეს შეუშინდა და ვერ ნახა ახლოს. ის წერდა: *описание-фортис гъзъе „проезжая дивини на верху крутой горы, над самым обрывом, издали видели хорошо сохранившуюся церковь, значительных размеров, окруженную постройками. К этой церкви теперь нет проезда, не смотря на то, что у подошвы горы через поток переброшены два старинных моста, упирающихся в скалу. Вероятно дорога в былое время пролегла по скале, но со временем обвалилась, не оставив по себе никаких признаков“*². მიუხედავად აღნიშნულისა, აკად. ნ. მარი არ შეუშინდა სიძნელეს და მაინც მივიდა იქ. მისი აღწერილობით, ბაზილიკური ეკლესია — „ნუკა-საყდარი“, მდებარეობს მდინარე კარჩხალის პირას, ციკაბო კლდეზე, ძალზე მაღლა. „На склоне горы, обращенном на востоке к Карчхалке, образована пазуха (ялота) из двух углом сходящихся скатов, южного и северного, пазуха или лошина. По линии соединения скатов в ложине сбегает журча необильные воды родниковой воды. На северном скате, с севера отрезанном высокою скалистою стеною, и находится церковь“³.

აღნიშნული ეკლესია, თავისი ადგილმდებარეობით (ის ოპიზის ახლოსაა, როგორც გიორგი მერჩული აღნიშნავს), შენობის სახითა და სხვა მონაცემებით, აკად. ნ. მარმა მიიჩნია ხანძთად და მოგვცა მისი აღწერილობა⁴. ეს ვარაუდი აღრევე გაიზიარეს აკად. ე. თაყაიშვილმა⁵ და სხვა მეცნიერებმა. უკანასკნელ ხანს აღნიშნულის სისწორეში ეჭვი შეიტანა, აკად. ნ. მარის მიერ შემონახულ ცნობებში, აღწერილობასა და ფოტოსურათებში სხვა მასალა გამოკრიბა, აკად. ნ. მარის აზრი უარყო და ახალი მოსაზრება წამოაყენა პ. ინგოროყვამ.

აკად. ნ. მარი ხანძთად მიჩნეულ ტაძარს მე-10 საუკუნით ათარიღებდა, აშოტ კუხის ხანას მიაწერდა⁶. პ. ინგოროყვა ამ აზრს არ იწყნარებს. აკად. ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული სურათიდან ჩანს, რომ საცილობელი ტაძარი უფუმბათთა, ბაზილიკას წარმოადგენს; ის, პ. ინგოროყვას აზრით, არქიტექტურული ტიპით ვაცილებით აღრე ხანისა უნდა იყოს, ვიდრე მე-9 — 10 საუკუნეებია. ეს არქაული ტიპის ბაზილიკა მოკლებულია არქიტექტურულ მოკაზმულობას, ზომაც მცირე აქვს, მოგვაგონებს მე-5 — 7 საუკუნეების ძეგლებს. საფიქრებელია, ეს იყოს არა ხანძთა, არამედ ნაშთი ძველი ფორთის საეპისკოპოსო კათედრალისა, რომლის მღვდელმთავარი უკვე იხსენიება 506 წლის დოკუმენტში. დავუშვათ, ეს ტაძარი არაა ხანძთა, მაშ სად უნდა ვეძებოთ ის?

¹ სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. LXXI — LXXIII. ამ მოსაზრების კრიტიკა აღრევე მოგვცა თ. ჟორდანიამ (ქრონიკები, I, გვ. 97 — 99; II, გვ. 53).

² МАК, III, 1893, გვ. 6.

³ ТРА-ГФ, VII, გვ. 125.

⁴ იქვე, გვ. 125 — 130.

⁵ МАК, XII, 1909, გვ. 51, შენ. 4.

⁶ ТРА-ГФ, VII, გვ. XX — XXI.

3. ინგოროყვა გვაუწყებს ხანძთის ადგილმდებარეობასაც: ეს უნდა იყოს უსახელო სავანე სოფ. ფორთის სამხრეთ ზონაში, ქვემო ფორთაში (ეს აკად. ნ. მარმა შატბერდად მიიჩნია. თუ რა საბუთები ჰქონდა მას ასეთი დასკვნისთვის, ამის შესახებ ქვემოთ). ეს უსახელო სავანე ინახულა და აღწერა აკად. ა. პავლინოვმა¹, შემდეგში—აკად. ნ. მარმა². მათი მასაღითა და ზოგი დამატებითი ცნობით შესაძლებელი ხდება საცილობელი საკითხის გარკვევა. რა საბუთებით მიიჩნევს პ. ინგოროყვა უსახელო სავანეს ხანძთად?

1. გიორგი მერჩულითა და სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობით ხანძთა ოპიზის ახლოსაა. ქვ. ფორთის უსახელო სავანე სწორედ აღნიშნულ ადგილასა;

2. სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობით ხანძთა-ოპიზას შორის მდებარეობს ადგილი — დახატულა. ასეთი სახელის მატარებელი ადგილი უსახელო სავანესა და ოპიზას შუა ნახა აკად. ნ. მარმა³.

3. უსახელო სავანის სამრეკლოზე იკითხება მარკოზის სახელი⁴, ხოლო სინას მთის სულთა მატიანე მარკოზს იხსენიებს ხანძთის სამრეკლოს აღმშენებლად⁵, ე. ი. უსახელო სავანე ხანძთაა.

4. ქვემო ფორთის უსახელო სავანის ერთ წარწერაში იხსენიება ამ პუნქტის სახელი — ხანძთა.

ამრიგად, აკად. ნ. მარის მიერ შატბერდად მიჩნეული უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს სოფ. ფორთის სამხრეთ ზონაში, პ. ინგოროყვას აზრით, არის ხანძთა⁶.

რანდენად სწორი და დამაჯერებელია აღნიშნული მოსაზრება? განვიხილოთ პ. ინგოროყვას საბუთები იმ რიგით, რომელსაც პატივცემული მკვლევარი გვთავაზობს.

1. სავსებით სწორია განცხადება, რომ წყაროებით ხანძთა ოპიზის ახლოსაა, მაგრამ თუ ეს განცხადება შეიძლება გამოვიყენოთ ქვემო ფორთის მიმართ, რა გვიშლის ხელს, რომ ის ფორთის ჩრდილოეთ ზონაში არსებულ ტაძარს — „ნუკა-საყდარს“ დავუკავშიროთ? განა „ნუკა-საყდარი“ ოპიზის ახლოს არაა, განა აკად. ნ. მარმა, სხვასთან ერთად, სწორედ ეს გარემოება არ გაითვალისწინა, როდესაც „ნუკა-საყდარი“ ხანძთად მიიჩნია?

2. სწორია განცხადება, რომ სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობით დახატულა (დახატული) ხანძთა-ოპიზას შორის მდებარეობს. საკითხავია, თუ დახატული ოპიზა-ქვემო ფორთას შორის მდებარეობს, არ შეიძლება განვაცხადოთ, რომ ის ოპიზა — „ნუკა-საყდარს“ შორის მდებარეობს?

¹ МАК. III, 1893, გვ. 66 — 67.

² ТРА-ГФ, VII, გვ. 139 — 156.

³ იქვე, გვ. 141.

⁴ იქვე, გვ. 145.

⁵ ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 241

⁶ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 311 — 314. ეს მოსაზრება შესაწყნარებლად მიიჩნეის აკად. გ. ჩუბინაშვილმა (Архитектура Кахети, გვ. 285 — 286, 353, 364, 509), ნ. თარხნიშვილმა (ქართული სასულიერო პოეზია და მისი ურთიერთობა ბიზანტიურ პოეზიასთან, „მნათობი“, 1958, № 1, გვ. 133), ვ. ბერიძემ (ძველი ქართველი ხელოვნობის ძეგლები, გვ. 23, 60), ვ. ცინცაძემ (თელოვანის ჯვარპატიოსანი (VIII — IX სს.), „ქართული ხელოვნება“, V, 1959, გვ. 82, შენ. 1) და სხვ.

3. ხანძთის სამრეკლოს მშენებელი მარკოზი ლიტერატურაში ცნობილი პირია. მართალია, მარკოზის სახელი იხსენიება ქვემო ფორთის სამრეკლოს წარწერაში, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ქვემო ფორთა აუცილებლად ხანძთაა და არა შატბერდი? არ შეიძლება დაეფუშვათ, რომ ხანძთასა და შატბერდში სამრეკლოები ერთსა და იმავე პირს აუშენებია? ხომ ცნობილია ის ფაქტი, რომ ხანძთისა და შატბერდის მონასტრები გრიგოლ ხანძთელმა დააარსა. განა მის თანამოღვაწეს—მარკოზს არ შეეძლო ორივე ტაძარში აეგო სამრეკლოები? ან უკიდურეს შემთხვევაში, განა არ შეიძლება ქვემო ფორთის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებული მარკოზი და სინას მთის სულთა მატეანის მარკოზი ერთი და იგივე პირი არც იყოს?

4. ყველაზე საეჭვო და საცილობელია მეოთხე საბუთი. როგორც ცნობილია, ქვემო ფორთის ტაძრიდან ერთი წარწერიანი ქვა ჩამოიტანა დ. ერმაკოვმა, ხოლო მისი ტექსტი გამოაქვეყნა აკად. ე. თაყაიშვილმა¹. მეორე ქვა იქვე ნახა და წარწერა გადმოიღო აკად. ნ. მარმა². პ. ინგოროყვა ვარაუდობს, რომ მიკვლეულია ხანძთის ტაძრის წარწერიანი ქვის მხოლოდ პირველი და მესამე ნატეხი, დაკარგულ ნაწილს (მეორე და მეოთხე ქვა) მკვლევარი თვით აღადგენს. არც ცნობილი ქვებისა და არც მიუკვლეველი ქვების წარწერის გაშიფვრა არაა დამაჯერებელი. ძალზე საეჭვოა ხსენებულ ქვაზე „ხანცთის“ ამოკითხვა.

უკანასკნელად უნდა შევეხოთ ერთ საკითხს.

ქვემო ფორთის უსახელო სავანის ადგილმდებარეობა საკმაოდ ცნობილია. აკად. ნ. მარის აღწერილობითა და მის მიერვე გამოქვეყნებული სურათიდან³ ნათლად ჩანს, რომ ტაძარი მდებარეობს არა ციცაბო კლდეზე, მიუხედავად აღგილას, არამედ საკმაოდ მოხერხებულ ტერასზე, სადაც სოფელიც კი გაშენებულია.

მოვიგონოთ გიორგი მერჩულის განცხადება: „კლდე იგი ხანძთისაჲ უფიცხლეს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა“ (ია), აგრეთვე მისი აღწერილობა ხანძთის სავანისა და მისი მიდამოებისა, მოვიგონოთ აკად. ნ. მარისეული დახასიათება „ნუკა-საყდრის“ ადგილმდებარეობისა, მის მიერ გამოქვეყნებული სურათები ამ ტაძრისა⁴ და ცხადი იქნება, რომ ხანძთად მეტი საბუთიანობით შეიძლება მივიჩნიოთ „ნუკა-საყდარი“, ვიდრე ქვემო ფორთის უსახელო სავანე, რომლის მდებარეობა გიორგი მერჩულისეული ხანძთის მდებარეობას სრულებით არ ეფარდება.

ამრიგად, პ. ინგოროყვას მიერ წამოყენებული საბუთები ქვემო ფორთის უსახელო ტაძრის ხანძთის სავანედ მისაჩნევად არაა დამაჯერებელი და სარ-

¹ Е. Такайшвили, Арх. эскерции, II, გვ. 59—61. ფორთის ტაძრიდან წამოღებული ქვა ამჟამად ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმში, (საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 10—11, ტაბ. V. სურათი № 1).

² ТРА-1'И, VII, გვ. 140.

³ იქვე, სურათი № 50.

⁴ იქვე, სურათი № 40, 43.

წმუნო. ეს საკითხი ჯერ კიდევ დამატებით შესწავლასა და დაზუსტებას საჭიროებს. დღევანდელ ეტაპზე კი ჩვენ არ გავგვიანია სათანადო საფუძველი, რომ აკად. ნ. შარის მიერ „ნუკა-საყდრის“ ხანძად მიჩნევა შეცდომად ჩავთვალოთ, ან ამ მოსაზრების სისწორეში ეჭვი შევიტანოთ.

ხანძთის მონასტრის დამაარსებელი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის ინიციატორი და სულისჩამდგმელია გრიგოლ ხანძთელი. მან ჩაუყარა საფუძველი ტაო-კლარჯეთის ქართულ ბერ-მონაზვნობასა და სამონასტრო ცხოვრებას, მის სახელთანაა დაკავშირებული ტაო-კლარჯეთში მძლავრი კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედებითი მუშაობის გაშლა და გაფართოება.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება კარგადაა ცნობილი. ჩვენამდე მოღწეულია მისი ვრცელი ბიოგრაფია, რომელიც ეკუთვნის ქართული მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატს, ქართული პროზის დიდ ხელოვანს გიორგი მერჩულს. მისი უკვდავი ნაწარმოები: „შრომა და მოღვაწეობა ღირსად-ცხოვრებისაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ და მის თანა ქსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ“, წარმოადგენს ვრცელ მხატვრულ ტილოს, რომელზეც ნათლად, სრულად და მკაფიოდ არის ასახული ტაო-კლარჯეთში გაჩაღებული სამონასტრო მშენებლობა.

გიორგი მერჩული გეაცნობს ეკლესია-მონასტრების მშენებლობას, ტაო-კლარჯეთის გამოჩენილ სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეებს, განსაკუთრებით ვრცლად მოგვითხრობს გრიგოლ ხანძთელის თავგადასავალს. ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის, იქაური ქართული საგანეების ისტორიის გასათვალისწინებლად გიორგი მერჩულის წიგნს პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვს. ხანძთის მონასტრის ისტორიისა და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის შესწავლისას, ბუნებრივია, პირველ რიგში გიორგი მერჩულის ჩვენებანი უნდა იქნას გათვალისწინებული და გამოყენებული.

გიორგი მერჩულის ცნობით, გრიგოლ ხანძთელი დაიბადა 759 წელს¹. ის იყო შვილი „წარჩინებულთა დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამადედათაჲ“ (ბ), იზრდებოდა ქართლის ერისთავის ნერსეს კარზე, „აღზრდილ იყო კელითა კეთილადმსახურისა დედოფლისა ნერსის ცოლისაჲთა, რომელსაცა ეწვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“ (ბ). ქართლის ერისთავის კარზე მიღებულსა და შეფარებულ პირს, ბუნებრივია, ექნებოდა ხელსაყრელი პირობები სწავლისათვის. გრიგოლმა კარგად გამოიყენა ერისთავის კარზე ყოფნა და ეპოქის შესაფერისი განათლება მიიღო, შეისწავლა არა ერთი დისციპლინა. მის სწავლისმოყვარეობასა და განათლებას ბიოგრაფი საგანგებოდ განაზღვრავს: „გულისხმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკრვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და კმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღვროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა, და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ, და საღმრთონი წიგნნი ზეპირით

¹ გიორგი მერჩულის ცნობით, გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 81 ქორონიკონს, 102 წლია ასაკში. 81-ე ქორონიკონი 861 წელია. მაშასადამე, გრიგოლი დაბადებულა 759 წელს. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, პ. ინგოროყვა გრიგოლ ხანძთელის დაბადების თარიღად მიიჩნევს 758 წელს (გიორგი მერჩულე, გვ. 8 — 9).

მოიწუარტანა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად, და რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის.... გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნა“ (გ).

როდესაც გრიგოლი სათანადოდ გაიწაფა, მისმა ახლობლებმა „ინებეს ხუცად კურთხევამ“ (გ) მისი. გრიგოლს ეს დიდ პატივად მიაჩნდა და ეშინოდა კიდევ მისი, მაგრამ დაუჯერა სხვებს, „დაემორჩილა მათ“ (ე) და ეკურთხა ხუცად. შემდეგში მისი ებისკოპოსად კურთხევაჲ მოისურვეს, მაგრამ გრიგოლი გაურბოდა დიდებასა და პატივს, მას არ მოეწონა ახალი წინადადება და „განიზრახა ფარულად სივლტოლაჲ თვისით ქუეყანით“ (ე). გრიგოლმა მალე იპოვა თანამზრახველნიც: „საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშწნებელი და ებისკოპოსი მისი, და თევდორე, ნეტესა მაშწნებელი და მამამ, და ქრისტეფორე, კვიციეთისა მაშწნებელი და მამამ“ (ე). აგიოგრაფის გადმოცემით, გრიგოლის ქართლიდან წასვლათითქოს იმით აიხსნება, რომ მას ამქვეყნიური პატივი აშინებდა და დიდება არ იზიდავდა. სასულიერო-საეკლესიო მწერლობის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ახსნა სწორი და მართებული არ უნდა იყოს. საფიქრებელია, გრიგოლის ქართლიდან წასვლა სხვა გარემოებასთან იყოს დაკავშირებული. როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლი იზრდებოდა ნერსე ერისთავის კარზე. ანტიარაბული საქმიანობისათვის ნერსეს დამპყრობელი არაბები ძალზე ავიწროებდნენ, რის გამოც 781 წლის ახლოს ის იძულებული შეიქნა ხაზარეთს გაქცეულიყო, არაბთა მოქიშვე ქვეყანას შეფარებოდა, ხოლო ცოლ-შვილი აფხაზეთს გაეხიზნა. გრიგოლ ხანძთელიც, ალბათ, მაშინ დაიძრა ქართლიდან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსაკენ გაეშურა. ქართლიდან წასული გრიგოლი და მისი მხლებლები პირველად მივიდნენ ოპიზას, სადაც დახვდნენ „ძმანი მცირედნი“ (გ). ოპიზელებმა ისინი კარგად მიიღეს. წინამძღვარმა გიორგიმ „შეიწყნარა ივინი სიხარულით არაჲ ვითარცა მოწაფენი, არამედ ვითარცა უზეშთაესნი მისა“ (გ). გრიგოლმა 2 წელი იქ გაატარა, შემდეგ იწყო სხვა პუნქტის ძებნა, რადგან „სწადოდა მარტოდ დაყუდებამ“ (ე); მივიდა ხანძთას, სადაც დახვდა მარტოდმოყოფი ბერი ხუედიოსი, რომელმაც „მოახილვა ყოველი სანახები ხანძთისაჲ“ (ე). გრიგოლს მოეწონა ხანძთა, წავიდა ოპიზას, გამოეთხოვა იქაურ მოღვაწეებს, წამოიყვანა თავისი მოწაფეები და დასახლდა ხანძთაში. ხუედიოსი ქებას გადასახლდა, იქვე გარდაიცვალა ცოტა მოგვიანებით (იბ). ხანძთის ახალმა მობინადრეებმა ენერგიულად დაიწყეს შრომა: „იწყეს საქმედ სენაკებისათჳს ქუეყანისა დავაკებად, რამეთუ კლდჳ იგი ხანძთისაჲ უფიცხლჳს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა. და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მათ ცულთა და წერაქვ, არცა სხუაჲ ეგჳ ვითარი სავმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა ჯელთა მათთა და თანაშემწჳ ექმნეს ყოვლითა საქმრითა და ქორცთა სალუაწითა, რამეთუ მას ჟამსა სხუაჲ მონასტერი არა შწნ იყო მათ ქუეყანათა თვნიერ ოპიზისა და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შწნებისათჳს მათ ქუეყანათაჲსა, რამეთუ კლარჯეთი და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშწნებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“ (იბ).

გიორგი მერჩულის წიგნიდან მოტანილი ცნობით ჩვენთვის ცხადი ხდება, თუ რაოდენ მიძიმე და რთული სამუშაოს ჩატარება მოუხდათ გრიგოლსა

და მის თანამოღვაწეებს ხანძთის საფანის კეთილმოსაწყობად და იქ საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების ვასაჩაღებლად.

ხანძთაში გრიგოლმა „პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თვის და თითო სენაკები ძმათა მათთვის მცირე და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“ (ია).

გრიგოლის ქართლიდან წასვლა მე-8 საუკუნის 80-იანი წლების დამდეგით თარიღდება, მაშასადამე. ხანძთის მონასტრის მშენებლობა მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეხუთედზე მოდის.

ხანძთის საფანემ იწყო ზრდა-განვითარება, იქ „განმრავლდებოდეს ძმანი ქრისტეს-მსახურნი“ (იბ). მალე გრიგოლის გარშემო შეიკრიბა მრავალი მოღვაწე.

გრიგოლი დაუკავშირდა და დაუახლოვდა იქაურ ქართველ დიდებულს— აზნაურ გაბრიელ დაფანჩულს, რომელმაც მისცა „კირით-ხურონი და ნიეთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშენებლად“ (იღ). საერო ხელისუფლების წარმომადგენლების დახმარებით გრიგოლმა კიდევ უფრო გაააქტივა საქმიანობა და ფართოდ გაშალა საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა; მალე „კეთილად განსრულდა ძელი იგი ეკლესიაჲ ხანძთისაჲ“ (იე).

გაბრიელ დაფანჩულის მეოხებით გრიგოლის „ღირსებაჲ და უცხოებაჲ და უქმსა უდაბნოსა მონასტრისა შშნებაჲ და მოწაფეთა მისთა სათნობაჲ“ (ივ) გაიგო აშოტ კურაპალატმა, რომელმაც კარგად გაიაზრა გრიგოლის მოღვაწეობის არსი, სათანადოდ შეაფასა მისი საქმიანობა და დახმარებაც აღმოუჩინა (— მან ხანძთის მონასტერს აგარაკად უბოძა შატბერდი).

გრიგოლი დაუღალავად ზრუნავდა ხანძთის საფანის ცხოვრების უკეთ წარმართვისთვის. რათა უკეთ განეგო თავისი მონასტერი და დაეცვა სათანადო წესი, გრიგოლი კონსტანტინოპოლს წავიდა იქაურ „წმიდა“ ადგილთა სანახავად და გასაცნობად, ხოლო იერუსალიმში მიმავალ პირს დააეალა საბაწმიდის მონასტრის წესის გამოგზავნა. შემდეგში, როდესაც მას საბაწმიდის „განგებაჲ“ მოუვიდა, გრიგოლმა „განაწესა წესი თვისისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ“ (ქ).

კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებულ გრიგოლს აშოტ კურაპალატი მოკლული დახვდა (836 წ.). ტაო-კლარჯეთის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების მესვეურს სხვაზე ნათლად ესმოდა აშოტის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობა, ამიტომაც ერთგულებდა მას და აფასებდა. მისი ვერაგული მოკვლა გრიგოლ ხანძთელმა საერთო ქართული საქმის საზიანოდ მიიჩნია და მწარედ განიცადა (ით) ¹.

აშოტის მემკვიდრენი (ადარნასე, ბაგრატი, გუარამი) სათავეში ჩაუდგნენ მამის სამფლობელოების მართვას. „განდიდნა მეფობაჲ სამთა მათ ძმათა ჳელ-მწიფეთაჲ, რამეთუ შეწყენითა ღმრთისაჲთა ჳრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავი“ (კლ).

გრიგოლ ხანძთელი მივიდა ახალ ხელისუფალთან—ბაგრატ კურაპალატთან და შატბერდი სთხოვა მონასტრის ასაგებად; მიიღო რა სათანადო უფლება, დაიწყო იქ ეკლესიისა და სენაკების შენება (კმ-კთ). შემდეგში მან

¹ კ. კეკელიძე, „გოჯების“ ენრი და „გლოვის წესი“ ძველს ქართულს ლიტერატურაში, ეტიუდები, I, გვ. 208.

„ამოტის ძენი, — „ქელმწიფენი მის ჟამისანი“, — მიიყვანა შატბერდს, ჯმერკს, ბერთას, დაბას, დოლისყანას, ოპიზას, ხანძთას, მიძნადორს, წყაროსთავს, ბარეთელთას (ლა-ლგ).

კლარჯეთის მოღვაწეებმა გრიგოლი კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტად დაადგინეს (ლბ-ლგ). ის ხანძთასა და შატბერდს ცხოვრობდა, მაკრამ ყურადღებას არც სხვა მონასტრებს აკლებდა, წინამძღვრებს ეხმარებოდა, საცილობელ საკითხებს უმარტავდა და სხვა.

გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა მისაბაძი გახდა სხვა ქართველთათვის. გრიგოლთან მივიდნენ ქართველი მოღვაწენი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (მამა ეპიფანე და მღვდელი მატოი ქართლიდან, ზენონი და ფებრონია სამცხიდან და ა. შ.). მთელ მხარეში ეგაჩაღდა საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა. გიორგი მერჩულის ცნობით, „მას ეამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა მშენებად და წმიდათა ეკლესიათა“ (იე-ივ). თვით გრიგოლმა გააშენა მამათა ორი მონასტერი კლარჯეთში (ხანძთა, შატბერდი), ერთი — დასავლეთ საქართველოში (უბე)¹. მანვე გააშენა დედათა ორი მონასტერი კლარჯეთში — გუნათლე და მერე. მისი ბაძვით, მისმა ზოგიერთმა მოწაფემ და ახლობელმაც იწყო ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. ასე, მაგალითად, საბამ აღადგინა იშხნის ძველი ტაძარი, დაეთმა დააარსა მონასტერი მიძნადორში, ზაქარიამ — ბარეთელთაში, ილარიონმა — წყაროსთავში (სამივე კლარჯეთშია), თევდორემ — ნეძეში, ქრისტეფორემ — კვირიკეწმიდაში (ქართლში). სხვათა შორის, გრიგოლი სხვათა თხოვნითაც აკებდა მონასტრებს. ასე, მაგალითად, გაბრიელ დაფანჩულის თხოვნით დააარსა დედათა მონასტერი, რომელსაც „გუნათლის ვანი“ ეწოდა (იდ). მანვე აფხაზთა მეფის დემეტრეს თხოვნით დასავლეთ საქართველოში დააარსა მონასტერი და უწოდა მას „უბმ და ილარიონ ვინმე იერუსალშით მოსრული, სარწმუნო მხოუცებული, დაადგინა მამასახლისად, რამეთუ ხანძთით წარყვლილ იყო თევდორეს და ქრისტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თვსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, დავეუტევენა მონასტერსა მას“ (კგ). როგორც ჩანს, გრიგოლს იმთავითვე შეგნებული ჰქონდა, რომ მის მიერ დაარსებული მონასტერი მწიგნობრობის კერად უნდა ქცეულიყო. მართლაც, მისი ძირითადი საცხოვრებელი ადგილი — ხანძთა ქართული განათლების, ქართული მწიგნობრობის დიდ კერად იქცა. ამ საქმეში მთავარი დამსახურება გრიგოლს მიუძღვის, მისი თაოსნობით გაჩაღდა იქ კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა. მართალია, აგიოგრაფის სიტყვით, ხანძთელებს მკაცრი დისციპლინარული წესი ჰქონდათ და მძიმე პირობებშიც იყვნენ („ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაჲ, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირს სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოჲ სარწყული წყლისათჲს. ხოლო სხუაჲ ნუგეშინის-საცემელი კორცთაჲ არა აქუნდა საჭამადისაჲ და სასუმადისაჲ ყოვლადვე“ (კა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ღამშ იყო ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნის კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის“ (კა).

¹ რ. შმერლინგი, უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVI, № 2, 1955, გვ. 169 — 174.

გრიგოლი თვით იღებდა მონაწილეობას ლიტერატურულ საქმიანობაში. ბიოგრაფი რამდენჯერმე უსვამს ხაზს გრიგოლის სიბრძნეს. მისი განცხადებით, „სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი“ (ლთ). საყურადღებოა მერჩულის ცნობა გრიგოლ ხანძთელის განსწავლულობაზე: „ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაჲცა შჯულისანი, არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აღურაცხელნი წამოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა უმეტეს ზეშთა ბუნებისა ჩუენისა“ (ლთ).

ასეთი განსწავლული, განათლებული და სიბრძნისმოყვარე პირი, საფიქრებელია, ახლოს იქნებოდა ლიტერატურულ წრეებთან და მოსალოდნელია თავის კალამსაც ცდიდა სამწერლო ასპარეზზე. ჩვენ სათანადო საბუთებიც გვაქვს ამ საკითხის გასარკვევად. გიორგი მერჩულის ცნობით, „აწ არს ხანძთას კელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდომ იადგარი“ (ლთ). „დაწერილი“ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ნიშნავს გადაწერილსაც და ახლად დაწერილ ორიგინალურ ნაწარმოებსაც. მაშასადამე, ამ ცნობით გრიგოლ ხანძთელი შეიძლება მიჩნეულ იქნას ჰიმნოგრაფად და გადაწერადაც. რომელი დასკვნა იქნება სწორი?

ძველ ხელნაწერებში შემონახული „საწელიწდო იადგარების“ შესწავლით პ. ინგოროყვამ ცადა გრიგოლ ხანძთელის საგალობლების გამოვლენა. მისი დასკვნით, გრიგოლის „საწელიწდო იადგარი“ წარმოადგენს გრანდიოზულ ძეგლს, შეიცავს მრავალ ათეულ საგალობელს, გამართულს სხვადასხვა სალექსო საზომით. აღნიშნული თხზულება უკვდავყოფს გრიგოლ ხანძთელის სახელს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მისივე მოსაზრებით, გრიგოლს დაუწერია „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“, „წესი და განგებაჲ ხანძთის სავანისაჲ“, „შესხმაჲ ქებისაჲ ბაგრატ ქართველთა კელმწიფისაჲ“. პ. ინგოროყვა გრიგოლ ხანძთელს მიაწერს იმ სავედრებელ ლოცვებს, რომლებიც, გიორგი მერჩულის ცნობით, მას წარმოუთქვამს ხანძთაში მშენებლობის დაწყებისას, შატბერდის დაფუძნებისას და სხვ.¹

გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოვლენა და შესწავლა ჩვენი მეცნიერების ამოცანაა. მომავალი კვლევა-ძიება, უთუოდ, შუქს მოჰფენს გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ამ მხარესაც. ყოველ შემთხვევაში, ახლაც სავარაუდებელია, რომ მის კალამს ეკუთვნოდა ხანძთის მონასტრის კტიტორული ტიბიკონი და „საწელიწდო იადგარი“².

ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის წამომწყები და იქაური ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელი გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 547—549, 576—578, 614—615, 619—620, 631, 635—636, 642, 645—646, 650, 684, 735—843, 859—860, 07—013, 040, 043, 045, 074—082, 0102—0104, 0107—0108.

² პ. ინგოროყვას კვლევის მეთოდი ერთბაშად თავისებურია და შედეგიც ნაკლებად სარწმუნოა. მისი კონცეფციის კრიტიკა იხ. კ. კეკელიძე, ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ, ეტიუდები, VI, გვ. 112—115; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 134—136; ა. ბარამიძე, „გიორგი მერჩულეს“ გარშემო, თსუ შრომები, ტ. 71, 1959, გვ. 31—37.

ღრმა მოხუცებული 102 წლის ასაკში, 861 წელს¹. მის მიერ დაარსებულ სა-
ვანეებში კარგა ხანს გრძელდებოდა სამონასტრო ცხოვრება და ლიტერატურ-
ული საქმიანობა. კერძოდ, ხანძთაში მომდევნო ხანაში ახალი ეკლესია ააგო
„აშოტ ერისთავთ-ერისთავმა (გარდ. 918 წ.). აგიოგრაფის ცნობით, აშოტმა
„ხანძთას ახალი ეკლესია დაიწყო წადიერად და ურიცხვ შესაწირავე გარ-
დაშობა მას“ (ლგ). მის ღროს წინამძღვრად იყო არსენი, ნათესავით აზნა-
ური, რომლის განზრახვით, „იქმნა დაწყება ახლისა მის და შუენიერისა ეკ-
ლესიისა ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და
ქვითა-კირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დააეკეს და ესრტთ შეპრაცხეს შემზა-
ლებმა ადგილისა მის ვითარმცა სრულიად აღეშენა“ (ლგ).

როდესაც ერისთავთ-ერისთავად დაჯდა გურგენი (გარდ. 941 წ.), მან
განასრულა „ეკლესია იგი ახალი ხანძთისა“ (ლგ-ლდ).

ხანძთის საენის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები კარგა ხანს
გრძელდებოდა. იქაური ლიტერატურული კერიდან გამოვიდნენ არსენ საფა-
რელი, ეფრემ მაწყყერელი, მაკარი ლეთეთელი, გიორგი მერჩული, მოსე ხან-
ძთელი და სხვანი².

არსენ საფარელი (830 — 887) ძველი ქართული ლიტერატურის თვალ-
საჩინო წარმომადგენელია. თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი მან გაატარა
ხანძთაში, სადაც იზრდებოდა გრიგოლის მეთვალყურეობის ქვეშ. მის კალამს
ეკუთვნის საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის თხზულებანი,
რომელთა გაცნობა ცხადყოფს, რომ არსენს ხანძთაში ჯეროვანი სწავლა-გა-
ნათლება მიუღია და ქართული კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები
კარგად შეუთვისებია (იხ. მცხეთა).

ხანძთაში აღიზარდა ქართული ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე ეფრემ
მაწყყერელი (IX ს.), რომელმაც შემდეგში მირონის ადგილზე კურთხევის უფლე-
ბა მოუპოვა მშობლიურ ეკლესიას და ანით უდიდესი როლი შეასრულა ქარ-
თული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შენარჩუნების საქმეში.
გიორგი მერჩულის განცხადებით, „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატ-
ყუებელ იქმნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალი-
კოსთა მიპრონი იერუსალშმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტეს-მიერითა
ბრძანებითა მიპრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალშმისა პატრი-
აქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით“ (მთ).

ხანძთის ლიტერატურულ სკოლასთანაა დაკავშირებული ცნობილი საბა-
წმიდელი მოღვაწე მაკარი ლეთეთელი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია
პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერის — 864 წ. მრავალთავის გადანუს-

¹ გრიგოლ ხანძთელის ხსენება ქართულ ეკლესიაში დადებული იყო 5 ოქტომბერს
(A № 425, გვ. 102; A № 97, გვ. 11; S № 3269, 302v; Q № 627, 358r). სასულიერო წოდება
გრიგოლს ინსენიებდა, მაგრამ მის პიროვნებას ნაკლებად იცნობდა. საგულისხმოა, რომ გრი-
გოლს ზოგჯერ სომეხ მოღვაწედ მიიჩნევენ (წყობილსიტყვაობა, გვ. 124, შენ. 42). ეს ქუაქ-
ტი ნათლად მეტყველებს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების დაკარგვის გამო ამ მოღვაწის და-
ვიწყებაზე (TPA-ΓΦ, VII, გვ. XXXVII — XXXVIII).

² პ. ინგოროყვა ხანძთელად მიიჩნევს ქართველ ჰიმნოგრაფებს ეპიფანესა და ბასილს,
მაგრამ მკვლევრის საბუთიანობას დამაჯერებლობა აკლია (პ. ინგოროყვა, გიორგი
მერჩულე, გვ. 550, 692 — 697, 860 — 864, 018, 045 — 046, 064, 072 — 073, 0115).

ხვაში¹. მაკარი გრიგოლ ხანძთელის მოწაფეა და შორეულ საბაწმიდაში მოღვაწეობის ეამსაც არ შეუწყვეტია კავშირი თავის განსწავლულ მოძღვართან.

მეთე საუკუნეში ხანძთაში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი გიორგი მერჩული, რომელსაც ეკუთვნის ქართული კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის ძეგლი: „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ და მის თანაჲ ჯსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ“². აღნიშნული თხზულება ავტორს დაუწერია ხანძთაში. მუშაობის პროცესში ეხმარებოდნენ წინამძღვარი თევდორე ხანძთელი და მისი ძმა იოანე. კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს დახმარება, ძნელია თქმა. რასაკვირველია, ძეგლის ცალკეული ნაწილების დამწერად მათ ვერ მივიჩნევთ, რადგან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმწერად ტექსტში მხოლოდ გიორგი მერჩულია დასახელებული. საფიქრებელია, ისინი ინიციატორები იყვნენ აღნიშნული წიგნის დაწერისა³.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების დაწერის თარიღის, ავტორისა და ადგილის შესახებ საინტერესო ცნობებს ძეგლიშივე ვპოულობთ: „ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოცდაერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხოვრებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუსათასხუთასორმეოცდამეათოთხმეტესა წელსა, იერუსალმს პატრიარქობასა ავათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა, ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფისასა, ერისთავთა-ერისთავობასა სუმბატისსა,

¹ სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 280 — 281, 289, 295, 299. ჯერ კიდევ აკად. ნ. მარზა აღნიშნა, რომ მაკარი ლეთეთელი გრიგოლ ხანძთელის მოწაფეა (ТРА-ГФ, VII, გვ. XVIII).

² გამოცემები: ა) ქართული — Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Груз. текст. Введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавш(ет)ию и Клардк(ет)ию, ТРА-ГФ, VII, СПб., 1911, გვ. ა — აბ; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 98 — 156; გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთა, დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პ. ინგოროყვამ, I, აღდგენილი დედანი, თბ., 194; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I¹, გვ. 240 — 270; I², გვ. 236 — 267; ჩენი საუნჯე, ტ. I, გვ. 131 — 225; ბ) რუსული — ТРА-ГФ, VII, გვ. 83 — 151; იხ. აგრეთვე Грузинская проза, I, М., 1955, გვ. 25 — 28; გ) ლათინური — P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes, AB, XXXVI — XXXVII, 1923, გვ. 207 — 309. ამ თარგმანზე იხ. К. Дондуа, Творение Мерчула в латинском переводе бельгийского ориенталиста, ТРКФ, I, М., 1924, გვ. 14 — 25; დ) ინგლისური პერიოფრაზი — Lives and Legends of the Georgian saints, გვ. 134 — 153. მიუხედავად არაერთი პუბლიკაციისა, ტექსტის ზოგიერთი ადგილი ძველად ბუნდოვანი და საცილობელია (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლსა გამოცემისათვის, ეტიუდები, I, გვ. 309 — 310; ა. შანიძე, ხანძთელის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V, № 9, 1944, გვ. 939 — 944).

³ ТРА-ГФ, VII, გვ. VI. თევდორესა და იოანეს მიჩნევა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების თანავტორებად (ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 242, შენ 429), რასაკვირველია, გაუგებრობას წარმოადგენს.

ძისა ადარნერსე მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნერსისასა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთობასა სუმბატისა, ძისა დავით მამფლისასა. ქრისტემან დიდებდა უოხჳნოა მათ ყოველთა მიანიჳენ.

ხოლო ეამსავე მას იყო ანჳს ეპისკოპოსი მაკარი და ნეტარისა მამისა გრიგოლის შწნებულთა მათ მონასტერთა იყენეს მამასახლისნი ნათესავით დიდთა აზნაურთა შვილნი ხანძთას — მამაა თევდორე, დისწული მცხუედაძასაა, და შატბერდს — მამაა გრიგოლ ძე ლიპარიტისი, სახელითა დიდისა მამისა გრიგოლისითა შემკობილი. ქრისტემან სრულიად შეამკვენ მადლითა მისითა და განამართლენ წინაშე მისსა საუკუნოდ.

ხოლო ხანძთისა წინამძღუარისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამით ერთად გულსმოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებაა ესე¹ (პ).

ამრიგად, გიორგი მერჩულს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება აღუწერია ამ გამოჩენილი მოღვაწის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, ე. ი. 951 წელს¹.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ გიორგი მერჩული მე-10 საუკუნის შუა წლების მწერალია. მას ჰქონია კარგი განათლება, ცოდნია უცხო ენებიც: სიყვარულით იყო გამსჭვალული სამონასტრო ცხოვრებისადმი. უკანასკნელი წლების დაკვირვებით ის, თითქოს, კანონიკური სამართლის სპეციალისტი, მთელი ქრისტიანული მოძღვრების მცოდნე, ე. ი. თეოლოგი მეცნიერი ყოფილა. მერჩული არაა საგვარეულო ტიპის სახელწოდება, მწერლის სადაურობას არ აღნიშნავს და არც შერჩემული სახელია. ის ასე უნდა იკითხებოდეს: მერჩულე, რაც რჯულის მოძღვარს ნიშნავს². ავტორის ზეწოდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ერთგზის იხსენიება და ისიც ნათესაობით ბრუნვაში („მერჩულისა“), ამიტომაც მის ჩვენებას ვადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია.

ძნელია თქმა, რომ „მერჩულე“ მაინცადამაინც კანონიკური სამართლის მცოდნეს, თეოლოგს ნიშნავდა, მაგრამ, თავისდათავად, ასეთი ფორმის არსებობა არაა შეუძლებელი, ის ხელნაწერებშიცაა შემონახული (A № № 1, 67, 92). ანალოგიური ფორმა დადასტურებულია სომხურშიც, სადაც ის მოწესეს, ბერს, მონაზონს ნიშნავს (პროფ. ილ. აბულაძე). სხვათა შორის, ცნობილია ანალოგიური წარმოების ფორმები — მემღვიმე³, მეტრაპეზე⁴ და სხვა.

გიორგი მერჩულის ბიოგრაფია ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი. ზოგიერთი საკითხის გასარკვევად მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მონაცემებით უნდა ვისარგებლოთ. როგორც თვით მწერალი აღნიშნავს, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერისას მას გამოუყენებია გრიგოლის მოწაფეთა

¹ პ. ინგოროყვა გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების თარიღად მიიჩნევს 862 წელს. ხოლო ძეგლის დაწერას 950 წელს მიაკუთვნებს (გიორგი მერჩულე, გვ. 8 — 9). თარიღზე დამატებით იხ. ქრონიკები, I, გვ. 89: ТРА-ГФ, VII, გვ. V — VI.

² პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 17 — 28. იხ. აგრეთვე ა. როგავა. ადოკვატთა რნტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში, „საბჭოთა სამართალი“, 1957, № 4, გვ. 35. სხვათა შორის, თ. ჟორდანია ადრევე ხმარობდა ასეთ ფორმას: „მერჯულისა“ (ქრონიკები, I, გვ. 90).

³ ქრონიკები, I, გვ. 280: II, გვ. 82, 95, 98, 147, 152, 180 — 181; ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 1 — 3, 25, 54, 71 — 72, 78; საქ. სიძველენი, III, დამატება, გვ. 2. გვხვდება ერთი ეკლესიის წარწერაშიც (E. Тацаишвили, Арх. пакурциан, IV, გვ. 55).

⁴ ქრონიკები, II, გვ. 140. 1701 წ. „მერჯულე“ იხსენიება ერთ საბუთშიც (დოკუმენტები, I, გვ. 113).

და მოწათსმოწათეთა ნამბობი, ე. ი. მოსწრებია გრიგოლ ხანძთელის (759 — 861) მოწათეებს. ამის მიხედვით ვარაუდობენ, რომ გიორგი მერჩული დაბადებულია არა უგვიანეს მე-9 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა. რადგან 958 — 966 წლებში გიორგი მერჩულის წიგნი განავრცეს (ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი), საფიქრებელია, ის მე-10 საუკუნის 60-იანი წლების უწინარეს გარდაიცვალა¹.

გიორგი მერჩული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამონასტრო ცხოვრების მოტრფიალე იყო. ის განსაკუთრებით აფასებდა ბერ-მონაზონთა ლალ, თავისუფალსა და დამოუკიდებელ ცხოვრებას. „სარწმუნონი და ქეშმარიტნი-მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა ჯელმწიფებასა ქუეშე არიან“ (კე); — ასეთია მისი მრწამსი. უდაბნოში მოსახლე ბერებს, მონასტრების ბინადართ გიორგი მერჩული ქრისტიანობისათვის თავდადებულ, წამებულ პირებზე მეტ პატივს სცემდა; რადგან, მისი განცხადებით, „მარტულნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესმ ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათვის ქრისტესისა“ (ია).

გიორგი მერჩული წუხდა იმის გამო, რომ კლარჯეთის გამოჩენილ მოღვაწეთა დეაწლი და საქმიანობა დავიწყებას ეძლეოდა. მათი ცხოვრების აღწერის აუცილებლობის შეგნებამ გიორგი მერჩულს ლიტერატურული საქმიანობისაკენ მოუწოდა.

დიდებული პროზაიკოსი, ძველ ქართველ კალმისოსტატთა ჩვეულებისამებრ, თავის უმწივობას უჩივის, თავისი თავი არ მიაჩნია მწერლობისათვის სათანადოდ მომზადებულ პირად. მისი აზრით, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერა შეეფერებოდათ გამოჩენილ მწერლებს — სოფრონ შატბერდელს, ილარიონ პარეხელს, გიორგი მაწყვერელს, სტეფანე მტბეგარს:

„ყოველი ვერ შეუძლე აღწერად უმეცრებისა გზითა, რამეთუ ვკვანებდ ცხოვრებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა: დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გვრგვნი მისი, და ღმერთშემოსილი მამაჲ ილარიონ პარეხელი, და ქრისტეს მღვდელთ-მოდღუარნი ლიონნი გიორგი მაწყუერელი ეპისკოპოსი, და სტეფანე მტბეგარი ეპისკოპოსი პირველი და სხუანი მსგაესნი მათნი“.

რადგან ხსენებულმა პირებმა გრიგოლის ცხოვრება არ აღწერეს, ამ საქმეს ხელი მოჰკიდა გიორგი მერჩულმა. „ერთაოცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინლა რეცა განმელჯბა უცებსა ამას და ფრიად ცოდვილსა ქელყოფად და აღწერად ცხოვრებაჲ და სასწაულნი ესმ“ (ნგ).

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. ის ტაო-კლარჯეთში გაშლილი ეროვნული მშენებლობის უტყუარი ამსახველია. დიდი ფასი ედება მის ცნობებს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ;

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 11 — 13.

² თ. ლომოური, სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულის ცნობები IX — X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ, „არლი“, 1925, გვ. 47 — 5ა; გ. ნათაძე, შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9 — 10 სს. გიორგი მერჩულის ცნობების და სუმბატის ქრონიკის მახედვით, „მნათობი“, 1929, № 2 — 3, გვ. 202 — 230; № 4, გვ. 141 — 158.

ძველი საქართველოს ისტორიის მრავალი საცილობელი საკითხის გადასაჭრელად გიორგი მერჩულის ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. საყურადღებოა მისი მოწმობანი ქართული ეკლესიის ისტორიის კარდინალურ საკითხებზეც¹. გიორგი მერჩულის თხზულებაში მკაფიოდაა ნაჩვენები ქართული ეკლესიის როლი და ადგილი ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიაში. ავტორი კარგად გვაცნობს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი ეტაპის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებსა და იმ დროის ისტორიულ-კულტურულ ვითარებას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროა. აღნიშნულთან ერთად, ის დიდი მხატვრული ტილოა. ავტორს აქვს დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ეხერხება ბუნების სურათების ხატვა და მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური განცდების გადმოცემა. მას კლარჯეთის მოღვაწეთა ურთიერთობის ინტიმური მხარეც იზიდავს, ჰარბად გვაძლევს რომანულ ეპიზოდებს. თხზულება საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისითაც, მასში მრავლად გვხვდება საინტერესო ენობრივი მონაცემები. დიდია მისი მნიშვნელობა, როგორც ლიტერატურული წყაროსი. იქიდან ვღებულობთ ცნობებს მე-9 საუკუნის მიწურულისა და მე-10 საუკუნის დამდეგის ქართველი მწერლების — სოფრონ შატბერდელის, ილარიონ პარეხელის, გიორგი მაწყვერლისა და სტეფანე მტბვერის შესახებ.

გიორგი მერჩული ძირითადად საქართველოში გაბატონებულ, ქრისტიანულ-რფიციალურ იდეოლოგიას ატარებს, მაგრამ მის ნაწარმოებში ზოგჯერ გვხვდება ამ იდეოლოგიის საწინააღმდეგო შეხედულებებიც, იგრძნობა ლტოლვა საერო ელემენტებისაკენ. ქართული აგიოგრაფიული მწერლობის უდიდესი წარმომადგენელი თამამად ქადაგებს კაცთმოყვარეობისა და პატრიოტიზმის იდეას. მისი მსოფლმხედველობა ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიის თვალსაზრისით ცხოველ ინტერესს იწვევს².

საყურადღებოა გიორგი მერჩულის განცხადება: „ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწორვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელგისონი ბერძულად ითქუშის“ (მთ). აქ აღნიშნულია, რომ ქართლი აღარაა მხოლოდ ეთნოგრაფიული კუთხე, რომ საქართველოა ყველგან, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება. ჩანს, იმ ხანაში უკვე ფეხი მოუდგამს კულტურულ-ეროვნული ერთობის იდეას, ცხადი გამხდარა, რომ ტერმინი „ქართლი“ ვეღარ იტევდა ახალ შინაარსს, რადგან ქართლი დიდი ხანია გასცდა თავის ტერიტორიალურ საზღვრებს. გიორგი მერჩულს ეს შეუსაბამობა შეუნიშნავს და საგანგებოდ განუმარტავს³.

გიორგი მერჩული უხვად იყენებდა წყაროებს, განსაკუთრებით ქარბად — ბიბლიას; ამავე დროს იცნობდა და იმოწმებდა გრიგოლ ღვთისმეტყ-

¹ Н. Марр, Исторический очерк грузинской церкви с древнейших времен, ЦВ. 1907, № 3, გვ. 126.

² შ. ხიდაშელი, გიორგი მერჩულის მსოფლმხედველობა ძველი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარების თვალსაზრისით, ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, III, 1951, გვ. 233 — 260.

³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 121.

ველს (ოე), კირილე ალექსანდრიელის „ვანძს“ (ოე), იპოლიტე რომაელის თხზულებას „დავითისათვის და გოლიათისათვის განმარტებაჲ“¹, მხედველობაში ჰქონდა კირალე სკვითოპოლელის (VI ს.) თხზულება „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაასი“². დღეს უკვე სავსებით დამაჯერებლადა გარკვეულია, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე ვაღვინა მოუხდენია იოანე ოქროპირის ცხოვრებას. ამ ორ ძეგლს შორის მსგავსება თავს იჩენს აღნაგობრივ-შინააოსობლივსა და ენობრივ მხარეში. მათ შორის ისეთი მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაა, რომ საკითხავია, ხომ არაა ოქროპირის ცხოვრების თარგმანი თვით გიორგი მერჩულის მიერ შესრულებული? პროფ. ილ. აბულაძის აზრით, ამ ორი ძეგლის აღნაგობითი მხარისა და ზოგიერთი ეპიზოდებრივი მომენტის შეხვედრა, გამოთქმათა და ლექსიკის მსგავსება თითქოს ხელს არ უშლის კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემას. საგულისხმოა ისიც, რომ იოანე ოქროპირის ცხოვრების უძველესი ქართული ნუსხის პირველი რვეულის პირველ ფურცელზე გამოხატულ ოქროპირის სურათის წარწერაში იკითხება სახელი — გიორგი. ვინაა ეს, ძეგლის ავტორი გიორგი ალექსანდრიელი, თუ მთარგმნელი გიორგი მერჩული?³

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება ჩვენამდე არაა მოღწეული პირვანდელი სახით. ის 958 — 966 წლებში გადაუკეთებია-შეუესია ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს. ამ საკითხზე თვით ძეგლში ეპოულობთ ენობას. იქ იხსენიება „მძ დიდისა აღარნერსე კურაპალატისაჲ ბაგრატ ერისთავთა-ერისთავი... წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, საღმრთოთა წიგნთა მეძიებელ და შემკრებელ“. მან „მამისა გრიგოლის ცხოვრებაჲ... განაახლა სასწაულთა მათ გამოკულებულთა შერთვითა“ (ათ). როგორც ჩანს, ბაგრატის შენამატი სასწაულებრივი ამბების აღწერილობას შეიცავდა.

ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი ძეგლს არც იმ სახით წარმოგვიდგენს, როგორც მას ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა მისცა, მასში შემდეგშიცაა შეტანილი დამატებითი მასალა⁴.

გიორგი მერჩულს, საფიქრებელია, დაუწერია სხვა ნაწარმოებებიც, კერძოდ, თავისი კვალი ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც აღუბეჭდავს.

მიქაელ მოდრეკილის კრებულში ერთ მოკლე საგალობელს („ოხითაჲ“) აწერია „მერჩულიელი“, ხოლო დიდი ფორმის საგალობელს („კანონი“ ანუ „გალობანი“) — „მერჩულიელნი უკხონი“⁵. ეს გარემოება საფიქრებელს ხდის,

¹ კ. კეკელიძე. ციხატი იპოლიტე რომაელიდან გიორგი მერჩულის შრომაში, ეტიუდები, I, გვ. 231 — 234.

² კიმენი, II, გვ. 127 — 128.

³ ილ. აბულაძე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, ენიშის მოამბე, XIV, 1944, გვ. 66 — 71.

⁴ TPA-ГФ, VII, გვ. VII. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შემცველი ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც დღემდეა მოღწეული, 1845 წელს ჯერის მონასტერში იპოვა ნ. ჩუბინა-შვილმა (А. Парарих, Сведениа, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 49). შემდეგში იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაზე მუშაობდა პროფ. ა. ცაგარელი, მაგრამ მას გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება იქ არ შეუნიშნავს. 1902 წელს იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა შორის აკად. ნ. მარზა იპოვა საძიებელი ტექსტის შემცველი ხელნაწერი და მოგვცა მისი სრული დახასიათება-აღწერილობა (TPA-ГФ, VII, გვ. XXXVIII — LXX).

⁵ ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტი — ტიბ.

რომ ეს ჰიმნები ან მერჩულისაა, ან მისი ფორმითაა დაწერილი (შდრ. ჩახრუხაული, ძაგნაკორული). როგორც არ უნდა იყოს, გიორგი მერჩულის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა საეპეო არაა. პ. ინგოროყვა გ. მერჩულს მიაკუთვნებს პოეტური ჰიმნების ორ კრებულსა (საგალობელნი სამარადისონი რვა-ჟმანი, საგალობელნი აღვსებისანი რვა-ჟმანი) და თხზულებას „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელიც ლიტერატურაში იოანე-ზოსიმეს სახელითაა ცნობილი¹. ქართულ ჰიმნოგრაფიაში გიორგი მერჩულის მონაწილეობა კამათს არ იწვევს, მაგრამ ზემოხსენებული ღებულების დამტკიცება მეტ საბუთს საჭიროებს.

ამრიგად, ხანძთის ლიტერატურული კერიდან გამოსული მოღვაწე გიორგი მერჩული ქართული კლასიკური ლიტერატურის თვალსაჩინო ფიგურაა. მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთობ დიდი და საპატიოა².

მე-11 საუკუნის ხანძთელ მოღვაწეთაგან ჩვენთვის ცნობილია მოსე ხანძთელი. მას 1085 წელს გადაუწერია საწელიწდო საწინასწარმეტყველო (H № 1350), რომლის ანდერძი ასე იკითხება: „მე, სულითა საწყალობელძან ეგნატი დაეწერე წმიდაჲ ესე წიგნი საწინამსწარმეტყველოჲ დიდებულისა ლავრისა შატბერდისათჳს, სალოცველად ღმრთიე გვრგვინოსანთა მეფეთა ჩუენთა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა... ქრონიკონი იყო ტ და ე (=1085 წ.). დაიწერა მოსე ხუციისა ხანძთელისა კელითა“ (177r—r)³.

ხანძთელ მოღვაწედ ჩანს გიორგი, რომელსაც გამოუსყიდია ტყვედმავარდნილი ძვირფასი ხელნაწერი—მე-11 საუკუნის (ალავერდის) სახარება (A № 484). ხელნაწერზე მიწერილია: „მე... გიორგი მოვიგე წმიდა ესე სახარება დიდითა გულსმოდგინებითა. მრავალთაგან განსყიდული იყო... მე ვიყიდე და შევწირე უღაბნოსა ხანძთისასა, საყოფელსა წმიდა გიორგისსა“⁴.

მე-12—13 საუკუნეებში ხანძთაში მოღვაწეობდა სტეფანე. მას გადაუწერია ღეკემბრის თვენი. ანდერძი გვამცნობს, რომ ხელნაწერი გადანუსხულია „უღაბნოსა ხანძთისასა, კელითა სტეფანე დიაკონისაჲთა“ სვეტის უღაბნოსთვის. აღნიშნული თვენი, რომელიც 1682 წ. უყიდა ვახტანგ ორბელიანს და ტანძიის ეკლესიისათვის შეუწირავს, აწ ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (S № 4999)⁵.

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 15 — 16, 549 — 550, 636 — 637, 753, 844 — 856, 863, 013 — 014, 066 — 070.

² გიორგი მერჩულე ვარდა დასახელებული შრომებისა იხ. ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I¹, გვ. 152 — 157; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 112 — 123.

³ ხელნაწერი იპოვა და ანდერძი გამოაქვეყნა პ. კარბელაშვილმა (საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები დავით გარეჯის უღაბნოს ტყავზედ ნაწერის ხელნაწერებისა, „ივერია“, 1889, № 28). იხ. აგრეთვე ქრონიკები, I, გვ. 232; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 306.

⁴ Опис. рукописей (A), II, გვ. 47; ქრონიკები, I, გვ. 98.

⁵ გზამკვლევი, გვ. 79—80. პ. ინგოროყვა ამ ხელნაწერს მე-11 საუკუნით ათარილებს (გიორგი მერჩულე, გვ. 351). ის ასახელებს კიდევ იოვანე-გიორგის მიერ ხანძთაში გადაწერილ სახარებას (იქვე).

კლარჯეთის ლიტერატურულ კერებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შატბერდი, რომელსაც ძველი ავტორები ასე იხსენიებენ: „სიქადულ ყოვლადვე მახლობელთა მონასტერთა“, „დიდებული მონასტერი“ (გიორგი მერჩული)¹. „დიდი ლავრა“ (გრიგოლ ვაჩეძორელი)², „დიდებული ლავრა“ (გიორგი მცირე)³ და სხვა.

შატბერდის ადგილმდებარეობით დინტერესება ქართულ მეცნიერებაში აღრვევ შეინიშნება, რაც ქართულ ხელნაწერებში ამ საფანის ხშირი ხსენებით იყო განპირობებული. ზოგმა მკვლევარმა სულ არ იცოდა შატბერდის ადგილმდებარეობა⁴. ა. ქუთათელაძე მის არსებობას ანჩის ახლოს ვარაუდობდა⁵ დ. ბაქრაძეს შატბერდი ჯერ ახალციხის ახლოს ეგულებოდა⁶, შემდეგ ჭოროხის ხეობაში დაუწყო ძებნა⁷, უკანასკნელად დოლისყანა მიიჩნია საძიებელ საფანედ⁸.

მართალია, გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფის სიტყვით შატბერდი კლარჯეთშია, მაგრამ ზოგ მეცნიერს ეს არ მიაჩნდა საკმაო მოწმობად. „ივერიაში“ გრიგოლ ხანძოელის (ასეა!) შესახები ცნობების გამოქვეყნების შემდეგ აკად. ე. თაყაიშვილმა შატბერდად მიიჩნია ეფფრატის ხეობაში არსებული ხარბერდი⁹. თ. ჟორდანია კვლავ დაბეჯითებით ამტკიცებდა შატბერდის კლარჯეთში მდებარეობას¹⁰.

საცილობელი საკითხი გადაჭრა გრიგოლ ხანძოელის ცხოვრების აღმოჩენამ. საბოლოოდ გაირკვა, რომ შატბერდი კლარჯეთშია, არტანუჯისა და ანჩის ახლოს. საჭირო გახდა მისი ადგილმდებარეობის ზუსტი დადგენა. ეს საქმე ითავა აკად. ნ. მარმა, რომელმაც კლარჯეთ-შავშეთში იმოგზაურა 1904 წელს. მკვლევარი დიდად ცდილობდა შატბერდის მოძებნას, დაგზავნილი ჰყავდა ამბის შემტყობნი. მან მოინახულა ქვემო ფორთა, სადაც დახვდა დიდი ეკლესია, რომელიც მეცნიერმა შატბერდის ტაძრად მიილა („И здесь

¹ ТРА-ГФ, VII. გვ. ბ. ოვ.

² ქრონიკები, I, გვ. 292; Описание рукописей (А), I, გვ. 73.

³ ათონის კრებული, გვ. 320.

⁴ ა. ცხვილოელი, ტბეთის ტაძრის საბარება ტყავზედ დაწერილი, „ივერია“, 1897, № 229.

⁵ ა. ქუთათელაძე, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი, ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე, „ივერია“, 1899, № 70.

⁶ Д. Бахрадзе, Свистия, ЗКОРГО, VI, 1864, გვ. 76.

⁷ Опись памятников древности в некоторых храмах п монастырях Грузии, გვ. 50.

⁸ ვახუშტი. საქართველოს ისტორია, I, გვ. 129—130, შენ. 1; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 233. ამ შეხედულების კრიტიკა მოგვცა აკად. ე. თაყაიშვილმა (სამი ისტ. ქრონიკა, გვ. LXVI). სხეთა შორის, 1879 წელს დ. ბაქრაძემ ნახა დოლისყანა, მაგრამ მაშინ შატბერდზე აღარაფერი უთქვამს (Д. Бахрадзе, Об археологической поездке, совершенной в 1879 г. по поручению Академии Наук, в Чорохский Сассейн, в Батум, Артыя и Артанудж. ЗАН, XXXVII, 1880, გვ. 49—50; მისივე, Заметка о Батумской области, ИКОРГО, VI, № 2, 1880, გვ. 163; მისივე, Историческо-этнографический очерк Карсской области, ИКОРГО, VII, № 1, 1881, გვ. 200).

⁹ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. LXI—LXXIII. შდრ. ТРА-ГФ, VII, გვ. XIV.

¹⁰ ქრონიკები, I, გვ. 97—98.

как в Хандзте, как в Мидзнадзоре первое же впечатление было, что я нахожусь в древней исконной обители — в Шатберде¹).

აკად. ნ. მარის ცნობებით, ქვემო ფორთის ტაძარს მე-12 — 13 საუკუნეების ნაგებობის სახე აქვს. აქა-იქ კიდევ შეინიშნება ქართული წარწერა, ჩუქურთმა მოწონებას იმსახურებს. ზოგი წარწერიანი ქვა ადგილობრივ მოსახლეობას წაუღია და საკუთარი სახლების კედლებში ჩაუტანებია.

გამყოლმა აკად. ნ. მარი ღამის სათევად გაღაგნის ზიგნით მიიწვია, რითაც ძალზე გაახარა მეკლევარი-მოგზაური. „Я был очень рад этому плану. „В гостях у Григория Хандзтийского“, подумал я, „в гостях у составителей и писцов Шатбердского сборника X-го века“, мелькнула у меня мысль, и мне показалось, что моя физическая усталость исчезает при этой мысли об общении с забытыми работниками некогда цветущей грузинской культуры... Шатберд приковывал мое внимание как центр литературной деятельности, укрепившей почву для непосредственного приобщения грузин к западной, византийской культуре и в то же время поддерживавшей или возродившей древнее общение грузинской мысли с армянской, вообще с восточной, словом как центр, литературной деятельности, плодотворно повлиявшей на последующий культурный рост Грузии“². აკად. ნ. მარდიდის სიხარულით შევიდა ტაძარში, მაგრამ საჯინბოში მოხვდა, ძველი ქართული სავანე ხელყოფილი და გაძარცული იყო. მიუხედავად ამისა, მან გულდასმით შეისწავლა ეკლესია და სხვა ნაგებობანი და მოგვიანებით გამოაქვეყნა ვრცელი აღწერილობა და სურათები³. აკად. ნ. მარის აზრი ქვემო ფორთის უსახელო სავანის შატბერდად მიჩნევის შესახებ არ შეიწყენარა. პ. ინგოროყვამ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან ქვემო ფორთის აღნიშნული სავანე ხანძთად გამოაცხადა, ხოლო შატბერდად მისგან საკმაოდ დაშორებული პუნქტი მიიჩნია. ამ შემთხვევაში მისთვის ამოსავალი იყო გიორგი მერჩულის ერთი განცხადება: „ოპიზაჲ და ფრთენი მისნი ბერთაჲ და მახლობელნი მისნი მიძნადოროჲ და წყაროხსთავი თანამკვლრით მათითურთ, ხოლო შატბერდი დალაკათუ სხუათა მათ უღაბნოთა მცირედ შორაგს“ (ოგ). ითვალისწინებს რა გიორგი მერჩულის მიერ მოცემულ მარშრუტს გრიგოლ ხანძთელისა და აშოტის ძეთა მგზავრობისა (არტანუჯი, შატბერდი, ბერთა, ოპიზა, ხანძთა, მიძნადორი, წყაროხსთავი, ბარეთელთა), პ. ინგოროყვა ვარაუდობს, რომ 5-ვერსიან რუკაზე არტანუჯის ახლოს აღნიშნული პუნქტი: შავორა და იქვე ნაჩვენები ტაძრის ნანგრევები („Р. II.“), შესაძლებელია, შატბერდი იყოს. ასეა თუ არა, მისი აზრით, ერთი უცილობელია: ძველი

¹ ТРА-ГФ, VII, გვ. 139. აკად. ნ. მარის შემდეგ ქვემო ფორთის ეკლესია ბევრმა მეცნიერმა მიიჩნია შატბერდის სავანედ. მაგალითად, აკად. ე. თაყაიშვილმა (МАК, XII, 1909, გვ. 147, შენ. 1; Церковь в Вани в Имерии и ее древности, ИКИ-АИ, II, 1927, გვ. 105), აკად. ს. ჯანაშიამ (Об одном примере искажения исторической правды, Т., 1947, გვ. 38) აკად. ვ. თოფურიათ (ქვაჯვარანი საქართველოში, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 20, 1942, გვ. 43), პროფ. შ. მესხიამ (ქარგლობის ინსტიტუტის საკითხისათვის, გვიანფეოდალური ხანის ქართულ ამქარში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, IX, № 6, 1948 გვ. 381) და სხვ.

² ТРА-ГФ, VII, გვ. 139.

³ იქვე, გვ. 139 — 156.

შატბერდი საძიებელია არტანუჯის მხარის ამ უბანში, დოლისყანის მახლობლად. სექტორში, სადაც მდინარე იმერხევი ერთვის ჭოროხს¹.

არ შეიძლება უარყოფა იმისა, რომ შატბერდი, რამდენადმე, დაცილებული იყო ხანძთას, მაგრამ განა შეიძლება დაეუფვით, რომ აშოტ კურაპალატმა ხანძთას აგარაკად შესწირა ისეთი შორეული პუნქტი, როგორც პ. ინგოროყვასეულ რუკაზე² აღნიშნული შატბერდი? ეფიქრობთ, შატბერდის ადგილმდებარეობის შესახებ ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრის შესაცვლელად სათანადო საბუთები არ გავაჩნია.

შატბერდის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ეს საეხსებით გასაგებია: გრიგოლი უკვე თხზულების სათაურში იხსენიება როგორც „ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელი,“ ხოლო მომდევნო გვერდებზე კი როგორც სულიერად „მამამ და წინამძღუარი და მაშინებელი ხანძთისა და შატბერდისაჲ, ორთა მათ დიდებულთა მონასტერთაჲ“ (ბ. შდრ. ლთ. მე).

გიორგი მერჩულის ცნობით, გრიგოლ ხანძთელის მიერ შატბერდის მონასტრის დაარსება დაკავშირებულია აშოტ კურაპალატის სახელთან. მისი სიტყვით, როდესაც აშოტმა ხანძთის ქება მოისმინა, „შეწირა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“ (იზ).

აშოტის შემდეგ კურაპალატობა მიიღო მისმა ძემ ბაგრატმა, რომელსაც ეწვია გრიგოლ ხანძთელი, მოიკითხა, დალოცა და უთხრა: „... აწ ამას ვითხოვ შენგან: არს აშოტ კურაპალატისა შეწირული აგარაკი ხანძთას და იქნების კეთილად მონასტრად. უკუეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან, აღვაშენო სადიდებელად ღმრთისა და საცხოვრებელად სულისა შენისაო“. ბაგრატს ესიამოვნა ამის მოსმენა და „სიხარულით უბრძანა შსნებაჲ მისი“, დახმარებაც გაუწია, „მისცა ყოველივე საჭმარი საშსნებელად“ (კჷ — კთ).

ამრიგად, შატბერდის ტაძრის შენებას აშოტის მომდევნო ხანაში, 836 წლის ახლოს დაედო საფუძველი, კტიტორი — ბაგრატ პირველია, აშოტის ძე.

გრიგოლის მოწაფეებმა შატბერდში „იწყეს საქმედ ეკლესიისა და სენაკებისაჲ“. როდესაც ბაგრატმა გაიგო მშენებლობის ვითარება, მისცა „ადგილნი მარჯუენი აგარაკად“ (კთ). შემდეგში გრიგოლ ხანძთელმა შატბერდის ახლად აშენებულ ეკლესიაში ბაგრატი და მისი ძმებიც მიიყვანა. მათ „შეწირეს მრავალი შესაწირავი“, ასევე „აზნაურთა და ყოველმან ერმან“ (ლა). გრიგოლი მშობლიური მზრუნველობით უვლიდა ხანძთასა და შატბერდს, მან „შეაერთნა ორნივე იგი უდაბნონი ერთად შენაწევრებულნი და შემტკიცებულნი ძმობრივსა ზედა სიყუარულისა“ (კთ), ხანძთის ძმობიდან მოწესეთა ნაწილი შატბერდს გაგზავნა. ახლადგებულ მონასტერს გრიგოლი არც შემდეგში აკლებდა მზრუნველობას, ხშირად იყო იქ, „უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ“ (ო).

გრიგოლ ხანძთელის დაარსებული მეორე მონასტერიც — შატბერდის საფანეც მძლავრ ლიტერატურულ კერად იქცა. გრიგოლის შემდეგ ხანაში იქ მოღვაწეობდა მრავალი ქართველი მწიგნობარი: სოფრონ შატბერდელი, გაბ-

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 316 — 317.

² იქვე, გვ. 308.

ჩიელ შატბერდელი, იოანე ბერაი, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ვაჩეძორელი, სტეფანე შატბერდელი და სხვ.

სოფრონ შატბერდელი მე-9 — 10 საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა. ის საკმაოდ დიდი ფიგურა ჩანს. გიორგი მერჩული მას ასე ახასიათებს: „დიდი სოფრონ სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გვრგვნი მისი“ (ნკ). მისივე განცხადებით, სოფრონ შატბერდელს შეეფერებოდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერა.

სოფრონის მოგებულია საკმაოდ ცნობილი სახარება — ადიშის ოთხთავი, რომელსაც შატბერდულ ხელნაწერთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს. მასზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს. ხელნაწერი პირველად ბ. ნიჟარაძემ აღწერა¹. შემდეგი ბეჭდვითი ცნობა პ. უვაროვამ და პროფ. ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნეს². 1910 წელს სვანეთში გაიგზავნა სამეცნიერო ექსპედიცია და გადაღებულ იქნა მთელი ხელნაწერის ფოტოპირი, რომლის მიხედვით ადიშის ოთხთავი ფოტოტიპირულად გამოსცა მოსკოვის საარქივოლო-გიო საზოგადოებამ³. ამის შემდეგ ის გახდა ფართო კვლევის საგანი, ხოლო 1945 წელს აკად. ა. შანიძემ გამოაქვეყნა მისი ტექსტი ორი სხვა ხელნაწერის ტექსტთან ერთად⁴. აღნიშნული ოთხთავი ადრე ინახებოდა სოფ. ადიშის ეკლესიაში (აქედანაა სახელწოდება: ადიშის ოთხთავი), ამჟამად დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სოფრონის მიერ მოგებული ტექსტი ოთხთავის განსაკუთრებულ რედაქციას წარმოადგენს. იქ ორი სხვადასხვა წარმოშობის ტექსტი შეინიშნება, მისი ერთი ნაწილი რედაქციულად და გრამატიკულად სხვა ნიშნებს გვიჩვენებს. თარიღიან ოთხთავთა შორის ადიშის სახარება უძველესია. როგორც აკად. კ. კეკელიძემ უცილობლად დაადგინა, ის გადაწერილია 897 წელს⁵.

¹ თ ა ვ ი ს უ თ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, სვანეთის მანუსკრიპტები, „ივერია“, 1903, № 194; ბ. ნიჟარაძე, სვანეთის ხელნაწერები, „ნოამბე“, 1904, IX. განყ. II, გვ. 3—13. ბ. ნიჟარაძის წერილი მაშინვე გამოეხიურა აკად. ი. ჯავახიშვილი (BB, XII, 1906, გვ. 439). ადიშის ეკლესიაში ძვირფასი სახარება შენიშნა ჯერ კიდევ ი. ბართლომეიმ (Посадка в полную Снапетию. ЗКОРГО, III, 1855, გვ. 209).

² Л. Уварови. Поездка в Пшавию, Хевсуретию и Снапетию, МАК, X, 1904, გვ. 77, 148 — 149, 174; А. Хаханов, Снапетские рукописные евангелия, იქვე, და: მატბა, გვ. 1 — 9.

³ Адышское евангелие. 200 фототипических таблиц и предисловие Е. Такайшвили, МАК, XIV, 1916 (იხ. აგრეთვე ც. კანკიევი, ადიშის ოთხთავის ორი გამოუქვეყნებელი გვერდი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 225 — 227). ამ გამოცემის მიხედვით ოთხთავის ბეჭდვას შეუდგა პროფ. რ. ბლიგი, რომელიც ვარიანტებისათვის იყენებდა ოპიზისა და ტბეთის სახარებათა ჩვენებას (იხ. ხემოთ გვ. 391, შენ. 7). მან 1928 წელს დაბეჭდა მარკონის თავი, 1933 წელს — მათეს თავი; 1950 წელს მ. ბრიერთან ერთად გამოაქვეყნა იოანეს სახარება, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ლუკას თავი დაბეჭდა მ. ბრიერმა 1955 წელს. ადიშის ოთხთავის ახალ ლათინურ თარგმანს უკანასკნელ წლებში ბეჭდავს ი. მოლიტორი. Das Adysh—Tetraevangelium. Neu übersetzt und mit altgeorgischen Paralleltexen verglichen, OC, 37 (1953), გვ. 30 — 56; 38 (1954), გვ. 11—40; 39 (1955), გვ. 1—32; 40 (1956), გვ. 1—15; 41 (1957), გვ. 1 — 21; 42 (1958). გვ. 1—18; 43 (1959), გვ. 1—16; 44 (1960), გვ. 1—16; 45 (1961), გვ. 1—19.

⁴ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.

⁵ კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება, ეტიუდები, II, გვ. 335 — 338.

პირდაპირი ცნობა აღიშის ოთხთავის შატბერდში გადაწერის შესახებ. არ მოგვეპოვება, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ის შატბერდულია და მისი მომგებელი სოფრონი მერჩულის მიერ მოხსენიებული სოფრონ შატბერდელი უნდა იყოს¹. ამ აზრს ამტკიცებს ნიკოლაოს ჯუმათელის ბინაწერი: „მე. ნიკოლაოს, ოდესმე ჯუმათისა მამასახლის-ყოფილმან... აშენენ ლმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი! შევიარენ და შევეკრიბენ წმიდანი ესე წიგნნი: პირველად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი, და მრავალთავი, და კვლთ კანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგებაჲ. უმეტესად აღაშენენ ღმერთმან შ[ატ]ბ[ერ]დ[ი]: [ესე] ოთხთავი და კვლთ [კანონი და] მამათა წიგნი [მა]თსა ეკლესიასა“.²

მე-10 საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩვენთვის ცნობილია გაბრიელ შატბერდელი, რომელსაც გრიგოლ პირდატის ძის დაკვეთით გადაუწერია ჯრუჭის სახარება 936 წელს. ეს საინტერესო ხელნაწერი, რომელიც 940 წელს მოუხატავს „კამარათ მწერალს“ თევდორეს, დიდი ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. 1945 წ. სახარების ტექსტი და ხელნაწერის აღწერილობა გამოაქვეყნა აკად. ა. შანიძემ, ხოლო სურათების აღწერილობა — რ. შმერლინგმა³.

ოთხთავის გადაწერსა და გადაწერის ადგილს ვეცნობით ანდერძით: „...ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ კელითა გაბრიელ მღდელთა ნარჩევისათა... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შატბერდს კელითა უცხად მხჩრეკალისა გაბრიელისითა, თანა-შეწვენითა და მოლუაწე-ბითა გაბრიელისითა და გეორგისითა“⁴. სხვათა შორის, ეს მნიშვნელოვანი ხელნაწერი ოსმალთ ჩავარდნიათ ხელში. ტყვეობიდან დაუხსნია ქ. ხოროსანში იოანე არწიავილის. უკანასკნელად ინახებოდა ჯრუჭის მონასტერში, საიდანაც 1920 წ. ჩამოიტანა აკად. ე. თაყაიშვილმა. აწ დატულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H № 1660).

შატბერდელ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დიდებულიად გაწაფული კალიგრაფი იოანე ბერაი. მის სახელს ორ მნიშვნელოვან ხელნაწერში ვხვდებით. პირველია პარხლის ოთხთავი, რომელიც აკად. ე. თაყაიშვილმა 1889 წელს აღმოაჩინა ზემო ქალაში, ქართლში, მ. სუხიაშვილის სახლში⁵. 1894 წ. აკად. ე. თაყაიშვილმა (დ. ერმაკოვთან და გ. ტატიშვილთან ერთად) კვლავ ნახა ეს ხელნაწერი და გადმოიღო ზოგი ადგილი. მანვე რუსულად დაბეჭდა ხელნაწერის ვერცელი აღწერილობა⁶. შემდეგში

¹ აღიშის სახარების ანდერძისა და გიორგი მერჩულის სოფრონი ერთ პირად მიიჩნია ჯერ კიდევ აკად. ე. თაყაიშვილმა (МАК, XIV, 1916, გვ. 16). აკად. ნ. მარს ქრონოლოგიური შესაბამისობის გამო (სინამდვილეში ასეთი რამ არ ყოფილა!) აღიშის ოთხთავის სოფრონი სხვა, გვიანდელი მოღვაწე, ეგონა (ТРА-ГФ, VII, გვ. VIII, შენ. 3).

² ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 015. აღიშის ოთხთავი გადაწერილია მიქაელის მიერ (იქვე, გვ. 014). მის გადაწერილად მიიჩნევენ სვანეთში დატულ კიდევ ერთ ხელნაწერს (Иерусалимский Канонарь VII века, Т., 1912, გვ. 10. შდრ. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, თბ., 1956, გვ. 109, შენ. 2).

³ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 017—032.

⁴ იქვე, გვ. 021.

⁵ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. XLV—LVII, LXXIV—LXXVI. იხ. აგრეთვე ე. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 5, გვ. 171—172.

⁶ Е. Такайшвили, Пархальское четвероевангелие, МАК, XII, 1909, გვ. 139—151.

ხელნაწერი გაუჩინარდა. 1922 წელს ის შესაძენად მიუტანეს გერმანიის კონსულს თბილისში O. G. von Wesendonk-ს, რომელმაც მისი ღირებულების გასაგებად ხელნაწერი უნივერსიტეტში მიიტანა. იქ მას აკად. კ. კეკელიძე და აკად. ა. შანიძე დახედნენ და განუცხადეს: ამ ხელნაწერს ჩვენ დიდი ხანია ვეძებთო. ხელნაწერის პატრონმა ის თბილისის უნივერსიტეტს დაუთმო¹. ასე გადარჩა პარხლის ოთხთავი უცხოეთში გატანას (სხვათა შორის, პარხლის ოთხთავი აღრე ოსმალთა ტყვეობაში იყო. შემდეგში ვახუშტი აბაშიძემ დაიხსნა). ამჟამად ის ინახება ხელნაწერთა ძმთა ტერატიუმში (A № 1453). მისი ტექსტი და აღწერილობა გამოაქვეყნა აკად. ა. შანიძემ².

პარხლის ოთხთავი გადაწერილია 973 წელს. მის გადამწერს ვეცნობით ანდერძით: „...ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა... სალოცველად შეფეთა ჩუენთავს, ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა-ერისთვისა და ღმრთივ მონიკებულთა ძეთა მათათავს“ (227 r)³. თითქოს სხვა ხელით მიწერილია: „მე, ივანე ბერმან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დაეწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმთა შატბერდელთა“ (238 r)⁴.

წინათონური რედაქციის სახარებათა შორის პარხლის ოთხთავი ფრიად მნიშვნელოვანია. ჯრუპის სახარებასთან ერთად ის წარმოადგენს პროტოვულგატას. მას მხარს უჭერს რამდენიმე სხვა ოთხთავიც, მაგალითად, ოპიზის (913 წ.), ბერთისა (988 წლამდე) და ტბეთისა (995 წ.), აგრეთვე ხანმეტი ლექციონარი⁵, გამოქვეყნებული ხანმეტი ნაწყვეტების ნაწილი⁶ და ჰაემეტი ლექციონარის ნაწყვეტები⁷.

იოანე ბერაის გადაუწერია ერთი დიდი კრებული (S № 1141), რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავს შესწირა მ. ალექსი-მესხიშვილმა. ამ უკანასკნელის მიერ შეწირული ხელნაწერები მოკლედ აღწერა აკად. ნ. მარმა, რომელმაც იმათვეთვე მიაქცია ყურადღება აღნიშნულ ხელნაწერს⁸. მალე „ივერიაში“ დაიბეჭდა ეგრის წერილი⁹, მას მოჰყვა დ. ბაქრაძის წერილი¹⁰. ორივე მკვლევარმა კრებული მე-9 საუკუნით დაათარიღა. ამის შემდეგ ხელნაწერი, რომელსაც აკად. ე. თაყაიშვილმა

¹ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 038—039.

² იქვე, გვ. 032—039. შდრ. ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 1—3.

³ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 034.

⁴ იქვე, გვ. 035.

⁵ ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1944.

⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 274—366.

⁷ ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თუმ, III, 1923, გვ. 354—388. პარხლის ოთხთავს შემოუნახავს იოანე ბერაის ბერძნული მინაწერებიც (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 034; თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები, „მიმოხილველი“, II, 1951, გვ. 459—461).

⁸ „ივერია“, 1888, № 239.

⁹ ეგრეი, ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა, „ივერია“, 1889, № 4.

¹⁰ დ. ბაქრაძე, ახლად აღმოჩენილი შესანიშნავი ქართული მანუსკრიპტი, „ივერია“, 1889, № 6. შდრ. მისივე, ისტორია საქართველოსი, გვ. 56—58, 220—221.

შატბერდის კრებული უწოდა¹, ყოველთვის იდგა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ადრევე იქნა გაკრიტიკებული კრებულის მე-9 საუკუნით დათარიღების ცდა. მალე ის მე-10 საუკუნისეულად მიიჩნია². უფრო დეტალურად ეს საკითხი თ. ჟორდანიამ შეისწავლა და კრებული 973—976 წლებში გადაწერილად მიიჩნია³. ჩვენს მეცნიერებაში დღეს, ძირითადად, ეს თარიღია შეწყნარებული.

იოანე ბერაის მიერ ხელნაწერის გადანუსხვას ამოწმებს მისი ანდერძი: „შეუდგებ კეთილსა გულსმოდგინებასა მე, ცოდვილი და უნარჩევესი ყოველთა მოწესეთაჲ, იოვანე ბერაი და გავასრულე წმიდაჲ ესე წიგნი... მოლუაწებითა [და თანადგომითა] დედისა ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა... და შევწირე შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, რომელსაცა შინა აღწვიწარდე, სალოცველად... მეფეთა ჩუენთა ბაგრატ მეფისა და ყოველთა შეილთა მათათჳს“⁴.

შატბერდის კრებული გადაწერილია მაგარ ეტრატზე, ხელი ლამაზია და ადვილად გაიჩევა. შედგენილობა კრებულისა უაღრესად საყურადღებოა. მასში არა ერთი საინტერესო, თარგმნილი თუ ორიგინალური, ძეგლია. მათი ჩამოთვლა ნათლად დაგვანახებს თუ რაოდენ დიდი იყო შატბერდელ მოღვაწეთა გონებრივი ჰორიზონტი. დავასახელებთ რამდენიმე თხზულებას.

1. თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი ებისკოპოსისაჲ კაცისა შესაქმნისათჳს. ამ ოცდაათთავიანი ძეგლის უკანასკნელი თავი დაბეჭდა პროფ. მ. ჯანაშვილმა⁵.

2. ეპიფანუს კვარელისა თქუმული თულთაჲ. მასში მოცემულია თორმეტი ძვირფასი ქვის აღწერილობის ვრცელი რედაქცია. „თულთაჲს“ ნაწილი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაბეჭდა პროფ. მ. ჯანაშვილმა⁶.

3. მკეტათჳს, სახისა სიტყუაჲ, წიგნთაგან თქუმული წმიდისა ბასილი ებისკოპოსისა კესარიელისაჲ. ეს თხზულება ცნობილია ფიზიოლოგის სახელწოდებით. ქართულ რედაქციას შეეხო ჯერ კიდევ პროფ. ა. ხახანაშვილი⁷,

¹ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. I; Опис. рукописей (S), II, გვ. 632—651. პროფ. მ. ჯანაშვილი აღნიშნულ კრებულს შატბერდის ქრესტომათიას უწოდებდა (საქართველოს ისტორია, გვ. 80).

² სამი ისტ. ქრონიკა, გვ. LIII, LXXIX. შტრ. მ. ჯანაშვილი, მწერლობა IX—X საუკუნისა, თბ., 1891, გვ. ა—ი; მისივე, დიდი საუნჯე, „ივერია“, 1894, № 67. იხ. აგრეთვე ე. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 5, გვ. 171—172.

³ ქრონიკები, I, გვ. 99—107.

⁴ ანდერძი დაბეჭდილია რამდენჯერმე. ვეშყარებით პროფ. ილ. აბულაძის გამოცემას (ქართული წერის ნიმუშები, გვ. 296). გადამწერი ბერაი იხსენიება შატბერდის კრებულის სომხურ მინაწერებშიც (TPA-IΦ, III, გვ. XIX; Описание рукописей (S), II, გვ. 649).

⁵ მ. ჯანაშვილი, აღვადგინე ანუ „სამი ისტორიული ქრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, თბ., 1891, გვ. 89—117.

⁶ М. Джанашивили, Драгоценные камни, их названия и свойства, СМОМПК, XXIV, 1898, გვ. 1—72. იხ. აგრეთვე Studies and Documents edited by Kirsopp Lake and Silva Lake. II. Epiphanius de Gommis by R. P. Blake and Henri De Vis, London, 1934.

⁷ А. Хаханов, Очерки, II, გვ. 325—326.

ფუნდამენტალური გამოკვლევით გამოსცა აკად. ნ. მარმა¹, რომლის დასკვნით, ქართული ვერსია (—შატბერდული კრებულისა) თარგმნილია სომხურიდან მე-8 საუკუნის გასულს ან მე-9 საუკუნის დამდეგს. ქართულ რედაქციას უკეთ აქვს შემონახული სახე ძველი სომხური ტექსტისა, ვიდრე ჩვენამდე მოღწეულ სომხურ ხელნაწერებს.

4. სათაურწაბლალული თხზულება, რომლის ნაწილი სასწავლო წიგნის სახელით გამოსცა პროფ. მ. ჯანაშვილმა². ამ ნათარგმნ ძეგლში ქართველი მთარგმნელის შენიშვნებიც გვხვდება³.

5. იპოლიტე რომაელის (II—III სს.) თხზულებანი (დავითისათვის და გოლიათისათვის განმარტებაჲ, თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ და სხვა). იპოლიტეს თარგმანება სხვა ენებზე არასრული სახითაა შემორჩენილი (ბერძნული, სირიული, სომხური...), ქართულმა კი შემოგვინახა ვრცელი რედაქცია, რომელიც თარგმნილია სომხურიდან⁴.

6. მოქცევაჲ ქართლისაჲ — ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისა და სარწმუნოებრივი მდგომარეობის (მე 9 საუკუნემდე ჩათვლით) შესასწავლად პირველხარისხოვანი ძეგლი⁵.

7. თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ—სომხურიდან თარგმნა დაჩიმ, რომელმაც თავისი ნამუშავეი გაუგზავნა სტეფანე მტბეპარს და სთხოვა მისი განხილვა—შეფასება⁶. იქვეა წერილი დაჩისა ანტონ მროველისადმი⁷.

აღნიშნული კრებული, რომელიც შეიძლება იოანე ბერაის შედგენილი იყოს⁸, შატბერდელთა მაღალ სულიერ კულტურას მოწმობს და ქართველთა დიდი მეცნიერული ცოდნის მაჩვენებელია⁹.

მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში შატბერდში მოღვაწეობდნენ დავით და იოანე ჯიბისძენი. მათ მონაწილეობა მიუღიათ ერთი ხელნა-

¹ Физнолог. Армяно-грузинский извод. Грузинский и армянский тексты исследования, издал и перевел Н. Марр, ТРА-ГФ, VI, СПб., 1904.

² მ. ჯანაშვილი, აღვადგინე, გვ. 118—134.

³ ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, თბმ, III, 1923, გვ. 178—185.

⁴ Ип о л и т, Толкование песни песней. Грузинский текст по рукописи X века. Перевод с армянского. Исследования, перевод и издал Н. Марр, ТРА-ГФ, III, СПб., 1901.

⁵ გამოცემულია რამდენჯერმე. პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1890 წელს (სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 1—39), მეორე—1891 წელს (ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. 1—74). ამ გამოცემათა ავტორიანობაზე იხ. მ. ჯანაშვილი, საყურადღებო საგანი, „ივერია“, 1891, № 127; ე. თაყაიშვილი, ბ-ნ მოსე ჯანაშვილის წერილის გამო, „ივერია“, 1891, № 138; მ. ჯანაშვილი, აღვადგინე ანუ „სამი ისტორიული ქრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, თბ., 1891 (იხ. აგრეთვე ЗВОРАО, VI, 1892, გვ. 357—362). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ პირველი ნაწილი დაბეჭდა თ. ვორდანიამაც (ქრონიკები, I, გვ. 11—79). სრული ტექსტი გამოსცა აკად. ე. თაყაიშვილმა (Описания рукописей (S), II, გვ. 708—805). მასვე ეკუთვნის ძეგლის რუსული თარგმანიც (Исторический грузинский летописей, Т., 1900, გვ. 1—116).

⁶ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. X—XII; Опис. рукописей (S), II, გვ. 640—641.

⁷ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. XIII; Опис. рукописей (S), II, გვ. 644.

⁸ შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 531.

⁹ შატბერდის კრებულის ზოგიერთი ნაკვეთის პირი წარმოდგენილია S № 2785, Q № 41 და H № 40 ხელნაწერებში.

წერის (A № 135)¹, — ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი განმარტება დავითნისა და სხვა, — დამზადებაში. დავითის ანდერძში ვკითხულობთ: „ბრძანებითა ეზრა მამათმთავრისა... დაეწერე კელითა სულიერითა ძმათა ჩემთაჲთა საბასითა, მიქაელისითა და გაბრიელისითა და გავასრულე კელითა შვილისა ჩემისა იოანესითა... და დავდეგ შატბერდს... სადიდებლად ეზრა მამათმთავრისა... ქორონიკონსა სნე (=1035 წ.)“². აღნიშნულ ხელნაწერში ბასილ დიდის დავითნის განმარტების ექვთიმე მთაწმიდლისეულ თარგმანს მოსდევს სხვა „განმარტებაჲ ფსალმუნთაჲ“, რომელსაც ერთვის ანდერძი: „აქეთგან წალმართ დავითთა შიგან ეპოე თვთო მუჟლსა ზედა თარგმანი, ხოლო სახელი არა ეწერა, თუ ვისი თარგმნილი არს, მეცნიერთა უწყინ. მე, დავით ჯიბისძემან, ტვრთმძიმემან ცოდვითა... ამის წიგნისა ბოლოს ჩაეწერე“ (A № 135, 215 r)³. აღნიშნული გარემოება დავით ჯიბისძის ეგზეგეტიკური მწერლობით დაინტერესებას მოწმობს.

დავით და იოანე ჯიბისძეები შემდეგში გადასულან შავ მთაზე, სადაც განუგრძობთ ლიტერატურული საქმიანობა (H № 221)⁴.

საქართველოს საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად ქართველთა მეფემ ბაგრატ მეოთხემ (1027—1072) მე-11 საუკუნის შუა წლებში ათონიდან მოიწვია გიორგი მთაწმიდელი (1009—1065), რომელმაც სერიოზული ღონისძიებანი გაატარა ქართული ეკლესიის გაჯანსაღების მიზნით. მისი ბიოგრაფიის ცნობით, ბაგრატ მეოთხემ გიორგის საცხოვრებლად მისცა „პირველად ნემკ ქართლსა შინა და შემდგომად მცირედისა შატბერდი, დიდებული ლავრა კლარჯეთსა შინა“⁵. რა სახის საქმიანობას ეწეოდა გიორგი ათონელი შატბერდის სავანეში ზუსტად არაა ცნობილი, მაგრამ, საფიქრებელია, მნიშვნელოვან ლიტერატურულ ცენტრში მისული ქართველი მწერალი არც იქ შეწყვეტდა თავის კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. საგულისხმოა, რომ მე-11 საუკუნის შუა წლებში შატბერდი ისეთი დიდებული მონასტერი ყოფილა, რომ საქართველოს მეფეს იქ საპატიო სტუმარი, დიდი ქართველი მწერალი გიორგი მთაწმიდელიც კი დაუყენებია საცხოვრებლად.

¹ М. Джанашивили, Пергаментные рукописи нашего музея, ТЛ, 1903, № 157. ამ ხელნაწერიდან „ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ღთისმშობელისაჲ, თქმული წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ“ დავით ჯიბისძის ანდერძითურთ გამეორებულია A № 1640 ხელნაწერში (85r—88v). იხ. აგრეთვე A № 927.

² ბ. კარბელაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები დავით გარეჯის უდაბნოს ტყაუხედ ნაწერის ხელნაწერებისა, „ივერია“, 1889, № 26; ქრონიკები, I, გვ. 115—116, 176—177; Описание рукописей (A), I, გვ. 142—144. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, I, გვ. 195—203; მისივე, ქართველთა მატიაზე, გვ. 46.

³ უკანასკნელად გამოთქმული მოსახზრებით, აქ საქმე უნდა გვქონდეს აქამდე უცნობ ორიგინალურ ეგზეგეტიკურ ძეგლთან (კ. კეკელიძე, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა უძველესი ქართული „დავითნის“ ტერმინოლოგიისა და ტექსტუალური თავისებურებები, ეტიუდები, III, გვ. 126—127).

⁴ ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳესი, გვ. 63; ქართული წერის ნიმუშები, გვ. 126—127, 308—309. იხ. აგრეთვე ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 115—116; მისივე, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XX-B, 1959, გვ. 85—104.

⁵ ათონის კრებული, გვ. 320.

იმავე საუკუნეში მოღვაწეობდა შატბერდში გრიგოლ ვაჩეძორელი¹, რომელსაც გადაუწერია ერთი საინტერესო ხელნაწერი (A № 73), რომელიც შეიცავს ბასილ დიდისა და გრიგოლ ნოსელის შრომებს. ხელი ულამაზოა, ნაჩქარევი. ხელნაწერს ახლავს ანდერძი: „სრულ იქმნა... მაღლითა პეტრე მოძღურისა და ძმისა ჩემისა გიორგისითა... დაიწერა დიდსა ლავრასა შატბერდს... ჯელითა გრიგოლ ვაჩეძორელისათა“. გადამწერი თავის მუშაობას „უტბად ჩხრეკას“ უწოდებს. ეს არაა თავმდაბლობა; ხელნაწერი, როგორც აღვნიშნეთ, ნაჩქარევადაა გადაწერილი, მასში მრავალი შეცდომაა².

შატბერდის ერთი მოღვაწის სტეფანეს სახელს ვხვდებით ვანის სახარების (A № 1335) მინაწერში. ირკვევა, რომ ათონის ივერიის მონასტრის ქართველ მოღვაწეებს გიორგი მთაწმიდლის სახარების ავტოგრაფი დიდ წიგნსაცავში შეუნახავთ და მის აღარც-კი ეკარებოდნენ. მის ნაცვლად ეკლესიაში დაუღვიათ მისი პირი — „საეკლესიოა სახარება“, რომელსაც გადასაწერადაც იყენებდნენ. ვინმე ზაქარია ბერს მოუხერხებია წიგნსაცავში შენახული გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფის გადმოწერა, ხოლო მისი ნუსხიდან სახარება გადმოუწერია შატბერდელ ბერს — სტეფანეს. ვანის სახარების გადამწერი იოანე რომანაელი გვაუწყებს, რომ მისი ნუსხა მომდინარეობს სტეფანე შატბერდელის მიერ გადმოწერილი ტექსტიდან: „გადმოწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანეს და აღმორაჯვიდა რომანას, მე ჯელჟავე ცოდვილმან იოანე აღწერად“³. სტეფანე შატბერდელის მოღვაწეობის ზუსტი თარიღი არ ჩანს, მაგრამ დაახლოებით გამოანგარიშება შესაძლებელია. ვანის სახარება თამარის ხანით თარიღდება. საფიქრებელია, სტეფანე შატბერდელიც მე-12 საუკუნის მოღვაწე იყოს.

ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში მოიპოვება ზოგი ისეთი ხელნაწერი, რომელიც დანამდვილებით შატბერდშია გადაწერილი ან ასეთადაა მიჩნეული სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში. რამდენიმე სიტყვა მათ შესახებ.

ა) ახალგორის (ლენინგორის) ეკლესიის ნანგრევებში დ. ბაქრაძემ იპოვა სახარება, რომელიც ლიტერატურაში ქსნის ოთხთავის სახელითაა ცნობილი (A № 509). აღმოჩენმა ის მე-5 საუკუნით დაათარილა⁴, პროფ. ა. ცაგარელმა — მე-9—11 საუკუნეებით⁵, თ. ჟორდანიამ და პროფ. მ. ჯანაშვილმა — მე-10 საუკუნით⁶. პალეოგრაფიული ნიშნებითა და, განსაკუთრებით, ტექსტში

¹ აკად. ვ. თაყაიშვილის ცნობით, ვაჩეძორი ან ვაჩიძორი ოლთისის მხარესაა (იხ. მისი არქ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 54—67).

² მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი მე, „ივერია“, 1898, №№ 69, 70; ქრონიკები, I, გვ. 292; Описание рукописей (A), I, გვ. 73. იხ. აგრეთვე ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 25, 1947, გვ. 01, 012—018, 073, შენ. 1.

³ ვ. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 16; მისივე, Церковь в Вани, в Имерии и ее древности, ИКИ-АИ, II, 1927, გვ. 104; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 409.

⁴ დ. ბაქრაძე, სამი ძველი ვარიანტი ქართულის ოთხთავისა ანუ სახარებისა, „ივერია“, 1883, V—VI, გვ. 113; მისივე, Древние варианты грузинского четвероевангелия. Труды V-го арх. съезда в Тифлисе в 1881 г., М., 1887, გვ. 216.

⁵ А. Цагарели, Сведения, т. I, ნაკვ. II, გვ. XIII.

⁶ Описание рукописей (A), II, გვ. 62; III, გვ. V.

წარმოდგენილი ტექსტუალურ-ენობრივი რეალიების მიხედვით ქსნის ოთხთავი მე-9—10 საუკუნეთა მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს. ის ტაო-კლარჯეთში, შესაძლებელია, შატბერდში იყოს გადაწერილი¹.

ბ) გურიაში, უდაბნოს სავანეში, დ. ბაქრაძემ აღმოაჩინა მე-10 საუკუნის მოზრდილი ჰომილეტიკური კრებული — უდაბნოს მრავალთავი². 1920 წელს ის ჩამოიტანა აკად. ა. შანიძემ და შეავსო ცალკე შემონახული ფურცლებით (A № 713, A № 1287, H № 2097)³. შემდეგში მანვე გამოაქვეყნა ზოგი ნაკვეთი ამ მრავალთავიდან⁴. ხელნაწერი ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (A № 1109)⁵. აკად. ე. თაყაიშვილი უდაბნოს მრავალთავს შატბერდიდან გამოტანილად თვლიდა⁶. აკად. ა. შანიძის აზრით, ეს მრავალთავი (ან შატბერდის კრებული) იგულისხმება ნიკოლას ჯუშათლის მიერ შატბერდიდან გამოტანილ წიგნთა ნუსხაში⁷.

გ) 1085 წელს მოსე ხანძთელმა „დიდებულისა ლავრისა შატბერდისათჳს“ გადაწერა საწელიწდო საწინასწარმეტყველო. ამ შატბერდულმა ხელნაწერმა ჩვენამდეც მოაღწია (H № 1350)⁸. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მე-11 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შატბერდი კიდევ დიდებულ ლავრად იწოდებოდა და მისთვის ხელნაწერებს სხვა მონასტრებშიც ამზადებდნენ.

დ) პ. კარბელაშვილმა⁹ და პროფ. ა. ხახანაშვილმა¹⁰ სვანეთში ნახეს მე-12—13 საუკუნეების ხელნაწერი — გამოკრებილი საკითხავები, გადაწერილი შატბერდში გიორგი მროველის ბრძანებით. ეს უნდა იყოს ხელნაწერი S № 4939, რომლის ანდერძი ასე ეკითხება: „ადიდენ ღმერთმან სული გიორგი მამამთავრისა, მროელისა.... ბრძანებითა მათისა აღიწერნეს ესე ლავრასა დიდსა შატბერდსა“¹¹. მე-12—13 საუკუნეებში შატბერდის „დიდ ლავრად“ მოხსენიება ფრიად საინტერესოა, ის ჩვენს მასალას შატბერდის სვანის ისტორიის შესახებ ახალ ცნობას მატებს. ჩანს, შატბერდს ამ ხანაშიც შენარჩუნებული ჰქონდა ძველი დიდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აკად. ე. თაყაიშვილს შატბერდის მონასტერში გადაწერილად მიაჩნდა იაკობის ჟამისწირვის ცნობილი ხელნაწერი

¹ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქსნის ოთხთავის რედაქცია, „ლიტერატურული ძიებანი“, V, 1949, გვ. 291—321. მასვე ეკუთვნის ქსნის ოთხთავის ნაწყვეტების პუბლიკაცია: ქართული ვნის ისტორიული ქრესტომათია, I, გვ. 60—83, 106—124; ქსნის ოთხთავის თავისებურებანი მარკოზის თავის მაგალითზე, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1949, გვ. 214—239; ქსნის ოთხთავის თავისებურებანი მათესა და იოვანეს თავების მაგალითზე, იქვე, VIII; 1950, გვ. 300—342.

² Д. Ба к р а д з е, Арх. путешествен по Гурии и Аджаре, გვ. 241.

³ Описавше рукописей (A), II, გვ. 181—182; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 100; (H), V, გვ. 59.

⁴ ძველი ქართულის ქრესტომათია, I, გვ. 45—54.

⁵ ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 93—101.

⁶ МАК, XIV, 1916, გვ. 12; ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 309.

⁷ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 015.

⁸ ქრონიკები, I, გვ. 232; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 306.

⁹ პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორი კვირით, „ივერია“, 1903, № 236.

¹⁰ А. Х а х а п о в, Сванетские рукописные свавеления, МАК, X, 1904, დამატება, გვ. 22.

¹¹ გზამკვლევი, გვ. 80.

(A № 86)¹. საფიქრებელია, მასზე გავლენა მოახდინა დ. ბაქრაძის მიერ გამოთქმულმა აზრმა შატბერდის კრებულის დაჩისა და იაკობის ეამისწირვის მინაწერის დაჩის ერთ პირად მიჩნევის შესახებ². დასახელებული ორი დაჩის ერთ პირად აღიარება შეუძლებელია. მაშასადამე, იაკობის ეამისწირვის საყურადღებო ხელნაწერის (A № 86) შატბერდისეულად მისაჩნევად არავითარი საფუძველი არ გავაჩნია.

პ ა რ ე ხ ი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-სამონასტროსა და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში გარკვეული წვლილი შეუტანია პარეხს. ის აღრე ძველ ქართველ მოღვაწეთა სიძმედო და საყურადღებო საფარს წარმოადგენდა, მაგრამ ღრთთა განმავლობაში გაუჟაკრიელდა, დაინგრა, დაფიქვებას მიეცა. აკად. ნ. მარს დიდი ძიება დასჭირდა ამ სავანის მისაგნებად. გულდასმითი კვლევის შემდეგ მეცნიერ-მოგზაურმა დაადგინა მისი ადგილმდებარეობა, აღწერა და მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა იგი. როგორც აკად. ნ. მარის ჩანაწერებიდან ჩანს, პარეხი მდებარეობს მდ. კარჩხალის ხეობაში, კლდეში. ამ საუკუნის დამდეგს იქ კიდევ შეინიშნებოდა ნანგრევები ეკლესიებისა და სატრაპეზოსი (=სემინარია-სასწავლებელს), გამოქვაბულები³.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პარეხი ქრონოლოგიურად კლარჯეთის მეორე სავანეს (ოპიზის შემდგომ) წარმოადგენს და დაარსებულია მე-6 საუკუნის შუა წლებში შიო მღვიმელის მოწაფის მიქელ პარეხელის მიერ. შემდეგში ის აუოხრებია არაბთა ლაშქარს. მე-9 საუკუნის ორმოციან წლებში პარეხში დამკვიდრდა მარტოდმყოფი მიქელი და განაახლა ძველი სავანე⁴. რას იმყარება ეს მოსაზრება და რამდენად სწორი და დამაჯერებელია იგი? ვიდრე ამ კითხვას გავცემდეთ გარკვეულ პასუხს, საჭიროა გავიცნოთ ზემოხსენებული სავანის მთავარი მოღვაწე მიქელი.

მიქელ პარეხელზე ცნობებს გვაწვდიან ბასილ ზარზელი და გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი გიორგი მერჩული. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ ავტორთა მოწმობანი საქმაოდ ცნობილი და ხშირად ციტირებულია, მაგრამ ჩვენ კვლავ უნდა მოვიხმოთ იგივე ცნობები, რათა პასუხი გავცეთ იმ კითხვას, რომელიც კარგა ხანია საქამათოლდა ქვეული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.

გიორგი მერჩულის ცნობებით, მიქელი იყო შავშეთიდან, სოფ. ნორგიალიდან, ბერად შედგა მიძნაძორს, შემდეგ გადავიდა ხანძთას, უკანასკნელად დაემკვიდრა პარეხს. მოეუსმინოთ მწერალს: მიქელ იყო „ქუეყანისა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგილისაჲ, და მიძნაძორს მონაზონ იქმნა“ (ლმ). შემდეგში ის „მიძნაძოროთ ხანძთად“ მივიდა და „დაემკვდრა პარეხთა, რამეთუ

¹ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. XVII.

² დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 221—222.

³ TPA-I-ფ, VII, გვ. 167, 174—177.

⁴ პ. ი. ნ. გ. ო. ყ. ვ. ა. გიორგი მერჩულე, გვ. 326—328, 345—346, 445. შდრ. ი. ბერიტიანი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, გვ. 130.

იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა და ეძიებდა მარტოდმყოფე-
ბასა და პოვა თავისა თვისისა სამკვდრებელი ბერთისა პარეხთა“ (ლზ—ლშ).
თავისი ცხოვრების შემდგომი წლები მიქელმა აღნიშნულ საფანეში გაატარა:
„ხოლო პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და აღ-რავ-ესრულა,
წუნვე დაემარხა“ (ლშ). მისი საფლავი მერჩულის დროსაც ცნობილი იყო:
„და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიცა შემდ-
გომად მისსა პარეხთა მკვდრ იყო, ერთგან არიან“ (ლშ—ლთ).

მიქელ პარეხელის შესახებ ცნობებს გვაწვდის ბასილ ზარზმელიც. მისი
ცნობით, „აღეშენა რა წმიდა და დიდი უღაბნოა ოპიზაჲ... ამისსა შემდგო-
მად მოვიდა მუნით [მიქელ] და აღაშენა უწყებითა საღმრთოთა მცირე ეგუ-
ტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა ადგილსა კლდოანსა და უვალსა
კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდებდნენ“. ეს მიქელი ყოფილა განთქმული მოღ-
ვაწე, დიდი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა
შორის. მრავლად ჰყავდა მოწაფეები („მრავალნი აქუნდნენ მოწაფენი, სრულნი
და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და
მაკარი, ეგრეთვე მიქელს ბასილი და მარკელაოზ“)¹.

აღნიშნულ ავტორთა ცნობებში არის ზოგიერთი მსგავსება. ორივე საუბ-
რობს მიქელ პარეხელზე (—საფანის დამაარსებელზე), ორივე საუბრობს ბასილ
პარეხელზე და სხვ. საფიქრებელი ხდება, რომ აქ ერთსა და იმავე პირებთან
გვაქვს საქმე.

1916 წელს ამ საკითხს შეეხო აკად. ი. ჯავახიშვილი. მკვლევარმა ბასილ
ზარზმელისა და გიორგი მერჩულის თხზულებებში მოხსენიებული მიქელ პარე-
ხელი ერთსა და იმავე პირად მიიჩნია და მისი მოღვაწეობა მე-9 საუკუნით
დაათარილა. დასახელებულ აგიოგრაფთა ცნობების შეჯერებით აკად. ი. ჯა-
ვახიშვილი ასკვნის, რომ მიქელ პარეხელი გრიგოლ ხანძთელის მეგობარი
და სერაპიონ ზარზმელის უფროსი თანამედროვე იყო².

1919 წელს მიქელ პარეხელის ვინაობის გარკვევა აკად. ე. თაყაიშვილმაც
ცადა. ის უფრო სრულად შეეხო ამ საკითხს და უცილობლად დაადასტურა,
რომ ზარზმელისა და მერჩულის მიერ მოხსენიებული მიქელ პარეხელი
ერთი და იგივე პირია³. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა აკად. კ. კეკე-
ლიძემაც⁴.

საინტერესო მოსაზრება წამოაყენა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ, რომელ-
მაც არსებითად შეაფსო და განავითარა ის აზრი, რომელიც ჯერ კიდევ 1909
წელს გამოთქვა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების გამომცემელმა პროფ.
მ. ჯანაშვილმა⁵. პ. ინგოროყვას აზრით, ბასილ ზარზმელის მიერ მოხსენიე-
ბული მიქელ პარეხელი არ შეიძლება მივიჩნიოთ იმ მიქელ პარეხელად, რო-
მელიც გრიგოლ ხანძთელის მეგობარი იყო, რა საბუთს ადგენს მკვლევარი?

¹ აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 150—151.

² ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1916, გვ. 70
(= მეორე-მესამე შეესებული გამოცემა, თბ., 1945, გვ. 133).

³ ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ,
თუმ, I, 1919, გვ. 112—114.

⁴ აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 114—116.

⁵ მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. XLIX—LVI.

ოით ძტიცდებია, რომ „აქ აშკარად ორი სხვადასხვა პიროვნებაა“? პ. ინგოროყვას აზრით, ეს ჩანს შემდეგიდან:

ა) ბასილ ზარზმელის მიქელ პარეხელი მე 6 საუკუნის მოღვაწეა, ხოლო მერჩულისა — მეცხრისი;

ბ) ბასილ ზარზმელის მიქელ პარეხელი ქართლიდანაა, ხოლო მერჩულისა — შავშეთიდან;

გ) ბასილ ზარზმელის მიქელ პარეხელი ცნობილი მოღვაწეა, მას გარს ახევიან მოწაფეები, მერჩულისა — ანაქორეტი, მარტოდმყოფი;

დ) ბასილ ზარზმელის მიქელი ოპიზიდან მიდის პარეხში, მერჩულისა — ხანძითიდან¹.

რამდენად დამაჯერებელია პატივცემული მეცნიერის მსჯელობა და რამდენად სარწმუნოა მისი საბუთები? განვიხილოთ რიგის მიხედვით.

ა) საიდან ჩანს, რომ ბასილ ზარზმელის მიერ მოხსენიებული მიქელ პარეხელი მე-6 საუკუნის მოღვაწეა? პ. ინგოროყვასთვის ამოსავალია ბასილის ერთი ცნობა: „მიქელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მალალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოხის საკრველთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთილისაჲ, ბრწყინვალე ქუეყანასა ქართლისასა“². მკვლევარი ამ ცნობას სრულ ნდობას უცხადებს, შიო მღვიმელს მე-6 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევს და შესაბამისად მიქელის მოღვაწეობასაც მე-6 საუკუნით ათარიღებს. პ. ინგოროყვა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტებზეც, რომ, ბასილის ცნობით, მიქელი პარეხამდე ოპიზაში მოღვაწეობდა. აქედან ასკვნის, რომ მიქელის დამკვიდრება ოპიზაში დაახლოებით მე-6 საუკუნის შუა წლებზე მოდის, ხოლო მისი მოღვაწეობა კლარჯეთში (ოპიზა, პარეხი) მე-6 საუკუნის მეორე ნახევრით შემოიფარგლება. დავიწყოთ უკანასკნელი ცნობით. ოპიზა მე-6 საუკუნეში არ ჩანს; როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საამისო ისტორიული საბუთი დამაჯერებლობას მოკლებულია. ჭალაშვილისეულ ნუსხაში შემთხვევით გადარჩენილი უსაფუძვლო ცნობა, რომელიც სხვა წყაროებით არ დასტურდება, გადარწმუნისა თუ რედაქტორის გლოსაა და საბუთად არ გამოდგება. მაშასადამე, თუნდაც რომ დადასტურდეს მიქელის მოღვაწეობა მე-6 საუკუნეში, ოპიზის მონასტრის შესახებ ცნობა, რომელიც ბასილ ზარზმელთან (თუ დამტკიცდება, რომ ის მე-7 საუკუნეში ცხოვრობდა!) გვხვდება, ნაინც არ გამოდგება საკითხის გადასაჭრელად. საკითხავია დასტურდება კი მიქელის მოღვაწეობა მე-6 საუკუნეში? მიქელ პარეხელი შიო მღვიმელის მოწაფედ და მე-6 საუკუნის მოღვაწედ მიაჩნდათ სხვა მკვლევარებსაც, მაგრამ რაიმე დამატებითი საბუთი არც მათ წარმოუდგენიათ³. თავისდათავად, ბასილ ზარზმელის მიერ მიქელის

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 333—335. პ. ინგოროყვას ზოგიერთი საბუთი გამოიყენა და სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობა ადრეულ ხანას მიაკუთვნა ე. ბერიძემ (სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 120—123). ახრი ბასილ ზარზმელისა და გიორგი მერჩულის თხზულებებში მოხსენიებულ მიქელ პარეხელის ერთსა და იმავე პირად მიჩნევის შესახებ დადასტურებულად არ მიაჩნია პროფ. ილ. აბულაძესაც (იხ. მისი ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის („ლადონი“ და „პარეხნი“), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, IV, № 9, 1943, გვ. 938).

² აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 150.

³ მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. LI. მისივე, მესხეთი, გვ. 18; P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes, AB, XXXVI—XXXVII, 1923, გვ. 165 (იხ. „მამოზილველი“, I, 1926, გვ. 278).

შიო მღვიმელის მოწაფედ დასახელება საყურადღებო და საგულისხმოა, მაგრამ რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? სხვა შიოს, რომელიც „ვითარცა მთიები განთიადისაჲ, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“, ჩვენ არ ვიცნობთ. მაშასადამე, ძნელი საფიქრებელია, რომ ბასილს (თუ ამას ბასილი წერს) სხვა შიო ჰყავდეს მხედველობაში. საფიქრებელია, ეს ადგილი არც იყოს ბასილ ზარზმელისა. ყურადღებას იპყრობს ავტორის განცხადება, რომელიც ზემომოტანილ სიტყვებს უძღვის წინ: „ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდაო“¹. ეს სიტყვები თხზულების ვადამკეთებლის, მეტაფრასტის კუთვნილებას წარმოადგენს. ჩანს, მას არ ჰქონდა ზუსტი და სრული წარმოდგენა სერაპიონის მასწავლებელზე და ამის შედეგად მოგვაწოდა ასეთი ყალბი და ნატყუარი ცნობა, რომელიც უცილობელ ანაქრონიზმს წარმოადგენს². რადგან გიორგი მაწყვერელი, რომელიც ბასილ ზარზმელს მიქელის თანამედროვედ ჰყავს წარმოდგენილი, მე-9 საუკუნის მოღვაწეა (იხ. აწყური), მიქელ პარეხელი,— მასწავლებელი სერაპიონისა,— მე-9 საუკუნის მოღვაწე უნდა იყოს.

ბ) საიდან ჩანს, რომ ბასილ ზარზმელის მიერ მოხსენიებული მიქელ პარეხელი ქართლიდანაა, ხოლო მერჩულისა შავშეთიდან? უკანასკნელი ჩვენება კამათს არ იწვევს, რადგან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში საგანგებოდაა მითითებული, რომ მიქელი იყო „ქუეყანისა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგისაჲ“ (ლმ). გასარკვევია მეორე: საიდან ჩანს, რომ ბასილის მიქელი ქართლიდანაა? პ. ინგოროყვა მიქელს მიიჩნევს შიო მღვიმელის მოწაფედ და იქიდან აკეთებს დასკვნას მიქელის ქართლიდან წარმომავლობის შესახებ. როგორც ვნახეთ, მიქელის მიჩნევა შიო მღვიმელის მოწაფედ არაა მართებული. მაშასადამე, ამის მიხედვით მიქელ პარეხელის ქართლელად მიჩნევა შეუძლებელია. შემდეგ, თუნდაც შიო მღვიმელის მოწაფე იყოს მიქელი, რატომ უნდა იყოს მაინცდამაინც ქართლელი? შიო მღვიმელის მოწაფე სხვა კუთხიდან არ შეიძლებოდა ყოფილიყო?

გ) ბასილ ზარზმელის მიქელ პარეხელი რომ ცნობილი და ავტორიტეტიანი პირია, ეს კამათს არ იწვევს, სერაპიონის ცხოვრებაში ეს არა ერთგზისაა აღნიშნული³, მაგრამ არც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დასახელებული პირია ნაკლებ მნიშვნელოვანი. მოვიგონოთ მერჩულის სიტყვები: „დიდი მეუღაბნოჲ მიქელ მამაჲ“ (ლზ); ბასილ ზარზმელის მიქელ პარეხელს რომ მოწაფეები ჰყავდა (ბასილი, მარკელაოზი), ეს ექვს არ იწვევს, მაგრამ არც მერჩულის მიქელი ყოფილა მოწაფეების გარეშე, როგორც ამას მერჩულისავე ცნობებიდან ვგებულობთ (ლმ).

დ) ბასილ ზარზმელის ცნობით, მიქელი ოპიზიდან მივიდა პარესს, ხოლო მერჩულთ — ხანძთიდან. ეს მცირეოდენი სხვაობა, რომელიც ორი ავტორის თხზულებაში გვხვდება, ადრევე იქნა შენიშნული. აკად. ე. თაყაიშვილის აზრით, გიორგი მერჩულს, როგორც ხანძთის მოღვაწეს, უფრო ნამდვილი ცნობები

¹ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 150.

² ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, თემ, I, 1919, გვ. 112—113; ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 115; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 148.

³ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 150, 155—156, 168.

ექნებოდა მიქელზე, ვიდრე ბასილს, რომელიც სხვის სიტყვებს ემყარებოდა¹. ყოველ შემთხვევაში, ჩანს აქ ორ ვერსიასთან გვაქვს საქმე (ოპიზა → პარეხი; მიძნაძორი → ხანძთა → პარეხი). საფიქრებელია, მონასტრებში (ხანძთა, ოპიზა, ზარზმა) სხვადასხვა სამონასტრო ტრადიცია იყო გავრცელებული. არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ ბასილ ზარზმელს გიორგი მაწყვერლისაგან შეეძლო მიეღო ზუსტი ცნობები მიქელის მოღვაწეობის შესახებ, ე. ი. მასაც შეეძლო ქეშმარიტება სცოდნოდა. აღნიშნული ორი სამონასტრო ტრადიცია კი არ უარყოფს ერთუროს, ან კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს: მიქელს მოღვაწეობა დაუწყია ოპიზას, შემდეგ გადასულა მიძნაძორს, იქიდან ხანძთას და უკანასკნელად დამკვიდრებულა პარეხს. ბასილის მიერ მიძნაძორისა და ხანძთის მოუხსენებლობას მკვლევარნი იმით ხსნიან, რომ აღნიშნულ საეანებში, ალბათ, მიქელს მცირე დრო დაუყვია².

ამრიგად, პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი საბუთებით ბასილ ზარზმელისა და გიორგი მერჩულის თხზულებებში მოხსენიებულ მიქელ პარეხელის ორ პირად მიჩნევა შეუძლებელია. აღნიშნული დებულება ზოგიერთ პირთა სახელების შემთხვევით თანხვედნილობას კი არ ემყარება, არამედ დაფუძნებულია ორი წყაროსა და სხვა მონაცემების ჩვენებაზე. აქ „სახელების უბრალო შეხვედრა“ კი არაა, არამედ ძველ ქართველ აგიოგრაფთა მიერ შემონახული ცნობების შეჯერება-გაანალიზება³. ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს პარეხის სავანე მე-9 საუკუნეში აღმოცენებულად მივიჩნით, ხოლო მის დამაარსებლად მიქელი ვაღიაროთ.

პარეხში ადრევე გაჩაღებულია ლიტერატურული საქმიანობა. იქაურ მოღვაწეებს აღუწყრიათ სავანის დამაარსებლის მიქელ პარეხელის ცხოვრება, რომლითაც ბასილ ზარზმელს უსარგებელია სერაპიონის ცხოვრების წერისას. მისი ცნობით, „სწავლანი და ნიშნი და სასწაულნი“ მიქელ პარეხელისა „შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა“⁴.

მიქელ პარეხელის ცხოვრება მე-9 საუკუნის ქართველ მწერალთა ნაღვაწია⁵. სამწუხაროდ, მას ჩვენამდე არ მოუღწევია. საფიქრებელია, ძველში მოცემული იქნებოდა სამცხე-კლარჯეთის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრების შესახები ცნობები. მიქელ პარეხელის „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ“ კიდევ უფრო სრულს გახდიდა ჩვენს წარმოდგენას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამონასტრო მშენებლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

მე-9 საუკუნის მიწურულისა და მე-10 საუკუნის დამდეგის მოღვაწე ჩანს ქართველი მწერალი ილარიონ პარეხელი, რომლის შემკვიდრეობა ჩვენთვის უცნობია. მერჩული მას იხსენიებს როგორც კარგ მწერალს, რომელსაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერაც კი შეეფერებოდა (ნგ).

¹ ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, თმ, I, 1919, გვ. 113—114.

² ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 115—116.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 148.

⁴ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 151.

⁵ პ. ინგოროყვა ამ ძეგლსაც მე-9 საუკუნისეულად მიიჩნევს და მიქელის მოწაფეებს—ბასილსა და მარკელაოზს მიაწერს (გიორგი მერჩულე, გვ. 346, 450).

თავისდათავად რაოდენ საგულისხმო ფაქტია: პარეხის კულტურულ-საგანმანათლებლო კერიდან ვიცნობთ მწერალს, რომლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია; ვიცით არსებობა ერთი იქ შეთხზული ძეგლისა, რომელიც აგრეთვე ჩვენამდე არ შემონახულა. რომ არა შემთხვევით გადარჩენილი ორიოდ ცნობა, ჩვენ არავითარი წარმოდგენა არ გვექნებოდა კლარჯეთის ამ მნიშვნელოვან სავანეზე.

ბ ე რ თ ა

ბერთა მდებარეობს კლარჯეთში, მდ. კარჩხალის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ მთაზე. გიორგი მერჩულის ცნობით, ბერთა კლარჯეთის სხვა ქართულ სავანეთა ახლოს მდებარეობდა. „ოპიზაჲ და ფრთენი მისნი ბერთაჲ და მახლობელნი მისნი მიძნაძოროჲ და წყაროჲსთაჲ“ (ოგ),—გვითხულობთ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.

გიორგი მერჩულის განცხადება ოპიზის, ბერთის, მიძნაძორისა და წყაროსთაჲს ახლო მდებარეობის შესახებ საესებით დაადასტურა კლარჯეთის ისტორიულ-არქეოლოგიურმა შესწავლამ.

გ. ყაზბეგმა ბერთა ვერ ინახულა, რის გამოც დიდ სინანულს გამოთქვამდა¹. დ. ბაქრაძეს ადრე ფორთა ანუ ბერთა ბაგრატ მეოთხის სიგელში მოხსენიებულ პუნქტი—მიძნაძორი ეგონა². შემდეგში, რამდენადმე, დააზუსტა მისი აღდგომდებარეობა, მაგრამ არც მას უნახავს იგი.

1888 წელს ბერთაში მივიდა აკად. ა. პავლინოვი, რომელმაც დაათვალიერა ნანგრევებადქცეული მონასტერი და მეჩეთად გადაკეთებული ეკლესია³.

1904 წლის აგვისტოში ბერთაში იყო აკად. ნ. მარი, რომელმაც მოგვცა ტაძრის სრული აღწერილობა და დაახასიათა სოფელი და მოსახლეობაც⁴.

ბერთაში მონასტრის დაარსება და იქ ბერ-მონაზვნური ცხოვრების გაჩაღება გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანით თარიღდება. გრიგოლ ხანძთელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბერთის მოღვაწეობთან, იქ „იყვნეს ვინმე... მამისა გრიგოლის ღედისა მსახურთაგანნი, ნათესავნი მატოისნი, კეთილნი მონაზონნი და მეგობარნი მისნი“ (მგ). 836 წლის ახლოს გრიგოლ ხანძთელმა იქ ბაგრატ კურაპალატი და მისი ძმებიც მიიყვანა (ლა). საფიქრებელია, ბერთის მონასტერი მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში დაარსდა.

მომდევნო დანაში ბერთის სავანე გაძლიერდა და ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვანი კერა გახდა. იქ მძლავრი საგანმანათლებლო კერის არსებობას ადასტურებს მონუმენტალური ნაგებობის ნაშთი, რომელიც აკად.

¹ Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОРГО, X, 1876, გვ. 79.

² Д. Баградзе, Статьи по истории и древностям Грузии. Приложение к I.V-му тому ЗАН, № 1, 1887, გვ. 29. აქ ორი შეცდომაა დაშვებული: ჯერ ერთი, ფორთა და ბერთა სხვადასხვა პუნქტია, მეორეც—არც ერთი მათგანი მიძნაძორი არაა. იხ. აგრეთვე ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 169, შენ.

³ А. Павлович, Экспедиция на Кавказ 1888 года, МАК, III, 1893, გვ. 6.

⁴ ТРА-I-Ф, VII, გვ. 168—172.

5. მარს სატრაპეზო ეგონა, ხოლო სინამდვილეში სემინარია-სასწავლებლის შენობას წარმოადგენდა¹.

თურქთა მომძლავრებისა და მაჰმადიან დამპყრობელთა მიერ კლარჯეთის ხელში ჩაგდების შემდეგ ბერთის მონასტერი ერთ ხანს დიდ როლს ასრულებდა ისლამის გამავრცელებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ადგილობრივ ქრისტიან ქართველთა დარაზმების საქმეში, მაგრამ შემდეგში თურქებმა ის გაძარცვეს და მეჩეთად გადააკეთეს. მიუხედავად აღნიშნულისა, ბერთის მონასტრის გავლენა იქაურ ქართველებზე შემდგომ ხანაშიც შეინიშნება².

მიუხედავად ჩვენამდე მოღწეული მასალის სიმცირისა, ირკვევა, რომ ბერთაში მძლავრად ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება. იქაური ლიტერატურული კერის წარმომადგენელია ზეკეპე ბერთელი (X ს.). მის მიერ ოლიმპზე გადაწერილ სამოციქულოს ახლავს ანდერძი: „მე მიქელ მღღელმან, ზეკეპე ბერმან, ქუაბისა შეილმან, ბერთას აღზრდილმან, ესე წმიდაჲ პავლე მოვიგე“. ჩანს, ბერთის სავანის მოღვაწეები დასავლეთის ქრისტიანულ ცენტრებთანაც იყვნენ დაკავშირებულნი³.

განთქმულია ბერთის ოთხთავები.

1. Q № 906.—ზუსტი თარიღი და გადაწერი უცნობია. მინაწერებიდან ირკვევა, რომ ის ბერთის ტაძრისთვის უბოძებია იოანე ოპიზელს, იოანე მთავარაბსძის აღზრდილს⁴. სახარება მოთავსებულია ოქროქედურ ყდაში, რომელიც ცნობილი ოქრომქანდაკების ბეშქენ ოპიზარის ნახელავს წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ, ესაა ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნამუშევარი ბეშქენისა. ხელნაწერს მრავალი საინტერესო მინაწერი შემოუნახავს⁵.

2. მეორე ოთხთავი, რომელიც სუმბატ არტანუჯელს (გარდ. 988 წ.) იხსენიებს, გადაწერილია 988 წლამდე. 1830 წ. ის ყარსიდან გაუტანიათ ამერიკელ მისიონერებს ქ. ნიუტონში (ბოსტონის ახლოს)⁶.

¹ TPA-ГФ, VII, გვ. 168.

² ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გაათარება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში, გვ. 6.

³ საქმე მოციქულთა, გვ. 020—021.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 319.

⁵ იქვე, გვ. 317—322. იხ. აგრეთვე Г. Церетели, Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря, ДВ, I, 1891, გვ. 263—264.

⁶ R. Blake and S. Der Nersessian, The Gospels of Bort'ay: an Old-Georgian Ms. of the Tenth Century. Byzantium, Vol. XVI, Fascicle I (Amer. Series, II), 1942—1943, Boston, 1944, გვ. 266—285; ა. შანიძე, ამერიკაში აღმოჩენილი ძველი ქართული ხელნაწერი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 24. XI. 44, № 39 (49); ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 022.

ახლახან საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან საერთაშორისო გაცულის წე“ით მიიღო ამ ხელნაწერის მიკროფილმი (მეთე საუქუნის ქართული ხელნაწერი, „კომუნისტი“, 17. V. 59, № 112 (11418)). აკად. შ. ამირანაშვილის ახრით, აღნიშნული ოთხთავი ადიშის სახარებაზე ადრეულია (ა. შანიძე, მეცნიერება გზა მეგობრობისაკენ, „კომუნისტი“, 2. IX. 60, № 203 (11814)). სხვათა შორის, ბერთის სახარების ერთი გვერდის არშიაზე მე-15 საუქუნის ნუსხურით მიწერილია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპი (ვეფხისტყაოსნის სიმფონია, გვ. 017).

ძველი ქართული სავანე მიძნადორი (ან მიძნადორი)¹ მღებარეობს მდ. კარჩხალის მარცხენა ნაპირზე. ის ინახულა, გაიცილა, აღწერა და ნამონასტრის აღწერილობა სურათებითურთ გამოაქვეყნა აკად. ნ. მარმა². როგორც მისი ჩანაწერებიდან ჩანს, მიძნადორში ძველად საკმაოდ დიდი ტაძარი ყოფილა. ეკლესიასთან არსებობდა მრავალი ნაგებობა, რომელთა ნანგრევებს ახლაც დიდი ფართობი უჭირავს. ამ საუკუნის დამდეგს მიძნადორის მონასტერი დანგრეული, გაძარცვული და გაპარტახებული იყო, ძველ ქართველთა სამოღვაწეო ადგილი სიბრაულის გრძნობას იწვევდა. მრავალრიცხოვან ნაგებობათა ნანგრევებში ჯერ კიდევ გამოირჩეოდა დიდი დარბაზი, რომელსაც ადრე სატრაპეზოდ მიიჩნევდნენ, ხოლო ახლა სემინარია-სასწავლებლის შენობადაა აღიარებული.

მიძნადორის მონასტერი დაარსებული უნდა იყოს აშოტ კურაპალატის დროს. სხვათა შორის, აშოტის გარდაცვალების შემდეგ (836 წ.) გრიგოლ ხანძთელმა იქ „ქელმწიფენი მის ეამისანი“, „ძმანი იგი დიდებულნი“—აშოტის ძენიც კი მიიყვანა (ლა—ლგ).

გიორგი მერჩული გვაცნობს იქაურ მოღვაწესაც. ესაა კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე დავით მიძნადორელი, „წინამძღუარი მიძნადოროჲსაჲ დიდი მამაჲ სანატრელი დავით მაშინებელი მონასტერთაჲ“ (ლა). დავითი არა მარტო თვით აშენებდა, არამედ სხვებსაც ამზადებდა მონასტერთა დამაარსებლად. მისმა მოწაფეებმა ილარიონმა და ზაქარიამ დააარსეს მონასტრები წყაროსთავსა და ბარეთელთას (ლა—ლბ)³.

მე-9 საუკუნეში მიძნადორში მოღვაწეობდა ქართული მონასტრების ისტორიაში კარგად ცნობილი პირი მიქელ პარეხელი (იხ. პარეხი).

მიძნადორში კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების არსებობას გვაფიქრებინებს სინას მთის ქართული კოლონიის გამოჩენილი მოღვაწე კვირიკე მიძნადორელი (X ს.)⁴. მიძნადორულად მიიჩნევენ მე-11 საუკუნის ერთ საყურადღებო ხელნაწერს (A № 97)⁵.

ცნობილი არიან გვიანი ხანის მიძნადორელი მოღვაწენიც. ასე, მაგალითად, მე-11 საუკუნის სვინაქსარში იხსენიება მიძნადორის წინამძღვარი ჯანთუმიძე (H № 2211, 49 v), ჯგერის მონასტრისეულ თვენში (XVI ს.) იხსენიება ზოსიმე მიძნადორელი (H № 2338, 2 r) და ა. შ., მაგრამ მათ მოღვაწეობაზე ვერას ვიტყვი⁶.

¹ მიძნადორს ჩვეულებრივ სომხურ სიტყვად მიიჩნევენ და შუახევად თარგმნიან (აკად. მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, აკად. ნ. მარი). აღნიშნული გეოგრაფიული სახელის სომხური წარმომავლობა შესაწყენარებლად არ მიიჩნია პ. ინგოროყვამ (გიორგი მერჩულე, გვ. 436, შენ).

² ТРА-ГФ, VII, გვ. 131—135.

³ გიორგი მერჩული ასახელებს კიდევ ერთ მიძნადორელს—დიდ იაკობს (ნგ).

⁴ H. M арр, Описание грузинских рукописей Спайского монастыря, გვ. 110; ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 104.

⁵ პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 10—11, გვ. 246—248; მისივე, გიორგი მერჩულე, გვ. 354.

⁶ მიძნადორი იხსენიება „ქართლის ცხოვრებაშიც“ (II, გვ. 260).

წყაროსთავი ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი კერაა. მისი ადგილმდებარეობა დიდხანს სიძიებელი იყო. მდგომარეობა გაართულა იმ გარემოებამ, რომ ასეთი სახელის პუნქტი რამდენიმე ადგილას გვხვდება.

ვახუშტის ცნობით, ჯავახეთში, კარწახის ტბასთან „არს ტბის მკვერტბ, წყაროსთავს, ეკლესია ფრიად დიდშენიერი, გუნბათიანი, რომელი ალაშენა მირდატ გორგასლის ძემან. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი მტკვერის აღმოსაველეთისა არტანიურთ, ვიდრე ყარსის მთამდე და ხავეთამდე“¹. ცნობილი გეოგრაფი, ალბათ, ემყარება გორგასლის მემატიანეს, რომელიც წერს: ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძემ მირდატმა „დაიპყრა ფარაენითგან და ტასისკართგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, და ერისთავობდა მუნ; და იყო მორჩილ დაჩი მეფისა, ძმისა თვისისა. მან ალაშენა ჯავახეთს ეკლესია წყაროსთავისა“².

ჯავახეთში, კარწახის ტბის ჩრდილო-დასავლეთით მართლაც არის ამ სახელის პუნქტი და ეკლესია. მას ძველი სახე დაკარგული აქვს, გადაკეთებულია მე-11—12 საუკუნეებში³. ჯავახეთის წყაროსთავი არა ერთმა მკვლევარმა მიიჩნია ლიტერატურულ კერად და კლარჯეთის წყაროსთავში გადაწერილი ხელნაწერები ამ პუნქტს მიაკუთვნა⁴. საცილობელი საკითხი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმოჩენამ გაარკვია.

გიორგი მერჩული წყაროსთავს კლარჯეთის პუნქტად მიიჩნევს. ის ტაძრის ამგებსაც ასახელებს. ესაა დავით მიძნაძორელის მოწაფე „ილარიონ მამაჲ და მაშწნებელი წყაროხსთავისაჲ, რომელიცა კათალიკოზ იქმნა მცხეთას“ (ლა). მერჩულით წყაროსთავი ხანძთის ახლოსაა. ის ახსენებს ხანძთის „მახლობელთა უდაბნოთა, რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი მისნი ბერთაჲ და მახლობელნი მისნი მიძნაძოროჲ და წყაროხსთავი“ (ოგ). აღნიშნული ვითარება დაადასტურა აკად. ნ. მარმა, რომელმაც ეს პუნქტი 1904 წლის აგვისტოში ნახა. მისი ცნობით, წყაროსთავი იმერხევშია, მდ. კარჩხალის მარცხენა ნაპირზე. მკვლევარმა გადაიარა ხიდი, აიარა ძნელი აღმართი და მივიდა იმ პუნქტში, რომელსაც მკვიდრნი წყაროსთავს ან წყაროხსთავს უწოდებდნენ. აქ მას დახვდა არა მონასტერი, არამედ ნანგრევების გროვა („Величественные развалины монастырских сооружений“)⁵, თუმცა კი დიდებული შთაბეჭდილების მომხდენი. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სემინარია-სასწავლებლის დიდმა დარბაზმა, რომელიც აკად. ნ. მარს სატრაპეზო ეგონა. ის „внутри производит прекрасное впечатление простором, чисто-

¹ აღწერა, გვ. 129—130.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 205.

³ И. Ростомов, Ахалзаянский уезд в археологическом отношении, გვ. 64—67; Е. Такайшвили, Христианские памятники. Эскурсия 1902 года, МАК, XII, 1909, გვ. 45—51.

⁴ Д. Баградзе, Историческо-этнографический очерк Карсской области, ИКОРГО, VII, № 1, 1881, გვ. 201; ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 168, შგნ.; პ. კარბელაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მონაწერები დავით გარეჯის უდაბნოს ტყავზედ ნაწერის ხელნაწერებისა, „ივერია“, 1889, № 26.

⁵ ТРА-ГФ, VII, გვ. 116.

თოი работы, умеренностью архитектурного парадя, тщательностью кладки и светлым цветом камней“¹. აკად. ნ. მარმა მოგვცა აღწერილობა წყაროსთავისა, მანვე გამოაქვეყნა მისი სურათებიც².

აკად. ნ. მარი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც ლიტერატურულ კერად ნაცვლად ჯავახეთის წყაროსთავისა მიიჩნია კლარჯეთის წყაროსთავი. ეს აზრი აღრევე შეიწყინარა აკად. ე. თაყაიშვილმა³.

წყაროსთავის მონასტრის დაარსების ხანას ვგირკვევს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. გიორგი მერჩულის ცნობით, წყაროსთავის მონასტერი აგებულია გრიგოლ ხანძთელის ხანაში, გრიგოლმა იქ „წელმწიფენი მის ეპისკოპოსი“, ბაგრატ კურაპალატი (836—876) და მისი ძმებიც-კი მიიყვანა (ლგ) 836 წლის ახლო ხანაში. აღნიშნული გარემოება საფუძველს გვიძლევს დავასკვნათ, რომ წყაროსთავის სივანე დაარსებულია მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში. შემდეგში ის საყურადღებო ლიტერატურულ კერად იქცა. წყაროსთაველ მოღვაწეთა შორის საინტერესო ფიგურას წარმოადგენს ექვთიმე გრძელი (XI ს.).

ბაგრატ მეოთხის (1027—1072) მეუობაში, 1046 წელს ღრტილაში (ჯავახეთში და არა არტანუჯის ახლოს, როგორც ზოგ მკვლევარს მიაჩნია)⁴ შედგა ქართველ-სომეხთა საეკლესიო-სარწმუნოებრივი პაექრობა⁵. სომეხთა მხრივ პაექრობაში მონაწილეობა მიიღო მარამაშენის წინამძღვარმა სოსთენმა, ხოლო ქართველთა მხრივ გამოვიდა ექვთიმე გრძელი ან იერუსალიმელი. ექვთიმემ კარგად გამოიყენა სათანადო წყაროები⁶ და სასტიკად დაამარცხა სომეხი მოპაექრე. ჩვენამდე მოღწეულია მოგვიანებით შედგენილი მოკლე ოქმები ამ პაექრობისა: „სიტყვს-გება ბერისა ეფთვში გრძელისა სოსთენი სომეხთა მოძღვრისა მიმართ“⁷.

სომეხთა სწავლული ორატორის სოსთენის დამარცხება ქართულმა ეკლესიამ ექვთიმე გრძელს დიდ დამსახურებად ჩაუთვალა; რუის-ურბნისის კრება (1103 წ.) მას იხსენიებს ცნობილ ქართველ მოღვაწეთა შორის და საუკუნო ხსენებას უთვლის⁸.

ზოგიერთი წყარო აღნიშნავს ექვთიმე გრძელის ლიტერატურულ საქმიანობას. რამდენიმე ხელნაწერის ჩვენებით, ექვთიმეს უთარგმნია იოანე დამასკელის წინამძღვარი. მინაწერებში ვკითხულობთ: ლოცვა ყავთ „ეფთვში გრძე-

¹ ТРА-ГФ, VII, გვ. 121—122.

² იქვე, გვ. 119—123.

³ МАК, XII, 1909, გვ. 51.

⁴ ქრონიკები, I, გვ. 126, შენ. 2.

⁵ თ. ჟორდანიამ ეს ფაქტი შეცდომით მე-10 საუკუნეში გადაიტანა (ქრონიკები, I, გვ. 125. შდრ. J. Mejanekst-Bekov, O meждоусобице в Тифлисе в 1197 г., ИКИ-АИ, III, 1925, გვ. 49).

⁶ მაგალითად, სააკ პართელის წინასწარმეტყველება (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქართული ვერსია სააკ პართელის წინასწარმეტყველებისა, თუმ, II, 1922—1923, გვ. 221), პატიმთინი (ს. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 490—491) და სხვ.

⁷ А №№ 450, 658; S №№ 951-ე, 318; H №№ 377, 1246, 1296, 2828; არტ. ხელნ. № 113; საქ. სამთხე, გვ. 615—621; ქრონიკები, I, გვ. 126—127.

⁸ საქ. სამთხე, გვ. 530; ქრონიკები, II, გვ. 72. სხვათა შორის, ხსენებული „სიტყვს-გებათ“ სარგებლობდა ვახუშტიც (შ. მესხია, ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო წყაროება, „ნანალები“, I, 1947, გვ. 46, შენ. 1).

ლისათვის, რომელმან ფრიალითა მოსწრაფებითა და მოღვაწეობითა დაესწერე სამოძღვრობელად სულთა ჩუშნთა და თქუშნთათვის“ (H № 5, 76 r; A № 1119-ა, 91 r; K № 91, 71 v—72 r). ამის საფუძველზე ზოგმა მკვლევარმა იოანე დამასკელის აღნიშნული შრომის თარგმანი დაბეჯითებით ექვთიმე გრძელს მიაკუთვნა¹, მაგრამ საკითხის გულდასმით შესწავლა ამას არ ადასტურებს. ირკვევა, რომ იოანე დამასკელის გარდამოცემის შემოკლებული რედაქცია—წინამძღვარი ან სარწმუნოებისათვის უთარგმნია არა ექვთიმე გრძელს, არამედ ექვთიმე ათონელს².

ექვთიმე გრძელს მიაწერენ ზოგიერთ სხვა თხზულებას (ისტორია ეკლესიისა, საგალობელი კანონი ივერიის პორტიიტის ღვთისმშობლისა, დარღვევა მაჰმადიანთა, შეიღთა მსოფლიო კრებათა)³, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთები არ ჩანს, ხოლო ლიტონი განცხადების დაჯერება შეუძლებელია.

ძველი ქართული წერილობითი წყაროებით ექვთიმე გრძელის ლიტერატურული მოღვაწეობა არ დასტურდება, მაგრამ საეკლესიო-სარწმუნოებრივ პაექრობაში გამარჯვების მოპოვებითა და ქართული კულტურის მუშაკთა (გიორგი-პროხოვრე შავშელი, ეგნატი ხუცეს-მონაზონი) აღზრდითა და მომზადებით ექვთიმე გრძელი ძველი საქართველოს თვალსაჩინო მოღვაწედ გვევლინება.

რამდენიმე სიტყვა ექვთიმე გრძელის მოღვაწეობის ადგილის შესახებ.

ექვთიმე გრძელს იერუსალიმელი ეწოდება, რაც საფიქრებელს ხდის, რომ ერთ ხანს ის იერუსალიმში მოღვაწეობდა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა გარკვევა იმისა, თუ საქართველოში ყოფნის დროს ექვთიმე გრძელი რომელ სავანეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

„სიტყვს-გებით“ საეკლესიო კრების წინ ექვთიმე გრძელი ანჩის მთავარ-ეპისკოპოსთან ცხოვრობდა⁴, ხოლო ზოგიერთი ხელნაწერის ცნობით, ბაგრატიმა ექვთიმე გრძელი ხახულიდან მოიწვია სოსთენთან საპაექროდ⁵.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს „სიტყვს-გების“ ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ პაექრობის შემდეგ მეფემ ექვთიმე გრძელი წარგზავნა „უდაბნოსა თვისსა“. რომელ უდაბნოზეა საუბარი? ფიქრობთ, არა ანჩსა და ხახულზე, არამედ წყაროსთავზე.

ექვთიმე გრძელი, უთუოდ, წყაროსთაველი მოღვაწეა, რასაც წყაროების ჩვენება ექვთიმე გრძელად ადასტურებს.

წყაროსთავის მონასტერში არსებობდა ექვთიმეს სენაკი, რომელშიც არა ერთი ქართველი მოღვაწე აღიზარდა. ეგნატი ხუცეს-მონაზონი ერთი

¹ ქრონიკები, I, გვ. 334.

² კ. აქელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, IV, გვ. 90—104.

³ ხ. მთაწმიდელი, ბერი ევთიმეს მიგება სოსთენ სომეხთა მოძღვრისადმი (თხზულება უცნაურის მწერლისა), „დროება“, 1878, № 139.

⁴ ქრონიკები, I, გვ. 127.

⁵ იქვე, გვ. 125—126 (S № 186, 113 r; არქ. ხელნ. № 103, გვ. 49). იხ. აგრეთვე ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 98. შდრ. წყობილსიტყვაობა, გვ. 237, ზეც. 122. ზ. კიკინაძემ ექვთიმე გრძელი ათონიდან მოსულად მიიჩნია (ხ. მთაწმიდელი, ბერი ევთიმეს მიგება სოსთენ სომეხთა მოძღვრისადმი (თხზულება უცნაურის მწერლისა), „დროება“, 1878, № 139).

ხელნაწერის თაობაზე შენიშნავს, რომ ის გადანუსხულია „უდაბნოსა შინა წყაროაქსთავს, სენაკსა შინა ნეტარისა ბერისა ეფთჳმესსა, რომლისადა ეფერქთათანა აღზრდილ“ იყო.

წყაროსთავში ექვთიმეს ზედამხედველობითვე აღიზარდა და გაიწაფა ქართული სამონასტრო მშენებლობის გამოჩენილი მოღვაწე გიორგი-პროხოვე შავშელი. ვინაა ეს ექვთიმე, ხომ არაა ის ცნობილი ქართველი მწიგნობარი ექვთიმე ათონელი? სხვათა შორის, გიორგი-პროხოვეს აღმზრდელი ექვთიმე მთაწმიდელ მოღვაწედ მიიჩნია პროფ. ა. ცაგარელმა¹. ვფიქრობთ, ასეთი ვარაუდისთვის არაერთად საფუძველი არ გავაჩნია. არც ექვთიმე მთაწმიდელის ბიოგრაფი გიორგი ათონელი, რომელიც ზუსტად და დეტალურად გადმოგვცემს ექვთიმეს თავგადასავალს, და არც სხვა წყარო არაერთად ცნობას არ გვაწვდის ექვთიმე მთაწმიდელის კლარჯეთში, წყაროსთავის სავანეში, მოღვაწეობის შესახებ. მეტიც, დღეს ცნობილი მასალებით, ექვთიმე ათონელი მცირეწლოვანი წაიყვანეს საქართველოდან და შემდეგში აღარც დაბრუნებულა სამშობლოში. ამრიგად, ექვთიმე მთაწმიდელის მიჩნევა წყაროსთავის გამოჩენილ მოღვაწედ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია². საინტერესო ცნობა შემოუნახავს ჯვრის მონასტრის ერთ ხელნაწერს (ა. ცაგარელი № 105; ნ. მართ № 7; რ. ბლეიკით № 14), რომლის გადამწერი გვაუწყებს, რომ ჯვრის მონასტერი ააშენა გიორგი-პროხოვემ „ბრძანებითა და მოღვაწეობითა კურთხეულისა კაცისა მამისა ეფთჳმესითა“. ვინაა ეს ექვთიმე, რომლის ბრძანებით გიორგი-პროხოვემ ჯვრის მონასტერი ააგო? ხომ არაა ის ექვთიმე ათონელი, როგორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს? როგორც ცნობილია, ექვთიმე ათონელი 1028 წელს გარდაიცვალა, ხოლო ჯვრის მონასტერი 1056 წელსაც არ იყო დასრულებული. აღნიშნული გარემოების გამო ძნელია გიორგი-პროხოვეს მიერ წამოწყებული მშენებლობის ინიციატორად ექვთიმე ათონელი ვიცნოთ.

ჩვენ ვფიქრობთ, ზემომოტანილი ცნობების ექვთიმე, ექვთიმე გრძელი უნდა იყოს და არა სხვა ვინმე. ის ჯერ მოღვაწეობდა წყაროსთავში, სადაც აღზარდა გიორგი-პროხოვე, ეგნატი ხუცეს-მონაზონი და სხვანი, შემდეგ წარემართა იერუსალიმს, სადაც შეხვდა თავის მოწაფეს—გიორგი-პროხოვეს და ჯვრის მონასტრის მშენებლობისაკენ მოუწოდა. სამშობლოში დაბრუნებულმა მონაწილეობა მიიღო საეკლესიო-სარწმუნოებრივ პაექრობაში (1046 წ.), ხოლო უკანასკნელად, მეფის ნებართვით. „უდაბნოსა თჳსსა“ წყაროსთავს დაემკვიდრა.

ექვთიმე გრძელის აღზრდილთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოღვაწეა გიორგი-პროხოვე შავშელი. ის მცირეწლოვანი მიიყვანეს მონასტერში. მისი სვინაქსარული ცხოვრების ავტორის ცნობით, „ვიდრე ყრმა-ლა იყო, წარვიდა იგი მონასტერსა კლარჯეთისასა, რომელსა პრქჳან წყაროაქსთავი“³. ჩანს, ამ გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ წყაროსთავში გაიცნო

¹ А. Цагарели, Памятник грузинской старины в святой земле и на Синае, ПШС, ტ. IV, ნაკვ. I, 1888, გვ. 42, 93, 144, 171.

² კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, IV, გვ. 98, შენ. 3.

³ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 215.

და შეიყვარა სამონასტრო ცხოვრება, იქ მიიღო სათანადო სწავლა-განათლება.

ექვთიმე გრძელის მოწაფეა ეგნატი ხუცეს-მონაზონი, რომელიც ძალზე ზრუნავდა ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაზე. მას წყაროსთავის სავანეში გადაუწერია მათეს თავის თარგმანება იოანე ოქროპირისა (A № 136). საყურადღებოა გადამწერის ანდერძი, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის წყაროსთავის შესახებ: „...ღირს ვიქმენ მე, უღირსი ეგნატი, სახელით ოღე¹ ხუცეს-მონაზონი, ხოლო საქმითა და გონებითა უღები, აღწერად... ამას წიგნსა თარგმანებასა... უდაბნოსა შინა წყაროჲსთავს, სენაკსა შინა ნეტარისა ბერისა ეფთჳმესსა, რომლისაჲცა ფერჳთა თანა აღზრდილ ვიყავ და შევწირე ეკლესიასა წყაროჲსთავისასა... სადიდებელად და სალოცველად... მეფეთა ჩუენთა... მოგჳკსენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენტა ზემოწერილნი ესე ყოველნი და მოძღუარი გაბრიელ რკინაელი, კეთილისა მასწავლებელი ჩემი და სულიერი ძმა ჩემი გიორგი, რომელმან ამას შრომასა შინა მსსახურა“².

ეგნატი ხუცეს-მონაზონის დავალებით 1085 წელს მოსე ხანძთელმა შატბერდის ლავრისთვის გადაწერა საწელიწდო საწინასწარმეტყველო (H № 1350). საგულისხმოა, რომ მე-11 საუკუნის დასასრულისათვის წყაროსთაველ მოღვაწეებს ახლო ურთიერთობა აქვთ ხანძთისა და შატბერდის სავანეებთან³.

მე-13 საუკუნეში წყაროსთავის მონასტერში მოღვაწეობდა საბა მწერალი, რომელსაც იქ გადაუწერია ის სახარება, რომელიც დიდხანს უბისში ინახებოდა. საბა ერთ იამბიკოს უძღენის გიორგი მტბევარს. ჩანს, ის პოეტურ ყოფილა და ქართულ სასულიერო პოეზიაში ერთგვარი წვლილიც შეუტანია. აკად. ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, უბისის სახარება მე-13 საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს. საბას იამბიკო, რომელშიც ესქატოლოგიური მოტივი შეინიშნება, ამ მოსაზრების სასარგებლოდ მტყუყვლებს⁴.

წყაროსთავიდან მოღწეულია რამდენიმე ძვირფასი ხელნაწერი, მგალითად, წყაროსთავის სახარება (Q № 907), რომელიც იოანე ფუჳარალისძესა და გიორგი სეთაისძეს გადაუნუსხავთ 1195 წელს. მომგებელი იოანე საფარელ-მტბევარი გვაუწყებს: „წმიდაჲ ესე ოთხთავი დავაწერიე და მოვაჭედოე... და დავდეჳ წყაროჲსთავს“. სახარება მოჭედილია ბექა ოპიზარის მიერ⁵.

წყაროსთავიდანაა მეორე სახარებაც, რომელიც წალკის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. მოუგია ის სოფრომ მწიგნობარს 1193—1207 წლებში. აღნიშნული ოთხთავი, რომელსაც ბექას მიერ მოჭედილი ყდა გასული სა-

¹ ქრონიკები, I, გვ. 234—235; Описание рукописей (A), I, გვ. 144.

² ეგნატის მიიხნევენ ე. წ. კლარჯული სვინაკსარის გადაწერის ინიციატორად (პ. ი. ნ. გ. ო. რ. ე. ვ. ა., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 9—10, გვ. 246).

³ Е. Т. а. в а. й ш. в. и. л. х., Арх. экзеврсии, V, გვ. 34—41; კ. ქეკელიძე, ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, ეტიუდები, IV, გვ. 107—108. შდრ. ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., საქართველოს ისტორია, I, გვ. 168, შენ.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 322—327. იხ. აგრეთვე ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., საქართველოს ისტორია, I, გვ. 168, შენ; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузин, გვ. 43—44; Г. Церетели, Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок в рукописях Гелатского монастыря, ДВ, I, 1891, გვ. 266.

უკუნის ბოლოს უკვე დაკარგული ჰქონდა¹, ამჟამად იხახება საქ. სსრ ცენტრალურ საისტორიო არქივში². ცნობილია წყაროსთავის მონასტრის სხვა-ნუსხებიც.

ა ნ ჩ ი

კლარჯეთის უძველეს საეპისკოპოსო კათედრალსა და მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენს ანჩი (სამწყალის ხეობაში). მისი აგების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. საკითხის გარკვევაში, რამდენადმე, დახმარებას გვიწევს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. გიორგი მერჩულის განცხადებით, „ფრიად ურიცხვნი ჟამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა უწინარეს აღმშენებისანი და ეპისკოპოსნიცა მრავალნი კეთილად სასწაულთამოქმედნი ყოფილ არიან (აე)“. როდესაც „აღმშენეს კლარჯეთისადიდებული უდაბნონი, მღვდელნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთაგან“ იკურთხეოდნენ (იე). რადგან ხანძთის საყდრის გაშენება მე-8 საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს მიეკუთვნება, ხოლო ოპიზის მონასტერი კიდევ უფრო ადრეულ ხანას, მაშინ ანჩის ტაძარი საქმაოდ ხანგრძლივი ისტორიისაყოფილა, მისი აშენებიდან დიდი დრო („ურიცხვნი ჟამნი“) გასულა კლარჯეთში სამონასტრო კოლონიზაციის დაწყებამდე. აღნიშნული გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს ანჩის კათედრალის დაარსება მე-6—7 საუკუნეებით დავათარილოთ³.

ანჩელი ეპისკოპოსის სამწყსო საქმაოდ დიდი ყოფილა. სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოების საზღვრების ნუსხით ანჩელის გავლენა დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა: „ანჩელის სამწყსო სამსწყალს აქეთი ხანძთას და ოპიზას შუა დახატულა. იმას ქვემოთი ნიგალის-ხევი, გაღმა-გამოღმართი, გონიის სამშღურამდი“⁴. ანჩელის პატივი შეიგრძნობა „ქელმწიფის კარის გარიგებაშიც“, სადაც ის მტბევარზე წინ იხსენიება („რა სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ იმიერთ, იშხნელი, მაწყევრელი, ანჩელი, მტბევარი და გოლგოთელი, მათ რაჲ ეთაყუანენ, ჴელნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს“)⁵:

¹ კ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე, ძეირუასი სახარება, „ივერია“, 1891, № 227; Е. Такашвили, Арх. арх. арх. арх., III, გვ. 35—43.

² არქ. ხელ. № 323. წალკიდან თბილისში ჩამოიტანა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა. აღნიშნული მკვლევარი ამ ნუსხას ანჩურ სახარებას უწოდებს (იხ. მისი თორალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტომონიმიკის შესწავლისათვის, ცალკე ამონაბეჭდი, თბ., 1934, გვ. 29; მისივე, Из материялов поезда на Ираклу в 1924 году, ИКИ-АН, IV, 1926, გვ. 153), ხოლო პ. ინგოროყვა—წყაროსთავულ-ანჩურ ოთხთავს (გიორგი მერჩულე, გვ. 355, შენ. 5).

³ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 46, 314, 377, 441.

⁴ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 8.

⁵ ქელმწიფის კარის გარიგება, გვ. 14. „განგება და რაბაზობისაჲ“ ანჩელ არქიმანდრიტს მე-11 ადგილზე იხსენიებს (იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6). ჩანს, გვიან ხანაშიც ანჩელი არქიმანდრიტი გარკვეული პატივით სარგებლობდა. მართალია, დასახელებულ წყაროში ანჩელი მხოლოდ არქიმანდრიტად იხსენიება, მაგრამ ეს პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ანჩელ მღვდელმთავრებს მიტროპოლიტის ან მთავარეპისკოპოსის პატივი ჰქონდათ, მაგრამ არქიმანდრიტობასაც ითავსებდნენ. მათი არქიმანდრიტობა სპეციფიკური იყო, ამ შემთავებაში ტერმინი „არქიმანდრიტი“ ჩვეულებრივი მნიშვნელობით კი არ იხმარება! და მხოლოდ მღვდელ-მონაზონთა მეთაურს კი არ ნიშნავს, არამედ „მაკურთხეველ არქი-

ანჩის სიძლიერე და ავტორიტეტი ხელს უწყობდა კლარჯეთის ქრისტიანული საეპარქიების განმტკიცებასა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღმდგენ მამულიშვილთა საქმიანობას, ამასთანავე ხალხს ამხნელებდა და რაზმავდა მაჰმადიანი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. შემოჭრილი მტერი ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას და ამით კლარჯეთში ქრისტიანობის ძირითადი პუნქტის მოშლას, მხარის გამაჰმადიანებასა და დენაციონალიზაციას. მაჰმადიანი მტრის მიერ ანჩის კათედრალის ხელში ჩაგდების ერთ ცდას გვაცნობს გიორგი მერჩული. მისი ჩვენებით, თბილისის ამირამ საჰაჰ ისმაილის ძემ (830—853) თბილისის აღზრდილი დიაკონი ცქირი მოციქულად გაუზღაგნა კურაპალატს. მოციქულმა გაიგო რა ანჩის ეპისკოპოსის გარდაცვალება და საეპისკოპოსო კათედრის განთავისუფლება, თვით ისურვა აღზევება. მალე „უეტუთრმან მან ცქირმან“ „მძლავრებით დაიპყრა ანჩი“ (აგ), ბევრი სიავე ჩაიღინა და შეაწუხა კლარჯეთის მოსახლეობა; იქამდე მივიდა, რომ გრიგოლ ხანძთელს მკვლელი მიუზღაგნა და უდაბნოთა არქიმანდრიტის თავიდან-მოცილება ცადა (აგ — ახ), მაგრამ ამაოდ. შეძრწუნებულმა საეკლესიო პირებმა განკვეთეს ცქირი და „ვითარცა ასოჲ დამპალი“ მოცილეს (აშ). მან ამირას მიმართა და მისი შემწევობით „კულად მძლავრებით დაიპყრა ანჩისა საყდარი“ (აშ). ახლად აღდგენილმა ცქირმა ხანძთის დანგრევა მოიწადინა, მაგრამ სიკვდილმა უსწრო (აშ).

აქ ნათლად ჩანს, თუ როგორ ენერგიულად ცდილობდა თბილისის ამირა თავისი წარმომადგენელი, თავისი აგენტი ჰყოლოდა კლარჯეთის კათედრაზე. მისთვის სავსებით გასაგები იყო ანჩის ტაძრის დიდი მნიშვნელობა და როლი კლარჯეთის ცხოვრებაში.

მიუხედავად მტრის მოძალებისა, ანჩის კათედრალმა დიდხანს გაძლო, თამარის ხანაში საკმაოდ გაძლიერებული იყო, მომდევნო პერიოდშიც კარგა ხანს ინარჩუნებდა არსებობას. ჩვენთვის ცნობილია გვიანი ხანის რამდენიმე ანჩელი მღვდელმთავარი, მგალითად, „ანჩელ მთავარეპისკოპოსი და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი უნდოი იოანე“, რომელიც ამოწმებს დიმიტრი თავდადებულის მიერ წამების წინ გაცემულ სიგელს (1289 წ.)¹, თეოდანე ანჩელი (მე-14 საუკუნის შუა წლები), „აბელისძე ანჩელ არქიმანდ-

მანდრიტს“. ანჩელი არქიმანდრიტი იმავე დროს მიტროპოლიტი ან მთავარეპისკოპოსიც იყო (მგალითად, თეოდორე ანჩელ მთავარეპისკოპოსი და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი, იოაკიმე ანჩელ მთავარეპისკოპოსი და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი და სხვ.). „მაკურთხეველი არქიმანდრიტი“ ინსტიტუტის არსებობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საფიქრებელს ხდის, რომ ანჩის კათედრალი ერთგვარ სადარაჯოს წარმოადგენდა აღნიშნულ მხარეში (ამ საკითხზე იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგის, გარესჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული, ენიშკის მთაბზე, V—VI, 1940, გვ. 153—157).

¹ ქრონიკები, II, გვ. 167, 175. უდაბნოში, ხარების ეკლესიაში, დიმიტრი თავდადებულის პორტრეტის გვერდით არის კტიტორის — იოანე ეპისკოპოსის გამოსახულება. ეს ვარაუდება საფიქრებელს ხდის მთელი ეკლესიის მონატვას იოანეს მიერ. ეს იოანე ეპისკოპოსი ანჩელი მოღვაწე უნდა იყოს (Г. Ч у н п а ш в и л и ц, Пещерные монастыри Давид-Гареджа, გვ. 74, 80, ტაბ. 87).

რიტი ქერობინა“, რომელმაც ერთგულების ფიცი მისცა დავით კათოლიკოსს-1453 წელს¹, მე-16 საუკუნის მოღვაწე ანტონ ანჩელი² და სხვ.

თურქთა ბატონობის ხანაში, „ოდეს გაათათრდა სამცხე და საათაბაგო“, ანჩის ტაძარიც დაცარიელდა. 1664 წელს ის უკვე დაკლილი იყო³. ვახუშტიც გაუქმებულად იხსენიებს: „არს ეკლესია ღვთაებისა ანჩა გუნბათიანი, დიდ-შვენიერად ნაგები, კარგს ადგილს... და აწ ცალიერ არს“⁴. შემდეგში კიდევ უფრო დაინგრა და განადგურდა. ძველი ქართული ნაგებობის ქვები სოფ. ანჩის მეჩეთის ასაგებად გამოიყენეს.

1879 წელს ანჩის ტაძრის ნანგრევები დაათვალიერა დ. ბაქრაძემ⁵, ხოლო 1904 წელს—აკად. ნ. მარმა⁶.

ანჩის კათედრალი კლარჯეთის ისტორიული მოვლენების მსვლელობაში აქტიურ როლს ასრულებდა. ანჩელი ეპისკოპოსი, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად „ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტობასაც“ ითავსებდა. უკვე ეს გარემოება განაპირობებდა ანჩისა და კლარჯეთის სხვა ეკლესია-მონასტრების მოღვაწეთა შორის ახლო ურთიერთობასა და კავშირს. აღსანიშნავია, რომ ანჩელი მღვდელმთავრები ადრეული ხანიდანვე ახლოს იყვნენ კლარჯეთის მონასტრებთან. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. იქ მოხსენიებულია ზაქარია ანჩელი, რომელიც ტბეთში აღიზარდა და ეპისკოპოსობაშიც არ წყვეტდა კავშირს კლარჯეთის ქართულ საეპარქიოტოსთან, ახლოს იყო გრიგოლ ხანძთელთან და სხვ. (გე—გვ).

ანჩისა და კლარჯეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ახლო ურთიერთობის შედეგად ანჩის მოღვაწეებსაც გაუღვივდათ ლიტერატურული ინტერესი, ზოგიერთმა პირმა კიდევ ცადა თავისი წვლილი შეეტანა ქართული მწერლობის საგანძურში. ასეთ მოღვაწეთაგან პირველად ეზრა ანჩელი უნდა დავასახელოთ.

მიქაელ მორდკეილის ჰიმნოგრაფიულ კრებულში ეზრას სახელითაა შემონახული ექვთიმე დიდის, პალესტინელის, საგალობელი⁷. ამ უცნობ ეზრას თ. ქორდანიანი მე-11 საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევდა⁸, მაგრამ ამ აზრის შეწყენარება ყოველად შეუძლებელია. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიქაელ მორდკეილის კრებული მე-10 საუკუნისაა. საფიქრებელია, დასახელებ-

¹ ქრონიკები, II, გვ. 186, 267. რადგან სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავრები განზე უდგნენ ქართველ კათოლიკოსს, ქართული ეკლესიის მესაქე თითოეული მომნაჩიებელი და ხელდასმის მოხოვნელი მესხი სამღვდლო პირის სიტყვიერ განცხადებას აღარ სჯერდებოდა და კუროთხევამდის ფიცისა და ერთგულების პირობის წიგნს ართმევდა (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 58—59).

² Описание рукописей (A), I, გვ. 189—191.

³ ქრონიკები, II, გვ. 482.

⁴ აღწერა, გვ. 135.

⁵ Д. Баградзе, Об археологической поезде, совершенной в 1879 г. по поручению Академии Наук, в Чорохский бассейн, в Батум, Артвин и Артанудж, ЗАН, XXXVII, 1880, გვ. 49; მისივე, Заметка о Батумской области, ИКОРГО, VI, № 2, 1880, გვ. 163. შდრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 275, შენ.

⁶ ТРА-ГФ, VII, გვ. 93—94.

⁷ ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 165—166; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 344—346; ჩვენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 484—487.

⁸ ქრონიკები, I, გვ. 127, შენ. ნ. შდრ. იქვე, გვ. 115—116.

ბული საგალობლის ავტორი იყოს ეზრა „ღირსი, ანჩელი მამათმთავარი ეპისკოპოსი, დიდებულთა აზნაურთა დაფანჯულთა შვილი“ (მთ), როგორც მას გიორგი მერჩული იხსენიებს. ეს უკანასკნელი მე-10 საუკუნის მოღვაწეა, თანამედროვე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა¹.

მე-12 საუკუნის გასულისა და მე-13 საუკუნის დამდეგის ცნობილი მოღვაწეა ჰიმნოგრაფი იოანე ანჩელი. 1161 წლის: ახლოს შესრულებული სახარების ანდერძში პავლე მტბევეარი მას იხსენიებს დისწულად ისევე, როგორც ანტონ ოპიზელ-ქუთათელსა და სხვებს². აქედან საფიქრებელი ხდება, რომ იოანეს გვარი საღირისძე ყოფილა.

იოანე ანჩელის მოღვაწეობის დათარიღებაში გარკვეულ სამსახურს გვიწევს ანჩის ხატის წარწერა: „ბრძანებითა და ნიეთისა ბოძებითა ღმრთივ-გვირგვინისნისა დიდისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისაითა მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ჯელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჰედად... მოიქედა ჯელითა ბექასითა“³. ეს ფაქტი დომენტი კათოლიკოსისა აქვს დამოწმებული 1685 წელს (თამარის „ბრძანებითა და ნიეთის ბოძებითა იოანე ანჩელს პატიოსნად მოექედა და კლარჯეთს მოესვენებინათ“)⁴.

აღნიშნულ სამუშაოს, — ანჩის ხატის მოქედვას, — ადგილი ჰქონდა 1193 წლამდე, — ე. ი. იოანე ანჩელი იმ დროის მოღვაწეა, თამარის თანამედროვე. მისი ბიოგრაფია ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ერთი ფაქტი კიდევ შეგვიძლია აღვნიშნოთ: რადგან წყაროსთავის სახარების (არქივის ხელნაწერი № 323) მინაწერში თამარის თანამედროვე ანჩელ ეპისკოპოსად უკვე თვოდორე იხსენიება⁵, საფიქრებელია, იოანე ანჩელი თამარზე ადრე გარდაიცვალა. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ დასახელებული ხელნაწერის მინაწერში იოანე რკინაელი გარდაცვალებულად იხსენიება, ხოლო ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ იოანე რკინაელი ანჩელი ეპისკოპოსია⁶.

იოანე ანჩელის პოეტური მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთი თხზულებაა მოღწეული — „გალობანი ანჩის ხატისანი“⁷. ჩანს, იოანემ არათუ მხოლოდ მოაქედინა ხატი, არამედ საკმაოდ პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული „გალობანიც“ კი დაწერა⁸. აქვე აღვნიშნავთ, რომ იოანეს მიერ შექმნილი და ბექას მიერ მოქედილი ხატი 1664 წელს კლარჯეთიდან ჩამოიტანა თბილისელმა ვაჰარამ ამირჯანა იევანგულიშვილმა. ის თბილისის ერთ-

¹ ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. VII, შენ. 1; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 177.

² ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 356.

³ ქრონიკები, I, გვ. 293—294; შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ბექა ოპიზარი, გვ. 8.

⁴ H № 1242, 240 r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 184.

⁵ კ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე, ძვირფასი სახარება, „ივერია“, 1891, № 297; E. Такайшвили, Арх. экскурсии, III, გვ. 37.

⁶ ქრონიკები, I, გვ. 293; E. Такайшвили, Арх. экскурсии, III, გვ. 37—38.

⁷ A № 1040, ფ. 119—122. ამ ხელნაწერზე იხ. შ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ძვირფასი ხელნაწერი, „ღროება“, 1908, № 21; Описание рукописей (A), III, გვ. 305—308. იოანეს „გალობანი“ გამოცემულია პროფ. მ. ჯანაშვილისა (Описание рукописей (A), III, გვ. 308—312) და დოც. ს. ყუბანეიშვილის მიერ (ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 381—383).

⁸ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 322—323, 600—601.

ერთ ეკლესიაში დაასვენეს („საპატრიარქოს საკათედრო ეკლესია ღვთის-
მშობლისა“). ამ ტაძარს შემდეგში ანჩისხატის ტაძარი ეწოდა (II № 1242,
240 r)¹.

ანჩის კათედრალის წიგნსაცავი შეწირული ხელნაწერებითაც მდიდრდებოდა. მაგალითად, ზემოხსენებული თეოდორე „ანჩელ მთავარეპისკოპოსის და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტის“ დროს, 1193—1203 წლებში, ანჩის ტაძარს წყაროსთავის სახარება შესწირა სოფრომ მწიგნობარმა.

¹ ქრონიკები, II, გვ. 482; პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, გვ. 17—18, 22; შ. ამირანაშვილი, ბეჟა ოპიხარი, გვ. 10.

ზ ა მ

ი შ ხ ა ნ ი

იშხანი მდებარეობს ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ ტაფობზე. ვახუშტი წერს: „ართვანს ზეთ მოერთვის ქოროხს დასავლეთიდან ქვეი, რომელი გამოსდის თორთომ-ისპირის მთასა, მოდის აღმოსავლით. ამ ქვეზედ არს იშხანს ციხე, ფრიალ მაგარი, დიდშენი, და ეკლესია გუნბათიანი, დიდშენიერად ნაგები“¹.

ქართველმა მეცნიერებმა დააგვიანეს ამ კერის ნახვა. ვერ ნახვ ის აკად. ნ. მარმა, რომელიც გულისტკივილს განიცდიდა ამის გამო. საინტერესოა მისი დღიურის ნაწყვეტი: „Очень жаль, что нельзя было увенчать ознакомление со сценою, на которой разыгрывались деяния, описанные в Житии, поездкою в Таию, осмотром и изучением Ишхана и столь же славных древних грузинских монастырей Ошка и Хахула, того Ишхана, которому недавно обнаруженный армянский путешественник XVII-го века соперника видит лишь в св. Софии, того Ишхана, про который в турецком населении ходит поговорка: „Öşkin bakışa, хахуанѣн йатѣшѣ, ишханѣн нақѣшѣ“, т. е. славится красота храма Ошка, местоположение Хахула и рослись Ишхана“².

1917 წელს იშხანი დაათვალიერა აკად. ე. თაყაიშვილმა, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გამოაქვეყნა ტაძრის მოკლე აღწერილობა³.

¹ აღწერა, გვ. 136—137 (იშხნის ადგილმდებარეობა აქ არცთუ სულ ზუსტადაა მოცემული). ამავე ავტორისა და უფრო ადრეული ისტორიკოსის—გამთაღმწერლის ცნობებით, იშხნის ციხე ზოგჯერ ბაგრატიონთა სამალავს წარმოადგენდა. მაგალითად, დიმიტრი თავდადებულს მონღოლთა მბრძანებელთან წასელისა და მოწამებობრივი აღსასრულის წინ თავისი ვაჟი გიორგი იშხნის ციხეში გაუზიზნავს (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 288; ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 258. შდრ. ი. ჯაქავანიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 230).

² ТРА-ГѢ, VII, გვ. XXXIV—XXXV. აკად. ნ. მარს აქ მხედველობაში აქვს იაკობ კარინელის (ჰაკობ კარნეცის) თხზულება „აღწერა ზემო სომხეთისა“.

³ ე. თაყაიშვილი, თურქეთის მიერ მიტაცებულ ჰევს მიწაზე, „კომუნისტი“, 26.V.46, № 105 (7578); მისივე, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 7—31. აღნიშნული შრომა ადრე გამოქვეყნდა რუსულ ენაზე: Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Т. 1952.

იშხანი ძველ ქართველთა შემცველი, მათ ნასახლარზე მოსული სომხების საცხოვრებელი ადგილი იყო. მისი სახელწოდება წარმოადგენს არმენიზმს, რომელიც ტოპონიმოკამ შემოგვინახა იმ დროიდან, როდესაც ტაოში სომხები სახლობდნენ¹. საეპისკოპოსო კათედრა იშხანში აუგია იშხნელ სომეხს—ნერსე კათოლიკოსს². გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში იშხანი „კაცთაგან მიუვალ იყო“ (ით). ტაძარი „მეორედ აღაშენა“ გრიგოლის დეიდაშვილმა საბამ.

როგორც ცნობილია, ქართლიდან გამგზავრებულ გრიგოლს წაჰყვა „საბა, რომელსაც ეწოდა საბან, დედის-დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშშენებელი და ეპისკოპოსი მისი“ (ვ). ეს უკანასკნელი გრიგოლთან ცხოვრობდა ხანძთაში, მასვე ახლდა კონსტანტინოპოლშიც. იქიდან დაბრუნებულებს აშოტ კურაპალატი მოკლული დახვდათ (836 წ.). საბა და გრიგოლი მივიდნენ იშხანს. საბას მოეწონა ის ადგილი და იქ დარჩენა ისურვა, მაგრამ გრიგოლმა არ დართო ნება, ხანძთის ძმობას უნდა დაეთხოვო. ხანძთელებთან გამოთხოვების შემდეგ საბა გადავიდა იშხანს და იქ ეკლესიის შენება დაიწყო. ჩანს, ამ ფაქტს 836 წლის ახლოს ჰქონდა ადგილი. მშენებლობას ბაგრატ კურაპალატიც ეხმარებოდა. მალე „იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქურობებულ იყო. აწ კუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღეშენა ამის ნეტარისა მიერ“ (ლ). იშხანმა იწყო ზრდა და შენება, „წარემართა კეთილად“ (ლა).

ამრიგად, ნერსე კათოლიკოსის მიერ მე-7 საუკუნეში აგებული ტაძარი მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, 836 წლის ახლოს, „მეორედ აღაშენა“ საბა იშხნელმა. მისი ნაგებობა მისაბაძი გახდა იმ არქიტექტორისათვის, რომელიც ბანის კათედრალს აშენებდა ადარნასე მეფის (888—923) დროს.

მე-11 საუკუნეში იშხნის ეკლესია ძირეულად გადააკეთეს. 1032 წლის წარწერა იხსენიებს ანტონ იშხნელს, რომელმაც „განაახლა და განასრულა ესე ტაძარი“, და ხუროთმოძღვარ იოანე მორჩაისძეს. მეორე მღვდელმთავარს, აგრეთვე ანტონ იშხნელს, გიორგი მეორის (1072—1089) დროს განუახლებია ტაძრის კარიბჭე³.

იშხნის კათედრალი წარმოადგენს ერთნავიანი ბაზილიკისა და ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრის სინთეზს. გვიანდელ ნაგებობაში არქაული შენობის

¹ თ. გოჩიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰაღიშის ძველში, ენიმკის მოამბე, IV, 2, 1938, გვ. 123.

² Себеос, История имп. Ираклия, СПб., 1862, გვ. 155—156, შდრ. არსენ საფარელისა (ქრონიკები, I, გვ. 331) და გიორგი მერჩულის (გვ. ლ) ცნობები.

³ ანტონ იშხნელი ორჯერ იხსენიება ჯერის მონასტრის აღაპებში (№№ 163, 171). მის ხსენებას ვხვდებით სინას მთის ქართული საეპისკოპოსოს სულთა მატიაშვიცი (ი. ჯ ა ე ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 248). „იშხნელ ყოფილი და აწ საწოლისა და საკქლისა მწიგნობარი ანტონი“ იხსენიება მე-13 საუკუნის სიგელშიც (ს. კ ა კ ბ ა ძ ე, არსენი კყონდიდის ახლად მოპოვებული სიგელი 1240 წ. ახლო დროისა, „საისტორიო მოამბე“, 1925, II, გვ. 133; მისივე, Грамота Арсения Чкондидского архиепископа ок. 1240 года, „საისტორიო კრებული“, II, 1928, გვ. 71—80; ი. ც ი ნ ც ა ძ ე, არსენ კყონდიდელ მწიგნობართუხუცესის ახლად მოპოვებული სიგელი 1240 წლის ახლო დროისა, „საქართველო მოამბე“, 1927, II, გვ. 24—28). ერთი ანტონ იშხნელი (ჯერ ცაგერელი, შემდგომ იშხნელი) იხსენიება სვიმეონ მესვეტის ხატის წარწერაშიც (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 285—286).

ნაშთი ძლივსღა შეინიშნება. ძველი მხატვრობა, რომლითაც ასე განთქმული იყო იზხანი, თითქმის მთლიანად წარხოცილია, აქა-იქ შემორჩენილია თითო-ოროლა ისტორიული ფრესკა და სათანადო წარწერაც¹.

იზხნის საეპისკოპოსო კათედრა საკმაოდ ძლიერი ჩანს. ვახუშტის ცნობით, იზხანში „იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონის მთამდე“². მსგავსი ცნობა შემოუნახავს სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოების საზღვრების ნუსხას: „იზხნელის სამწყსო გური-ჯი-ბოლახს აქეთი, სულ თორთომი, ტაოს-კარს ქვემოთი, არტანუჯისთავს-საკრულავი ჰქვიან, იმას აქეთ, გაღმით ორჯოხის მთას აქეთი, სულ საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოდმა“³. „ველმწიფის კარის გარიგება“ საგანგებოდ გამოყოფს იზხნელის პატივს: „რა სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ-იმიერთ, იზხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევაი და გოლგოთელი, მთრაჲ ეთაყვანენ, ჯელნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს, იზხნელისათჳს უფრო მდაბლად და ორი ანუ სამი ბიჯი წამოიაროს და მოესალმოს, და ამ სხუათათჳს სწორად ნუ დაიძვრის“⁴. აქ იზხნელს განსაკუთრებული პატივი ენიჭება⁵. საგულისხმოა, რომ ამავე ძეგლის ერთი განცხადებით, ქუთათელს „იზხნელის სწორი პატივი მართებს“. ჩანს, „იზხნელობა“ იერარქიული პატივის საზომდაც იყო გამოყენებული⁶. „ველმწიფის კარის გარიგება“ გიორგი ბრწყინვალის დროისაა⁷. ჩანს, იმ დროს იზხანი საკმაოდ მნიშვნელოვანი კათედრა იყო, მაგრამ მისი ძლიერება დიდხანს აღარ გაგრძელბულა, ქართველ მღვდელმთავართა მოგვიანო ხანის ნუსხაში ის უკვე მეათე ადგილზეა მოხსენიებული⁸. საფიქრებელია, საქართველოს ძლიერების დაცემისა და სამეფოს დაყოფის შემდეგ იზხანმაც დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა.

¹ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 175—177; მისივე Заметки о Мандлиском храме, საქართველოს მუზეუმის მოამბე, I, 1922, გვ. 57; მისივე Арх. Кахети, გვ. 225—228, 267, 480; გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936, გვ. 69—70; Н. Северов, Памятники груз. зодчества, М., 1947, გვ. 191—192; პ. ინგოროყვა, გიორგი მერაულე, გვ. 386—391. იხ. აგრეთვე Д. Меликсет-Бекоев, Местечко Ишхан Эрзерумского вилайета, ТЛ, 1915, № 107; მისივე, Некоторые памятники армянской эпиграфики на территории Турции, ЭВ, IX, 1954, გვ. 81—82. განსაკუთრებით საყრადღებოა იზხნის თითმხილველის აკად. ე. თაყაიშვილის ხეზოდასახელებული შრომები. იზხნის მხატვრობაზე დამატებით იხ. III. Амир-нашвили, История грузинской монументальной живописи, I, გვ. 105—107. იხ. აგრეთვე Д. Баκραдзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 58—59.

² აღწერა, გვ. 137.

³ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 8.

⁴ ველმწიფის კარის გარიგება, გვ. 14.

⁵ იზხნელის პატივი დამოწმებულია მეფის კურთხევის წესშიც (ს. კაკაბაძე, მეფის კურთხევის წესი, XIII საუკ. დასაწყისის შედგენილი, თბ., 1913, გვ. 6—8. იხ. აგრეთვე К. Келидзе, Литургические грузинские памятники, გვ. 128—131, 174—176, 467; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 68—73; II, ნაკვ. II, გვ. 8; ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, აფხაზეთის კათალიკოზი XIII—XV საუკუნეებში, „იმომობილველი“, I, 1926, გვ. 104).

⁶ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 23.

⁷ ველმწიფის კარის გარიგება, გვ. III—IX; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 62—68.

⁸ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6.

გვიანფეოდალური ხანის წყაროებში აქა-იქ შემდეგშიც ვხვდებით იშხნელ ეპისკოპოსთა თუ მიტროპოლიტთა ხსენებას, რაც მე-16—17 საუკუნეებში იშხანში ქართული საეპისკოპოსო კათედრის არსებობას ადასტურებს. აქვე მოვიტანთ სათანადო ცნობებს.

ართვინის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქართული სახარების 1650 წლის მინაწერში იხსენიება იშხნელი მთავარეპისკოპოსი მაკარი¹; ერთი ცნობით, ქორონიკონსა ტლ^შ (=1650 წ.) „საფრიძეს მტბეუარს იშხნელობა და მაწყვეროლობა მოუვიდა ხვანთკრისგან“². უკანასკნელი მოწმობა განსაკუთრებით საყურადღებოა. ის გვაცნობს ქართული საეპისკოპოსო კათედრის თურქეთის ხელისუფლებაზე დამოკიდებულების ფაქტს. ჩანს, გვიან ხანაში იშხნელ მწყემსმთავრებს არათუ ძველი პატივი დაუკარგავთ, არამედ მაჰმადიანი დამპყრობლების ხელქვეითნიც გამხდარან; 1687 წელს კიდევ იხსენიება იშხნელი ეპისკოპოსი³, ხოლო შემდეგროინდელი იშხნელი მღვდელმთავარი ჩვენთვის ცნობილი არაა. გელათ-გარეჯის გულანის (A № 186) მინაწერში იხსენიება იშხნელი მიტროპოლიტი გერმანოზი⁴, მაგრამ მისი მოღვაწეობის ზუსტად დათარიღება არ ხერხდება.

ამრიგად, ჩვენამდე მოღწეული ცნობებით იშხნის კათედრალი არსებობას განაგრძობდა მე-17 საუკუნის დასასრულამდე.

იშხნელ მოღვაწეთაგან პირველ რიგში უნდა ვახსენოთ საბა. მისი ბიოგრაფიის ცალკეულ მომენტებს ჩვენ ვეცნობით გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. ის იყო ქართლიდან, დეიდაშვილად ხედებოდა გრიგოლს. მე-8 საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს გრიგოლს წაჰყვა კლარჯეთში და ხანძთის სავანეში დამკვიდრდა (აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საბა მე-8 საუკუნის 60-იან წლებში მაინც უნდა იყოს დაბადებული). საბა 836 წლამდე ცხოვრობდა ხანძთაში, სადაც მოღვაწეობდა გრიგოლის მეთვალყურეობის ქვეშ. 836 წლის ახლოს, ბაგრატ კურაპალატის ხელშეწყობითა და დახმარებით, განაახლა იშხნის ძველი ტაძარი და იქაურ ეპისკოპოსად ეკურთხა⁵.

მართალია, ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ხასიათის ცნობა საბას ლიტერატურულ საქმიანობაზე, მაგრამ მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან. ჩვენც მას შევხვებით.

როდესაც ბაგრატ კურაპალატმა გაიგო იშხნის შენება და საბას საქმიანობა, „ფრიად განიხარა და მსწრაფლ დაწერა წიგნი და წარავლინა კაცნი

¹ Д. Баградзе, Об археологической поездке, совершенной в 1879 г. по поручению Академии Наук, в Чорохский бассейн, в Батум, Артави и Артапудж, ЗАН, XXXVII, 1880, гв. 49; მისივე, Заметка о Батумской области, ИКОРГО, VI, № 2, 1880, гв. 164; მისივე, Историческо-этнографический очерк Карсской области, ИКОРГО, VII, № 1, 1881, гв. 200. იხ. აგრეთვე Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, гв. 151. შტრ. ТРА-ГФ, VII, гв. 199.

² S № 252, гв. 18; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 258; ქრონიკები, II, გვ. 465, 475, VII. იხ. აგრეთვე Е. Такайшвили, Мат. для истории Грузии, гв. 11.

³ ქრონიკები, II, გვ. 506; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი მ, „ივერია“, 1898, № 17; Опис. рукописей (A), I, გვ. 2.

⁴ Опис. рукописей (A), I, гв. 204; მ. ჯანაშვილი, დიდი ხელნაწერი, „მოამბე“, 1901, VI, განყ. II, გვ. 56.

⁵ შტრ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერხულე, გვ. 349, 384.

კეთილნი და პატივით უწოდა მას*, მაგრამ საბა არ გამოცხადდა სასახლეში. ბაგრატიმა მას მეორედ გაუგზავნა წერილი. საბას წერილი გაუგზავნა გრიგოლ ხანძთელმაც. „საბან დაემორჩილა მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროდს ხოლო წიგნსა მამისასა“ (კთ-ლ). სასახლეში გამოცხადებულ საბას ბაგრატიმა ჰკითხა პირველ წვევაზე მიუსვლელობის მიზეზი. საბამ გაბედულად უპასუხა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამით მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთაჲ. შენ წარმავლთა ამით ეამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოჲ ნეუფე და სრული ჰგიეს უცვალებელი. უეამოჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთაჲ. და უფროდს შენსა ჯერ-არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ „ვერვის კელწიფთების მონებაჲ ორთა უფალოთაჲ“. არამედ აწ სიტყუათ ძმისა და მოძღურისა ჩუენისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“ (ლ).

ამ დეტალზე ყურადღება გაამახვილა აკად. კ. კეკელიძემ¹. მისი აზრით, ეს ადგილი იპოლიტე რომაელის (II—III სს.) შრომის—„დავითისათჳს და გოლიათისათჳს“ ერთი ნაწყვეტის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. ამის მიხედვით მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია იპოლიტე რომაელის თხზულებათა თარგმნა საბა იშხნელის მიერ 836—842 წლებში. ამ დებულებას თითქოს მხარს უჭერს ის ვარაუგება, რომ ადრე იშხანი სომხების კერა იყო და საბას ეცოდინებოდა სომხური, აგრეთვე ისიც, რომ შატბერდის კრებული, რომელშიც იპოლიტეს თხზულება გვხვდება, ნაწილობრივ დავალებულია იშხნის ხელნაწერით, მისი ერთი ნაკვეთი გადაწერილია „დედითა იშხნისაჲთა“. ეს, უთუოდ, საინტერესო დებულებაა, მაგრამ შეწყყნარება ძნელი ჩანს, რადგან იპოლიტე რომაელის ციტატის მოტანა გიორგი მერჩულსაც შეეძლო². ამდენად საბა იშხნელის ლიტერატურული მოღვაწეობა ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს.

მე-10—11 საუკუნეების მოღვაწეთაგან ჩვენთვის ცნობილია ილარიონ იშხნელი. მისი დაკვეთითაა გადაწერილი ასკეტიკურ თხზულებათა კრებული (A № 35), რომელიც ნიქოზის ეკლესიის ეზოში იპოვა ი. დავითაშვილმა³. მასვე 1033 წელს მოუგია დიდმნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომელიც მესტიის სახარების სახელითაა ცნობილი. ამას გვაუწყებს მინაწერი: „ქრისტე, მოწყალეებითა შენითა შეიწყალე და აღიდე სულიერად მონაჲ შენი მომგებელი წმიდისა ამის წიგნისაჲ ილარიონ იშხნელი“ და „გლახაკმან ილარიონ, ძემან მასორისმან ი[შხ]ნელ ებისკოპოზმან მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი და აღვაწერიე... ვილუაწე მოგებად და აღვეწრე ლავრასა შინა... ოშჳს, კელითა გლახაკისა გაბრიელ გიორგის ძმისწულისაჲთა ქრონიკონსა სნგ(=1033 წ.) სალოცველად და სადიდებლად... მეფეთა ჩუენთა ბაგრატ კურაპალატისა და დედისა მათისა, მარიამ დედოფალთ-დედოფლისა“⁴.

¹ კ. კეკელიძე, ციტატი იპოლიტე რომაელთან გიორგი მერჩულის შრომაში, ეტიუდები, I, გვ. 231—234.

² ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს, გვ. 030, შენ.

³ ქრონიკები, I, გვ. 91; Опис. рукописей (A), I, გვ. 26—27.

⁴ Д. Баградзе, Святителя ЗНОРГО, VI, 1864, გვ. 98; ბ. ნიქარაძე, სენათის ხელნაწერები, „მოამბე“, 1904, IX, განყ. II, გვ. 14—16; А. Хаханов, Святительское писание евангелия, МАИ, X, 1904, დამატება, გვ. 10; ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 280—281 (იხ. აგრეთვე არქ. ხელნ. № 188).

მესტიის სახარება საკმაოდ განსხვავდება სხვა ქართულ სახარებათაგან. ის განსაკუთრებული რედაქციისაა და, აკად. კ. კეკელიძის აზრით, ექვთიმე ათონელისეული უნდა იყოს¹.

ილარიონ იშხნელის სახელი იკითხებოდა ცაგერის ეკლესიაში დაცულ ჯვარზე, რომელიც 1924 წ. დოც. გ. ჯაკობიამ ჩამოიტანა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში. ჯვარს ჰქონდა საინტერესო მინაწერები: „იშხნისთვის ილარიონ შექმნა“, „ძელო ცხორებისაო, წინამძღუარ და მფარველ ექმენ ილარიონ ეპისკოპოსსა“. „ქრისტე, აღიდენ მეფენი ჩუენნი და ერი მათი დაიფარე. ქორონიკონი იყო რეგ (=973 წ.)“². ერთი გარემოება კი იწვევს ეჭვს. რამდენად დასაშვებია ილარიონ იშხნელის ეპისკოპოსობა 973 და 1033 წლებში? აქ ხომ 60 წლის სხვაობაა!³

ნე-16 საუკუნეში იშხანში ლიტერატურული ტრადიციები კვლავ გრძელდება. იქ მოღვაწეობს ამბერკი იშხნელი, რომლის დავალებით და დახმარებით ცნობილმა კალიგრაფმა სვიმეონ კარგარეთელმა განაახლა და გააცხოველა 1233 წლის ძვირფასი ხელნაწერი (A № 85), რომელიც აბუსერისძე ტბელისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა უაღრესად მნიშვნელოვან ორიგინალურ თხზულებებს შეიცავს. ხელნაწერის აღმდგენი წერს: „ღმერთო, შეიწყალე სვმეონ კარგარეთელი... აღიდე ორთავე სუფევათა შინა... შენ მიერ დიდქმნილი... მეუფე ჩუენი ამბა იშხნელი ამბერკი, რომელმან დიდად ილუაწა მოგებად და ხარკებად წმიდისა ამის წიგნისა“⁴.

აქვე უნდა განვიხილოთ არსენ იშხნელის საკითხი. კლასიკური ხანის ლიტერატურულ ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თამარის პირველ ისტორიას („ისტორიანი და ახმანი შარაევანდედთან“), რომელიც ცილდება ისტორიული ნაწარმოების ფარგლებს და მხატვრული ლიტერატურული შემოქმედების თვალსაზრისით ძეგლს წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ, მის ავტორად ასახელებდნენ ანტონ გლონისთავისძეს (თ. ყორღანია), სარგის თმოგველს (პ. ინგოროყვა), მანდატურთუხუცეს ჭიბერს (ს. კაპაბაძე). ძეგლის გამომცემელმა აკად. კ. კეკელიძემ ტექსტის ერთი ადგილი („არსენი იტყვის იყავ ნელი...“) არსენ იშხნელად წაიკითხა და თხზულება ამ უცნობ პირს, მისი ვარაუდით, მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეს მიაკუთვნა⁵. ამ საინტერესო მოსაზრების დამადასტურებელი დამატებითი მასალა ჯერ არაა მოპოვებული, ხოლო ჰიპოთეზის ავტორის მიერ

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 194—195. პარტიკულური მეცნიერის აზრით, ილარიონ იშხნელს ერთგვარი ლიტერატურული კავშირი ჰქონია ექვთიმე ათონელთან.

² M. Brosset, Rapports, II, გვ. 35—36; ქრონიკები, I, გვ. 91; MAK, X, 1904, დამატება, გვ. 32—33. აღნიშნულ ჯვარზე იხ. გ. ჩუბინაშვილი, 973 წლის ჯვარი იშხანში, საქართველოს მუზეუმის შობაზე, VI, 1931, გვ. 297—314; ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 50—54.

³ პროფ. ა. ხახანაშვილი ქორონიკონს „სნგ“-ს კითხულობდა, რაც 1033 წელს იძლეოდა (MAK, X, 1904, დამატება, გვ. 33). სამწუხაროდ, ჩვენ აღარ გვაქვს წარწერის შემოწმების შესაძლებლობა. რაც შეეხება მესტიის სახარების მინაწერს, ჩვენ ის პირადად შევამოწმეთ სვანეთში სამეცნიერო მივლინების დროს 1955 წელს.

⁴ ქრონიკები, II, გვ. 111; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი მდ, „ივერია“, 1898, №№ 56, 58—60.

⁵ ისტორიანი და ახმანი შარაევანდედანი, გვ. 22—23.

წარმოდგენილი საბუთი არაა დამაკმაყოფილებელი და სავსებით სარწმუნო. ამასთანავე, ტექსტის ზემომოტანილი ადგილის სხვაგვარი გაშიფვრა და გააზრებაც გამორიცხული არაა¹. აღნიშნული გარემოების გამო არსენ იშხნელის არსებობა ჯერჯერობით დამტკიცებული არაა².

იშხანში ლიტერატურული საქმიანობის ფართოდ გაშლასა და ხელნაწერთა სიმრავლეს ადასტურებს ზოგიერთი ნუსხის მინაწერიც. ნხედველობაში გვაქვს შემდეგი ხელნაწერები:

1. შატბერდის კრებული, რომლის ერთ ძეგლს აქვს ასეთი მინაწერი: „ესე კაცისა შეაქმს დაიწერა დედითა იშხნისაჲთა“³ და

2. პარხლის მრავალთავი (A № 95), რომლის გადამწერი გაბრიელ პატარაი გვაუწყებს, რომ მას ხელთ ჰქონდა იშხნური ხელნაწერიც: „ესე მამათა ცხოვრებაჲ, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვილენ და მით გაეასრულენ“⁴. სხვათა შორის, დადიანის წიგნსაცავში აკად. მ. ბროსეს უნახავს ნაწყვეტები ეტრატის სახარებისა წარწერით: „დაიწერა იშხანს, საყოფელსა წმიდათა მოციქულთასა, დასაბამითგან წელთა ხელმ (= 1034 წ.)“⁵.

ო შ კ ი

ტაოს საყურადღებო კულტურულ-საგანმანათლებლო კერის, ოშკის მონასტრის⁶ ადგილმდებარეობა დიდხანს არ იყო დაზუსტებული, ზოგ მკვლევარს ის ათონის მთაზე ეგულებოდა⁷. დ. ბაქრაძე იქაშლისაც კი მივიდა, რომ განაცხადა: ათონის მთის ოშკის სივანის ანალოგიით ეს სახელი ქოროხის ხეობის ტაძარსაც (ეოშხი) ეწოდა⁸. მეცნიერთა შეცდომა იმან განაპირობა,

¹ ი. ლოლაშვილი, იყალთოელისა და კიმიქმელის იამბიკოებისათვის, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 27.VIII.50, № 35 (332).

² აღნიშნული ძეგლის რუსული თარგმანის გამოცემაში აკად. კ. კეკელიძე ავტორის ვინაობის საკითხს აღარ შეხებია (История и происхождение венециослеса, გვ. 6).

³ ქრონიკები, I, გვ. 99; Опис. рукописей (S), II, გვ. 634.

⁴ A № 95, გვ. 1222; Опис. рукописей (A), I, გვ. 113. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ლა, „ივერია“, 1897, № 267.

⁵ M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848, I livr., St.—P., 1849, გვ. 66; ქრონიკები, I, გვ. 176. აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, „წამებაჲ დავითისი და ტარიქანისი“ იშხნის ლიტერატურულ კერას უკავშირდება (იხ. მისი ძველი სოხუმური საისტორიო მწერლობა, I, თბ., 1935, გვ. 38).

⁶ ოშკი მეგრულ-კანურ შქა (—შუა)საგან ნაწარმოებად მიიჩნია დოც. თ. გონიაშვილს (იხ. მისი დიპლომატიკისათვის ჰადისის ძეგლში, ენიშკის მოამბე, IV, 2, 1938, გვ. 123). პროფ. მ. ჯანაშვილის აზრით, ოშკის ტაძარი უნდა იგულისხმებოდეს (!) დიდორე სცილიელის მიერ მოხსენიებულ მხის ტაძარში (იხ. მისი ეშხის მადლა, „ეთაბრი და ცხოვრება“, 1915, № 38, გვ. 12—13).

⁷ А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 72, 89; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 243; ქრონიკები, I, გვ. 107—188. პროფ. ა. ცაგარლის ცნობათა საფუძველზე ოშკს ათონზე ეძებდა ი. ფანცულაია (A № 1144; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 190, შენ.). ათონზე ეგონა ოშკი პ. პეტერსისა (იხ. „იმომოზილენი“, I, 1926, გვ. 276).

⁸ დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 223. იხ. აგრეთვე Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 200.

რომ ათონის მონასტერში აღმოჩნდა ოშკური ხელნაწერები, რომელთა ანდრო-მინაწერებში ათონელი მოღვაწეები იხსენიებოდნენ. ეს თითქოს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ოშკი ათონზე არსებულ მონასტრად მიეჩნიათ.

ადგილზე შემოწმებამ ცხადყო, რომ ოშკის მონასტერი მღებარეობს თორთუმის ციხის ახლოს, თორთუმის ტბაში ჩამდინარე თორთუმის წყლის შესართავის მახლობელ მაღალ მთაზე, მისი სახელისავე სოფელში. როგორც მისი აღმწერი აკად. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, ოშკის ტაძარი, რომელიც მნახველს აოცებს თავისი გრანდიოზულობით, სამკაულებით, სიღამაზით და ჰარმონიული სტილით, „предстает перед глазами как седой гигант, претерпевший много невзгод на своем веку и значительно пострадавший“¹. მოცულობით მას ბაგრატის ტაძარი (ქუთაისი), სვეტიცხოველი და ალავერდის კათედრალი თუ შეედრება. არქიტექტორს, რამდენადმე, იშხნისათვის მიუბაძავს, მაგრამ საკმაოდ გაზრდილი მასშტაბი აუღია. მას მოუყია ორგანული სინთეზი ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრისა და ერთნავიანი ბაზილიკისა ჩრდილოეთის ეკვდრით. უკანასკნელ ხანს ტაძრის სამხრეთი მკლავი მეჩეთად გადაუკეთებიათ. ძველი დიდებული მხატვრობიდან მკირეღაა გადაჩენილი. სხვათა შორის, შეინიშნება ნინოს რელიეფური გამოსახულებაც (—ეს ერთადერთია საქართველოში). მრავლადაა შემონახული წარწერები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება ოშკის ტაძრის აგების თარიღის განსაზღვრა. ოშკის მონასტრის ვრცელი და საინტერესო წარწერებიდან ვგებულობთ, რომ ტაძრის მშენებლობას, რომელსაც ადგილი აქონდა ადარნასე მეფის დროს, ხელმძღვანელობდა გრიგოლ ოშკელი². დღეს უკვე დაღვინდია, რომ აქ იგარაუდება ადარნასე III (გარდ. 961 წ.)³, მამა ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა (გარდ. 966 წ.) და დავით III კურაპალატისა (გარდ. 1001 წ.) და არა ადარნასე II (გარდ. 923), როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობდა⁴. ოშკის მონასტრის აგება ტაძრის წარწერების საფუძველზე 958—961 წლებს მიეკუთვნება.

ოშკის ისტორიას ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ. ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე მას იხსენიებს თამარის მხედრობის მიერ მტრისაგან განთავისუფლებულ პუნქტთა შორის⁵. სხვა შემთხვევა მკვიდრებში ოშკის მოხსენიებისა, ჩვენთვის უცნობია. სათანადო დოკუმენტში დამოწმებულია, რომ „მონასტერი ოშკი მისითა შესავლითა“ კათოლიკოსის სამწყსო იყო⁶.

ოშკი თავის დროზე ქართული განათლების, ქართული მწიგნობრობის დიდი კერა იყო. ძველი მონასტრის ტერიტორიაზე ყურადღებას იმსახურებს

¹ Е. Таваишвили, Арх. экспедиция 1917-го года в южнне провинции Грузии, გვ. 45 (შდრ. ქართული თარგმანი, გვ. 32).

² ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, გვ. 33—34, 66.

³ ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 169—170.

⁴ Д. Баградзе, Историческо-этнографический очерк Карсской области, ИКОРГО, VII, № 1, 1881, გვ. 200; მისივე, Об отношениях Армении и Грузии к Византии вообще и в X в. в особенности, ИКОИЛ, т. I, № 1, 1882, გვ. 81; მისივე, ისტორია საქართველოსი, გვ. 223. იხ. აგრეთვე მისივე, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 152—154.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 368.

⁶ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 7.

ერთი დიდი ნაგებობის ნანგრევი — სამნაიანი ბაზილიკა, რომელსაც ჩრდილოეთიდან დიდი ოთხკუთხა დარბაზი ეკვრის¹. ეს სემინარია-სასწავლებლის შენობა უნდა იყოს. საფიქრებელია, აქ ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას გრიგოლ ოშკელი, იოანე ჩირაი, სტეფანე დეკანოზი, 978 წლის ბიბლიის გადამწერნი და სხვანი.

გრიგოლ ოშკელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ძალზე მცირე რამ ვიცით. ჩვენამდე მოღწეული მწირი ცნობებით, ის შეიძლება მივიჩნიოთ მე-10 საუკუნის საეკლესიო მოღვაწედ. გრიგოლ ოშკელი, ჩანს, დამაკმაყოფილებლად ფლობდა სომხურ ენას და თარგმნიდა კიდევ იქიდან სასულიერო-საეკლესიო ხასიათის თხზულებებს. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოება: ერთ ხელნაწერში (A № 87) შემონახულია გრიგოლ ღვთისმეტყველის „საკითხავი სამხილებელი არიანოსთა და ევნომიანოსთა ბოროტადუწესობისაჲ“. მას არშინაზე მოეპოვება მინაწერი, რომელიც გვაუწყებს, რომ დასახელებული ძეგლი გრიგოლ ოშკელისაა, ე. ი. მის თარგმანს წარმოადგენს². ამას ადასტურებს ფერემ მცირის მოწმობაც. როგორც ცნობილია, ფერემმა თარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის „ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყველებისათჳს“ და დაურო შენიშენა: „ლოცვა ყავთ, წმიდანო და ქრისტეს მოყუარენო, ფერემისათჳს თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი, რამეთუ ნეტარისა გრიგოლ ოშკელისა მიერ სომხურისაგან თარგმნილი ესოდენ ვპოვე, ხოლო მე სომხურისა წილ ბერძულისაგან კულად მეორედ ვიძულე თარგმნად, რამეთუ სომეხისა შეილსა და ბერძენისა შეილისშვილს-ლა, ნუუკუე და არა უეჰველსა, თვთ უეჰვი და საკუთარი შეილი აღვირჩიე“³.

ამრიგად, ფერემ მცირეც ამოწმებს რომ ზემოხსენებული თხზულება ადრე გრიგოლ ოშკელმა თარგმნა. საფიქრებელია, გრიგოლ ოშკელმა გრიგოლ ღვთისმეტყველის სხვა საკითხავებიც თარგმნა; აკად. კ. ქეკელიძე მას მიაწერს გრიგოლ ღვთისმეტყველის კიდევ ერთი თხზულების, — „ქებაჲ და შესხმაჲ ნეტარისა კესარიოს ძმისა თჳსისაჲ“, — თარგმნას⁴.

მე-10 საუკუნის 70-იან წლებში ოშკის ლავრაში მოღვაწეობდა სტეფანე დეკანოზი, რომელსაც გადაუწერია ძვირფასი წიგნი — „სამოთხე“ (ი. ოკროპირის, ფერემ ასურისა და სხვათა სწავლანი)⁵. ამას გვაუწყებს მინაწერი: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, მამობასა საბაჲსა... ჯელითა სტეფანე დეკანოზისაჲთა და მისითა ჯელითა შეიმოსა... ქრონიკონი იყო რჳჲ (=977 წ.)“.

¹ ოშკის შესახებ იხ. ე. თაყაიშვილი, თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე, „ომუნისტი“, 26.V.46, № 105 (7578); მისივე, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 32—58; მისივე, მოგონებები, „მნათობი“, 1959, № 8, გვ. 161. იხ. აგრეთვე III. Амхранишвили, История грузинского искусства, I, გვ. 158—159, 162; მისივე, История грузинской монументальной живописи, I, გვ. 107—108. ოშკის ტაძრის დათარიღებაში განსხვავებული პოზიცია უჭირავს აკად. გ. ჩუბინაშვილს (Арх. Кавкази, გვ. 400; ქართული ხელოვნება, V, 1959, გვ. 258). პატრივტიული მეცნიერის აზრით, ტაძრის მშენებლობა დაწყებულ იქნა 958 წელს და კარგა ხანს გრძელდებოდა.

² Описание рукописей (A), I, გვ. 87.

³ იქვე, გვ. 294; ქრონიკები, I, გვ. 227.

⁴ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 170—171, 263—264, 271, 482.

⁵ დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 243—245; ქრონიკები, I, გვ. 107—108. იოანე მოსხის „სამოთხე“ 1960 წელს გამოაქვეყნა პროფ. ილ. აბულაძემ.

ხელნაწერის მიერ შემონახული ცნობებით ირკვევა, რომ მისი დამკვეთნი ცნობილი ათონელი მოღვაწეები იოანე-თორნიკე და იოანე-ვარაზვაჩე ყოფილან („მე, იოვანე თორნიკ-ყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე-ვარაზვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისათა, შოვიგეთ და დეიწერეთ წმიდაად ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ სამოთხც“).

სტეფანე დეკანოზის მიერ გადაწერილი და შემოსილი ხელნაწერი (ა. ცაგარლით № 69; რ. ბლეიკით № 9) დაცულია ათონის მთაზე, მისი პირი გადმოიღო და წამოიღო საქართველოში ი. ფანცულაიამ. ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (A № 1142)¹.

ოშკის სავანეში მოღვაწეობდა იოანე ჩირაიცი, რომელსაც მე-10 საუკუნის 70-იან წლებში გადაუწერია იოანე ოქროპირის ცხოვრება და კოზმანის „აღმოყვანებისათვის ნაწილთა წმიდისა... იოვანე ოქროპირისათა“². შემონახულია სათანადო მინაწერიც: „დაიწერა წმიდაად ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშკს... წინამძღურობა[სა] წმიდისა მამისა საბაძსსა... ჯელითა ჩემ გლახაკისა საწყალობელისა იოვანე ჩირაძისათა“. მინაწერებიდან ცხადი ხდება, რომ ეს ხელნაწერიც ცნობილი ქართველი მოღვაწეების იოანე-თორნიკესა და იოანე-ვარაზვაჩეს დაკვეთითაა დამზადებული („წადიერ ვიყავ მსახურებისათვის ღმრთივდიდებულთა უფალთა და წმიდათა მამათასა პირველად იოვანე თორნიკ სინგელოზისათვის და ვარაზვაჩე იოვანესთვის და შვილთა მათთვის ერთობით“).

აღნიშნული ხელნაწერიც ახლა ათონზე ინახება (ა. ცაგარლით № 52; რ. ბლეიკით № 3). 1815 წ. მისი პირი გადმოიღო და საქართველოში ჩამოიტანა ი. ფანცულაიამ. ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (A № 1144)³. ის შეისწავლა და იოანე ოქროპირის ცხოვრების კრიტიკული ტექსტის მომზადებისას გამოიყენა პროფ. ილ. აბულაძემ⁴.

ოშკის ლავრაში გადაწერილ წიგნთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიბლიის ხელნაწერს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ოშკის ბიბლიის ან ათონის ბიბლიის სახელითაა ცნობილი. ეს უკანასკნელი სახელი ხელნაწერს ეწოდა მისი ახლანდელი ადგილსამყოფელის მიხედვით.

ოშკის ბიბლიის ძვირფასი ხელნაწერი (ა. ცაგარლით № 2; რ. ბლეიკით № 1; I ტ. 532 ფ., II ტ. 428 ფ.) დამზადებულია მე-10 საუკუნეში, 978 წელს. ის გადაუწერიათ ოშკელ მოღვაწეებს მიქაელ ვარაზვაჩეს ძეს, სტეფანე მწერალსა და გიორგი-გელასის ძეს. ხელნაწერს აქვს ანდერძები, რომელთა მიხედვით ხერხდება მისი გადაწერის ადგილისა და თარიღის დადგენა, მწერლისა და მომგებლის ვინაობის ვარკვევა და სხვა საკითხების დაზუსტება.

„დაიწერა წმიდაად ესე წიგნი ჯელითა სამთა მწერალთა: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა... ოდეს ესე წიგნი დაიწერა ქორონიკონი იყო რქჲ (= 978 წ.)... შეიმოსა ჯელითა გლახაკისა სტეფანესითა,“—გკითხულობთ ერთ ანდერძში. სხვა ანდერძებიდან ცხადი ხდება, რომ ოშკის ბიბლია დამ-

¹ ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 179—188.

² დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 243—245; ქრონიკები, I, გვ. 109.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 189—191.

⁴ ილ. აბულაძე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოცხადი ძველ ქართულ მწერლობაში, ვნიშკის მოამბე, XIV, 1944, გვ. 58—63.

ზადებულია იოანე-თორნიკეს დაკვეთით: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა უშეს (=ოშეს), საყოფელსა წმიდასა ნათლისმცემლისასა, სალოცველად სულკურთხეულისა თორნიკ სვგელოზისათეს და შეიღთა მისთა“. შემონახულია იოანე-თორნიკეს ანდერძი: „მე, იოვანე თორნიკ ყოფილმან, ძე[მან] სულკურთხეულისა ჩორდვანელისამან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი“.

ოშესის ბიბლია უძველესი თარიღიანი ნუსხაა ქართული ბიბლიის შემცველ ხელნაწერთა შორის და ძველი აღთქმის წიგნების თარგმნის, რედაქციისა და ფილიაციის საკითხების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობის ნუსხადაა მიჩნეული. ამიტომაც მან აღრევე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. 1849 წელს ხელნაწერი ათონიდან თბილისში ჩამოიტანა პ. იოსელიანმა. ის გადაწერილ იქნა ორ ცალად: 1. სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისათვის (S № 422). 2. თბილისის სიონის ტაძრისათვის (A № 471). ამის შემდეგ ხელნაწერი დაუბრუნდა ათონის საფანეს. მისი პირველი აღწერილობა მოგვცა პროფ. ა. ცაგარელმა¹. 1898 წელს გაიკნო და ზოგი ადგილი გადმოიწერა აკად. ნ. მარმა². ათონზევე ნახა ის 1902 წ. პროფ. ა. ხახანაშვილმა, რომელმაც სპეციალური მოხსენება წაიკითხა არქეოლოგთა მეთორმეტე ყრილობაზე ხარკოვში³. ოშესის ბიბლიის თბილისური პირები აღწერეს პროფ. ა. ცაგარელმა⁴, თ. ეორდანიამ⁵ და თ. ბრეგვაძემ⁶. ათონზე დაკული ნუსხა უკანასკნელად ვრცლად აღწერა პროფ. რ. ბლეიკმა⁷.

დიდი ხნის ისტორია აქვს ოშესის ბიბლიის ტექსტის გამოცემასაც. 1886 წელს ქება ქებათა გამოაქვეყნა პროფ. ა. ცაგარელმა⁸, 1920 წ. ეკლესიასტე—აკად. კ. კეკელიძემ⁹. მე-20 საუკუნის ათიან წლებში ოშესის ბიბლიის გამოცემას ხელი მიჰყო რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ. აკად. ი. ჯავახიშვილმა, პროფ. ი. ყიფშიძემ და აკად. ა. შანიძემ ტექსტიც გაამზადეს, ბეჭდვაც დაწვებულ იქნა, მაგრამ ომმა შეწყვიტა ეს საქმე.

1947 წელს აკად. ა. შანიძემ წამოიწყო ოშესის ბიბლიის ბეჭდვა იმ სახით, როგორც ხელნაწერშია (მის ფოტოპირში) წარმოდგენილი. უკვე გამოქ-

¹ А. Цагарели, Сведения, т. I, № 1, гл. 69—75.

² Н. Марр, Из поездки на Афон, ЖМНП, 1899, III, гл. 13.

³ А. Хахапов, Афонский список греч. Библии 978 г. и его значение для исправления печатного текста, ВВ, 1903, XI, гл. 418—426.

⁴ А. Цагарели, Сведения, т. I, № 1, гл. 1—8.

⁵ Описание рукописей (А), II, гл. 35—41.

⁶ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 535—538.

⁷ R. Blake, The Athos Codex of the Georgian Old Testament, HTR, XXII, № 1, 1929, გვ. 33—56; მისივე, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos, Extrait de la Revue de l'Orient Chrétien, 3-e Série, VIII (XXVIII), № 3 et № 4, 1932, გვ. 301—304. იხ. მისივე, The Georgian Text of Fourth Esdras from the Athos Manuscript, HTP, XXII, № 1, 1929, გვ. 57—105.

⁸ А. Цагарели, Сведения, т. I, № 1, гл. 17—56.

⁹ თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისა, გვ. 180—226.

ვეყნდა პირველი ტომის ორი ნაკვეთი¹. მომდევნო ნაკვეთების გამოცემა, სამწუხაროდ, ერთობ იგვიანებს.

ოშკის ბიბლიის ერთ-ერთი გადამწერი მიქაელ ვარაზეაჩეს ძე ანდერძებში რამდენჯერმე იხსენიება (მაგალითად „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ძე ვარაზეაჩესი,—დიდი სიტკობეაა მიჩუენეს ამის წიგნისა შრომასა“) ². საფიქრებელია, ეს მიქაელ ვარაზეაჩეს ძე იყო ცნობილი ჰიმნოგრაფი, ოშკის სავანის გამორჩენილი მოღვაწე მიქაელ მოღრეკილი. მის სახელთანაა დაკავშირებული ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულის შედგენა (S № 425) ³. დღეს თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მიქაელ მოღრეკილის კრებული მე-10 საუკუნეში, 978—988 წლებშია შედგენილი ⁴.

კრებულს შემონახული აქვს მიქაელის ანდერძები: „მე, გლახაკმან... მიქაელ მოღრეკილმან ვილუაწე... და შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაათა, მეხურნი ბერძულნი და ქართულნი“. საინტერესოა მერვე ცნობაც: „მე გლახაკმან მიქაელ მოღრეკილმან, ძმისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა დავითისმან, ვილუაწე და ყოვლით კერძო შრომაა ვაჩუენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულსმოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპარნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაათა, მეხურნი ბერძულნი და ქართულნი“ ⁵. როგორც მოტანილი ცნობებიდან ირკვევა, მიქაელ მოღრეკილს

¹ წიგნი ძველისა აღთქმისანი, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, ნაკვ. I, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ, თბ., 1947; ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1948. ამ გამოცემაზე იხ. მ. კ ა ხ ა ძ ე, ფილოლოგიური შენიშვნები, V. შენიშვნები „ოშკური ბიბლიის“ გამოცემული წიგნების შეახებ, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 115—125.

² А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 71.

³ ამ კრებულზე იხ. პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, IX საუკუნის ტყაზე ნაწერი საგალობელი, „ივერია“, 1886, № 140; Н. е. р. х. о. з. о. г, Грузинская поэзия рукописей X века, НО, 1891, № 2583; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საუნჯე მათე საუკუნისა, „ივერია“, 1891, №№ 147, 148; მ. ი ს ი ე ვ ე, საუნჯე მათე საუკუნისა იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა და მათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით, თბ., 1891; К. К. е. л. а. д. о. е, Литургические грузинские памятники, გვ. 372—381; В. К. и. р. б. е. л. о. е, Сборник грузинских церковных песнопений Михаила (Михаила) Модрекиши, „Весь Кавказ“, Т., 1913, ნაწ. II, განკ. II, გვ. 53—55; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 352, 578, 596, 618—620, 638, 643, 648—649, 651, 654, 662—663, 666—668, 691—692, 760—775, 863—864, 01—038, 055—062, 085—091, 0109—0123; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 544—567. ამ კრებულმა ერთობ დიდი როლი შესწავლა ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნის საქმეში (იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ანტიკური ხანისა და საშუალო-საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა, „მნათობი“, 1958, № 2, გვ. 124—176. შდრ. ძველი ქართული მუსიკის აღდგენა, „ლიტერატურული გახეთი“, 14.XII.56, № 50 (1012). იხ. აბრეგე ა. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნის გამო, „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 4, გვ. 14—16.

⁴ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საუნჯე მათე საუკუნისა, გვ. 7—13, 35—38; ქრონიკები, I, გვ. 111—113; კ. კ ე ვ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 174—177.

⁵ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საუნჯე მათე საუკუნისა, გვ. 13—14, 16; მ. ი ს ი ე ვ ე, საქართველოს ისტორია, I, 1906, გვ. 362; ქრონიკები, I, გვ. 112; ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტნთ-ტდ; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 544, 566. სხვათა შორის, ადრე დიდ კამათს იწვევდა ტერმინი მეხური. პ. როფ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ის სომხურისაგან ნაწარმოებდა მიჩანდა (საუნჯე მათე საუკუნისა, გვ. 38—44; მ. ი ს ი ე ვ ე, საქართველოს ისტორია, I, გვ. 362; მ. ი ს ი ე ვ ე, ნაშრომი, 3, თბ., 1916, გვ. 69, შენ. 3), აკად. ნ. მარს — ჯერ მესხურისაგან, შემ-

შეუკრებია გალობით შესასრულებელი ჰიმნები. მის კრებულში წარმოდგენილია ბევრი ქართველი ჰიმნოგრაფის (იოანე მტბევაარი, იოანე მინჩხი, ვზრა, კურდანი და სხვა) ორიგინალური თხზულებანი. ძველი ქართული სასულიერო პოეზიიდან მხოლოდ ამ კრებულს რომ მოეღწია დღემდე, ჩვენ მიიხსივარება ვეულის წარმოდგენა გვექნებოდა ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის მრავალფეროვნებასა და სიღრმეზე.

მიქაელ მოღრეკილი არა მარტო შემკრებია სხვათა ჰიმნებისა, არამედ ნიქიერი პოეტი-ჰიმნოგრაფი. მის კალამს ეკუთვნის დიდი ოსტატობით შეთხზული ჰიმნები, რომელთა ავტორი, უთუოდ, საპატიო ადგილს იკავებს ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში¹. მკვლევართა ნაწილს მიქაელ მოღრეკილი მიაჩნია შატბერდელ მოღვაწედ, ხოლო მისი კრებული—შატბერდის სავანეში შედგენილად². ჩვენის აზრით, სწორია შეხედულება, რომ მიქაელ მოღრეკილი არის ვარაზაჩის ძე, ერთ-ერთი გადამწერი ოშკის ბიბლიისა.

ზემოხსენებული მასალა სრულ საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ მე-10 საუკუნე მივიჩნიოთ ოშკის ლავრის კულტურულ-ლიტერატურული კერის აყვავების ხანად, ხოლო თვით ოშკის სავანე—ქართული მწერლობის ერთ-ერთ ძირითად კერად. საყურადღებოა, რომ მე-10 საუკუნის ქართველი მოღვაწეები ოშკს „დიდებულ ლავრას“ უწოდებდნენ. ჩანს, მათ კარგად ესმოდათ ოშკის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა.

ოშკის მონასტერში კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა გრძელდებოდა მე-11 საუკუნეშიც.

ოშკის სკოლიდანაა გამოსული ეფრემ მცირის თანამედროვე და თანამოღვაწე ეფრემ დიდი ოშკელი (XI ს.), რომლის საქმიანობას ეფრემ მცირის თხზულებათა შემცველი ხელნაწერების მინაწერებით ვეცნობით. მაგალითად, ეფრემ მცირე დავითნის განმარტების თარგმანს ურთავს ასეთ შენიშვნას (—ანდერძს): „ლოცვა ყავთ... მამისა საბაძს, ბერისა ეფრემ ოშკელისათჳს, რამეთუ მათითა წინაძღომითა და საქეთმპყრობელობითა და

დგე—სომხურისაგან, უკანასკნელად—კვლავ მესხურისაგან (ТРА-ГФ, IV, СПб., 1902, გვ. 53—54; История термша Абхаэ, ИАН, 1912, გვ. 705; К дате эмиграции мосхоэ из Арменши в Сванию, ИАН, 1916, გვ. 1620). აკად. კ. კეკელიძემ დამაჯერებლად გაარკვია, რომ მეხურში ივარაუდება არა სომხური ან მესხური ჰიმნები, არამედ გალობით შესასრულებელი ჰიმნები (ს. К е х о и д з е, Литургические грузинские памятники, გვ. 372—373; Иерусалимский Каионарь VII века, გვ. 332—333; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 605—606). უკანასკნელად გამოქმულ იქნა მოსაზრება, რომ მეხურნი ნიშნავს დასავლურ ქართულს, ხოლო ქართულნი—აღმოსავლურ ქართულს (გ. უ ო რ დ ა ნ ი ა, მეხურელთა და არამ ხეტუს ვინაობის შესახებ, თბ., 1956, გვ. 69—76). ეს მოსაზრება მართებულად გააკრიტიკა აკად. კ. კეკელიძემ (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 605—606). აკად. კ. კეკელიძის მოსაზრება მეხურის შესახებ გაამართლა და დადასტურა გიორგი ათონელის ერთმა ცნობამ, რომელსაც ახლახან ც. ჯღამაიამ მიაქცია ყურადღება.

¹ ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. რფ-რპმ, ტათ-ტომ, ტბ-უია და შმდ.; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 337—343; ჩვენი საუნიჯე, ტ. 1, გვ. 473—483.

² კრონიკები, I, გვ. 111, 113, 115—116; Н. М а р р, Предварительный отчет о работах на Спнас, введенных в сотрудничество с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме в поездку 1902 г. (апрель—июль), СРПО, ტ. XIV, ნაწ. II, 1903, გვ. 39; ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. VII, შენ. 1; გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, მიქაელ მოღრეკილი და მისი საგლობელი, „სახალხო გაზეთი“, 1914, № 1159; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 352, 760—766.

უფროესლა საკპართა და წარსაგებელითა კმნილ არს ყოველივე კეთილი ჩუენზედა ლუთისა მიერა¹.

ჩანს, ეფრემ დიდი ოშკის საეანიდან გადასულა შავი მთის ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში და ეფრემ მცირის ახლო თანამშრომელი გამხდარა. საფიქრებელია, გრიგოლ ოშკელის შესახები ცნობაც მან მიაწოდა ეფრემ მცირეს.

მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა გაბრიელ ოშკელი, რომელმაც 1033 წელს ოშკის საეანეში (და არა ოპიზას, როგორც დ. ბაქრაძეს ეგონა)² გადაწერა მესტიის სახარება ილარიონ იშხნელის დაკვეთით. სათანადო ცნობას გვაწვდის ხელნაწერის მომგებელი («ვილუაწე მოგებად და აღწერე ლავრასა შინა... ოშკს, კელითა გლახაკისა გაბრიელ გიორგის ძმის-წულისაჲთა»)³.

ხ ხ ხ ე ლ ი

ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა ხახუ-ლი, სადაც გაშენებული იყო ძლიერი მონასტერი ან „დიდი ლავრა“, როგორც მას გიორგი მცირე უწოდებდა⁴. თავის სასულისავე სოფელში აღმართული ხახულის ტაძარი გამოირჩევა კარგი ადგილმდებარეობით. ვახუშტით, თორთომის მდინარეს ისპირის მთის ზემოთ ერთვის ხევი. ამ „ვევზედ, შიფაქლუს მთის კალთას, არს ეკლესია-მონასტერი ხახულისა, ყოვლად-წმიდის ღვთისმშობლისა“⁵. მართლაც, ხახული თორთუმის წყლის მარცხენა შენაკადის—ხახულის წყლის ნაპირასაა.

ხახულის ტაძრის აგება მიეწერება დავით კურაპალატს (გარდ. 1001 წ.). სათანადო ცნობას გვაწვდის „მატიანე ქართლისაჲ“: იყო დავით „ეკლესიათა მაშენებელი... აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა ეკლესია ხახულისა“⁶. „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ნუსხით, ხახულის ეკლესია აუგია დავით პირველს (876—881), ბაგრატ პირველის ძეს⁷. ვახუშტი ორივე ამგებს ახსენებს: ეკლესია ხახულისა „დიდი გუნბათიანი, დიდშვენიერად გეზული, შვენიერს, კარგს ადგილს... აღაშენა დავით კურაპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან. აქავ არს ეკლესია ფრიად შვენიერი, დიდშენი, რომელი აღაშენა მც (=48) მეფემან დავით“⁸. საფიქრებელია, დავით პირველმა აავო

¹ ქრონიკები, I, გვ. 214.

² Д. Бахрадзе, Сванетия, ЗКОРГО, VI, 1864, გვ. 98.

³ იქვე; ბ. ნიჟარაძე, სვანეთის ხელნაწერები, „მოამბე“, 1904, IX, განკ. II, გვ. 15—16; А. Хачанов, Сванетские рукописные евангелия, МАК, X, 1904, დამატება, გვ. 10; ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 281. ოშკელ მოღვაწედ მიიჩნევენ იოანე მოსხს (Ш. Нудубидзе, К происхождению греческого романа „Варлаам и Иоасаф“, Т., 1956, გვ. VIII, 94—142). ამ საკითხს მეორე წიგნში განვიხილავთ.

⁴ ათონის კრებული, გვ. 289.

⁵ აღწერა, გვ. 140.

⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 274.

⁷ იქვე, გვ. 259.

⁸ აღწერა, გვ. 140.

მცირე ეკლესია, ხოლო დავით კურაპალატმა დიდი ტაძარი, სადაც შემდეგში ფართოდ გაჩაღდა სამონასტრო ცხოვრება.

ძველ წყაროებში ხახულის ხსენებას იშვიათად ვხვდებით. ლაშა გიორგის დროინდელი მემბტიანე მას იხსენიებს მტრისაგან მიტაცებულსა და შემდეგში. თამარის დროს, განთავისუფლებულ ბუნქტა (ოშკი, ბანა) შორის¹.

„ხახულარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ მოხსენიებულია კათოლიკოსის სამწყსოს აღწერილობაშიც².

თურქ-ოსმალთა მომძლავრების ხანაში, მე-16 საუკუნიდან ხახული დაცეა. 1556 წლის საბუთში კიდევ იხსენიება „ხახულარი წყმედიძე მამა საბა“, რომელსაც მტბევერობა მიუღია³. მომდევნო ხანიდან ხახულის შესახებ თითქმის იღარაფერი ვიცით. 1578 წელს დამპყრობლებმა „ხახული სასანჯახოდ მისცეს“ ერთ-ერთ დიდებულს⁴. ამან კიდევ უფრო დააჩქარა ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერის დაცემა და განადგურება.

ხახულის მონასტრის დიდი ეკლესია, რომელიც ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრისა და სამნავიანი ბაზილიკის სინთეზს წარმოადგენს, შემდეგში მეჩეთად იქნა გადაკეთებული. გამაჰმადიანებული ქართველების ზრუნვის შედეგად ძველმა ქართულმა ნაგებობამ, შედარებით, კარგად მოაღწია უკანასკნელ წლებამდე. მისი ხილვით აღფრთოვანებული დარჩა აკად. ე. თაყაიშვილი, რომელმაც ტაძარი ინახულა 1917 წელს და შემდეგში მისი ვრცელი აღწერილობა გამოაქვეყნა⁵.

ხახულის მონასტერში მძლავრი ლიტერატურული კერა შეიქმნა, იკაურმა მოღვაწეებმა ფართოდ გაშალეს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ხახულის საეპისკოპოსოს მოღვაწეთაგან ჩვენთვის ცნობილია იოანე ხახულელი, ბასილ ბაგრატიის ძე, დავით თბილელი და სხვ. ხახულის კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდა ცნობილი მწერალი გიორგი მთაწმიდელი.

ხახულის ლიტერატურული კერის ფელსაჰინო წარმონაღვენელია იოანე ხახულელი (X—XI სს.). მასთანაა დაკავშირებული ორი ხელნაწერი (ადრე ორივე ჯგერის მონასტერში, ხოლო შემდეგ იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში იყო დაცული).

1. თებერვლის თენი (ა. ცაგარლით № 35), როგორც მინაწერი ცხადყოფს, გადაწერილია მისი ინიციატივით („მე გლახაკმან და უღირსმან იოანე ხახულელმან დავაწერინე ესე თთუენი“).⁶

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 368. ამ ფაქტს მე-13 საუკუნის დამდეგს უნდა ჰქონოდა ადგილი (ი. ჯაფარიძის თეორია, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 273). ბასილ ეზოსმოდერის ცნობით, „ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი“ აიღო ზაქარია ასპანისძემ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 130).

² იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 7.

³ S № 252, გვ. 13; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 257; ქრონიკები, II, გვ. 399. იხ. აგრეთვე E. Тавадшвиц, Mat. дая истории Грузиа, გვ. 7.

⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 522. იხ. აგრეთვე სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 99; ი. ჯაფარიძის თეორია, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 272—274.

⁵ ე. თაყაიშვილი, თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე, „კომუნისტ“, 26.V.46, № 105 (7578); მისივე, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 59—67.

⁶ აღნიშნული ხელნაწერი ეენის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში უნახავს გ. ფერაძეს (იხ. მისი Über die georgischen Handschriften in Österreich, WZKM, XLVII, № 3—4, 1940, გვ. 225—226).

2. მისივე ინიციატივით უნდა იყოს გადაწერილი კირილე ალექსანდრიელის სწავლანი და სხვა თხზულებანი (ა. ცაგარლით № 123; რ. ბლეიკით № 151).

იოანე ხახულელს ქებას უძღვნის ანტონ პირველი:

ოქროპირ სახელ, ოქრო ხმა იოანე,
ხახულს აღმომზე, ქართულთ აფხაზთ განმამზე,
სიბრძნის მოყუარე, ფრას შუშნიერ საქები,
ოქროსა სხივთა ოქროვნად გამომტევი,
ლუთისმეტყულ საღმრთო, იქების ესე მარად¹.

იოანე ხახულელი თავისი ენამზეობის გამო ოქროპირად იწოდებოდა. ამ პირს ექვთიმე მთაწმიდლის მეგობრად და ათონის მოღვაწედ ასახელებს გიორგი მთაწმიდელი².

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ იოანე ხახულელი და მე-10 საუკუნის მიწურულისა და მე-11 საუკუნის დამდეგის ცნობილი ქართველი მქადაგებელი იოანე ბოლნელი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (იხ. ბოლნისი).

ხახულის ცნობილი მოღვაწეა ბაგრატ მესამის (875—1014) შვილი ბასილი, რომელსაც გიორგი მთაწმიდლის აღზრდაშიც მიუღია მონაწილეობა. გიორგი მცირის მოწმობით, 1019 წელს ხახულში მიიყვანეს გიორგი მთაწმიდელი და მისი სწავლა-განათლების საქმე რამდენიმე პირს მიანდეს, მათ შორის აღიღსა მას ბასილის, ბაგრატის ძესა, რომელი-იგი მას ეამსა შინა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაჲ³. ეს არაა შემთხვევითი ფაქტი: ბასილი ბაგრატის ძე კარგად განსწავლული ყოფილა ფილოსოფიაში⁴, მონაწილეობა მიუღია ქართული სალექსო ფორმების გამომუშავებაში და ერთგვარი წვლილი შეუტანია ქართულ ჰიმნოგრაფიაში, სხვადასხვა სალექსო საზომის გამოყენებით დაუწერია ექვთიმე მთაწმიდლის საგალობლები (H № 1710, 66რ—70რ)⁵.

ხახულის ლიტერატურულ სკოლაში მიიღო სწავლა-განათლება გიორგი მთაწმიდელმა. როგორც მისი ბიოგრაფი გვაუწყებს, პატარა გიორგი ტაძრისის დედათა მონასტრიდან 1019 წელს მიიყვანეს ხახულში, სადაც იმ დროს მოღვაწეობდნენ ზემოხსენებული ბასილ ბაგრატის ძე, ილარიონ თუალელი, რომელიც „მას ეამსა, ვითარცა მთიები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა“⁶, გიორგის ბიძები—გიორგი მწერალი, რომელიც „ყოფილ იყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისათა“⁷ და საბა, წინამძღვარი მაკარი და სხვანი. გიორგი მთაწმიდელი ძირითადად ილარიონ თუალელის მეთვალყურეობით იწავებოდა.

¹ წგობილისიტყვაობა, გვ. 237—238. შდრ. კალმასობა, II, გვ. 170. პ. იოსელიანის ცნობით, იოანე ხახულელს დაუწერია მონოფიზიტთა საწინააღმდეგო წიგნი (წგობილისიტყვაობა, გვ. 238, შენ. 122). ეს ცნობა არ დასტურდება.

² ათონის კრებული, გვ. 62.

³ იქვე, გვ. 289.

⁴ კალმასობა, II, გვ. 172.

⁵ პ. იოსელიანის, გიორგი მერჩულე, გვ. 655, 658—659, 661—662; კ. ქეკელი ძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 187, 214, 235. აკად. ნ. ბერძენიშვილს ბასილი კულტურულ-ლიტერატურული მუშაობის საერთო ხელმძღვანელად მიაჩნია (იხ. მისი მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ, მასალების კრებული: „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, I, 1937, გვ. 15).

⁶ ათონის კრებული, გვ. 289.

⁷ იქვე, გვ. 288.

1022 წელს ბაგრატ მესამის სიძემ ფერის ჯოჯიკისძემ გიორგი მწერალი და მისი ძმისშვილი პატარა გიორგი თავის ოჯახში წაიყვანა. შემდეგში ფერისის დასაჯეს („რისხვთა ბასილი მეფისაჲთა ფერის თავი წარეკუსთა, რამეთუ განდგომილუბად დასწამეს“), ხოლო მისი ოჯახი კონსტანტინოპოლს გადაიყვანეს. გიორგი მთაწმიდელიც თან წაჰყვა ფერისის ქვრივს და კონსტანტინოპოლში დაყო 12 წელი. 1034 წ. ფერისის ოჯახი დაბრუნდა ბიზანტიიდან. გიორგი მწერალი ფერისის ქვრივს წაჰყვა ტვარწათს, ხოლო გიორგი მთაწმიდელი ხახულს გაეშურა და იქ ილარიონ თუალელის მიერ ბერად აღიკვეცა. ხახულში დარჩა ის 1036 წლამდე¹.

გიორგი მთაწმიდლის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კულტურული ლიტერატურული მოღვაწეობა საყოველთაოდ ცნობილია. მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე ფრიალ დიდია. საფიქრებელია, ამ დიდი მოღვაწის კულტურულ-ლიტერატურული ინტერესებისა და მშობლიური კულტურის ცხოველი სიყვარულის აღძვრას დიდად შეეწყო ხელი ხახულის მონასტერში შექმნილმა კულტურულ-ლიტერატურულმა გარემომ.

ხახულის მოღვაწე ჩანს დავით თბილელი (XI ს.), რომელსაც გადაუწყვრია იოანე ოქროპირის თარგმანება იოანეს თავისა². მის საკმაოდ მოზრდილ ანდერძ-მინაწერში აღნიშნულია, რომ ხელნაწერის გადანუსხვას ადგილი ჰქონდა ხახულში: „დაიწერა ქელითა დავითისითა (ტფილელისითა) ლავრასა დიდსა ხახულისა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, მეფობასა რომანოსისა, ქართველთა ზედა ბაგრატ მცირისა“. ხელნაწერის გადამნუსხვასა და შემოსველ დავითს არა ერთი დამხმარე პირი ჰყოლია, ის კიდევ გვისახელებს მათ (გიორგი კახი, სტეფანე გრძელი, გაბრიელ დეკანოზ-ყოფილი, საბა დაყუდებული და სხვ.). მისი ანდერძ-მინაწერით ცხადი ხდება, რომ ხახულის საეპისკოპოსოს მოღვაწენი სხვათაგან მოშორებით, განმარტებით კი არ ეწეოდნენ ლიტერატურულ საქმიანობას, არამედ პირიქით, ახლო და ცხოველი ურთიერთთანამშრომლობა ჰქონდათ თავისი მონასტრის ბინადრებთან.

აღნიშნული ხელნაწერი დავით თბილელს დაუშზადებია პალაფრისათვის. ის, როგორც მისი ანდერძ-მინაწერიდან ჩანს, იქ წასვლასა და მოღვაწეობაზე ოცნებობდა. გადავიდა თუ არა დავითი პალაფრას, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მისი ხელნაწერი კი იერუსალიმის ქართული საეპისკოპოსოს—ჯვრის მონასტრის საკუთრება გამხდარა. ეს ფაქტი ტაო-კლარჯეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქართული საეპისკოპოსოს ურთიერთობასაც გვაცნობს.

ხახულის ლიტერატურული წრის წარმომადგენელი უნდა იყოს გრიგოლ ხახულელი, რომლის სახელი ათონის მთაზე დაცული ოქტომბერ-ნოემბრის თვეების ხელნაწერის შემოუნახავს (რ. ბლეიკით № 54).

ხახულის მონასტრის ხელნაწერებიდან ჩვენამდე მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა მოაღწია. იქაური ხელნაწერების ბედის გასარკვევად საინტერესოა ანდერძი იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ერთი ქართული ხელნაწერისა (№ 2). ამ ნუსხაში ბასაის წამების ბოლოს ვკითხულობთ: „ესე ახალ თარგმნილი წამებაჲ დიდებულითა და ლუაწლის მძღლეთა ახოვანთა ამით მოწა-

¹ ათონის კრებული, გვ. 288—291.

² ხელნაწერი ახლა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ინახება (ა. ცაგარელი № 119; რ. ბლეიკით № 32; ნ. მარით № 30).

მეთა მე, სულითა საწყალობელმან იონა, ვპოე კალიპოსს ხახულით მოღებუ-
ლი“¹. ეს მინაწერი ცხადყოფს, რომ კალიპოსს დაკუთვნილი ხელნაწერი ხახული-
დან ყოფილა. აკად. ნ. მარი მთელ ხელნაწერს (მასში შემონახულ გრიგოლ
ხანძთელის ცხოვრებასაც) ხახულის ნუსხიდან მომდინარედ მიიჩნევდა². აღნიშ-
ნული ხელნაწერი შემთხვევით რომ არ გადაარჩენილიყო, ჩვენ არაფერი გვმო-
ცილებოდა ხახულის მონასტრის ძვირფას ხელნაწერზე და, რაც მთავარია,
არ გვეჩვენებოდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ღამთა სიამეგმ, ალბათ, ბევრი
მნიშვნელოვანი ხელნაწერი მოსპო და ხახულის მონასტრის მდიდარი წიგნ-
საცავი დააცარიელა.

პ ა რ ხ ლ ი

პარხალი მდებარეობს მდ. პარხლისწყლის ხეობაში, ლაზისტანის ანუ
პონტოს მთაგრებილის აღმოსავლეთ კალთაზე.

1874 წელს პარხალი დაათვალიერა გ. ყაზბეგმა და აღფრთოვანებით
წარმოთქვა: „Пархальская церковь достойна полного внимания и изуче-
ния: она обширнее всех нами виденных в Турецкой Грузии и по архи-
тектуре почти не уступает Тбетской церкви“³.

1917 წ. პარხალი შეისწავლა და აღწერა აკად. ე. თაყაიშვილმა⁴. მისი
ცნობით, პარხალი წარმოადგენს მოზრდილ სოფელს 200-მდე კომლით. მის
მიდამოებში მრავალი წყაროა. ამიტომაც ადგილობრივი მკვიდრნი ცნობილ
გამოთქმას იქაურ სავანეთა შესახებ ასე ავრცობენ: „განთქმულია მხატვრობა
იშხნისა, სიღამაზე — ოშკისა, ადგილმდებარეობა — ხახულისა, წყალი — პარხლი-
სა“. ტაძრის ახლოს არის ძველი არხის ნაშთიც. გამაჰმადიანებული ქართველები
სარწყავი სისტემის აგებას თამარს მიაწერენ.

პარხლის მონასტრის აგების დროის შესახებ ადგილობრივ მცხოვრებლებს
გარკვეული წარმოდგენა არა აქვთ. პირდაპირ პასუხს არც ტაძარი გვაძლევს.
გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პარხლის ოთხთავს (A № 1453), რომელ-
იც პარხლისთვისაა გადაწერილი იოანე ბერაის მიერ 973 წელს. ეს კი იმ
დროს პარხალში ტაძრის არსებობას მოწმობს. აღნიშნული ხელნაწერის უკა-
ნასკენელ ფურცელზე იკითხება: „წინამე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხე-
ველსა ზედა დაიდვას“. ჩანს, პარხლის ტაძარი ამ დროს ახალი აგებული
ყოფილა. პარხლის ოთხთავი მონასტრის ამგებზე არას გვაუწყებს, მაგრამ
ტაძრის წარწერებით ვცნობით მის ამგებს დავით კურაპალატსა (გარდ.
1001 წ.) და გამამშვენიერებელს — პატრიარქ იოანეს.

პარხლის მონასტერი საქართველოს კათოლიკოსის კუთვნილებად ითვ-
ლებოდა. ძველი დოკუმენტალური მოწმობით, „კავკასიძე მისითა მამულითა,
პარხალი მისითა შესავლითა და აზნაურისშვილებით, საყმოდ და სამწყსოდ“

¹ ТРА-ГФ, VII, გვ. XVI.

² იქვე, გვ. VII.

³ Г. Кавецк, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОРГО, X, 1876, გვ. 120.

⁴ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართვე-
ლოში, გვ. 83—95.

კათოლიკოსისა ყოფილა¹. ასეთი დამოკიდებულება მცხეთა-პარხალს შორის შემდეგშიც დასტურდება. 1518 წელს ათაბაგმა ყვარყვარემ კათოლიკოს ბასილს აღუთქვა სამცხე-საათაბაგოს სამღვდლოებითურთ მორჩილება და მის განკარგულებაში დატოვა პარხლის მონასტერი².

მაჰმადიანთა მომძლავრების შედეგად პარხლის მონასტერი დაეცა და მისი ბაზილიკური შენობა მეჩეთად გადაკეთდა. ამ გარემოებამ ძველი ქართული ნაგებობა იხსნა დანგრევისაგან და, შედარებით, დაცული სახით შემოგვინახა.

პარხლის ლიტერატურულ მუშაკთაგან ჩვენთვის ცნობილია მე-10—11 საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე გაბრიელ პატარაი, რომელსაც რამდენიმე ხელნაწერი გადაუნუსხავს. მაგალითად,

1. პარხლის ოთხთავი (S № 4927)—ნუსხურ ოთხთავთა შორის ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი³;

2. სიტყვები და საკითხავები წმიდათა მამათა (A № 144)⁴;

3. პარხლის მრავალთავი (A № 95)—დიდი ტანის ეტრატის ხელნაწერი, რომელიც შეიცავს იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელისა და სხვათა საკითხავებს, იოანე ბოლნელის ქადაგებებს, შუშანიკისა და აბოს წამებათა ტექსტებსა და სხვა⁵. ანდერძიდან ირკვევა, რომ გაბრიელს ჯერ მხოლოდ დედათა ცხოვრების ამსახველი ძეგლების დაწერა სურდა, მაგრამ შემდეგში გაუზრდია თავისი სამუშაო: „ოღეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრე მედვა გულსა, ვითა დედათა წამებაჲ და ცხორებაჲ ოღენ დავწერო. და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა, ვძებნე დედაჲ და ესთენ ვპოვე, ვერლარა შემეძლო ძებნაჲ. მერმე ესე მამათა ცხორებაჲ, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულე“⁶.

აღნიშნული ანდერძი პარხლისა და იშხნის ლიტერატურული წრეების ურთიერთ თანამშრომლობასაც მოწმობს. ეს ხელნაწერი შემდეგში მტრებს ჩავარდნიათ ხელში, ტყვეობიდან დაუსხნია მარიამ დედოფალს, როსტომ მეფის მეუღლეს. „ესე წიგნი ურუმის ქვეყნიდამ გამოვიხსენ და გავახლე დაშლილი და წამედარიო“,—გვაუწყებს მეცენატი დედოფალი⁷.

გაბრიელ პატარაის აღნიშნული ხელნაწერი, რომელსაც პ. პეტერსი და პროფ. ილ. აბულაძე მე-11 საუკუნეს მიაკუთვნებენ⁸, მრავალთავის საყუ-

¹ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 7.

² Груз. церк. гуджарц, გვ. 106; ქრონიკები, II, გვ. 335. იხ. აგრეთვე დ. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 104.

³ ზხაშკლევი, გვ. 72. იხ. აგრეთვე ქართული წერის ნიმუშები, გვ. 303.

⁴ Описание рукописей (A), I, გვ. 150—152. იხ. აგრეთვე М. Джанашивили, Пергаментные рукописи нашего музея, ТЛ, 1913, № 126.

⁵ Описание рукописей (A), I, გვ. 56—114; მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, I, გვ. 134—136.

⁶ A № 95, გვ. 1222; Описание рукописей (A), I, გვ. 113. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ლთ, „ივერია“, 1897, № 267; მისივე, ქართული მწერლობა, I, გვ. 135.

⁷ A № 95, გვ. 102; Опис. рукописей (A), I, გვ. 114.

⁸ Sainte Sousanik, martyre en Arméno-Géorgie, AB, Lill, fasc. III et IV, 1935, გვ. 34; იაკობ ტურტაველი, მარტვლობა შუშანიკისი, გვ. 01, შენ. 1. უფრო ზუსტად ის დათარიღებულია აკად. კ. კეკელიძის მიერ (ეტიუდები, III, გვ. 199).

რადღებო ნუსხას წარმოადგენს და მას ქარბად იყენებდა პროფ. ილ. აბულაძე მრავალთავის ქართული რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემისას¹. ის საკმაოდ სრულია, გაფართოებული შინაარსისა და დიდი მოცულობის გამო მრავალთავის თავისებურ ტიპს წარმოადგენს. საფიქრებელია, ასეთი ტიპის მრავალთავი ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულ სკოლაში მომზადდა². ამ ფრთად მნიშვნელოვან საქმეში, ჩანს, გაბრიელ პარხლელს საპატიო წვლილი მიუძღვის.

ბ ა ნ ა

ბანის ტაძარი მდებარეობს ტაოში, ოლთისის წყლის მარჯვენა მხარეს, ახლანდელი სოფ. პენიაკის ახლოს. ეს პუნქტი, რომელიც უკვე ვახუშტის დროს ფანაქად იწოდებოდა, რუსულ რუკებზე Пеняк-ად არის აღნიშნული. ბანა-ფანაქ-Пеняк-ის შეპირისპირებით აქად. ა. შანიძემ აღადგინა ბანაკი, რომელიც ამ პუნქტის სახელის ძველი ფორმა უნდა ყოფილიყო. ეს კი, თავის მხრივ, მიგვითითებს, რომ ადგილს სახელი დარქმევია სამხედრო ძალთა განლაგებისაგან³.

ტაო-კლარჯეთის პოლოტიკური და ეკონომიური გაძლიერების ხანაში ბანაში აღმართულ იქნა დიდებული ტაძარი; ვახუშტის დახასიათებით, „ეკლესია გუნბათიანი, დიდი, შეენიერად ნაგები, კეთილ-შეენიერს ადგილს“⁴.

საისტორიო წყაროებით, ბანის ქართული ტაძარი აგებულია ადარნასე მეფის (888—923) დროს. სუმბატ დავითის ძე წერს: „ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ... და ამან ადარნასე, ძემან დავით მოკლულსამან, აღაშენა ბანა ჯელითა კვრიკე ბანელისათა, რომელი იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“⁵. ამასვე ადასტურებს ვახუშტიც⁶.

ადარნასე დავითის ძე მე-9—10 საუკუნეთა მიჯნის მოღვაწეა, მაშასადამე, ბანის კათედრალის აგებაც ამ დროს უნდა მიეწეროს. ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს სუმბატის ცნობაში ეკვლის შესატანად, ამასთანავე, ბანის

¹ ენიშის შოაბზე, XIV, გვ. 241—316. მრავალთავს სხვადასხვა დროს იყენებდა ბევრი მეცნიერი. უკანასკნელად მოციქულთა აპოკრიფების გამოცემისას იყენებდა მას ც. ქურციკიძე (ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი-დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959).

² კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 501.

³ ბოლოკიდური თანხმობის ამოვარდნა (ბანაკ→ბანა) აქ იმავე რიგისაა, როგორც მსგავსი დაბოლოების სიტყვებში: აგარაკი—აგარა, დანაკი—დანა, ეშმაკი—ეშმა და სხვ. (ა. შანიძე, ეტიმოლოგიური ძიებანი, II. ყარსი, ბანა, არტანუჯი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1952, გვ. 11. შდრ. მისივე, Грузинская надпись XIII века в сел. Кош, ხელნაწერთა ინსტიტუტის შოაბზე, I, 1959, გვ. 11. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 332, 397; III, გვ. 560—561).

⁴ აღწერა, გვ. 138.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 379. შდრ. გვ. 261.

⁶ აღწერა, გვ. 138.

ტაძრის მე-9—10 საუკუნეების ქართულ არქიტექტურასთან დაცილებაც ერთობ ძნელია¹.

ბანაში ერთობ ძლიერი კათედრალი არსებობდა. სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოსების საზღვრების ნუსხით, ბანელის სამწყსო იყო „სულ ბანი, ტაოს-კარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სრულიად ოლთისი, ნამურკანი“². ვახუშტის ცნობით, ბანაში „იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ფანასკეტისა და სრულიად ტაოსი, ოლთისისა და ნარუმაკისა“³.

საგულისხმოა, რომ ბანა არ ყოფილა მხოლოდ საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცენტრი, ის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ცენტრიც იყო და ზოგჯერ მეფეთა სამყოფსაც წარმოადგენდა. ეს გარემოება „ქართლის ცხოვრებაში“ არა ერთხელაა აღნიშნული. მაგალითად, სუმბატ დავითის ძე ბაგრატ მეოთხეზე წერს: „მოიწია ბაგრატ ტაოს და შემოვიდა თჳსსა მამულსა ბანას“⁴. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, გიორგი მეორე „წარვიდა მამულსა თჳსსა ტაოს და მოვიდა ბანას“⁵. „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ხელნაწერის ჩვენებით, ბაგრატ მეოთხეს იქ უკურობეს გვირგვინი⁶. ბანა მეფეთა საკრძალოც ყოფილა. ვახუშტის სიტყვით, იქ „დაფლულ არიან მეფენი“, კერძოდ, ვახტანგ მეოთხე (1443—1446), მისი მეუღლე—ფანასკერტელის ასული სითიხათუნი და სხვ.⁷

ბანა მტერს ადრევე ჩაუგდია ხელში. ჯერ კიდევ გიორგი მესამე ცდილობდა მის განთავისუფლებას. მემბტიანის ცნობით, გიორგიმ „უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევაჲ ოლთისისა და ბანისა“⁸. ბანაში ქართველთა მარბიელი ლაშქრის მისვლას მე-12 საუკუნის სამოციან წლებში ჰქონდა ადგილი⁹. ამას ბანის განთავისუფლება არ მოჰყოლია.

ლაშა გიორგის დროინდელი მემბტიანის ცნობით, ბანა თამარის დროს განთავისუფლდა მაჰმადიანთაგან¹⁰.

როგორც აღვნიშნეთ, მე-16 საუკუნიდან ტაოში თურქ-ოსმალნი დამკვიდრდნენ, კოროზის ხეობასა და მეზობელ ტერიტორიაზე ქრისტიანობის შენარჩუნება საკმაოდ გაძნელდა. ბანამ დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა. მის მიდამოებში ქრისტიანობის მდგომარეობას მე-16—17 საუკუნეებში კარგად გვაცნობს ერთი ოთხთავის ხელნაწერიდან შემთხვევით გადარჩენილი ორიოდვე ფურცლის მიერ შემონახული ცნობა. ირკვევა, რომ ტაოში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა სასტიკად იყო აკრძალული და ამ საქმის

¹ აკად. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ბანის ტაძარი აშენებულია VII საუკუნეში. მისი რესტავრაცია მომხდარა IX—X საუკუნეთა მიჯნაზე (იხ. მისი ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 169—174, 177—178; მისივე, Аpx. Кахети, გვ. 223, 226—230, 480. იხ. აგრეთვე გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, გვ. 69—70).

² იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 8.

³ აღწერა, გვ. 138.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 385.

⁵ იქვე, გვ. 318.

⁶ იქვე, გვ. 295.

⁷ ვახუშტი, აღწერა, გვ. 138; მისივე, საქართველოს ისტორია, I, გვ. 302. შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 44.

⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 16.

⁹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 238.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 368.

მოთავენი მკაცრად ისჯებოდნენ. აქვე მოგვაქვს ზემოხსენებული ცნობა: „იყო კაცი ვინმე მოშიში უფლისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აექსენტი, და ესე იყო ლუაწლსა და სამსაჯურსა შინა ღმრთისასა... მსწრაფლ იწყო შენებად და მრავლითა ღონისძიებითა აღაშენა წმინდა ეკლესიაჲ წმინდისაჲ გიორგისა თემსა მას ბანისასა, რომელსა ქარგლუხი¹ ეწოდების, და მრავალნი ნაწილნი დაასუენნა. ესმსა მას იჯდა ბატონად უსჯულო სანჯახი, რომლისა (!) სახელი ერქუა თათრულისა ენითა ბადინ. ბეგ. ესმა რა აღშენებ[ა] ტაძრისა მის, მოიყუანეს კაცი იგი ღმრთისაჲ და დილე[გ]სა შინა შთაადღეს“².

ბანის მხარეში მამპალიანთა ასეთ ძალმომრეობასა და თვითნებობას, ბუნებრივად მოჰყვა კათედრალის დატემა. ქართველ მღვდელმთავართა გვიანდელ ნუსხაში ბანელი ეპისკოპოსი 32-ე ადგილზე იხსენიება³, ხოლო შემდეგ ხანაში კათედრალი სულ გაუქმდა. „აწ არს ცალიერი“, — წერდა მე-18 საუკუნის ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონი⁴.

ბანის ტაძარი აგებული იყო იშხნის მიბაძვით, მის ყაიდაზე, მაგრამ ეს უფრო მყარსა და მტკიცე ნაგებობას წარმოადგენდა. მისი უღრეკლობა გამოიწვია იშხნის ტაძრის გეგმაში შეტანილმა ცვლილებამ. ბანის ზუროთმოძღვარმა იშხნის ტაძრის ჩვეულებრივი სვეტების ნაცვლად ბანის ტაძრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის აბსიდებით შექმნილ კუთხეებში ამოიყვანა სამსამი სართული ოთხკუთხე პატრონიკეთა, რომელნიც შენობას ბურჯობას უწევდნენ და ამშვენებდნენ კიდეც. ამან შემატა ბანის კათედრალს სილამაზე, სიმტკიცე და გამძლეობა, რის შედეგად გაუძლო მან საუკუნეებს და სულ უკანასკნელ დრომდე მოაღწია⁵.

1843 წ. ბანა დაათვალიერა ცნობილმა მოგზაურმა, ბოტანიკოსმა კ. კობმა. მაშინ ბანა სამხედრო ნაგებობად არ იყო ქცეული და დამატებული არა ჰქონდა-რა. გერმანელი მკვლევარი აღფრთოვანებით აცხადებდა: კონსტანტინოპოლის გამოკლებით მთელ აღმოსავლეთში ულამაზესი და უმშვენიერესი ტაძარი ბანის კათედრალიაო.

1881 წელს ბანის ტაძარი ინახულა დ. ბაქრაძემ⁶, 1902 და 1907 წლებში იქ იყო აკად. ე. თაყაიშვილი, რომელმაც დაბეჭდა ბანის გრცელი დახასიათება-აღწერილობა და სურათები⁷. როგორც მისი ცნობებიდან ჩანს, ბანის კათედ-

¹ მუსლიმანთა სოფელი ქარგლუხი (—ქარკლუხი) და მისი ეკლესიები დაათვალიერა აკად. ე. თაყაიშვილმა (არქ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 45—46).

² ეს ფურცლები აკად. მ. ბროსემ ჯრუჭის ოთხთავში ჩადებული ნახა. ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (H № 1697).

³ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6.

⁴ აღწერა, გვ. 138.

⁵ ე. თაყაიშვილი, თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე, „კომუნისტი“, 25.V.46, № 104 (7577).

⁶ Д. Бахрадзе, Историческо-этнографический очерк Карсской области, ИКОРГО, VII, № 1, 1881, გვ. 200 — 201; მისივე, ისტორია საქართველოსი, გვ. 223. შტრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 125, შენ. 1; Д. Бахрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 22.

⁷ Е. Такайшвили, Христианские памятники. Экскурсия 1902 года, МАК, XII, 1909, გვ. 83—117; მისივე, არქ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 19—28. ბანის სურათები მკვლევარმა ალბოშიც გამოაქვეყნა. იხ. Альбом церковного музея духовенства груз. епархии, № 2. Арх. путешествие Е. Такайшвили по Ахалцихскому и Ахалгалакскому уездам Тифлисской губернии и по Ардаганскому и Ольгинскому округам Карсской области 1902 года (სურ. №№ 112, 118—123, 126, 136).

რალი აგებულია მცირედ შემალღებულ ბორცვზე. ტაძრის გვერდით შეინიშნება მცირე ეკლესიებისა და სენაკების ნანგრევები, გვერდებზე მიშენებული აქვს კოშკები. ეს გვიანდელი მშენებლობის შედეგია: თურქებმა ყირიმის ომის დროს გაამაგრეს ბანა. 1855 წ. და 1877—78 წწ. ბანასთან რამდენჯერმე გაიმართა რუსთა და თურქთა ბრძოლა, რამაც დიდად დააზიანა შენობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბანის ტაძარი დანგრეულია, მნახველზე ის მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. აკად. ე. თაყაიშვილი წერდა: „На всей территории Грузии другого подобного храма по стилю и плану мы не встречаем. Банский храм составил бы украшение любой европейской столицы. Печать грандиозности, красоты и пышества Баны не утратилась в руинах“¹.

ბანაში გაჩაღებული ლიტერატურული საქმიანობის შესახებ ცნობები ჩვენამდე ნაკლებადაა მოღწეული. ჩანს, ეამთა სიავემ ტაოს მწიგნობრობის კერების კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა სხვაზე აღრე შემუსრა და გაანადგურა. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენს ხელთ არსებული ორიოდ ცნობითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბანაში დამკვიდრებული ქართველები ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ და მეზობელი ლიტერატურული კერების ბინადრებს მხარდამხარ მიჰყვებოდნენ.

ბანის ლიტერატურული წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია ზაქარია ბანელი ან ვალაშკერტელი, როგორც ზოგიერთ წყაროშია მოხსენიებული. სომეხი მემკრტიანის, არისტაკეს ლასტივერტელის ცნობით, ზაქარია მონაწილეობას იღებდა იმპ. ბასილისა და საქართველოს მეფის გიორგი პირველის მოლაპარაკებაში 1021—1022 წლებში. შემდეგში ბასილმა ის სამუდამოდ საცხოვრებლად დატოვა ბიზანტიის დედაქალაქში². ქართველმა მღვდელმთავარმა უცხო ქვეყანაში ყოფნის დროსაც არ დაივიწყა მშობლიური კულტურა, ქართული მწიგნობრობა და არა ერთი ხელნაწერი შესძინა მას. მისი დავალებით კონსტანტინოპოლელ ქართველ მოღვაწეს ბასილ ეტრატაის 1031 წელს გადაუწერია ცხოვრება და სიტყვები გრიგოლ ღვთისმეტყველისა (A № 1)³, რჯულისკანონი (S № 143)⁴, მცირე სენიქსარი და სხვ.

¹ МАК, XII, 1909, გვ. 90.

² ვ ა ზ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 149—150; დ. ბ ა ქ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 267; ქრონიკები, I, გვ. 155; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი XXIV, „ივერია“, 1889, № 223; მისივე, კიდევ ზაქარია ვალაშკერტელის შესახებ, „ივერია“, 1889, № 122; ვ. კ ო ჯ ა ლ ი ა ნ ი, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან, საქ. სსრ მეცნ. აკად. შიამზე, XVI, № 5, 1955, გვ. 396.

³ ხელნაწერი დამზადებულია კონსტანტინოპოლში (ქრონიკები, I, გვ. 168—169; Описание рукописей (A), I, გვ. 1—4; გაზველვეი, გვ. 115, 127) და არა ბანაში, როგორც პროფ. მ. ჯანაშვილს მიაჩნდა (იხ. მისი შესხეთი, გვ. 21). იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი მ ა, „ივერია“, 1897, № 17; P. P e t e r s, Recherches d'histoire et de philologie orientales, II, Bruxelles, 1951, გვ. 210—232.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 152—154. იხ. აგრეთვე ქრონიკები, I, გვ. 155, 335; К. К е в е л и д з е, Литургические грузинские памятники, გვ. 32; გაზველვეი, გვ. 123—124.

(A № 648)¹, კალიგრაფ ისაკს — მაქსიმესა და პიროსის სიტყვის-გებისა და სხვა ძეგლების შემცველი ხელნაწერი (Q № 34), რომლის ანდერძი ასე იკითხება: „დაიწერა ბრძანებითა და ნებითა ზაქარია ებისკოპოზისა ბანაელისა და სვნგელ-ლოზისაგათა, ველითა უღირისისა და უცბათ მხრეკალისა ისაკისითა, ქალაქსა კონსტანტინეპოლის, მონასტერსა მისვე ბანაელისა ებისკოპოსისა, სვნგელოსისა, ყოველთა წმიდათასა აგიაპანტს“². ზაქარია მამამთავარი იხსენიება ერთ სახარება-სამოციქულოს მინაწერში (IX № 176), მაგრამ არ ჩანს, ბანელია თუ არა ის³.

იძულებით უცხოეთს გადასახლებული, საპატრიო ტყვეობაში მყოფი ქართველი მოღვაწის ზემოაღნიშნული ლიტერატურული საქმიანობა, უთუოდ, საინტერესო და საყურადღებოა. ჩანს, ბანაში იმდენად მძლავრი იყო კულტურული ლიტერატურული ტრადიციები, რომ იქაურ მოღვაწეებს მშობლიური კულტურის, მშობლიური მწერლობის სიყვარული შორეულ მხარეშიც კი შთააგონებდათ და ეროვნული ლიტერატურული ძეგლების გამრავლებისაკენ მოუწოდებდათ.

ბანაში დამზადებული წიგნებიდან ჩვენთვის ცნობილია საბაწმიდის ტიბიკონი (A № 647) ვადაწერილი მეფის ასულის ქეთევანისათვის 1511 წელს. ამ ხელნაწერს შემოუნახავს ანდერძიც: „დაიწერა ველითა ფრად ცოდვილისა; ყოველთა კაცთა უნარჩევესითა ჯაყელის შვილის ხუცეს-მონოზონისა იოსებ ყოფილისა იოანეს შვილისა იაკობისითა ... მონასტერსა ბანას“⁴. ეს უცნობი მოღვაწე, ჩანს, ბანის ლიტერატურული წრის წარმომადგენელია.

კ კ ლ მ ა ხ ი

ტაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე კალმახი საისტორიო წყაროებში ხშირად იხსენიება. ის მე-8 საუკუნეში აუგიათ. ჯუანშერის ცნობით, პიტიახშებმა პოვეს „კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და ალაშენეს ციხედ“⁵. ამას ადასტურებს ვახუშტიც: „ალაშენეს (კალმახის ციხე — ლ. მ.) პიტიახშთა, დიდშენი, მაგარი და შეუვალი. იყო საერისთაო ტაოსი“⁶. კალმახის ციხის მდებარეობა დადგენილი არაა. აკად. ე. თაყაიშვილს კალმახის ციხედ მიაჩნია ის დიდი სიმაგრის ნაშთი, რომელიც უკანასკნელ ხანს კალას სახელით იყო ცნობილი⁷.

¹ Описаніе рукописей (A), II, გვ. 132—133. იხ. აგრეთვე Иерусалимский Канопарь VII века, გვ. 297—300; მ. ჯანაშვილი, ქართული ხელნაწერი, „სახალხო გაზეთი“, 1912, № 646; ზხაკველი, გვ. 123—124. ამ ხელნაწერში მოთავსებული ბერძნული ლექსის ავტორად ზაქარიას მიიჩნევენ (თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები, „მომოზილელი“, II, 1951, გვ. 468).

² Q № 34, 336v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 37; ქრონიკები, I, გვ. 170.

³ პროფ. ილ. აბულაძეს ეს ზაქარია მამამთავარი ბანელ მოღვაწედ მიაჩნია (საქმე მოციქულთა, გვ. 019—020).

⁴ Описаніе рукописей (A), II, გვ. 131—132; ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 211—212, 214, 262.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.

⁶ აღწერა, გვ. 137—138.

⁷ ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 54—55.

კალმახის ციხე ქართველ მეფეთა ერთგული დადებულების რეზიდენციას წარმოადგენდა. ჩვენს ისტორიაში საკმაოდ ცნობილია ერისთავი სულა კალმახელი, რომელიც თავგამოდებით ერთგულებდა ბაგრატ მეოთხეს და მისი დაუცხრომელი მოწინააღმდეგე ლიპარიტიც კი შეიპყრო¹. ცნობილია კიდევ საიმდაველ კალმახელი, რომელსაც 1311 წელს ეკლესია აუგია სოფ. ტანძოთში².

კალმახის ციხეში ადგილი ჰქონია ხელნაწერთა გამრავლებას. სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ ორი ხელნაწერია მოღწეული იქაური ლიტერატურული კერიდან: 1. ოთხთავი, რომელიც მერაბ კალმახელმა და მისმა მეუღლემ ელენემ გადააწერინეს მელქისედეკს 1520 წელს (H № 1721)³ და 2. მთავარდიაკონ რომანოზის მიერ 1534 წელს კალმახის ციხეში გადაწერილი სახარება (არქ. ხელნ. № 400)⁴. მიუხედავად მწირი ცნობებისა, მაინც საფიქრებელი ხდება, რომ კალმახის ციხის მკვიდრნი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ.

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 301—302, 304—305. შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 144, 148, 165.

² ТРА-ГФ, VП, გვ. 105.

³ Д. Бакрадзе, Святотна, ЗКОРГО, VI, 1864, გვ. 76—77; Г. Церетели, Арх. прогулка по Квирильскому ущелью, МАИ, VII, 1898, გვ. 104—106; E. Tqarishvili, Four Basilican Churches of the Qvirila Valley, Georgia, I, № 2—3, 1936, გვ. 162—164; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 154—155.

⁴ E. Такайшвили, Арх. экскурсии, II, გვ. 43—51; IV, გვ. 23.

შ ა ვ შ ე თ ი

ვ ბ ე თ ი

შავშეთის მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა და ქართული არქიტექტურის შესანიშნავი კმნილება ტბეთის ტაძარი დგას მის სახელისავე სოფელში. სახელი ტბეთი (—ტბა) ამ მხარეში ტბების არსებობას მოწმობს. ვახუშტის ცნობით, ტბეთმა „მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან“¹.

აკად. ნ. მარი ტბას (—ტბეთს) უკავშირებდა ძველ თუბალ-კაინურ ფორმას (—ტბათი)². აკად. ა. შანიძის გამოკვლევით, ტბეთი გვიანდელი ფორმაა. ძველად უნდა ყოფილიყო ტბევი, რაც ტბიან ადგილს ნიშნავდა. ვვ-ი მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელია (მდრ. ბობნევი, ვაშლევი, ბოსლევი); ძველი ფორმა შემონახულია მ-ტბ-ევ-არ-ში³. უკანასკნელი ფორმა ნაწარმოებია მეგ-

¹ აღწერა, გვ. 135. ტბეთი ძალზე გავრცელებული ფორმაა, გვხვდება ქართლში (ქრონიკები, II, გვ. 24—25; ე. თ. თ. უ. რ. ი. ა. შიდა ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, „საისტორიო მოამბე“, 1924, II, გვ. 131—135), აჭარაში (ი. სიხარულიძე, საზრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია (აქარის ასსრ), I, თბ., 1958, გვ. 85), იმერეთში, აფხაზეთში, რაჭაში, სამხრეთ ოსეთში და ა. შ. (A. III ან დ უ ე, К. შИХОЛОГИИ И ЯЗЫКА „Топоним“, ენიმის მოამბე, I, 1937, გვ. 82, შენ. 3; საქ. სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიალური დეპარტ. თბ., 1949, გვ. 231). ცნობილია აგრეთვე ტბა, ტბები ქსნის ხეობასა (ა. ლ. ლ. ნ. ტ. ი, ფილოლოგიური ნარკვევები, 4. ტოპონიმური მასალები, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1955, გვ. 278) და აჭარაში (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78, 80, 83, 105, 123, 124), ტბა—ბოჯოჯომის რაიონში, ნატბევი—კლარჯეთში (ტრა-ГФ, VII, გვ. 113), აჭარასა (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65, 67, 81, 87, 90, 92, 95, 99, 120) და ქართლში (საქ. სიძველენი, III, გვ. 127; П. Поселения, Описание г. Душета, გვ. 55), ნატბეური—ქართლში („კომუნისტი“, 2. X. 56, № 230 (10624), ტბისი—ქვემო ქართლში (საქ. სიძველენი, I, გვ. 72—74, 359, 363—365, 370, 388, 390 და შპდ.), ტბათი—აჭარაში (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, 76, 85, 89, 94), ტბაანა—გურიაში (ბ. ბ. ე. რ. დ. ი. შ. ვილი, ძველი თბილისის ტოპონიმებიდან (აგარანი), „მომოზილველი“, II, 1951, გვ. 38, შენ. 1), სხალტა—ქართლში, ტაბახშელა—ქართლსა და აჭარაში და ა. შ. „ქართლის ცხოვრებაში“ ხშირად იხსენიებიან ტბელი დიდებულები (I, გვ. 248, 267—268, 276; II, გვ. 130). ცნობილია სახელი ტბელა (ისტ. საბუთები, III, გვ. 8), გვარები—ტბელიძე (A № 38), ტბელაძე (H № 2820), ტბელაშვილი (დოკუმენტები, II, გვ. 8) და ა. შ.

² ТРА-ГФ, VII, გვ. LVI—LVII.

³ ა. შანიძე, ვვ კილოს კვლევითი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, II, № 8, 1941, გვ. 761—768.

რულ-ქანური სუფიქსით¹, ხოლო თავსართი მ-ანი ძველ ქართულში ჩვეულებრივ იხმარებოდა წარმომავლობის მაჩვენებელ სახელებში (შდრ. მეგვიპტელი, მანაბელი, მეტრეველი).

ტბეთის ტაძარი მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს. ვახუშტის ცნობით, იქ „არს ეკლესია გუნდათიანი, მდიდრად ნაგები და დიდშენიერი“². არანაკლებ აქებენ ტბეთს მეცნიერ-მოგზაურებიც.

1874 წ. ტბეთი ინახულა გ. ყაზბეგმა. მეჩეთად ქცეულმა ტაძარმა მასზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. „Тбетская церковь могла бы составить украшение даже Рима,—так хорош ее общий вид и изящны ее детали“,—წერდა ის³. მოგზაურმა შენიშნა გაურჩეველი წარწერები, ფრესკების ნაშთი; მანვე მოგვცა ტაძრის აღწერილობა⁴.

1879 წელს იქ იყო დ. ბაქრაძე, რომელმაც დიდად შეაქო ტბეთის ეკლესიის შორთულობა: „Орнаменты его до того разнообразны и изящны, что они показались мне несколько неуступающими лучшим произведениям грузинской церковной орнаментики“⁵.

1888 წ. ტბეთი დაათვალიერა ა. პავლინოვმა⁶. მისი თქმით, იქაური ეკლესია მცირეოდენი რესტავრაციის შემდეგ „мог бы считаться лучшим памятником Батумской области“⁶. მკვლევარმა გამოაქვეყნა აღწერილობა და სურათები ტბეთისა⁷.

1904 წ. ტბეთში იყო აკად. ნ. მარი. მაშინ ჯერ კიდევ შეინიშნებოდა წარწერები, უხვად იყო ჩუქურთმები. აკად. ნ. მარმა დაბეჭდა სურათები და

¹ წარმომავლობის მაჩვენებელი სუფიქსი არ-ი შემონახულია რამდენსამე შემთხვევაში: თაიხარი, მტბევარი, ხახულარი, ოლთისარი, ვიხიკარი და სხვ. უკვე აკად. ნ. მარს ჰქონდა შენიშნული, რომ არ-ი მეგრულ-ქანური სუფიქსია და ქართულ ელ სუფიქსს უდრის (Н. Марр, Мфетические названия деревьев и растений (Pluralia tantum), I, ИАН, IX, № 8, 1915, გვ. 778). აკად. ა. შანიძემ მართებულად დაასკვნა, რომ ეს ქანურ-მეგრული დაბოლოება ძირითადად გვხვდება ტაო-კლარჯეთიდან წარმომდგარ სახელებში, რაც უფლებას გვაძლევს ის მივიჩნიოთ იქაურ ქართველ მოსახლეთა ენობრივ გადმონაშთად (А. Шанидзе, Два чахо-мерельских суффикса в грузинском и армянском языках, ЗВРАО, XXIII, 1916, გვ. 365—369; მისივე, ვინაობის სუფიქსი არ ქართულ ენაში; „განათლება“, 1918, № 1, გვ. 21—26; მისივე, თხზულებანი, I, გვ. 20—24, 28—32). დღეს სავსებით დადასტურებულია, რომ არ ბოლოსართი ქართულში შემოსულია მეგრულ-ქანურიდან. მეგრულში ის შემონახულია მხოლოდობითი რიცხვის სამიოდე სიტყვაში (გუფუარი, კონდარი, მარგალი), სხვაგან კი შეცვლილია ურ (-ულ) ბოლოსართით (ონტაურის), სამაგიეროდ იხმარება მრავლობითი რიცხვის ფორმებში (გ. თოფური, ვ. ენჯ სუფიქსი მეგრულში, ენიშის მოამბე; I, 1937, გვ. 141. შდრ. ს. ჯანაშია, თებალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, II, გვ. 67. იხ. აგრეთვე ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 144—146).

² აღწერა, გვ. 135.

³ Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОРГО, X, 1876, გვ. 54.

⁴ იქვე, გვ. 52—55.

⁵ Д. Баградзе, Об археологической поездке, совершенной в 1879 г. по ручешню Академии Наук; в Чорохский бассейн, в Батум, Артави и Артаудж, ЗАН, XXXVII, 1880, გვ. 50; მისივე, Заметка о Батумской области, ИКОРГО, VI, № 2, 1881, გვ. 154, 163; მისივე, Историческо-этнографический очерк Кареской области, ИКОРГО, VII, № 1, 1881, გვ. 200. იხ. აგრეთვე ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 127, შებ. Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 127—128.

⁶ А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, МАК, III, 1893, გვ. 71.

⁷ იქვე, 71—75.

გრცლი აღწერილობა ტაძრისა¹. მისი ყურადღება მიუქცევია ტბეთსა და მის. ახლობელ სოფლებში შემორჩენილ ქართულ გვარებს (ქადაგიძე, თულაძე, თურმანიძე, ლერწამიძე...)².

ტბეთის ტაძრის ამგებობის შესახებ სუბმატ დავითის ძე ასეთ ცნობას გვაწვდის: „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა“³. ამასვე აღასტურებს ვახუშტიც⁴.

აშოტ კუხი,—ძე გურგენ I კურაპალატისა,—ცნობილი პირია. ის, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიათა მამულებელი ყოფილა. მოვიგონოთ გიორგი მერჩულის ცნობა: „შემდგომად გურგენ კურაპალატისა ძემან მისმან აშოტ ერისთავთა-ერისთავმან ხანძთას ახალი ეკლესიაჲ დაიწყო წადიერად და ურიცხვ შესაწირავი გარდაჰმატა მას“ (ლგ)⁵.

აშოტ კუხი გარდაიცვალა 918 წელს. მაშასადამე, ტბეთის ტაძარი 918 წლის წინა ხანაშია აგებული.

შემდეგ პერიოდში ტბეთის კათედრალი იმდენად გაძლიერდა, რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ტბეთის ისტორიაში განსაკუთრებით საყურადღებოა მე-11 საუკუნის პირველი ნახევარი, როდესაც იქ მოღვაწეობდა საბა მტბევარი⁶.

ახლად გამეფებულ ბაგრატ მეოთხეს (1027—1072) განუდგნენ აზნაურნი ტაოელნი და ბიზანტიას წაყიდნენ. მეორე წელს იქიდან მოვიდა დიდი ჯარი, რომელმაც „მოვლო და მოაოჭრა ქუეყანანი“ ქართველთა. გახშირდა ლალატი. „ჩანჩახმან, ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე წყფთისა“. სამშობლო კუთხის დაცვა იქისრა ტბეთის ეპისკოპოსმა. სუბმატ დავითის ძე მოგვითხრობს: „აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობელად ტბეთის ეკლესიასა და სახელ-სდვა მას სუეტი. და შეკრიბა მაშინ მან ერი თჳსი და შევიდეს მას შინა თჳთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი, და ეზრა აწიელ ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი, და განძლიერდა მას შინა“⁷. ბიზანტიელებმა ცადეს სვეტის⁸ მემომართა დამორჩილება, მაგრამ ამაოდ. დამპყრობელთა

¹ ТРА-ГФ, VII, გვ. 11—25.

² იქვე, გვ. 25—26. ტბეთზე საინტერესო ცნობები გამოაქვეყნეს აგრეთვე მისი ხილვით აღმართიანებულმა პ. უვაროვამ (Иванов, II, გვ. 285—292) და თ. სახოკიამ (მოგზაურობანი, გვ. 139).

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 380.

⁴ აღწერა, გვ. 135. ცდებდა პროფ. მ. ჯანაშვილი, როდესაც აშოტს ტბეთის განმაახლებლად წინაგვს (იხ. მისი საქართველოს ისტორია, I, თბ., 1906, გვ. 318).

⁵ ა. ჯუჯაბიშვილის აზრით, აშოტ კუხს ერთი ეკლესიისათვის შეუწირავს სოფ. არგუში (იხ. მისი ატელა ასომთავრული წარწერით ნასოფლარ არგუმის მახლობლად, საქ. სსრ მეცნ. აკად. ნიშნებ. V, № 7, 1944, გვ. 747—752). ვ. ცისკარიშვილი ამ აზრს არ იწყნარებს (იხ. მისი ჯუჯაბიშვილის ეტიმოლოგია როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 8—10).

⁶ ჯანაშვილი ინიციოლო, კაცი იყო ტბეთის ეპისკოპოსი საბა (XI ს.), „დროება“, 1874, № 439; მ. კოსტაშვილი, ტბეთის სვეტი შავშეთში, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 955. იხ. აგრეთვე ვ. კოსტაშვილი, ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან XI საუკუნის პირველ ნახევარში, თსუ შრომები, ტ. 77, 1959, გვ. 18—19.

⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 386. შდრ. გვ. 292—293.

⁸ საბას წიერ აგებული სვეტი თითქოს ინახულეს გ. ყაზბეგმა და აკად. ა. პავლინოვმა: პირველით ესაა სვეტი:ებერი მთა სოფ. ციხისძირთან, ტბეთის ჩრდილოეთით (Г. К а в а н е в, Три месаия в Турецкой Грузии, ЗКОРГО, X, 1876, გვ. 55), მეორეთი—ნანგრევები ართ-

მხედრობა მიზანს ვერ ეწია და გაწბილებული გაბრუნდა (1028 წ.). შემდეგში ბაგრატიის დედის მარიამის საშუალებით დაიწყო მშვიდობიანი მოლაპარაკება ქართველ-ბერძენთა შორის.

ამრიგად, საბა მტბევრის მეთაურობით შავშეთის მკვიდრნი მედგრად გაუშკლავდნენ ბიზანტიელთა ჯარს. საფიქრებელია, ტბეთის ეპისკოპოსს ამის შემდეგ მიენიჭა შავშეთის ერისთავობა¹.

„ქელმწიფის კარის გარიგებაში“ ვკითხულობთ: „მტბევარსა ზედა დარბაზს მისსა საჯდომსა უკანით მისსა მოლარეთუხუცესსა ფარი და ხმალი აქვს უკანით, ამაღ რომე ერისთავიც არის შავშეთისა“². რადგან ეპისკოპოსს, ვითარცა სასულიერო პირს, საჭურელის ტარება არ შეეფერებოდა, ამიტომ მას მოლარეთუხუცესი ადგა ფაო-ხმლით³.

სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოების საზღვრების ნუსხით მტბევრის უფლება დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა: „მტბევრის სამწყსო: დახატულას ზედათი, ანაკერტს აქეთი სულა, შავშეთი მიკიხიანათ... აქარა დანდოლას ზეითი იმისია, დანდოლას ქვემოთი აქარა ქუთათლისა არის“⁴.

მტბევრის ძლიერება ბოლომდე უცვლელი არ დარჩენილა. თუ ადრე ტბეთს „იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ანაკერტს ზეითისა, სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა“⁵, შემდეგში მისი ღირსება, რამდენადმე, დამდაბლებულა. „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ ის მეზობელ ეპისკოპოსთა შემდეგ იხსენიება („მოვიდნენ იმიერით იხხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი და გოლგოთელი“)⁶, ხოლო ქართველ მღვდელმთავართა გვიანდელ ნუსხაში მეთორმეტე ადგილზეა დასახელებული⁷.

კათედრალი ტბეთში კარგა ხანს არსებობდა. მე-15 საუკუნის 80-იან წლებში მტბევრად ჩანს ბერძენი პირი სვიმეონი, რომელიც 1485 წელს ყვარყვარე ათაბაგმა მაწყვერლად დაადგინა⁸; 1556 წელს „დაჯდა ტბევრად ხახულარი წყმედიძე მამა საბა“⁹. შეიძლება ეს იყოს ის საბა, რომელიც მტბევრად დაადგინა დომენტი კათოლიკოსმა¹⁰; 1637 წელს „სათრძიე გედეონ

ვინიდან ექვს კლომეტრზე (А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1688 года, МАК, III, 1893, გვ. 60—62). აკად. ე. თაყაიშვილს რუისის ტაძარში უნახავს სახარება, რომელიც, მისი აზრით, ამ სვეტის საყდრის კუთვნილებას წარმოადგენდა (იხ. მისი არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 120—122).

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი, II ნაკვ. II, გვ. 8—9.

² ქელმწიფის კარის გარიგება, გვ. 15.

³ იქვე, გვ. XXXVII. შდრ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27, 1949, გვ. 53, შენ. 2; ე. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1959, № 9, გვ. 168.

⁴ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 8.

⁵ ვახუშტი, აღწერა, გვ. 136.

⁶ ქელმწიფის კარის გარიგება, გვ. 14.

⁷ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6.

⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 483. საფიქრებელია, სვიმეონ მტბევარი იყოს ის პირი, რომელიც ყვარყვარემ 1475 წელს ათონის მთაზე გაგზავნა ახლადგარდაცვალებული ბაადურის სულის მოსახსენებლად (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 148).

⁹ S № 252, გვ. 13; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 257; ქრონიკები, II, გვ. 399. იხ. აგრეთვე Е. Такайшвиц, Мат. для истории Грузин, გვ. 7.

¹⁰ M. Brosset, Histoire de la Géorgie, II, II livr., St.—P., 1857, გვ. 472; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 201. შდრ. Е. Такайшвиц, Мат. для истории Грузии, გვ. 8, შენ. (Ad № 720).

მტბევრს დაჯდა¹; 1650 წელსაც იხსენიება მტბევარი საფრიძე, რომელსაც „იშნელობა და მაწვევრობა მოუვიდა ხენთქრისგან“². აღნიშნული ცნობებიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის ძველ ქართულ კათედრებს დაუკარგავთ ადრინდელი მნიშვნელობა და მტბევარიც ხონთქარზე დამოკიდებული გამხდარა.

ტბეთის ლიტერატურული კერის პირველი წარმომადგენელია სტეფანე მტბევარი—აშოტ ერისთავთ-ერისთავის მიერ აგებული კათედრალის პირველი მღვდელმთავარი. სუმბატ დავითის ძის ცნობით, აშოტმა „დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე“³. გიორგი მერჩულიც ტბეთის პირველ ეპისკოპოსად სტეფანეს იხსენიებს („სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი პირველი“). ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ტბეთის კათედრალი 918 წლის წინა ხანაშია დაარსებული, მაშასადამე, სტეფანე მტბევარი მე-9 საუკუნის გასულისა და მე-10 საუკუნის დამდეგის მოღვაწეა.

სტეფანე მტბევარს თავის დროზე დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა. გიორგი მერჩულის აზრით, სტეფანე იმდენად ღვაწლმოსილი მწერალი იყო, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერაც კი შეეფერებოდა (ნვ)-სტეფანეს მორიდებით მიმართავდა დაჩი („ღირსო მამაო“, „ქრისტეს გამორჩეულო მამულაო“), რომელმაც მას განსახილველად და შესამოწმებლად გაუგზავნა ეპითანე კვიპრელის თხზულების („თარგმანება დავითის ფსალმუნებისაჲ“) საკუთარი თარგმანი⁴. დაჩი მას სთხოვდა ნამუშევრის შეფასებას და, მოწონების შემთხვევაში, თარგმნის დასრულებასაც: „უკუეთუ ჯერ არს განსრულებამ, სიწმიდემან შენმან განასრულენ“⁵. დაჩის წერილი სტეფანე მტბევრისადმი შემოგვინახა შატბერდის კრებულმა და მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც დასახელებულმა კრებულმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. დ. ბაქრაძე შეცდომით კრებულს მე-9 საუკუნისეულად მიიჩნევდა და სტეფანე მტბევარიც ბაგრატ პირველის თანამედროვე, მე-9 საუკუნის მოღვაწე ეგონა⁶, მაგრამ მალე გაიბრკვა, რომ კრებული მე-10 საუკუნისაა, ხოლო სტეფანე მტბევარი მე-9—10 საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე⁷.

სტეფანე მტბევარს აშოტ ერისთავთ-ერისთავის დავალებით 914—918 წლებში დაუწერია აგიოგრაფიული თხზულება: „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყუელის ციხით“⁸. მასში კარგადაა აღწერილი აბულ-

¹ S № 252, გვ. 18; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 258; ქრონიკები, II, გვ. 452, იხ. აგრეთვე E. T a e a i n შ ვ ი ლ ი, Mat. dla istorii Gruzi, გვ. 11.

² S № 252, გვ. 18; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 258; ქრონიკები, II, გვ. 465-475. VII. იხ. აგრეთვე E. T a e a i n შ ვ ი ლ ი, Mat. dla istorii Gruzi, გვ. 11.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 380.

⁴ Описание рукописей (S), II, გვ. 640—641.

⁵ იქვე; ქრონიკები, I, გვ. 99—101.

⁶ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ახლად აღმოჩენილი შესანიშნავი ქართული მანუსკრიპტი, „ივერია“, 1889, № 6. შდრ. მისი ვე, ისტორია საქართველოსი, გვ. 221.

⁷ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. XVI; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მწერლობა IX—X საუკუნისა, გვ. ა-ბ.

⁸ შემონახულია მრავალ ხელნაწერში (A №№ 130, 170, 176; H №№ 487, 1672, 2077, 2121; K № 233; S № 3627). გამოცემები: საქ. სამოთხე, გვ. 393—400; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 80—85; ჩვენი საუნჯე, ტ. I, გვ. 83—94. იხ. აგრეთვე ქართული ქრესტომატია, II, 1863, გვ. 11—14.

რუსული პერიოდრაზი. იხ. M. C a n ღ ი ნ ი, Полное жизнеописание, II, გვ. 57—63.

კასიმის სასტიკი ლაშქრობა სომეხთა და საქართველოში (914 წ.), ქართველ მამულიშვილთა—ყველის ციხის დამცველთა ვაჟაკური თავგანწირვა და თავდადება სამშობლოსათვის, ქართველი მეომრის გობრონის მოწამეობრივი აღსასრული. მართალია, ავტორის მსოფლმხედველობა შეზღუდულია, საეკლესიო-პროვიდენციალურია, მაგრამ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების შესასწავლად აღნიშნული თხზულება ერთობ საყურადღებოა¹. გობრონის მარტივობის, როგორც საისტორიო წყაროს, ღირებულება და მნიშვნელობა ადრევე კარგად ესმოდათ: „მატიანე ქართლისაჲ“ საუბრობს რა აბულ კასიმის შემოსევაზე, გობრონის მარტივობას უთითებს².

მე-10 საუკუნეშივე მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი. მისი შესანიშნავი ჰიმნები შემოუნახავს მიქაელ მოდრეკილის კრებულს³, რაც საფიქრებელს ხდის, რომ 978—988 წლებში, როდესაც მიქაელი ქართული სასულიერო პოეზიის ძვირფას ქმნილებებს კრებდა, იოანე მტბევარი უკვე ჩამოყალიბებული პოეტი ყოფილა. 995 წელს იოანე მტბევარი მაწყვერლად დაუდგნიათ. ის 1002 წელსაც ცოცხალია, შაორის მონასტრის მამათა ცხოვრების ხელნაწერში იხსენიება („და მეცა ცოდვილი იოვანე მტბევარი, ამის წიგნისა უტბად მხხრეკელი, შემოწყალე“)⁴. ამრიგად, იოანე მტბევარი მე-10 საუკუნის გასულისა და მე-11 საუკუნის დამდეგის მოღვაწეა.

იოანე არსენის ძე დიდად განათლებული მწიგნობარი და ნაყოფიერი შემოქმედი ყოფილა. მისი სახელით მიქაელ მოდრეკილის კრებულში შემონახულია 15 ჯგუფი საგალობელ-დასდებელთა. მისი ჰიმნებისათვის წდამახასიათებელია ღრმა ლტინისმეტყველება, ფილოსოფიური აზროვნება, ლამაზი სტილი და ჩამოყალიბებული ლიტერატურული ენა⁵.

იოანე არსენის ძე თვალს ადევნებდა სხვათა მოღვაწეობას და ქართულ ხელნაწერთა გამრავლებასაც ზრუნავდა. მას რაჰდენიმე ხელნაწერი მოუგია. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ტბეთის სახარება (995 წ.), რომელიც ამჟამად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება⁶. მას აქვს საინტერესო ანდერძ-მინაწერები. ერთი იოანეს იხსენიებს („ქრისტი... ადიდე იოვანე მამამთავარი, პირველ მტბევარი და აწ შენ მიერ მაწყვერელ ეპისკოპოსი და

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 142—146; ი. ჯაფარიძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 108—111. იხ. აგრეთვე ე. ცაგარეიშვილი, მიქაელ-გობრონი ქართველსა და სომხურ-საისტორიო მწერლობაში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 127—144.

² ქართლის ცხოვრება. I, გვ. 264. H № 341-ის მინაწერებში მოხსენიებული სტეფანე მამამთავარი (გვ. 118, 146, 197) არის არა სტეფანე მტბევარი, როგორც პროფ. ს. კაპაძეს ეგონა („საისტორიო კრებული“, III, 1928, გვ. 76—78), არამედ სტეფანე სანაოისძე („იმომხილველი“, I, 1926, გვ. 280—281).

³ ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. მე—რნ; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტიმათია, I, გვ. 334—337; ჩვენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 470—472.

⁴ დ. ბაქაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 249.

⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 173—174; პ. ინგოროსკვა, გიოგვი მერხულე, გვ. 578, 616, 646—647, 657, 667, 864—865, 015—016, 0113—0114. შდრ. მისივე, იოანე მტბევარი, „კლდე“, 1913, № 6, გვ. 6—8.

⁶ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности. Труды V-го арх. съезда в Тифлисе в 1881 г., М., 1887, гв. 105; დ. მეფარიშვილი, ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 159.

კვალად მუნივე თვისა საყდრად შესრული“), მეორე—თარიღსა და გადამწერთ („დაიწერა წმიდაჲ ესე სახარება საყდარსა შინა ტბეთისასა... ქორონიკონსა სიე (=995 წ.), ჳელითა ორთა მწერალთათა: დავით გლახაკისათა და გლახაკისა არქიპოსისათა... და შეიმოსა ჳელითა სანატრელისა მღვდლისა სტეფანესითა“)¹. ამ მინაწერებით ირკვევა, რომ მე-10 საუკუნის მიწურულში ტბეთს ზოლვაწივდნენ გადამწერნი დავითი და არქიპოსი და „შემოსველი“ სტეფანე. იოანეს მიერ აღნიშნული ხელნაწერის მოგებას კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს მისი ერთი მინაწერი: „მოვიგე წმიდაჲ ესე სახარებაჲ მცველად თავისა ჩემისა... და სალოცველად ღმრთივეგვრგვონასანთა მეფეთა ჩუენთა: დავით კურაპალატისა და გურგენ მეფეთა-მეფისა და ბაგრატ აფხაზთა მეფისა... და მოსაქსენებლად სულისა მშობელთა ჩემთასა არსენისა და მარიამისა“².

ტბეთის სახარება დიდ ყურადღებას იმსახურებს. ვ. ბენეშევიჩმა ტბეთისა და ოპიზის სახარებათა ჩვენებით დაბეჭდა მათესა და მარკოზის თავები³, რ. ბლიკი ტბეთის სახარების ჩვენებას იყენებდა ადიშის ოთხთავის ბეჭდვის დროს⁴.

იოანე მტბევარს მოუგია ე. წ. სვანური მრავალთავი (A № 19), რომელიც შეიცავს ი. ოქროპირის, ეპიტანე კვიპრელის, ათანასე ალექსანდრიელის, გრიგოლ ნოსელისა და სხვათა სიტყვებს. იქვეა აბო თბილელის მარტილოზობაც. მომგებელთა ვინაობას გვაუწყებს მინაწერი: „ქრისტე, შეიწყალენ ამის წიგნისა მომგებელნი მამფალი მტბევარი იოვანე და მამაჲ თეოდორე“⁵. აქ ნათლად ჩანს, რომ იოანე მტბევარი მომგებელია და არა გადამწერი⁶. განსვენებულ ს. გორგაძის აზრით, უფრო მოხერხებული იქნებოდა სვანური მრავალთავის ნაცვლად ამ ხელნაწერისთვის „იოვანე მტბევრისეული მრავალთავი“ გვეწოდებინა⁷.

სვანური მრავალთავი, მსგავსად პარხლის მრავალთავისა (A № 95), ფრიად დიდი მოკულობისაა. როგორც აღვნიშნეთ, საფიქრებელია, მრავალთავის ასეთი ტიპი ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულ სკოლაში დამზადდა.

¹ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 246; А. Ц а г а р е я н, Сводная, т. I, № 17—22.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, იოანე მტბევრის ვინაობისათვის, „მომოხილველი“, I, 1926, გვ. 222. იაკობის ვაზიშვილის ცნობილ ხელნაწერში (A № 86) მოხსენიებული იოანე აწყურელი არის არა იოანე მტბევარ-საფარელი (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, იოანე მტბევარი, „კლდე“, 1913, № 6, გვ. 6—8), არამედ იოანე არსენის ძე—მტბევარ-მაწვევრელი (К. К е к е л и ძ ე, Литургическое рукописание намятинки, გვ. 5).

³ საზარებაჲ ოთათვი, ორთა ჳელნაწერთაჲან შიგ და შვე წელთათა გამოსცა ვ. ბ ე - ნ ე შ ე ვ ი ჩ მ ა ნ, ნაკეთი ა. საზარებაჲ მათჲს თავისაჲ, სპბ., 1902; ნაკეთი ბ. საზარებაჲ მარკოზის თავისაჲ, სპბ., 1911.

⁴ The Old Georgian Version of the Gospel of Mark from the Adysi Gospels with the Variants of the Opiza and Tbet' Gospels. Edited with a latin translation by R. B l a k e, PO, XX, fasc. 3, Paris, 1928, გვ. 435—574; Gospel of Matthew, იქვე, XXI, fasc. 1, Paris, 1933, გვ. 1—168; იხ. აგრეთვე PQ, XXVI, 4, 1950, გვ. 451—599; XXVII, 3, 1955, გვ. 275—427.

⁵ Описание рукописей (A), I, გვ. 12—17.

⁶ გადამწერად მიიჩნედა იოანეს პროფ. მ. ჯანაშვილი (იხ. მისი საუნჯე მათე საუკუნისა, გვ. 19). მისი აზრი ადრევე უარყო პ. კარბელაშვილმა (იხ. მისი ბ-ნ მ. ჯანაშვილის „მცირე შენიშვნის“ გამო, „ივერია“, 1891, № 230). პროფ. მ. ჯანაშვილის ზოგიერთ შრომაში იოანე ხელნაწერის მომგებელ-შემქმნადაა გამოცხადებული.

⁷ ს. გ ო რ გ ა ძ ე, სვანეთის მრავალთავი, „საქართველოს არქივი“, 1927, III, გვ. 4, შენ. 1.

ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილი პირია უარესად ნაყოფიერი მთარგმნელი დავით ტბელი ან მტბევარი. მის სახელს ძველ წყაროებში ხშირად ვხვდებით. როგორც წესი, ის იხსენიება სტეფანე სანანოისძე ჰყონდიდელთან ერთად¹. დავითის შესახებ ბუნდოვან ცნობებს გვაწვდიან ბაგრატ მუხრანბატონი და ზაქარია გაბაშვილი². ამ ცნობებით დავითის მოღვაწეობის დათარიღება ერთობ ძნელია და აკად. ნ. მარისთვისაც შეუძლებელი შეიქნა³, მაგრამ მე-11—12 საუკუნეთა სხვა ცნობების შეჯერებით ირკვევა, რომ დავით ტბელი მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. ის მშობლიურ ლიტერატურას ზრდიდა და ამდიდრებდა თარგმანებით, ქარბად თარგმნიდა აგიოგრაფიულ ძეგლებს. მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლებიდან აღსანიშნავია მართას ცხოვრება⁴, ბარლაამის ცხოვრება⁵, გრიგოლ ეპისკოპოსის ცხოვრება⁶ და სხვ.

დავით ტბელის მოღვაწეობა ძველ საქართველოში კარგად იყო შეფასებული. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ რუის-ურბნისის კრება (1103 წ.) დავით ტბელს, —სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად, —საუკუნო ხსენებას უთვლის⁷.

დავით ტბელი ძველ ქართველ მთარგმნელთა სახელოვანი პლეადის წარმომადგენელია⁸.

მე-11 საუკუნის დამდეგიდან ჩვენთვის ცნობილია აკვილა მტბევარი. მას 1002 წელს გადაუწერია წმინდანთა ცხოვრება, რომელიც ახლა ათონზეა დაცული (ა. ცაგარლით № 53; რ. ბლეიკით № 28). ხელნაწერს შემონახული აქვს სათანადო ანდერძი: „ესე წიგნი დაიწერა ქრონიკონსა სკგ... დაიწერა და შეიმოსა წმიდაჲ ესე წიგნი შაორის საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მამასახლისობასა ზენონ დაგაჲს ძისასა, ჯელითა გლახაკისასა აკკლა მტბევარისათა“⁹. როგორც ჩანს, ტბეთის მოღვაწენი შემდეგში სხვა პუნქტებშიც განაგრძობდნენ საქმიანობას. კერძოდ, აკვილა მტბევარი შაორს გადასულა. აღნიშნული ფაქტი სრულად კიდევ არ გვაცნობს საქმის ვითარებას. ირკვევა, რომ ტბეთის მოღვაწენი კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ და სხვა ქართული

¹ საქ. სამოთხე, გვ. 530; ქრონიკები, I, გვ. 113—114; II, გვ. 71.

² Н. Марр, Из книги царевича Баграта о грузинских переводах духовных сочинений и героической повести „Дареджипнаш“, ИАН, X, № 2, 1899, გვ. 234, 239.

³ აკად. ნ. მარი სხვადასხვა დროს დავით ტბელს მიიჩნევდა მე-7, მე-8—9 და მე-10 საუკუნის მოღვაწედ (იქვე, გვ. 241—242, შენ. I; მისივე, Из поездки на Афон, ИМНП, 1899, III, გვ. 5; მისივე, Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы, ЗВОРАО, XIII, 1901, გვ. 106).

⁴ Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы, ЗВОРАО, XIII, 1901, გვ. 106. სხვათა შორის, ამ მთარგმნ ძეგლში გვხვდება პირველად ტომინი „საქართველო“ (ლ. მენაბდე, რომელი საუკუნიდან იმართება ტომინი „საქართველო“, გახ. „ახალგაზრდა სტალინელი“ (თსუ), 8 X, 53, № 30 (50)).

⁵ Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы, ЗВОРАО, XIII, 1901, გვ. 109—144.

⁶ В. Бенешевич, О древнем Иерусалимском списке грузинской мшеш-четвей, XV, 1912, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 67.

⁷ საქ. სამოთხე, გვ. 530; ქრონიკები, II, გვ. 71.

⁸ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 178—182, 215, 263 და შმდ.; ბ. იგოროვიცა, გიორგი მერჩულე, გვ. 880—883, 041—043 და შმდ.

⁹ დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 248—249; ქრონიკები, I, გვ. LVII.

სავანეების ბინადრები ხდებოდნენ. მაგალითად, ანტონ ტბელი შავ მთაზე დამკვიდრებულა და ეფრემ მცირის ახლო თანამშრომელი გამხდარა.

მე-12 საუკუნეში ტბეთში მოღვაწეობდა პავლე მტბევარი, რომელსაც გადაწერილებია ოთხთავის მნიშვნელოვანი ხელნაწერი¹. მისი ანდროძი გვაწვდის საინტერესო ცნობებს ტბეთის ეკლესიის წიგნადი ფონდის შესახებ: „საყდარსა ტბეთისასა აქუნდა ძეშლნი წიგნი მრავალნი... მრგლოანისა კითხვად საკირო იყო და დიდად იჭიროვდეს, და დავაწერიე ესე ოთხთავი სრული და უნაკლულოდ კარგითა და მართლითა ზანდუკითა და კანონითა“.² ნათლად ჩანს, რომ პავლე მტბევარის საზრუნავს ტბეთის საყდრის წიგნსაცავის გამდიდრება წარმოადგენდა.

პავლე მტბევარისეული ოთხთავი 1161 წლის ახლოსაა გადაწერილი იოანე ფუკარალისძის მიერ.

ზემოხსენებული ხელნაწერის ყდის მოჭედილობის წარწერაში იხსენიება იოანე მტბევარი—„სულითა საწყალობელი იოანე მტბევარ-საფარელი“³. ეს პირი მე-12 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. 1195 წელს მან დაამზადებინა წყაროსათვის ოთხთავი (Q № 907), რომლის გადაწერნი ზემოხსენებული იოანე ფუკარალისძე და გიორგი სეთაისძე ტბეთის სავანის მოღვაწენი უნდა იყვნენ. იოანე მტბევარს ხელნაწერი შეუწირავს წყაროსათვის მონასტრისათვის⁴. ჩანს, შავშეთის მოღვაწენი ახლო ურთიერთობაში იყვნენ კლარჯეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებთან.

ტბეთის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც. კერძოდ, ცნობილია გიორგი მტბევარი, რომელსაც საბა წყაროსთაველმა მის მიერ გადაწერილი სახარება უძღვნა⁵, კირილე მტბევარი, რომელიც ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში იხსენიება (ა. ცაგარლით № 15; რ. ბლეიკით № 76) და აბუსერისძე ტბელი. ეს უკანასკნელი ძველი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ზოგი მეცნიერის აზრით, ის ტბეთის ეპისკოპოსია⁶, ზოგი კი მას საერო პირად მიიჩნევს⁷. ის ეკუთვნოდა აბუსერისძეთა ცნობილ გვარეულობას, იყო ძმა ცნობილი მეცნატების ვარდანისა და აბუსერისა, ძე ხიხთა-აჭარის ერისთავთ-ერისთავის ივანესი.

¹ Q № 929; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 353—358; პ. ცხელიძე, ტბეთის ტაძრის სახარება ტყავზედ დაწერილი, „ივერია“, 1900, № 229; E. Такалшвиц, Тбетское четвероевангелие XII века, МЛК, XII, 1909, გვ. 151—162.

² ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 356.

³ იქვე, გვ. 357. ტბეთის სახარების მოჭედილობის საფუძველზე ქართული ოქრომქანდაკებლობის დარგში ტბეთის სკოლას ცალკე ყოფენ (შ. ამირანაშვილი, ბეკა ონიხარი, გვ. 26; მისივე, История грузинского искусства, I, გვ. 223—224).

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 322—327. იხ. აგრეთვე ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 168, შენ.; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 43—44; Г. Церетели, Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок в рукописях Гелатского монастыря, ДВ, I, 1891, გვ. 266.

⁵ E. Такалшвиц, Арх. озерени, V, გვ. 34—41. შტრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 168, შენ.

⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 330.

⁷ აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატინე, გვ. 27, შენ. 1.

აბუსერისძე ტბელი ძალიან განათლებული მწიგნობარი ჩანს; მისი მეცნიერული ტრაქტატი, საყურადღებო ისტორიული ცნობები, თხზულებათა ენა და სტილი, უცილობლად ავტორის კარგ მომზადებას მოწმობს. მისი შრომებიდან ავტორის ნაერთხობაც ჩანს; ირკვევა, რომ ის იცნობდა წმინდა გიორგის ნათარგმნ ცხოვრებას, არსენი ამარტოლის მიერ მისი ძმის აბუსერისადაში მიწერილ ეპისტოლესა და სხვა ძეგლებს. საკმაოდ დავალებულია ის ქართული ხალხური სიტყვიერებით¹.

აბუსერისძე ტბელის შრომები შემონახულია ხელნაწერ A № 85-ში, რომელიც გადაწერილია 1233 წელს და რესტავირებულია სვიმეონ და გიორგი კარგარეთლების მიერ მე-16 საუკუნეში². აქ წარმოდგენილია აბუსერისძე ტბელის რამდენიმე თხზულება. ყურადღებას იმსახურებს „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა“, რომელსაც, გაუგებრობით ერთ ხანს შავთელს მიაწერდნენ³. ავტორი შრომას ურთავს შავთელის იამბიკობებს, იხსენიებს კიდევ „სანთელსა სულიერისა ფილოსოფოსობისასა, წმიდასა შავთელსა“. შავთელის მიერ საკუთარი თავის ასე მოხსენიება წარმოდგენილია აღნიშნული ძეგლის ავტორი, უთუოდ, აბუსერისძე ტბელია. მის გრცელ ტრაქტატში განმარტებულია ე. წ. ასურული კვინკლოსი, ქარბადაა ასტრონომიული, არითმეტიკული და სხვა ხასიათის ტერმინები. ავტორს უცდია ქართული და ბერძნული წელთაღრიცხვის შეფარდება ერთიმეორისათვის. აკად. მ. ბროსე მართებულად წერდა: „ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შედგომოდა კალენდრის შესწორებას“⁴.

ყურადღებას იმსახურებს აბუსერისძის ესქატოლოგიური რწმენა იმის შესახებ, რომ ქვეყნის გაჩენიდან 7000 წლის გასვლის შემდეგ („მისიწაზრით, 1396 წელს) მეორედ მოსვლა და ქვეყნის აღსასრული უნდა მოხდეს⁵.

აბუსერისძე ტბელს უნდა ეკუთვნოდეს გალობანი სამთა იოანეთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა⁶.

აბუსერისძე ტბელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე. ხელნაწერში ძეგლის სათაური ასეა წარმოდგენილი: „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასო-

¹ მ. ჩიქოვანი, აბუსერისძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, V, № 7, 1944, გვ. 753—760.

² ქრონიკები, II, გვ. 103—111; Описание рукописей (A), I, გვ. 81—85; აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე, გვ. 27—43. სხვათა შორის, ზემოხსენებულ ს. კარგარეთელს გადაუწერია აბუსერისძის შრომის სხვა ნუსხაც (S № 312). „ქორონიკონის“ ერთი ხელნაწერი დაუმზადებია ნ. ორბელიანს (არქ. ხელნ. № 268, 172r—201v).

³ დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 214; ქრონიკები, II, გვ. 103—107; მ. ჯანაშვილი, ქართველთა მატთანე, გვ. 27; Описание рукописей (A), I, გვ. 84. იხ. აგრეთვე ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 21—22.

⁴ M. Brosset, Études de chronologie technique, Mémoires de l'Académie des Sciences, VII série, XI, № 13, 1866, გვ. 24—38. იხ. აგრეთვე MA, VIII, 1881, გვ. 54.

⁵ კ. კეკელიძე, ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, ეტიუდები, IV, გვ. 105—109.

⁶ A №№ 85, 1040; K № 22.

ებზე შევედრებულისა და ამათ სიტყუათ შესაკადრებელად ღირსებისაებრ მოქუ-
მელისაჲ¹. მასში გადმოცემულია ვინნე ბასილის ან ბაჩილას, ანდა ბოლოკ-
ბასილას მიერ, წმინდა გიორგის ბრძანებით, მისი სახელის ეკლესიის აშენება,
ალავერდის წმ. გიორგის სასწაულთმოქმედება, ხვარაზმელთა შემოსევა საქარ-
თველოში და ქვეყნის აობრება, ხიხათა ეკლესიის აგება, გაფართოება და
შემკობა, აბუსერისძეთა გვარეულობის ისტორია².

ავტორი გარკვევით არ გვაუწყებს, თუ სად წარმოებს მშენებლობა. რად-
გან წმ. გიორგი ბოლოკ-ბასილს თბილისიდან ოპიზას გზაენის, ბევრ მკვლე-
ვარს მშენებლობა ოპიზის ახლოს ეგონა (თ. ჟორდანიას, აკად. ი. ჯავახიშვი-
ლი, აკად. კ. კეკელიძე), მაგრამ თხზულებაში გაბნეული ცნობებით ირკვევა,
რომ ბოლოკ-ბასილი აქარელია და ეკლესია ხიხათა ახლოს აუშენებია³. გან-
სვენებულ ლ. მუსხელიშვილის დაკვირვებით, ბოლოკ-ბასილს ეკლესია აუგია
შუარტყალში (აქარაში და არა სამცხეში, როგორც სერაპიონ ზარზმელის
ცხოვრებით შეიძლებოდა გვევარაუდნა) დაახლოებით მე-12 საუკუნის შუა
წლებში, 1155—1160 წწ. ახლო ხანაში⁴.

მართალია, აბუსერისძე ტბელი წმ. გიორგის სასწაულებს აღწერს, მაგ-
რამ მკითხველის ყურადღებას იმსახურებს ისტორიული ცნობებითაც. მისი
წიგნიდან ვღებულობთ ძველი აღმშენებლობის დამახასიათებელ ცნობებს,
გვებულობთ, რომ ქვეთხურობა შუარტყლის პრივილეგია ყოფილა. ავტორის
წარმოდგენით, აქარა დაკავშირებულია სამცხესთან და ამ უკანასკნელთან
ერთად შედის მცნებაში „ლიხთა ამერისა საქართველოჲსა“. ავტორი ხვარაზ-
მელთა შემოსევის ფაქტს აკონკრეტებს და ხორცშესხმულ სახეს ანიჭებს.
წინამშენელოვანია მისი ცნობები აბუსერისძეთა გვარის შესახებ⁵. საგულისხმოა
ის ფაქტიც, რომ აბუსერისძე თითქოს რამდენჯერმე ხმარობს ისეთ სამუსიკო
ნიშანს, რომელიც J. Thibaut-ით იხმარებოდა ძველ ქართულსა და სომხურ
ხელნაწერებში⁶. ზემოაღნიშნულის გამო აბუსერისძე ტბელს ქართული კულ-
ტურის ისტორიაში ფრიად საპატიო ადგილი მიეკუთვნება⁶.

¹ ქრონიკები, II, გვ. 111—122: ა ბ უ ს ე რ ი ს ძ ე ტ ბ ე ლ ი, ბოლოკ-ბასილის მშენებ-
ლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატინე, გამოსცა ლ. მ უ ს ხ ე ლ ი -
შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1941.

² ა ბ უ ს ე რ ი ს ძ ე ტ ბ ე ლ ი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსე-
რისძეთა საგვარეულო მატინე, გვ. 5 (თ. ჟორდანიას აქ ერთ ხანს ოპიზის მშენებლობაც კი
ეგონა. იხ. ე გ რ ი, სასულიერო მუზეუმი და მუექესე საუკუნის ქართული ხელნაწერი, „ივე-
რია“, 1889, № 96). დასაბუღებულ ეკლესიაზე იხ. ხ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი, ხიხანის ციხისა და
ეკლესიის ისტორიისათვის, კრებული: „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აქა-
რაში“. ბათუმი, 1955, გვ. 29—84.

³ ა ბ უ ს ე რ ი ს ძ ე ტ ბ ე ლ ი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსე-
რისძეთა საგვარეულო მატინე, გვ. 10—12.

⁴ იქვე, გვ. 12—23.

⁵ იქვე, გვ. 30; *Потные знаки в грузинских рукописях*, XV, 1914, ტ. III, ნაკვ.
II, გვ. 207—212.

⁶ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 330—331; ი. ჯ ა ვ ა ხ-
ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 242—243.

გადმოცემით, შოთა რუსთაველი, თითქოს, ტბეთის სავანეში აღიზარდა (ხ. ჭ ი ჭ ი ნ ა-
ძ ე, სრულად საქართველოს მეფე დაკით აღმაშენებელი, თბ., 1892, გვ. 7. შდრ. მ ი ს ი ე ვ ე,
შოთა რუსთაველი, თბ., 1884; *И. М е р е ж и д з е, Рустанели и философия*, გვ. 29, 32, 51, 54).

ს ა მ მ ს ჯ

ა ნ ყ უ რ ი

ბორჯომ-ახალციხის გზაზე, ბორჯომიდან 30 კილომეტრის დაშორებით. აწყურში მაღალ კლდეზე დღემდე შემონახულია ნანგრევები ძველი ქართული დიდებული ციხისა და კათედრალისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთობ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურსა თუ სარწმუნოებრივ-საეკლესიო ცხოვრებაში.

აწყური ფრიად მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, იქ გადიოდა დიდი გზა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა ქართლთან. აწყურის ციხე სამშენებლო თვალსაზრისით რთული ნაგებობა იყო. მართალია, ახლა ის ნანგრევების სახითაა მოღწეული, მაგრამ მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს და მნახველს ქართველთა მდიდარ ისტორიულ წარსულს აგონებს. ნანგრევების სახითაა მოღწეული საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც ფართობით ერთ-ერთი უდიდესი იყო საქართველოში. აწყურის კათედრალი მრავალჯერ დაზიანდა. განსაკუთრებით დაზარალდა ის მე-13 საუკუნეში. მემპტიანის ცნობით, მიწისძვრით „სამცხეს ურიცხვ სული მოსწყდა და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი. საყდარი აწყურისა დაიქცა“¹. შემდეგში ქართველებმა აღადგინეს; ვახუშტის დროს, მე-18 ს. ნახევარში კიდევ მთელი ყოფილა. ვახუშტი წერს: „აქა არს ეკლესია დიდშენი, შვენიერად ქმნული, გუნბათიანი, ყოვლად-წმიდის ღვთისმშობლისა“². ჩანს, კათედრალი შემდეგ ხანაში, თურქთა ბატონობის მიწურულში დაინგრა.

აწყურის ციხე და აწყურის ეპისკოპოსი—მაწყვერელი ძველ წყაროებში ხშირად გვხვდება.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით აწყურის საეპისკოპოსო კათედრა მე-9 საუკუნიდან იხსენიება. პირველი ეპისკოპოსები, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, მე-9 საუკუნის მოღვაწენი ეფრემ და გიორგი მაწყვერელები არიან.

საუკუნეთა მანძილზე აწყურის ეპისკოპოსი ძალზე უფლებამოსილი იყო და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსთა შორის პირველი ადგილი ეჭირა. მე-13—14 საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავართა შორის

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 278; ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 254.

² აღწერა, გვ. 124.

ინანელი წინაურდება, ხოლო მაწყვერელი მეორე ადგილზე გადადის¹. მალე კვლავ მაწყვერელი ძლიერდება: „განგებად დარბაზობისაჲ“ მას მეხუთე ადგილზე იხსენიებს².

როდესაც სამცხე გამოეყო ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, იქ საწმენდობრივ-საეკლესიო ცენტრად აწყური გახდა. ესწრაფოდნენ რა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მფლობელობიდან სამცხის სამუდამო ჩამოშორებას, იქაური მთავრები არ კმაყოფილდებოდნენ პოლიტიკური გამოყოფით და ეკლესიის გამოყოფისთვისაც იღვწოდნენ. ათაბაგები ცდილობდნენ დიდი უფლება მიენიჭებინათ მაწყვერლისათვის და ის მცხეთელი მღვდელმთავრისათვის დაეპირისპირებინათ.

ცდა სამცხის ეკლესიის ქართლის ეკლესიიდან ჩამოშორებისა იწყება ჯერ კიდევ მე-14 საუკუნის გასულადაც³ და ძლიერდება მეხუთმეტე საუკუნეში. ცნობილია ამ მხრივ მცდელობა ყვარყვარე ათაბაგისა. ის იმდენად გატაცებული იყო განკერძოების სურვილით, რომ სამცხის ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებასაც ლამობდა. ყვარყვარეს სურდა აწყური აქმალდებინა, მაწყვერელი განედიდებინა, რათა სამცხის სასულიერო პირნი მცხეთას აღარ წასულიყვნენ საკურთხეველად და ქართლის კათოლიკოსისათვის ერთგულების ფიცის მისაცემად. გაკანდიერებული ათაბაგი ძირს უთხრიდა ერთიან ქართულ ეკლესიას. ე. ნათლად შეიგრძნო ქართველმა საზოგადოებრიობამ. ქართლის კათოლიკოსმა დავითმა შეაჩვენა სამცხის ეკლესია („მაწყვერელი და სამცხისა ებისკოპოსნი [მისგან] უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა“)⁴ და ათაბაგს ხელი ააღებინა განზრახვაზე. ამის შემდეგ მცხეთაში მოსულ მესხ საეკლესიო პირს კათოლიკოსი პირობის წიგნს ადებინებდა და ფიცს სთხოვდა.⁵

როგორც ჩანს, ადრე შესუსტებული ერთობა მცხეთა-სამცხის ეკლესიებისა, მცხეთა-აწყურის მღვდელმთავრებისა, რამდენადმე განახლებულა მე-15 საუკუნეშივე. ცნობილია გერასიმე მაწყვერლის მიერ ქართლის კათოლიკოსის მიქაელისადმი მიცემული წიგნი, რომელშიც სამცხის მღვდელმთავარი ერთგულებას აღუთქვამს და მორჩილებას ჰპირდება ქართლის ეკლესიის მეთაურს⁶. ანის ახლო ხნისაა სერაპიონ მაწყვერლის მიერ თეოდორე კათოლიკოსისადმი მიცემული ერთგულების ფიცის წიგნი⁷. ჩანს, ამ ხანაში ქართლის კათოლიკოსი აკურთხავდა რა მაწყვერლად ამა თუ იმ პირს, სპეციალურად ართმევდა ერთგულების ფიცსა და მორჩილების პირობას. ასეთი წესი არსებობდა მე-16 საუკუნეშიც, ქართლის მეფის დავითის (1505—1525) დროსაც (იხ. ნიკოლოზ მაწყვერლის სიგელი)⁸.

ჩვენამდე მოღწეული ზემოხსენებული წიგნებიდან ნათლად ჩანს ქართველ კათოლიკოსთა სახელმწიფოებრივ-ეროვნული პოლიტიკა და ქართული ეკლეს-

¹ ელემწიფის კარის გარიგება, გვ. 14.

² იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6.

³ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 194.

⁴ ქრონიკები, II, გვ. 267.

⁵ იქვე, გვ. 267—268.

⁶ იქვე, გვ. 227.

⁷ იქვე, გვ. 238—239.

⁸ იქვე, გვ. 331 (Ad №№ 320, 522, 547).

სიის მთლიანობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება. სამწუხაროდ, ვართულებულ მდგომარეობას კათოლიკოსთა მოქმედებამ ველარ უწველა, მე-16 საუკუნეში ნზეჭაბუკ ათაბაგმა (1500—1515) ნაწილობრივ მაინც მიაღწია მიზანს.

მზეჭაბუკი საკმაოდ განდიდებული იყო და ქართლის მეფეს აღარ ეპუებოდა. მას აღარც ის მოსწონდა, სამცხის ეკლესია მცხეთის საკათოლიკოსო საყდარს რომ ემორჩილებოდა. მზეჭაბუკმა ისარგებლა ქართლის გართულებული მდგომარეობით და სამცხე-საათაბაგოს ეკლესია გამოყო ქართლის ეკლესიისაგან, ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსის სამცხეში ყოფნისას მოახერხა მიზნის აღსრულება და აწყურის საყდრის „განმთავრება“¹. დოროთეოსმა მაწყვერლად აკურთხა ტრაპიზონელი ბერძენი სვიმეონი და სამცხის ეკლესიის მართვა მას ჩააბარა².

პირადი პატივმოყვარეობით დაბრძალებულმა მზეჭაბუკმა ზემოაღნიშნული აქტით სამცხის ეკლესია მოსწყვიტა საქართველოს დედა-ეკლესიას—მცხეთის საკათოლიკოსოს, იქაურ ეკლესია-მონასტრებში ქართველ მეფე-კათოლიკოსთა ხსენება აღკვეთა და ამით საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის სიმბოლური გამოხატულებაც მოსპო³.

მე-16 საუკუნიდან მაწყვერელი სამხრეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურია, სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში პირველ ადგილზე იხსენიება და დიდი სამწყსო აქვს. ძველი დოკუმენტი, „მაწყვერელი გვრგვინისონიანი არის. ინისი სანწყსო ყვიბის-კორტანეთს შუა რომ წყარო ჰსდის, იმას ზეით ჯეობა და სადგერი სრულად, აწყვერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის გაღმართ და გურიის წადგომამდის“⁴. მაწყვერლის სამწყსო რომ დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ამას ვახუშტიც ადასტურებს: აწყურს „იჯდა მიტრაპოლიტი, მწყენსი ყვიბის-კორტანეთს ზეითისა, და მტკვრის ჩრდილოეთისა, და ბოცოს-წყლის ჩრდილოეთის კერძოსი, ვიდრე გურიის მთისამდე“⁵.

აწყურის მღვდელმთავარი ზოგჯერ საწმინდრო საქმეებშიც ერეოდა და ქართველ მებრძოლებსაც სარდლობდა. ასე, მაგალითად, როდესაც ლიპარიტმა ტყვედ ჩაიგდო აწყურის ციხის პატრონი, არტანუჯის ერისთავი აბუსერი (მე-11 ს. შუა წლებში), ლიპარიტის წინააღმდეგ შესხვებს მაწყვერელი გაუძღვა⁶; 1486 წელს სამცხეში იაყუბ ყაენი შეიქრა და აწყურსაც ალყა შემოარტყა. ციხის დაცვაში მაწყვერელიც მონაწილეობდა⁷.

¹ ისტ. საბუთები, II, გვ. 27.

² ქრონიკები, II, გვ. 317—3. 8.

³ ი. ჯაფარიძის შვილი, ქართული ერის ისტორია, IV, გვ. 53—61, 166—172.

⁴ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 8.

⁵ აღწერა, გვ. 124. ბექა-აღბულას სამართლის წინასიტყვაობიდან საფიქრებელი ხდება, რომ აწყურის კათედრალს საკუთარი კანონმდებლობაც ჰქონდა. ეს კიდევ უფრო წარმოაჩენს მაწყვერლის უფლებამოსილებას, მის უმაღლესა და დამოუკიდებელ უფლებრივ მდგომარეობას. თუ საეკლესიო საქმეებში მაწყვერელი უზენაესი პირია, სავარაუდოდ სამართლის საქმეებში ის ათაბაგის თანასწორია, მასთან ერთად აზორციელებს უმაღლეს მართლმსაჯულებას (ი. დოლოძი, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 116—117).

⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300 (შემდეგში ის ლიპარიტს მიემხრო).

⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 482.

მე-16 საუკუნეში, 1518 წელს ყვარყვარე ათაბაგმა, —ქაიხოსროს ძემ და ნზექაბუკის ძმისწულმა, —სამცხის ეკლესია კვლავ ქართლის კათოლიკოსს დაუმორჩილა, ის საეპისკოპოსონი, რომლებიც მზექაბუკმა „უკუიკირნა“, ყვარყვარემ მცხეთას დაუმტკიცა¹.

აწყურის ციხე, რომელიც ერთ ხანს ბაგრატიონთა, ხოლო შემდეგ მათ ერისთავთა გამგებლობაში იყო², მე-16 საუკუნის მეორე ნახევარამდე ჯაყელთა სახლის ერთ-ერთ რეზიდენციას წარმოადგენდა. როგორც ძლიერი ციხე-სიმაგრე, ის ყოველთვის იპყრობდა მოძალადე მტრის ყურადღებას და არა ერთჯერის გამხდარა დარბევა-აკლების ობიექტი. კირაკოზ განძაყელის ცნობით, აწყური დაარბიეს ჯერ კიდევ ზონლოლებნა³; 1477 წელს აწყურის ციხე აიკლო უზუნ ჰასანმა („ქართლის ცხოვრების“ ცნობით, უზუნ ჰასანი „მოვიდა სამცხეს, და მერმე მოიწიენეს აწყურს, და მოსრნეს მრავალნი ქრისტიანენი, მღვდლნი, და მონაზონნი, და ერისკაცნი, და წარტყუენენეს სრულიად სამცხე.. და ტყუე ჰყვეს ხატი აწყურისა ღისმშობელი და წარიყვანეს ქუეყანასა მათსა“)⁴, 1486 წელს —იყუბ ყაენმა (H № 1755, 113v, H № 3004, გვ. 2; H № 1738, 378r)⁵ და ა. შ.

მე-16 ს. ბოლოს სამცხე თურქთა ხელში გადადის, აწყური სანჯაყის ცენტრი ხდება და ახალციხის საფაშოში ექცევა. აწყურის სანჯაყი დამპყრობლებმა მანუჩარ ჯაყელს მისცეს⁶.

აღნიშნული ხანიდან აწყურის ციხე, რომელიც თურქებმა დამატებით გაამაგრეს, მძლავრ ციტადელად იქცა, ხოლო კათედრალი დაუძღვრდა, მისი მღვდელმთავარი ხონთქარზე დანოკიდებული შეიქნა. 1650 წლის ცნობით, „საფრიძეს მტბევიარს იზხნელობა და მაწყვეროლობა მოუვიდა ხევანტქრისგან“ (S № 252, გვ. 18)⁷. ჩანს, აწყურის კათედრალის ბედი თურქ დამპყრობელთა ხელში იყო. აღნიშნულმა გარემოებამ ის აღრევე დასცა, ხოლო შემდეგ გააუქმა კიდევ. ვახუშტი მას გაუქმებულად იხსენიებს⁸.

აწყურის ციხე იქცა იმ პლაცდარმად, საიდანაც თურქები ქართველებს უტყვევდნენ. ქართველობამ მიზნად დაისახა აწყურის ხელში ჩაგდება და სამცხის შენეორთება. 1770 წელს ერეკლე მეორემ ახალციხის საფაშოს შეუტია

¹ Груз. церк. рукописи, გვ. 106; ქრონიკები, II, გვ. 335.

² მე-11 ს. შუა წლებში აწყურის ციხის პატრონად აბუსერ ერისთავი ჩანს, შემდეგ — კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი და ა. შ. სხვათა შორის, რუსულად მეფემ თავის ასულს თანაზს აწყური ნხოთვადაც კი მისცა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 172).

³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 167.

⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 478—479. მემბტიანე აწყურის ხატის გატაცებას უკვე შირებს ხლაოულ, სასწაულებრივ ამბებს. მისი გულუბრყვილო თხრობის კრიტიკული განხილვა იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 138—140.

⁵ ქრონიკები, II, გვ. 304. მემბტიანით, იყუბ ყაენსაც დაუტყვევებია აწყურის ღვთისმშობლის ხატი. შემდეგში ის ნენუჩარ ათაბაგს დაუხსნია და აწყურსავე დაუსვენებია (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 482—484).

⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 274. აწყურიდან ლტოლნილ ქართველთა ნაწილი ქართლში (ს. ლოღეთი) დასახლებულა (Д. Б а к р а д з е, Кавказ в Древних памятниках христианства, გვ. 21; დოკუმენტები, I, გვ. 29).

⁷ ხელნაწერთა აღწერილობა (SI, I, გვ. 258; ქრონიკები, II, გვ. 465, 475, VII. იხ. აგრეთვე Е. Т а к а й ш в и л и, Мат. для истории Грузии, გვ. 11.

⁸ აღწერა, გვ. 124.

და აწყურის ციხეს მიაღდა, ასპინძასთან სასტიკად დაამარცხა თურქთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი. ამ ბრძოლაში ქართველმა მამულიშვილებმა სასწაულებრივი გმირობა გამოიჩინეს და თავგანწირული მოქმედებით სასახელო გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ სამცხის განთავისუფლება ვერ შესძლეს. ქართველი ხალხის საუკუნობრივი ოცნება ასრულდა 1828 წელს, როდესაც რუს-ქართველთა შეერთებულმა ლაშქარმა ახალციხე აიღო და აწყურიც დედამამშობლოს დაუბრუნა.

ამჟამად აწყურის ციხე და კათედრალი ნანგრევების სახითაა მოღწეული, მაგრამ თავისი მოხდენილი ადგილმდებარეობით, მონოლითურობითა და გრანდიოზულობით ცხოველ ინტერესს იწვევს¹.

აწყურში სხვადასხვა დროს უმოღვაწიათ ქართული კულტურის გამოჩენილ მუშაკებს, სასულიერო-საეკლესიო ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის მესვეურებს, მწერლებს, მწიგნობრებს, ლიტერატურით დაინტერესებულ უბრალო ადამიანებს.

მნიშვნელოვანი ფიგურა ჩანს ეფრემ მაწყვერელი, რომელიც ძველ წყაროში ეფრემ დიდის სახელითაა ცნობილი. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის გიორგი მერჩული. მისი თხრობით, როდესაც აფხაზეთს გაქცეული მოწაფეების — თევდორესა და ქრისტეფორეს სამებრად წარემართა გრიგოლ ხანძთელი, მან „ქართლისა სანახებსა“ პოვა „ეფრემ ყრმაჲ, ქაბუკი ღირსი“ (კბ), დაიმოწაფა და ხანძასს მიიყვანა. პატარა ეფრემის (და არსენის) ხანძასს მისვლა ბერებმა მტკივნეულად განიცადეს; ეს მათ სავანის წესის დარღვევად მიიჩნიეს, მაგრამ გრიგოლის აქტიური დახმარებითა და მხარდაჭერით ბავშვები დარჩენ ხანძაში. შემდეგში, როდესაც თევდორემ მონასტერი დააარსა ნეძეში, ეფრემი მას ეახლა. მომდევნო ხანაში ეფრემი აწყურის ეპისკოპოსად ჩანს. არსენ საფარელი, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, კათოლიკოსად დაადგინეს 860 წელს, ხოლო „დიდი ეფრემ უწინარის მრავლით წლით არსენისა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს“ (მე).

არსენის კათოლიკოსად კურთხევას სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ეფრემიც მტრულად შეხვდა და წინააღმდეგობაც გაუწია, მაგრამ გრიგოლ ხანძთელის დავალებით საეკლესიო კრებაზე ფარ-ხმალი დაყარა და არსენს მიემხრა.

ეფრემი ქართული ეკლესიის თვალსაჩინო მოღვაწეა. მის სახელთანაა დაკავშირებული მირონის კურთხევის უფლების მოპოვება ქართული ეკლესიის მიერ. მერჩული ასეთ ცნობას გვაწვდის: „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატუებელ იქმნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტეს-მი-

¹ Fr. Dubois, Voyage, II, გვ. 332—334; M. Brosset, Rapports, II, გვ. 117—118; П. Иоселиани, Города, გვ. 30—31; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 20—21; წერილი აწყურიდან, „ივერია“, 1895, № 241; П. Уварова, [Хрест. памятники, МАК, IV, 1894, გვ. 89—91; კ. მელითაური, ნ. შოროში ან შვილი, შ. ხანძთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, თბ., 1955, გვ. 22—26. მ. ლორთქიფანიძე, აწყურის ციხე, თბ., 1955; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, გვ. 40—46; III. Месхиа, Города п'городской строй феодальной Грузии, გვ. 46, 70, 116, 397 და შმდ. იხ. აგრეთვე А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 35.

ერითა პრქანებითა მიქრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალჴმისა პატრიაქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით“ (მთ).

ზოგიერთი ცნობით, ეფრემს ამ საქმეში შეელოდნენ ბერები მიქაელი და არსენი, რომელთაც პატრიაქ სერგის (851—867) ნებართვით იერუსალიმიდან მკუთას გადმოიტანეს მირონის კურთხევა¹. ამრიგად, გიორგი მერჩულის ცნობით, რომელიც სხვა მოწმობითაც დასტურდება, მე-9 საუკუნეში ქართველებმა მოიპოვეს ქართლში მირონის კურთხევის უფლება. ეს მოვლენა, რომელსაც საქართველოს ეკლესიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეფრემის სახელთანაა დაკავშირებული. ჩანს, ეფრემი საქმად უფლებამოსილი და გაუღენიანი მღვდელმთავარი ყოფილა. ის ფაქტი, რომ ეფრემი არსენის კათოლიკოსად დადგინების წინააღმდეგი იყო და სასტიკ პროტესტს გამოთქამდა, საფიქრებელს ხდის, რომ მას თავისი თავი მიაჩნდა უკეთეს კანდიდატად ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის პოსტზე.

მერჩულის ცნობებით შესაძლებელი ხდება გარკვევა ეფრემის მოღვაწეობის წლებისა. ეფრემი და არსენი ხანძთაში მიიყვანეს 836 წელს. არსენი 6 წლისა იყო, ხოლო ეფრემი „დღითა უხუცესი“ (კვ), ე. ი. რამდენადმე უფროსი, მაგრამ მაინც მცირე ასაკისა (როგორც აღვნიშნეთ, ხანძთელები დრტივნით შეზღუდნენ მის მიხვლას მცირეწლოვანების გამო). საფიქრებელია, ეფრემი დაიბადა 825 წლის ახლოს, მაწყვერლობა მიიღო 855 წლის ახლოს (30 წლის ასაკში, ადრე არ შეიძლება); აწყურის მღვდელმთავრად, მერჩულის თქმით, 40 წლის მანძილზე, ე. ი. დაახლოებით 855—895 წლებში.²

აწყურის ეპარქიისა და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო კერის თვალსაჩინო წარმომადგენელია გიორგი მაწყვერელი. ამ პირს იხსენიებს გიორგი მერჩული: „ვჰკონებდ ცხოვრებისა ამის (გრიგოლ ხანძთელი, —ლ. მ.) დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ეამთა ჩუენთა... ქრისტის მღვდელთმოდღუარნი ღირსნი გიორგი მაწყვერელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი პირველი“ (ნვ). ჩანს, გიორგი მაწყვერელი ესოდენ განათლებული და განსწავლული პირი ყოფილა, რომ მას შეეძლო გრიგოლის ცხოვრების აღწერა. მერჩულის ცნობით, ამ სიტყვების წარმოთქმისას, 951 წელს, გიორგი მაწყვერელი გარდაცვლილ იყო. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გიორგი მაწყვერელი ისეთ კონტექსტში იხსენიება, რომ ის მე-9 საუკუნის გასულისა და მე-10 ს. დამდეგის მწერალი ჩანს. ამას არც პ. ინგოროყვა უარყოფს³.

ამავე სახელისა და ზეწოდების მატარებელი პირი იხსენიება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც. როგორც ბასილის თხრობიდან ჩანს, მას ზოგიერთი ცნობა სერაპიონის შესახებ მიუღია გიორგი მაწყვერლისაგან, რომელსაც ავტორი კარგად ახასიათებს: „მოგუეთხრა ესე არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიადცა საჩინოთა და ბრწყინვალეთა. ვიტყვთ უკუე გიორგის ეპისკოპოსსა მაწყვერელსა“; „მომითხრნეს პირმან მან უტყუველმან, გიორგის ვიტყვ მაწყვერელსა“.

¹ Н. М а р р, Исторический очерк грузинской церкви с древнейших времен, ЦВ, 1907, № 3, გვ. 126.

² აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 110—111 (იხ. ზემოთ გვ. 405).

³ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩული, გვ. 12.

ბასილი გვაწვდის ცნობებს გიორგი მაწყვერლის შესახებ. ირკვევა, რომ გიორგი იყო სოფ. შუარტყალიდან, ალიზარდა და გაიწაფა ოპიზის საეპარქიაში („აღმოსცენდა ჰევისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთისმოშიშთა, ხოლო ალიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას“)¹.

გიორგი მაწყვერელი საკმაოდ ძლიერი მღვდელმთავარი ჩანს. სამცხის ცნობილი ფეოდალის გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ დიდი ბრძოლა გაჩაღდა მის ახლობელთა და ნათესავთა შორის. მთელი სამცხე მღვდლმთავრებამ მოიცვა და მხოლოდ გიორგი მაწყვერელმა შესძლო შფოთის დაცხრობა: „ქელთიდვა განგებაჲ სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წეს იყო, და დაიპყრნა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მემფოთეთანი“².

რომელი საუკუნის მოღვაწეა ბასილ ზარზმელის მიერ მოხსენიებული გიორგი მაწყვერელი? რადგან გიორგი მაწყვერელი სერაპიონ ზარზმელის თანამედროვედაა წარმოდგენილი, ხოლო ეს უკანასკნელი მე-9 საუკუნის მოღვაწეა, მაშასადამე, გიორგი მაწყვერელიც მე-9 საუკუნის მოღვაწე უნდა იყოს.

პ. ინგოროყვას გიორგი მაწყვერელი, ისევე, როგორც სერაპიონ ზარზმელი, ადრეული ხანის მოღვაწედ მიაჩნია და მის ცხოვრებას მე-6 ს. მეორე ნახევრითა და მე-7 საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს³. სამწუხაროდ, შველევარი არ გვიჩვენებს, თუ რით მტკიცდება მერჩულის გიორგი მაწყვერლისა და ბასილ ზარზმელის გიორგი მაწყვერლის სხვადასხვაობა, ის საერთოდ არც ჩერდება ამ საკითხზე.

პატივცემული მეციხერის დასკვნის შეწყნარება ჩვენთვის შეუძლებელი ჩანს. ჩვენ ისიც კი არ ვიცით დანამდვილებით, მე-6 საუკუნეში არსებობდა თუ არა აწყურის კათედრა, ისიც ისე ძლიერი, როგორც ზარზმელის ცხოვრებაშია წარმოდგენილი. ჩვენთვის ცნობილია ძველ საეპისკოპოსოთა ორი სია, ერთი ეკუთვნის ვახტანგ გორგასლის ხანას⁴, მეორე—506 წლის საეკლესიო კრების მონაწილეთა ვინაობას გვაუწყებს⁵. აწყურის კათედრა არც ერთში არ იხსენიება, ჩანს, მე-6 ს. დამდეგს ის არც არსებულა. მაშ, როგორ ვიწამოთ და დავიჯეროთ, რომ იმ დროს არარსებული კათედრა შემდეგში დაარსდა და სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში დიდად გაძლიერდა?⁶

¹ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 168, 174.

² იქვე, გვ. 173.

³ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 326.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 198—199.

⁵ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I⁵, გვ. 300, შენ. 3.

⁶ 506 წლის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის იხსენიება იოსებ ძველი (ი. ჯავახიშვილი) თუ ადამიანი (ს. კაკაბაძე). პრაოდ. ს. კაკაბაძის აზრით, ეს უკანასკნელი შეიძლება აწყურის ეპისკოპოსი იყოს (იხ. მისი ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, 1924, I, გვ. 51). აქად. კ. კეკელიძის მართებული შენიშვნით, თუ ეს ჰიპოთეზა სწორია, მაშინ აწყურის კათედრალი ვახტანგიდან (—ამ უკანასკნელის მიერ საეპისკოპოსოების დაარსებიდან) 506 წლამდე აღმოცენებულა (იხ. მისი კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები, IV, გვ. 333—334). ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ დროს აღმოცენებული კათედრალი მოკლე ხანში ისე გაძლიერდა, როგორც ბასილ ზარზმელის ცხოვრებაშია ნახევრები. ის ცნობები, რომლებშიც აწყურის იხსენიება ანდრია მოციქულის დროინდელად (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38—39, 42, 224), დღეს არავის გამაადგება საბუთად (შდრ. М. Джанашидзе, История грузинской церкви, I, Т., 1898, გვ. 8—9). იხ. აგრეთვე Л. Мейлахс-Бек, Graeco-Byzantina в древнеармянском Liber epistolarum, ВВ, XII, 1957, გვ. 265—266.

გიორგი მაწყვერლის საკითხს 1916 წელს შეეხო აკად. ი. ჯავახიშვილი. მკვლევარმა ბასილ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიის თხზულებებში მოხსენიებული გიორგი მაწყვერელი ერთსა და იმავე პირად მიიჩნია და მისი მოღვაწეობაც დაათარიღა. მისი დასკვნით, გიორგი მაწყვერელი 951 წლის ადრე ხანში გარდაცვლილა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერისას ის მკვლარი ყოფილა¹.

აკად. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, გიორგი მაწყვერელი ეპისკოპოსად ჩანს ეფრემ დიდის შემდეგ, მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში. რადგან ის სერაპიონის უმცროსი თანამედროვეა, შეუძლებელია მე-9 საუკუნის დამლევისა და მათის დასაწყისის შემდეგ ეცოცხლა. მკვლევარი დაბეჯითებით ასკვნის, რომ მერჩულის მიერ მოხსენიებული გიორგი მაწყვერელი იგივე პირია, რომელიც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ჩანს².

ეს მოსაზრება შეიწყნარა და გაიზიარა აკად. კ. კეკელიძემაც. მან კიდევ უფრო დააზუსტა და დააკონკრეტა გიორგი მაწყვერლის მოღვაწეობის თარიღები. დასახელებული სამი მკვლევრის მოსაზრება საკამათო არ უნდა იყოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფრემ დიდი მაწყვერლად ჩანს 895 წლამდე, ხოლო გიორგი მის შემდეგ უნდა გამხდარიყო აწყურის ეპარქიის მღვდელმთავრად. ამ ფაქტს ადგილი ჰქონია გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების მეოთხე წელს, ხოლო სამცხეში გაჩაღებული ბრძოლა გიორგი მაწყვერელს დაუცხრია მღვდელმთავრობის შესამე წელს, ე. ი. 898 წელს. მისი მაწყვერლობა კარგა ხანს გაგრძელებულა; ყოველ შემთხვევაში, გიორგი მოსწრებია ბასილ ზარზმელს (X ს.) და ცნობებიც მიუწოდებია მისთვის³.

ჩვენთვის ცნობილია სხვა მწიგნობრებიც აწყურიდან. მე-11 საუკუნიდან ცნობილია გაბრიელ კოტაი. მას ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის დავალებით აღიდებულსა საყდარსა აწყურისასა“ გადაუწერია იოანე ოქროპირის იოანესთავის თარგმანება 1053 წელს (K № 21). შემდეგში ეს ხელნაწერი დამკვეთმა კაცის ტაძარს შესწირა⁴.

მე-16 საუკუნიდან ცნობილია გადანაწერი გრიგოლი, რომელსაც ქაიხოსრო ფანასკერტელ-ციციშვილის ბრძანებით 1538 წელს აწყურის ღვთისმშობლის ტაძარში გადაუნუსხავს მარხვანი (H № 1698). მისივე მონაწერიდან ჩანს, რომ ის „აწყურის ქალაქსა და მონასტერსა შინა“ აღზრდილი ყოფილა⁵. იმავე საუკუნეში მოღვაწეობდა იოაკიმე მაწყვერელი, რომელმაც სვიმეონ კარგარეთელს დაავალა პოლემიკურ-დოგმატიკური და სამეცნიერო კრებულის (S № 312) გადაწერა⁶. ეს უკანასკნელი ფაქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ჩანს, მე-16 საუკუნის აწყურელი მოღვაწენი კვლავ ცხოველ ინტერესს

¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო წყაროება, თბ., 1916, გვ. 62; 1945, გვ. 125

² ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, ოცმ. I, 1919, გვ. 111—112.

³ აღრიხნული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 111—116. შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 143—144.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 99—101; ქრონიკები, I, გვ. 194. მე-13—14 საუკუნეებში ოქრა ჯავახიძეს აწყურში გადაუწერია სვინაქსარი (S № 1245). იხ. M. Brosset, Rapports, II, გვ. 179—180; ქრონიკები, II, გვ. 284; მ. ჯანაშვილი, აწყურის სვინაქსარი და მისი მინაწერები (Q № 574).

⁵ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 122—123.

⁶ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 365—375; ქრონიკები, I, გვ. 336; გზამკვლევი, გვ. 36—37.

ინდენენ მეცნიერებისადმი. 1575 წელს იერემია მაწვეერელმა მანოელ ინანიკი-შეილს გადააწერინა მარხვანი (Q № 657)¹ და ა. შ.

ს ა შ ე რ ა

საფარის მონასტერი მდებარეობს ახალციხის რაიონში (რაიონული ცენტრიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით), ურავლის ხეობის უდაბურ ადგილას, რომელიც უმცენარო ლანდშაფტის ფონზე საუცხოო ოაზისს წარმოადგენს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მონასტერი მთის ფერდობზეა გაშენებული და მისი ეკლესიები თუ დამხმარე ნაგებობანი სხვადასხვა სიმაღლეზეა განლაგებული. ძველი ქართული კულტურის ამ დიდებულ ძეგლს მწვანით შემოსილი მიდამო და ლამაზი მთები კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიან. მოხდენილი ადგილმდებარეობა, ხუროთმოძღვრული ანსამბლის მრავალფეროვნება, დიდი მხატვრული ღირსება, საყურადღებო ისტორიული წარწერები, ისტორიულ პირთა პორტრეტები, დიდებული წარსულის მოწმე ნაგებობათა სიმრავლე აცხოველებენ ინტერესს საფარის მონასტრისადმი.

საფარის მონასტრის დაარსების ზუსტი თარიღი ჩვენთვის ცნობილი არაა. საფარა, როგორც პუნქტი, უკვე მე-9 საუკუნიდან ჩანს, მაგრამ, რასაკვირველია, ამით მონასტრის დაარსების თარიღის გარკვევა არ ხერხდება. დღემდე შემორჩენილ ნაგებობათა შორის უძველესია მიძინების ერთნაფიანი ეკლესია (X ს.), რომელიც მდიდრული ჩუქურთმებითაა შემკული. მონასტრის მთავარი შენობა,—საბას დიდი გუმბათიანი ტაძარი,—მე-13 საუკუნეში აშენებულია სარგის ჯაყელის ძეს—ბექა მანდატურთუხუცესს. ის შესრულებულია ბრწყინვალედ; მისი ამგები—ქართველი ხუროთმოძღვარი ფარეზასძე,—რომლის სახელი ტაძრის დასავლეთის კარიბჭის სარკმლის წარწერამ შემოგვინახა²,—დახელოვნებული კონსტრუქტორი ყოფილა. საბას ეკლესია, როგორც აღნიშნეთ, ჯაყელთა სახლის მიერაა აგებული. ეკლესიის წარწერებიდან ჩანს, რომ მის მშენებლობაში ჯაყელთა ქვეშევრდომი ფეოდალებიც მონაწილეობდნენ.

ყურადღებას იქცევს საფარის ტაძრების მოხატულობა. მიძინების ეკლესიის მოხატულობა შესრულებულია მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში ბექას შვილების—სარგის სამცხის სპასალარის, ყვარყვარესა და შალვას ბრძანებით (მათი პორტრეტები მე-19 საუკუნეში კიდევ შეინიშნებოდა). კარგადაა დაცული მხატვრობა საბას ტაძარში, სადაც სამხრეთ კედელზე შესრულებულია ბექა ჯაყელისა და მისი-ოჯახის წევრთა სურათები.

¹ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 114—115. ლიტერატურით დაინტერესებული პირი ყოფილა იოანე არსენის ძე მტბევაარ-მაწვეერელიც (იხ. ტბეთი).

² გ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, გვ. 51—52, 70—71. საფარის მონასტრის აგების შესახებ საინტერესო თქმულებებია შემონახული მესხეთში (მ. ჩიქოვანი, აბუსერისძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V, № 7, 1944, გვ. 758—759). სხვათა შორის, საკმაოდ გაგრძელებული იყო სახელი საფარა (საქ. სიძველენი, II, გვ. 194; დოკუმენტები, II, გვ. 38, 166, 389; II, გვ. 58 და ა. შ.). გვხვდება გვარიც—საფარაშვილი (საქ. სიძველენი, I, გვ. 303; II, გვ. 422; დოკუმენტები, I, გვ. 48).

საფარის მონასტერი მე-13—14 საუკუნეთა მიჯნიდან ჯაყელთა ერთ-ერთ (საზაფხულო?) რეზიდენციად ჩანს. თავის დროზე ის მძლავრ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და ციხე-კოშკებით იყო გამაგრებული. დღესაც კარგად შემჩნევა ნანგრევები ძველი ციხის, ღივი გალანისა და სასახლისა. საფარა ჯაყელთა საძვალეც უნდა ყოფილიყო¹.

მე-14 საუკუნეში საფარა ბეჟა-ალბულას სამართლის წინასიტყვაობაში იხსენიება. მართალია, ის იქ გაკვეთილად მოხსენიებული, მაგრამ მაინც საყურადღებოა მისი დაყენება სამცხის მთავარი საეპისკოპოსო კათედრალის—აწყურის გვერდით. დასახელებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ საფარას განსაკუთრებული სამართლის უფლება ჰქონდა².

მე-16 საუკუნიდან სამცხეში თურქები მომძლავრდნენ, ძველი ქართული პროვინცია გაშაშვდიანდა. საფარის მონასტერმა მნიშვნელობა დაკარგა, მისი ძლიერება შესუსტდა და დაეცა, ძველი სივანე დაცარიელდა და გაუკაცრიელდა. საფარის დაცემასა და აკლებას გვაცნობს თეიმურაზ პირველი 1630 წლის სიგელში, რომელიც მას საფარიდან გამოძევებული წინამძღვრის არსენ ავალიშვილისადმი მიუცია: „უღმთოთა მაჰმადიანთა მიერ მონასტერი... ყოველად დიდებული მოოჯრებულიყო, პატიოსანი ხატი წარმოსუენებულიყო, მამულნი, მეტოქნი, სოფელნი, დაბანი და აგარაკნი წაჯდომილიყუნეს“³. თეიმურაზი გვაცნობებს, რომ სამცხიდან ლტოლვილები მას არადეთს დაუსახლებია. სხვა ცნობებითაც ირკვევა, რომ საფარის ნიეთები იქაურ მოღვაწეებს ქართლსა (არადეთს) და იმერეთს (ჩხარი)⁴ გაუზიდავთ. საინტერესოა, რომ თურქთა მიერ სამცხის ხელში ჩაგდების შემდეგ იმ მხარეში დანიშნულ პირველ ფაშას საფარ-ფაშა უწოდეს. სპეციალისტთა აზრით, საფარებელია, აღნიშნული ფაქტი იმას მოწმობდეს, რომ ჯაყელთა რეზიდენცია თურქ დამპყრობთა მეთაურის რეზიდენციად იქცა.

მომდევნო ხანაში საფარაში ქართველი მოღვაწენი ჯერ კიდევ ჩანან, მაგრამ მღვდელმსახურება იქ ძველებურად აღარ სრულდებოდა.

მე-18 საუკუნის შუა წლებში ვახუშტი ასე წერს საფარაზე: ღრელის ხეზე „არს საფარას მონასტერი, შვენიერად დიდშენი, გუნბათიანი, ყოვლადწმიდისა. ეს იყო შემკული ყოვლითა საეკლესიოსა და წმიდათა ნაწილებითა, და დაეფლოდნენ ათაბაგნი, და აწ არს ხუცის ამარ“⁵.

ჩანს, ვახუშტის ეპოქაში ქართველი სასულიერო პირი კიდევ ყოფილა საფარაში. თითო-ოროლა საფარელი მოღვაწე გვხვდება გვიან ხანაშიც: ზედა თმოგვისა და ვაჩიანის წარწერებში იხსენიება (1773 წ.) საფარელი მღვდელ-

¹ ჯაყელები თუ მათი ახლობლები საფარის მოძღვრებაც ყოფილან (ქრონიკები, II, გვ. 257; ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 286).

² ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 116—117, 286.

³ საქ. სიძველენი, III, გვ. 538. არსენ ავალიშვილი შემდეგში ალავერდელად ჩანს (საქ. სიძველენი, III, გვ. 547: დოკუმენტები, I, გვ. 366; Посольство епископа Тихофашова и дьяка Исидора в Имеретию, გვ. 1, 39).

⁴ მგალითად, ჩხარში გაუტრინათ წმიდა საბას დიდი ხატი (იხ. ვ. თაყაიშვილი, ჩხარის ეკლესიის სიძველენი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, 1950, გვ. 203—205).

⁵ აღწერა, გვ. 127.

ლი გიორგი¹, 1778 წელს იხსენიება მიტროფანე საფარელი (K № 101) და ა. შ.

მძიმე მდგომარეობაში იყო საფარის სავანე მე-19 საუკუნეში. ქართული ელემენტი იქ თანდათანობით შემცირდა და გაქრა. 1893 წელს საფარაში გაიხსნა რუსული მონასტერი, რომელმაც იარსება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე².

ამჟამად საფარა დაცულია როგორც ქართული ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლი. ზაფხულის თვეებში იქ ახალციხის რაიონის პიონერთა ბანაკია გამართული და ძველ ქართველ მოღვაწეთა სამყოფის მყუდროებას სიცოცხლით აღსავსე პიონერების მხიარული ერთმეული არღვევს. მონასტერი დღესაც დიდად იპყრობს როგორც სპეციალისტების, ისე თართო საზოგადოების ყურადღებას³.

საფარის მონასტერში თავის დროზე საკმაოდ ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება. იქ მოღვაწე ქართველი მწიგნობრები თუ ის პირნი, რომლებიც იქაურ ლიტერატურულ ტრადიციებზე გაიწაფნენ და სხვა სავანეებში განაგრძობდნენ მოღვაწეობას, ცნობილნი არიან როგორც ორიგინალური შრომების თხზვით, ისე ხელნაწერთა გამრავლებით.

¹ И. Ростомов, Ахалцханский уезд в археологическом отношении, გვ. 60. Е. Такайшвили, Христианские памятники. Экскурсия 1902 года, МАК, XII, 1909, გვ. 25; რ. გვერდ წითელი, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947, გვ. 244—246. სხვათა შორის, მე-18 საუკუნის 80-იან წლებში სამოგზაუროდ მიმავალმა იონა გედევანიშვილმა საფარის დეკანოზს უთხრა აღსარება „გზის სიშორისა და ზღუს ღელს გამო“ (მიმოსულა, გვ. 12).

² საფარის სამონასტრო ანსამბლის ისტორიასა და მდგომარეობას მე-19 საუკუნეში ვეცნობით იმ მრავალრიცხოვანი კორესპონდენციებით, რომლებიც მრავლად ქვეყნდებოდა გასული საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დამდეგის პრესაში (იხ.მაგალითად, ვინმე მესხი, საფარის წარწერები, „დროება“, 1879, №№ 176, 177, 186, 187; კალისტრატი, საისტორიო მასალა, „ივერია“, 1891, № 231; Z, დაბა და სოფელი, „ივერია“, 1892, № 40; საფარის მონასტერი, „კვალი“, 1894, № 18, გვ. 12—14; საფარის მონასტერი, „ივერია“, 1894, № 39; ე. შილდელი, ქ. ახალციხე და საფარის მონასტერი, „ივერია“, 1894, № 117; გ. ახალციხელი, წერილი ახალციხიდან, „ივერია“, 1899, № 185; Л. Кппианн, Сафарский монастырь, НО, 1902, № 6176 და სხვ.).

³ Fr. Dubois, Voyage, II, გვ. 292—299; M. Brosset, Rapports, II, გვ. 119—130; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 117—118; Л. Загурский, Краткий отчет о поездке в Ахалцхский уезд в 1873 г., ИКОРГО, II, № 2, 1873, გვ. 52—53; მისივე, Поездка в Ахалцхский уезд в 1872 г., ЗКОРГО VШ. 1873, გვ. 36—38; П. Уварова, Христианские памятники, МАК, IV, 1894, გვ. 77—89; მისივე, Кавказ, II, გვ. 194—196; Е. Такайшвили, Арх. экскурсии, I, გვ. 81—104; Н. Толмачевская, Фрески древней Грузии. Т., 1931, გვ. 24—26, Д. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцхский уезд в 1917 году (Росписи в Чуге, Сапаро и Зарзме), ИКН-АН, I, 1923, გვ. 36—56; С. Тарапушенко, Предварительный отчет о командировке в Зарзму, Чуге и Сапару, იქვე, გვ. 99—100; ც. გაბაშვილი, ვარძია, თბ., 1948, გვ. 16—20; კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, გვ. 34—36; P. Шмерлинг, Ацтарные преграды в Грузии, „ქართული ხელოვნება“, III, 1950, გვ. 147—154; ვ. ბერძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 25—87. იქ მოცემულია ანსამბლის აღწერა, ისტორია და მხატვრულ-ისტორიული ანალიზი. დასახელებული და განხილულია სათანადო ლიტერატურა (იხ. მისივე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, გვ. 16—29; მისივე, საფარა, თბ., 1960).

საფარის ლიტერატურული კერის მთავარი წარმომადგენელია კათოლიკოსი არსენ დიდი (IX ს.), რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (იხ. მცხეთა).

მე-10—11 საუკუნეების მოღვაწეთაგან ცნობილი არიან ივანე და გაბრიელ საფარელი. ისინი პალესტინაში (პალავრა, კალიპოსი) მოღვაწეობდნენ და იქ ამრავლებდნენ ქართულ ხელნაწერებს, ამიტომაც მათ საქმიანობას მეორე წიგნში განვიხილავთ.

მე-12 საუკუნეში ცნობილია ჩვენს მიერ ზემოხსენებული იოანე მტბე-ვარ-საფარელი. მან, როგორც აღვნიშნეთ, 1195 წელს დაამზადებინა წყაროს-თავის სახარება (Q № 907)¹.

მე-12—13 საუკუნეებში საფარაში მოღვაწეობდა ძველი ქართული წიგნ-ბის გამრავლებით დაინტერესებული პირი ეფრემი. მას ხელნაწერთა გადანუსხ-ვაშიც ნიუღია მონაწილეობა. ჯგერის მონასტრის ბიბლიოთეკის ერთ წიგნს ასეთი მინაწერი აქვს: „წარმოვგზავნე, წა ესე წიგნი გრიგოლი ოთისმეტ-ყლისა მიერ თქმული მე მესხმან აზნაურმან არყისციხელმან გაბამან. აღწერა წიგნი ესე მამის ბიძამან ჩემმან საფარს წინამძღუარმან ეფრემმან მანდა წარ-მოსავგზავნელად და იგი ვერლარა ესწრა და მიიცვალა. აწ წარმოვგზავნე სალოც-ველად მისდა“ (ნ. პართი № 34; რ. ბლეიკით № 43). თუ არყისციხელი აზნაური გაბა საქმის ვითარებას სწორად გადმოგვცემს და მისი ნათესავის ღვაწლს განზრახ არ აზვიადებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეფრემ საფარელი ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერების კეთილდღეობისა და ზრდა-განვითარების აქტიური მონაწილეა. ჩანს, ის შორეულ მხარეში არსე-ბული ქართული მონასტრის წიგნადი ფონდის გაზრდაზეც კი ზრუნავდა.

მე-16 საუკუნეში საფარის მონასტერში მოღვაწეობდა ცნობილი კალი-გრაფი სვიმეონ კარგარეთელი. მის საქმიანობას გვაცნობს მე-16 საუკუნის ზოგიერთი საყურადღებო ხელნაწერის ანდერძ-მინაწერი. როგორც აღვნიშნეთ, სვიმეონ კარგარეთელს საფარაში, საბას ლავრაში, იოაკიმე მაწვეერლის დაკ-ვეთით გადაუწერია პოლემიკურ-დოგმატიკური და სამეცნიერო კრებული (S № 312)². მასვე ამბერკი იშინელის დავალებით მონაწილეობა მიუღია აბუ-სერისძე ტბელის შრომების შემცველი უძველესი ხელნაწერის (A № 85) შეე-სება-რესტავრაციაში³. მას გადაუწერია გულანებიც (A № 197; K № 16)⁴.

¹ როგორც აღვნიშნეთ, წყაროებში იხსენიებიან არსენ საფარელი, ივანე საფარელი, გაბრიელ საფარელი და ა. შ. მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ საფარაში საეპისკოპოსო კათედრალის არსებობა ვივარაუდოთ, ეს არც ერთი წყაროთი არ დასტურ-დება (გ. ბერიძე, სამცხის ბუროთმომდგრება, გვ. 50, 58; შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 82; ა. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, თსუ შრომები, XXXVII, 1949, გვ. 94). ერთ საბუთ-ში „საფარის სანწყისა“ მოხსენიება (Ad № 522; Гр҃҃з. аѳрк. гуджарин, გვ. 103; ქრონიკები, II, გვ. 227), საქმის ვითარებას ვერ ცვლის.

² ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 365—375; ქრონიკები, I, გვ. 336; გზამკვლევი, გვ. 36—37.

³ ქრონიკები, II, გვ. 111.

⁴ Описание рукописей (A), I, გვ. 222; ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 78—82; ქრონიკები, II, გვ. 372. მე-16 — 17 საუკუნეებში ცნობილია რამდენიმე კალიგრაფი კარ-გარეთელთა გვარიდან, მაგალითად, ზოსიმე (K № 165), ამბროსი, გიორგი (A №№ 186, 187; H № 882) და სხვ.

კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები საფარის მონასტერში გვიან ხანადვე გრძელდებოდა. 1778 წელს მიტროფანე საფარელმა იქ გადაწერა დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული (K № 101), 1844 წელს ქრისტესია სამადაშვილმა იქ გადაწერა „გრდემლი“ (A № 1591) და ა. შ.

პ რ ზ მ ე

ზარზმის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ სამცხეში, აღიგენის ყოფ. რაიონული ცენტრიდან ექვსიოდე კილომეტრის დაშორებით, ქვაბლიანის თვალწარმტაც ხეობაში. ის გაშენებულია მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ზარზმაში, უკავია შესანიშნავი ადგილმდებარეობა და გარკვევით მოჩანს შორ მანძილზე. მონასტრის მთავარი ტაძარი, რომელიც გუმბათიან ნაგებობას წარმოადგენს, ნაშენია თლილი ქვით. ეკლესიის ინტერიერი მხატვრულად დასრულებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, კარ-სარკმლები მოჩუქურთმებულია მშვენივრად. საერთოდ ზარზმის ტაძარი ძველ ქართულ სამშენებლო ტრადიციათა შემცველია და მაღალ დონეზე დგას შესრულების თვალსაზრისით. სპეციალისტთა დასკვნით, ზარზმა ხუროთმოძღვრულად უფრო მთლიანი ნაწარმოებია, ვიდრე საფარა, ამასთანავე ის უფრო გვიანაა აგებული ვიდრე საფარის წმ. საბას ტაძარი.

ზარზმის მონასტრის ანჰამბლში ყურადღებას იპყრობს სამრეკლო, რომელიც ინტერესს იწვევს როგორც მონუმენტურობით, ფაქიზი და მდიდრული დამუშავებით, ისევე ისტორიული წარწერით, რომელიც მცირე სამლოცველოზეა შესრულებული და ივანე სულის ძეს ეკუთვნის. მისი ხუროთმოძღვრული გაფორმება ტაძრის იდენტურია. დატულია სხვა ნაგებობანიც (მთავარი ტაძრის კედელზე მიშენებული ერთნაივანი სამლოცველო, ორი მცირე ეკლესიის ნანგრევი და სხვ.).

ზარზმის მონასტერი, — კერძოდ, ანსამბლის სახის შემქმნელი ტაძარი და სამრეკლო, — ქვაბლიანის ხეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობაა. ის ნათლად მეტყველებს ქართული ხუროთმოძღვრების მაღალ დონეზე, მშენებელთა დახვეწილ მხატვრულ გემოვნებასა და ლალ ფანტაზიაზე.

ზარზმაში ეკლესიის მშენებლობისა და სამონასტრო ორგანიზაციის ისტორიას კარგად გვეაცნობს ცნობილი ქართველი მწერალი ბასილ ზარზმელი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბასილის თხრობა შეეხება არა იმ ტაძარს, რომელიც ახლა აღმართული ზარზმაში და ხიბლავს მნახველებს, არამედ იქ აღრე გაშენებულ ეკლესიასა და მონასტერს.

ბასილ ზარზმელი თავის ორიგინალურ ავთოგრაფიულ შრომაში: „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთმემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“¹ გვიშლის უტყუარ სურათს მაშინდელი სამცხის სოციალურ-პოლი-

¹ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება შემონახულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში (A № 69), რომელიც მე-16 საუკუნით თარიღდება. იგი გამოცემულია რაპდენჯერმე (მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. 1—46; ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 147—182; ძველი ქართული ლიტერატურა: ქრესტომათია, I, გვ. 86—98; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I¹, გვ. 220—237; I², გვ. 218—236; ჩუენი საუჯგო, ტ. 1, გვ. 95—130. თარგმნილია რუსულად (Памятникъ древнерусской агнографической литературы, გვ. 76—101) და ლათინურად (P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes, AB, XX XVI—XXXVII, 1923, გვ. 159—207).

ტიკური და კულტურული ვითარებისა, ნათლად გვიხატავს სამცხის სამონასტრო კოლონიზაციას, გვაცნობს ზარზმის მონასტრის აღმოცენების ვითარებასა და ისტორიას, ძველ ქართულ მოღვაწეთა საქმიანობას. მისი მოთხრობიდან ვგებულობთ, რომ ზარზმის მონასტრის დამაარსებელი სერაპიონი წარმოშობით იყო კლარჯეთიდან. მისი შშობლები ყოფილან გლეხები. თავის ძმასთან (იოანე) ერთად სერაპიონი გაუდგა გზას და მივიდა სამცხეში, დაემოწა მიქელ პარხელს, ხოლო შემდეგ იწყო ზრუნვა ახალი მონასტრის დაარსებაზე. მასა და მის ძმას — იოანეს „თანეცტრთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისაჲ თანაშემწედ და სასოდ ყოველთა ქრისტიანეთა“. დიდი ძიების შემდეგ მათ სამცხეში შეარჩიეს სამონასტრო ადგილი. ადგილობრივმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა, „რომლისა ტაძარნი შენიყენეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისა“, დიდი დახმარება აღმოუჩინა მონასტრის დამაარსებელთ.

სერაპიონმა და მისმა მხლებლებმა შეარჩიეს ადგილი და იწყეს ეკლესიის მშენებლობა, „ხოლო იყენეს ხუროთ-მოდლუარ და ზედამდგომელ საქმისა. მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი“, რომელნიც სერაპიონის იქ მისვლის შემდგომ ეკურთხნენ ბერებად.

ბასილ ზარზმელი გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ ამ ადგილს რად ეწოდა ზარზმა. როგორც ირკვევა, ადგილობრივ მკვიდრთაგან ყველა გულლიად არ შეხვედრია სერაპიონისა და მისი ჯგუფის მისვლას და იქ დაფუძნებას. ეკლესიის შენების დაწყებასა და მონასტრის ორგანიზაციას, რისთვისაც მათ სასწაული მოევლინათ. ამ ფაქტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: „მიერთგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთაჲ ადგილსა მას, რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყენეს“.

როგორც ბასილის შრომიდან ჩანს, ეკლესიის მშენებელთ ძალზე გაუჭირდათ წამოწყებული საქმის ჯეროვნად წარმართვა; გიორგი ჩორჩანელის რჩევით მოხიდეს და გამოიყენეს ნანგრევები ერთი ძველი ეკლესიისა. „შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიმკო ყოვლითა განგებითა“, „აღმართეს მას შინა ცხოველსყოფელი ხატი ფერისცვალებისაჲ და ამისსა შემდგომად სენაკებიც იშენეს ძმათა“. ამრიგად, აგებულ იქნა ეკლესია და გაშენდა მონასტერიც. მალე გაიზარდა ბერთა კრებულიც („შემოკრბა კრებული დიდძალი ძმათაჲ“). გიორგი ჩორჩანელი კვლავ დაუზარებლად და უშურველად ეხმარებოდა ზარზმის მონასტრის ბინადართ. მან „მისცნა ყოველნი საქმარნი: ჯორები და კარაულები და რაჲოდენი უქმდა სიმრავლესა ძმათასა“.

სერაპიონმა იწყო მონასტრის მართვა, „განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი“. ახლად დაარსებული მონასტერი თანდათანობით ძალას იკრებს და ეკონომიურადაც ღონიერდება.

ბასილ ზარზმელის თხზულებიდანვე ვგებულობთ, რომ ზარზმელმა მოღვაწეებმა სერაპიონისა და მისი მომდევნო წინამძღვრის (—გიორგის) გარდაცვალების შემდეგ, მიქელის წინამძღვრობაში დაიწყეს და პავლეს წინამძღვრობაში ააგეს მეორე ეკლესია ძარლუსაოფლელი კაცის „წარსაგებელით“. იქ „აღმართეს ხატი ფერისცვალებისაჲ და აკურთხეს ყოველთა კურთხევითა“.

ამ ეკლესიის ამგებად ბასილი ხუფათელ ოსტატსა და შუარტყლელ კალატოზს ასახელებს¹.

ბასილ ზარზმელის მონათხრობი, როგორც აღვნიშნეთ, არ ეხება ზარზმის მონასტერში დღეს დაცულ ნაგებობას, ის აწ არარსებული ეკლესიების მშენებლობას გვაცნობს და მიუხედავად იმისა, რომ მისი მონათხრობით შეუძლებელია გარბანელისა თუ შუარტყლელის მიერ აგებულ ეკლესიათა რეალური სახის წარმოდგენა, მაინც ვარკვევთ ინტერესს იწვევს. ახლა გასარკვევია, რომელი საუკუნის ამბებს გვაუწყებს ბასილ ზარზმელი? რომელი საუკუნის მოღვაწეა სერაპიონი? როდის დაედო საფუძველი ზარზმის სამონასტრო ორგანიზაციას?

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სერაპიონ ზარზმელი მიჩნეულია მე-9 საუკუნის მოღვაწედ. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ბასილ ზარზმელი სერაპიონის თანამედროვე და ახლობელ პირებად ასახელებს იმ მოღვაწეებს, რომელთაც გიორგი მერჩულის ცნობებით მე-9 საუკუნეში უცხოვრიათ (მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი). აღნიშნულ ვარაუდს მხარს უჭერს ზარზმის ფერიცვალების ხატის წარწერაც.

აკად. ი. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1916 წელს შენიშნა, რომ ბასილ ზარზმელისა და გიორგი მერჩულის წიგნებში მოხსენიებული მიქელ პარეხელი ერთი და იგივე პირია; ასევე ერთ პირად მიიჩნია ზემოხსენებულ ავტორთა მიერ დასახელებული გიორგი მაწყვერელი. მისი დასკვნით, რაკი მიქელ პარეხელი გრიგოლ ხანძთელის მეგობარი ყოფილა, მაშასადამე, მისი მოწაფე სერაპიონი ხანძთელი არქიმანდრიტის უმცროს თანამედროვედ უნდა ჩაითვალოს. მკვლევარმა ზარზმის ფერიცვალების ხატის 888 წლის წარწერაში მოხსენიებული პავლე მამასახლისი სერაპიონის შემდგომ მესამე წინამძღვრად მიიჩნია².

არსებითად შეიწყნარა აკად. ი. ჯავახიშვილის მოსაზრება, გაალრმავა და დაასაბუთა იგი აკად. ე. თაყაიშვილმა, რომელმაც ფერიცვალების ხატის წარწერითა და ბასილ ზარზმელისა და გიორგი მერჩულის მონაცემებით სერაპიონის მოღვაწეობა მე-9 საუკუნის პირველი ნახევრით დაათარილა, ხოლო მისი მომდევნო წინამძღვრების (გიორგი, მიქელი, პავლე) მამასახლისობა მე-9 საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნა³.

¹ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 149—180. როგორც ცნობილია, საეკლესიო პირები ხშირად უშუალო მონაწილეობას იღებდნენ მშენებლობათა წარმოებაში. აქ შეიძლება მოვიგონოთ სერაპიონ ზარზმელი (ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, „ზუც“ ტერმინისათვის სერაპიონ ზარზმელის „სხვურებაში“, ეტიუდები, I, გვ. 235—237), ილარიონ ქართველი (ათონის კრებული, გვ. 87), მიქელ ზუც-გალატოზი (E. Т а в а ш ш и н я н, Арх. э к е в у р е н и, IV, გვ. 83), არქიმანდრიტი ნიკოლოზ ყიფიანი (თ. ხ უ ს კ ი ვ ა ძ ე, ყვარლიდგან ვარძიანის, „დროება“, 1885, № 163; ვ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, წარწერა იმერეთის სოფ. ვარძიის მონასტრის სამრეკლოზე, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 5—9) და სხვ. (იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრები, გვ. 24, 29—30, 33, 41—44, 61, 65, 69—70, 77, 79. იხ. ავრთვეუ შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოვნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ მონასტრებში, „მომომხილველი“, I, 1949, გვ. 59).

² ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916. გვ. 61—72; 1945, გვ. 124—134.

³ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ• თუბ, I, 1919, გვ. 124—134.

აღნიშნული მოსაზრება ძირითადად გაიზიარა აკად. კ. კეკელიძემ 1923 წელს¹, ხოლო შემდეგში სპეციალურად დაუბრუნდა ამ საკითხს და ასეთი კონცეფცია წეიმუშავა: სერაპიონმა მოღვაწეობა დაიწყო 850 წლის ახლო ხანს, ზარზმაში ეკლესია ააშენა და მონასტერი დააარსა 861—868 წლებში, აღესრულა ის არა უადრეს 900 წლისა².

უკანასკნელ ხანს სერაპიონის ცხოვრებას შეეხო პ. ინგოროყვა. მისი აზრით, ზემოხსენებულ მკვლევართა მიერ შემუშავებული აზრი იმის შესახებ, რომ სერაპიონი მე-9 საუკუნის მოღვაწეა, მცდარია და მხოლოდ იმას ემყარება, რომ ბასილ ზარზმელის თხზულებაში დასახელებული ზოგიერთი პირი ატარებს იმავე სახელს, რომელსაც ატარებს გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენიებული ზოგიერთი მოღვაწე. ეს უსაფუძვლო მტკიცებაა და კრიტიკას ვერ უძლებს. მკვლევარის დასკვნით, სერაპიონ ზარზმელი და მისი ახლობლები არიან მოღვაწენი მე-6—7 საუკუნეთა, მათ ზარზმის სავანე დააარსეს მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში ან მე-6—7 საუკუნეთა საზღვარზე. რა საბუთი აქვს პატივცემულ მკვლევარს აღნიშნული დებულების დასამტკიცებლად? რა ცნობით შეიძლება სერაპიონის შიჩნევა მე-6—7 საუკუნეთა მოღვაწედ?

პ. ინგოროყვა ნდობას უცხადებს სერაპიონის ცხოვრების გადამეტაფრასებულ რედაქციაში შემონახულ ცნობას და მიქელ პარეხელს მიიჩნევს შიო მღვიმელის (VI ს.) მოწაფედ. აქედან ასკვნის, რომ მიქელ პარეხელის მოწაფე სერაპიონ ზარზმელი მე-6—7 საუკუნეთა მოღვაწე უნდა იყოს. პ. ინგოროყვას მოსაზრებით, მიქელ პარეხელის მოღვაწეობა :კლარჯეთში (ოპიზა, პარეხი) მე-6 საუკუნის მეორე ნახევრით შემოიფარგლება. მისი სავანე პარეხი უკვე მომძლავრებული იყო, როდესაც იქ სერაპიონი და იოანე მივიდნენ. ამ უკანასკნელთა პარეხს დამკვიდრება მე-6 ს. მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. რადგან ისინი იმ დროს ჯერ კიდევ ცმაწვილები იყვნენ, ამის მიხედვით მათი დაბადების თარიღი დაახლოებით მეექვსე საუკუნის შუა წლებში არის სავარაუდებელი.

აღნიშნულთან ერთად, პ. ინგოროყვა ამტკიცებს, რომ ბასილ ზარზმელისა და გიორგი მერჩულის მიერ მოხსენიებული მიქელ პარეხელი არის არა ერთი პირი, მე-9 საუკუნის მოღვაწე, არამედ ორი პირი; მათგან პირველი მე-6 საუკუნის მოღვაწეა, შიო მღვიმელის მოწაფე და სერაპიონ ზარზმელის მასწავლებელი, ხოლო მეორე—გრიგოლ ზანძთელის თანამედროვეა.

იმის დასამტკიცებლად, რომ სერაპიონი მე-6—7 საუკუნეთა მოღვაწეა, პ. ინგოროყვა წარმოადგენს კიდევ ერთ საბუთს, სახელდობრ, ბასილ ზარზმელისა და გ. მერჩულის ცნობებს სამცხის ფეოდალურ ურთიერთობათა ისტორიიდან. ბასილ ზარზმელი საკმაოდ გვაწვდის ცნობებს სამცხის გამორჩენილი დიდებულის გიორგი ჩორჩანელის შესახებ. ეს უკანასკნელი უძეოდ გადავიდა და თავისი მემკვიდრეობა თავისი დის—ლატაერი-თეკლას ოჯახს, მირიანის ძეთ დაუტოვა. მერჩულის წიგნშიც იხსენიება მირიან აზნაური, დიდებული

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1923, გვ. 145—148.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 150. შტრ. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 109—120.

სამცხისა. მკვლევრის დასკვნით, მერჩულის მირეანი შთამომავალია ბასილ ზარზმელის მირიანის ძეთა, ახალჩორჩანელთა¹.

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ბასილ ზარზმელისა და გიორგი მერჩულის მიერ მოხსენიებული მიქელ პარეხელი ერთი და იგივე პირია, მათი ორ მოღვაწედ მიჩნევა არაფრით არაა გამართლებული. უსაფუძვლოა მიქელ პარეხელის შიო მღვიმელის მოწაფედ მიჩნევაც (იხ. პარეხი). რაც შეეხება ბასილ ზარზმელის თხზულების ჩორჩანელ-მირიანის ძეთა და გიორგი მერჩულის მირეან აზნაურის ნათესაურ ურთიერთობას, უნდა შევნიშნოთ შენდევნი: ჯერ ერთი, არაფრით არ დასტურდება აღნიშნულ პირთა ნათესაური დამოკიდებულება, ამის სამტკიცებლად არც რაიმე საბუთი არსებობს და არც ვარაუდისთვის ჩანს რეალური საფუძველი; მეორე—რა პირდაპირი კავშირი აქვს ყოველივე ამას სერაპიონის მოღვაწეობის ხანის დადგენასთან?

ამრიგად, არავითარი საფუძველი სერაპიონის მე-6—7 საუკუნეთა მოღვაწედ მისაჩნევად ჩვენ არ გავაჩნიათ და არც ჩანს იმის აუცილებლობა, რომ ზარზმის მონასტრის მე-9 საუკუნით დათარიღებაზე ხელი ავიდოთ.

ბასილ ზარზმელისა და გიორგი მერჩულის წიგნებში მოხსენიებული მიქელ პარეხელისა და გიორგი მაწვერლის საკითხი დღეს საკამათო აღარ უნდა იყოს. აქ, აუცილებლად, გრიგოლ ხანძთელის თანამედროვეებთან გვაქვს საქმე. აღნიშნული გარემოება უფლებას აძლევს მკვლევართ სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობა მე-9 საუკუნით დაათარიღონ. აქვე არ შეგვიძლია ყურადღება არ გავამახვილოთ ფერისცვალების ხატზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბასილ ზარზმელის თხზულებაში საუბარია ფერისცვალების ხატზე, რომელიც პავლე წინამძღვრის დროს აღმართეს ახლად აგებულ ეკლესიაში. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ცნობილია ზარზმის (—უკანასკნელად ის შემოქმედის მონასტერში იყო დასვენებული) ფერისცვალების ხატი. მისი წარწერა, რომელშიც პავლე მამასახლისის იხსენიება, აღრევე მხმ წლით იქნა დათარიღებული², ხოლო სერაპიონის ცხოვრების აღმოჩენის შემდეგ აღნიშნული დათარიღება დამატებით იქნა დასაბუთებული³. თუნდაც რომ დაეუშვათ, რომ ხატის წარწერის კორონიკონის მაჩვენებელი ასოები არეულია და ზუსტი დათარიღების საშუალებას არ იძლევა⁴, ერთი მაინც უცილობელია: ბასილ ზარზმელის წიგნში მოხსენიებული პავლე წინამძღვარი და ფერისცვალების ხატის წარწერის პავლე მამასახლისის ერთი და იგივე პირია (აკად. ი. ჯავახიშვილი, აკად. ე. თაყაიშვილი, აკად. კ. კეკელიძე). პროფ. ვ. ბერიძე, იზიარებს რა პ. ინგოროყვას მოსაზრებას სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის ხანაზე, შესაძლებლად მიიჩნევს რომ

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 324—339.

² Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. გვ. 131; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 37—39; მისივე, Арх. экскурсия, I, გვ. 67—68. ეს თარიღი შეიწქნარეს აკად. ი. ჯავახიშვილმა (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 69) და აკად. კ. კეკელიძემ (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 146).

³ ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, თბმ, I, 1919, გვ. 105—114.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 171—172; აღრიღელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 117—119.

პასილის მიერ მოხსენიებული პავლე წინამძღვარი მე-9 საუკუნის მოღვაწე იყოს, ხოლო ბატის წარწერის პავლე მამასახლისი—მე-9 საუკუნისა¹. ვფიქრობთ, ასეთი დაშვება გარკვეულ უხერხულობას გამოიწვევს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მე-6 საუკუნეში მოღვაწეობდნენ მიქელ პარეხელი, ბასილ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი, პავლე ზარზმელი... და ყველა ასეთი სახელისა და სამოღვაწეო ადგილის მაჩვენებელი სახელის მატარებელი პირი გვხვდება მე-9 საუკუნეშიც. კიდევ უფრო საინტერესოა მეორე გარემოება. მე-6 საუკუნეში ზარზმელ მოღვაწეებს შეიძლებოდა ჰქონდათ ფერისცვალების ხატი? როგორც ცნობილია. მე-6—7 საუკუნეებში არა თუ ხატი, ფერისცვალების დღესასწაულიც (6. VIII) კი არ არსებობდა, ის მხოლოდ მე 8—9 საუკუნეებიდან იკიდებს ფეხს². მაშასადამე, ზემოდანმულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ.

ამრიგად, ზარზმაში ეკლესიის აგებასა და მონასტრის გაშენებას ადგილი ჰქონდა მე-9 საუკუნეში.

ბასილ ზარზმელის მიერ აღწერილ მშენებლობათა შემდგომი პერიოდისა და აღსანიშნავია ის მშენებლობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-10—11 საუკუნეთა მიჯნაზე.

როგორც სამრეკლოზე მიბჯენილი სამლოცველოს წარწერა გვაუწყებს, ამ პერიოდში ზარზმაში მშენებლობა ჩაუტარებია ივანე სულის ძეს. აღნიშნული წარწერა, რომელიც, როგორც მართებულად შენიშნავენ, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკულ ძეგლთაგანია საქართველოში, მოგვითხრობს ქართველთა მხედრობის მიერ ბარდა სკლიაროსის ლაშქრის დამარცხებაზე და გვაცნობს ქართული ხმალის დიდებას: „ქ. სახელითა ღმრთისათა და წმიდისა ღმრთისმშობლისა მეოხებითა, მე, ივანე ძემან სულისამან, აღვაშენე წმიდაა ეგუტერი. მას ეამსა, ოდეს საბერძნეთს გადაა სკლიაროსი, დავით კურაპალატი აღიდენ ღმერთმან, უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგვაელინა. სკლიაროსი გავაქციეთ. მე მას ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ესუენა ტახტი...“ დღეს სავსებით გარკვეულია, რომ აღნიშნული წარწერა 979—1001 წლებშია შესრულებული.

ზარზმის სამონასტრო კომპლექსის გულდასმითი შესწავლა საფიქრებელს ხდის, რომ აწინდელი სამლოცველო წარწერაზე გვიანდელია, მაგრამ სამრეკლოზე ადრე აგებულია. მაშასადამე, ბასილის მიერ აღწერილ მშენებლობასა და ათაბაგების დროინდელ მშენებლობას შორის ორი საფეხური მაინცაა საგულვებელი: მე-10 საუკუნის მიწურულსა (ივანე სულის ძის წარწერით და სხვ.) და მე-11—13 საუკუნეებში (სამლოცველო...).

მე-11 საუკუნეში ზარზმა მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. იქ საქმაოდ ინტენსიური კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება იყო გაჩაღებული (ვერცხლის ფირფიტები 1008 წლისა, ლაკლაიქითა ხატი და ა. შ.)³.

ზარზმის მონასტრის ანსამბლში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დიდი ტაძარი. მას ზოგი მეკლესიარი მე-11 საუკუნისად მიიჩნევდა და

¹ ვ. ბერიძე, სამცხის ზეოთმოდგერება, გვ. 122.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 149.

³ ჩუბინაშვილი, X და XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმომადგენელი ქართული ტექნიკური ხელოვნების ზანათის საკითხისათვის, „ქართული ხელოვნება“, II, 1948, გვ. 71—78.

1045 წლით ათარიღებდა (აკად. მ. ბროსე). დ. ბაქრაძემ იგი ბაგრატ მესამის მეუბით დაათარიღა. პ. უეაროვამ შენობის კონსტრუქციული თავისებურებებისა და დეკორის მიხედვით ზარზმის ტაძარი მე-12—13 საუკუნეთა მიჯნას მიაკუთვნა¹. აკად. ე. თაყაიშვილი ძეგლს ჯერ მე-10 საუკუნით ათარიღებდა², ხოლო შემდგომში მიქელ და პავლე წინამძღვრების დროს აგებული ძველი ეკლესია ბაგრატ მეოთხის განახლებულად და გადაკეთებულად მიიჩნია³; დ. გორდევმა და ს. ტარანუშენკომ სტილისა და ტექნიკის მიხედვით (თუმცა სტილისა და ტექნიკის ანალიზი არ მოუციათ) ის მე-13—14 საუკუნეებს მიაკუთვნეს⁴. ახლახან ზარზმის მონასტრის მთავარი ტაძარი სპეციალურად შეისწავლა პროფ. ვ. ბერიძემ. ძეგლის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად მკვლევარმა ის სამცხის დამოუკიდებელ ათაბაგთა ხანას—მე-14 საუკუნის დასაწყისს მიაკუთვნა. მისი განცხადებით, ზარზმის სახელმწიფოეკილი ძეგლი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მე-10—11 საუკუნეებს, ან მე-12—13 საუკუნეთა მიჯნას მიეკუთვნოს, ის მე-13 საუკუნის მიწურულზე ადრე ვერ მოთავსდება, რამდენადმე საფარის საბას ტაძარზე გვიანდელია, მის შემდგეგაა აგებული, თუმცა, საერთოდ, ორივე ძეგლი ერთისა და იმავე ეპოქის ტიპური ნიმუშებია. მკვლევართა მიერ ადრე გამოთქმულ შეხედულებათა კრიტიკული განხილვისა და მათი საბუთების უსაფუძვლობის ჩვენების შემდეგ პროფ. ვ. ბერიძე დაბეჯითებით ასკვნის, რომ ზარზმის მთავარი ტაძარი მე-13—14 ს-თა მიჯნაზე, მე-13 საუკუნის სულ უკანასკნელ წლებსა და მე-14 საუკუნის პირველ წლებშია აგებულიცა და მოხატულიც; მასთან ერთად აშენებულია სამრეკლოც. მე-14 საუკუნეში და მომდევნო ხანაშიც ზარზმას ჯაყელები მფარველობდნენ და ყურადღებას არ აკლებდნენ. შემდგომში ის აწყურის ეკლესიას ებოძა. ჩვენთვის ცნობილია მუქაბუჯ ათაბაგისა და მისი ძმისწულის ყვარყვარეს სიგელი ბოძებული სვიმეონ მაწყვერლისათვის მე-16 საუკუნის დამდეგს. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ დასახელებულმა დიდებულებმა სვიმეონ მაწყვერელს „და შემდგომითი შემდგომად სხუათა საქეთმპყრობელთა საყდრისა“ მისისა უბოძეს „დიდი და დიდებული მონასტერი ზარზმა სრულად მისითა შესავალითა აგარაკ-სოფლიანითა და გლეხობითა“⁵. ამ აქტით, ზარზმის ტაძარი აწყურის კათედრალს დაუმტკიცდა. შემდეგი მაწყვერლები ზარზმის მფლობელებიც არიან. ზემოხსენებული სვიმეონ მაწყვერლის შემდეგ ამ პოსტზე სერაპიონ ხურციძე ჩანს⁶. ამ უკანასკნელს, როგორც აღნიშნულია სათანადო წარწერაში, აღმშენებლობითი საქმიანობაც ჩაუტარებია ზარზმაში 1577 წელს.

¹ П. Уварова. Христианские памятники, МЛК, IV, 1894, გვ. 48—60; მისივე, Кавказ, II, გვ. 174—189.

² Е. Такайшвили, Арх. экскурст, I, გვ. 1—80.

³ ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, თმმ, I, 1919, გვ. 124.

⁴ Д. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году (Росписи в Чухе, Сапаре и Зарзме), ИКН-ЛИ, I, 1923, გვ. 56—68; მისივე, Из эпиграфических материалов Зарзмы. К обследованию надписи Иоанне, сына Сузы, „სახისტორიო მოამბე“, 1925, I, გვ. 107—112; С. Тарапушенко, Предварительный отчет о командировке в Зарзму, Чухе и Сапару, ИКН-ЛИ, I, 1923, გვ. 96—98.

⁵ ქრონიკები, II, გვ. 321; ისტ. საბუთები, II, გვ. 27.

⁶ ზარზმის წინამძღვარი სერაპიონ ხურციძე იხსენიება ჯვრის მონასტრის აღაპებსა (№ 240) და სინას მთის სულთა მატრიანეში (ი. ჯაყახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 243).

მე-16 საუკუნის დასასრულისათვის ზარზმა დაცარიელდა. თურქთა მომ-
ძღაგრების გამო ქართველ მოღვაწეებს იქ აღარ ედგომებოდათ. არა ერთი
დოკუმენტიდან ჩანს, რომ ზარზმის ნივთები (ჯვრები, ხატები...) შემოქმედს
(გურიასში) გადაიტანეს და დაასვენეს იქ საგანგებოდ აშენებულ ახალ ეკლესიაში,
რომელსაც ზარზმა ეწოდა¹. ამ საკითხზე საინტერესო ცნობებს გვაწუ-
დის ვახტანგ გურიელის მიერ გოგიტიძეთადმი მიცემული საბუთი: „ოღეს
ცოდვათა ჩუშნთა და უსჯულოებათათვის ჩუშნთა შემეცირდა ქეშმარიტებანი
ძეთა კაცთანი და უმეტეს ჩუშნ ქრისტიანეთანი, მას ეამსა შინა, ოღეს პატი-
ოსანი და დიდი სა(ა)თაბაგო საქრისტიანო უსჯულოთაგან და უღმრთოთა ავა-
რიანთა მიერ განირყუნა, იწყო მოკლებად ჰსჯულმან ჩუშნმან და აღორძინე-
ბად სჯულმან მახმედისაგან, მაშინ, მას ეამსა, საათაბაგოს ურწმუნოთა და
ბილწთა თათართაგან განირყუნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშალა და
აოხრდა და აიშალა და ზარზმის ხატი შენი ძლიერი, მთაბორსა განბრწყინვე-
ბული, აქ გურიას ჩამოასვენეს ვითარცა ექსორია ქმნილი... მას ეამსა შინა
აღვაშენეთ და შევამკეთ ზარზმის საყდარი შემოქმედს და დავასვენეთ საძუ-
ლესა ჩუნესა წ' და ხატი ესე“².

შემოქმედის ზარზმის ამგებად შემოქმედში დაცული ხატის წარწერა
მამია II გურიელს (1600—1625 წწ.) ასახელებს, შემოსხენებული საბუთი კი-
ვახტანგ გურიელს (1583—1587 წწ.). რომელი ჩვენებაც არ უნდა იყოს სწო-
რი, ერთი ცხადია—ზარზმა მე-16 საუკუნეში დაცარიელდა. საფიქრებელია,
ძველი ქართული სავანის დაცარიელებას ლალა-ფაშას შემოსევამ (1578 წ.)
მისცა დასაბამი. 1595 წ. ზარზმაში ეკლესია კიდევ მოქმედებდა და ქართვე-
ლი მღვდლები იქ კიდევ წირავდნენ³, შემდეგში კი ზარზმის ხსენებას კარგა-
ხანს ვერ ვხვდებით.

მე-18 საუკუნის შუა წლებში, ვახუშტის დროს, ზარზმის მონასტერი გაუქ-
მებული იყო. დიდი გეოგრაფი წერს: „ყველს ზეით, მთაში, არს ზარზმას მონ-
ასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, შეენიერს ადგილს და აწ უქმი“⁴.

ანალოგიური ცნობა აქვს შემონახული ტიმოთე გაბაშვილსაც („წარმოვე-
დით ახალციხით და მოვიწიენით მონასტერყოფილსა ზარზმას და გარემოს
სოფლებსა მისსა; დღესასწაულსა ამალღებისასა მუნ განვისვენეთ“)⁵.

ამრიგად, მე-18 საუკუნეში ზარზმის მონასტერი სულ გაუკაცრიელდა და
გაუქმდა. სასულიერო-საეკლესიო ცხოვრება ჩაკვდა, კულტურულ-ლიტერატუ-
რული საქმიანობა შეწყდა. უპატრონოდ და უმცველოდ დარჩენილი ძველი
ნაგებობა თანდათანობით დაზიანდა და დაინგრა.

მე-19 -- 20 საუკუნეთა მიჯნიდან ზარზმის მონასტერი იქცა რუსული
მმართველობის წარმომადგენლების საგანგებო მზრუნველობის საგნად. რუსე-

¹ შემოქმედს გატანილი ზარზმისეული ნივთები რამდენჯერმე აღიწერა (Д. Бакра-
дз е, Арх. путешествие по Гурии и Абхазе, გვ. 128—137; Описание памятников древности
в пекотых храмах и монастырях Грузии, გვ. 119—133; Е. Такашвили
Арх. экскурсий, I, გვ. 66—78; მისივე, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I,
გვ. 37—39).

² Д. Бакрадзе, Арх. путешествие по Гурии и Абхазе, გვ. 130.

³ გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, II, გვ. 83.

⁴ აღწერა, გვ. 126.

⁵ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 7.

თის სამეფო ტახტის მემკვიდრემ გიორგი ალექსანდრეს ძემ (ნიკოლოზ მეორის ძმამ) ინახულა ტახარი და მის რესტავრაციას შეუდგა; ზარზმა კაპიტალურად იქნა შეკეთებული.

ამჟამად სოფ. ზარზმაში ლეგელი რაჰველები სახლობენ და ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დიდებულ ძეგლს გულისყურით უვლიან¹, მაგრამ ის კიდევ უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს².

ზარზმის მონასტერი თავის დროზე საყურადღებო კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. იქაური ლიტერატურული ტრადიციების მაჩვენებელია ბასილ ზარზმელის თხზულება, რომელიც ჩვენ ზემოთ არა ერთგზის დავიმოწმეთ.

ბასილ ზარზმელი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შრომა, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ძვირფას წყაროს წარმოადგენს სამცხის სოციალური, პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარების შესასწავლად. ავტორი ქარზად გვაუწყებს ფაქტებს სამცხის ისტორიიდან, აღწერს იქაურ ბუნებას, სოციალურ ყოფას, ფეოდალურ ცხოვრებას, ეკლესიების მშენებლობას, მონასტრების აღმოცენებას, გლეხთა მდგომარეობას. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბასილ ზარზმელი, როგორც გლეხთა წრიდან გამოსული მწერალი, ყურადღებას ამახვილებს გლეხთა ცხოვრებაზე, არ ჩქმალავს კლასობრივ წინააღმდეგობებს, ნათლად გვიჩვენებს გლეხობის ბრძოლას სამონასტრო მიწათმფლობელობასთან³.

ბასილს თავისი ბიძის—სერაპიონის შესახებ ცნობები გულდამსით შეუქრებია. ქარზად გამოუყენებია მას საოჯახო-საგვარეულო გადმოცემანი, სერაპიონის ახლობელთა და მოწაფეთა ცნობები, უსარგებლია მიქელ პარეხელის ცხოვრებითა და ა. შ. აღნიშნული მასალების ჯეროვანი გამოყენებით მწერალმა მოგვცა ზარზმის სავანის დამაარსებლის სრული ბიოგრაფია. სამწუხაროდ, ამ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია პირვანდელი სახით, ის მე-11 ს-ში გადამეტაფრასებული რედაქციითაა შემონახული, მაგრამ გადაშეთების ხელი, შედარებით, ნაკლებ შეზებია თხზულებას და ბასილისეულ ტექსტზე მინც გარკვეული წარმოდგენა გვექმნება.

¹ გარდა დასახელებული ლიტერატურისა ზარზმაზე იხ. M. Brosset, Rapports, II, გვ. 132—136; Л. Загурскнй, Краткнй отчет о поездке в Ахалпхскнй уезд в 1872 г., ИКОРГО, II, № 2, 1873, გვ. 54; მისივე, Поездка в Ахалпхскнй уезд в 1872 г., ЭКОРГО, VIII, 1873, გვ. 43—44; Л. Багრაძაе, Кавказ в древннх памятнках хрнстнанства, გვ. 54—55; ვ. ხუდადოვი, ზარზმის მონასტერი (მისი განახლების გამო), „ივერია“, 1902, № 146; ს. კაკაბაძე, ზარზმის მხატვრობის ისტორიული პირობის ვინაობის შესახებ, „სისტორიო მონამე“, 1925. I, გვ. 239—242; Н. Тошмачевская, Фрески древней Грузнн, გვ. 22—23; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 89—139. აქ მოტეულია ანსამბლის აღწერა და ისტორიული თავგადასავალი. დასახელებული და განხილული სათანადო ლიტერატურა (იხ. მისივე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, გვ. 55—64; მისივე, ზარზმა, თბ., 1960. აქ სერაპიონის მოღვაწეობა VIII—IX საუკუნეებითა დათარიღებული).

² ა. დანელია, მეტი ყურადღება ისტორიულ ძეგლებს, „კომუნისტი“, 23.I.58, № 18 (11022).

³ ი. ჯანაშია, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში, თბ., 1934, გვ. 2—4; ს. ჯანაშია, ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, II, გვ. 438—448.

სერაპიონის ცხოვრება ბასილს დაუწერია ზარზმაში მე-10 საუკუნის პირველ მეოთხედში¹. პ. ინგოროყვა არც ამ აზრს იწყნარებს. მისი განცხადებით აქ შეცდომაა მთელი სამი საუკუნით. რადგან, მისი მოსაზრებით, სერაპიონი მე-6 საუკუნის მოღვაწეა, ბასილ ზარზმელი მე-7 საუკუნის მოღვაწე უნდა იყოს². თუ რამდენად სწორია ამ დებულების პირველი ნახევარი, უკვე განვიხილეთ. რაც შეეხება მეორე ნახევარს, ის თავისდათავად იხსნება. სერაპიონის (IX ს.) ცხოვრება არ შეეძლო დაეწერა მე-7 საუკუნის მოღვაწეს. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ბასილის მოღვაწეობა დამაკმაყოფილებლად და დათარიღებული და მისი შეცვლა პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი საბუთებით არ ხერხდება³.

პ. ინგოროყვა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტებზე, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში არ იხსენიებიან არაბები. არაა მოხსენიებული ქართული მეფე და კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის ინიციატორი გრიგოლ ხანძთელი, არაფერია თქმული კლარჯეთის მთელ რიგ სავანეებზე (ხანძთა, შატბერდი...), ყოველივე ეს, მისი აზრით, გასაგებია მე-7 საუკუნის თხზულებაში, მაგრამ აუხსნელი და გაუგებარი დარჩება თუ სერაპიონს მეცხრე, ხოლო ბასილს მეათე საუკუნის მოღვაწედ მივიჩნევთ; ეს კი თითქოს არღვევს იმ შეზღუდულებას, რომელიც ზემოთ გავიცანით. აქ უგულებელყოფილია ის გარემოება, რომ *silentium* ყოველთვის არაა *argumentum*⁴. ამასთანავე, თუ ასეთი მეთოდით ვიხელმძღვანელებთ, როგორღა ავხსნათ ის ფაქტი, რომ გიორგი მერჩული არ იხსენიებს სერაპიონ ზარზმელს?

ზარზმის სავანის მოღვაწეთაგან ცნობილია კიდევ გერმანე ზარზმელი. მისი მინაწერები აქვს ორ ხელნაწერს. ერთი დაცულია ბრიტანეთის ნაციონალურ მუზეუმში (*Addit.* 11281). ის დამზადებულია ჯვრის მონასტერში იოანე შავის მიერ 1034—1042 წლებში. შემოუნახავს ასეთი მინაწერი: „ადილდ მონასტერი ზარზმისა, სადაც ამის დამწერს გერმანოზს მაქენდა“⁵. მეორე ხელნაწერი, რომლის მინაწერში გერმანე ზარზმელი იხსენიება, ადრე ჯვრის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა, ამჟამად დაცულია იერუსალიმის სპატიარქო ბიბლიოთეკაში (ნ. მარით № 25; ა. ცაგარლით—№ 138; რ. ბლე-

¹ ბასილ ზარზმელზე იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 124—134; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 146—152; აღრიზნული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 99—137.

² პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩული, გვ. 327—339.

³ აკად. კ. კეკელიძემ დამაჯერებლად ცხადყო, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ენა მე-10—11 საუკუნეების უადრესი არ შეიძლება იყოს. მისივე დაკვირვებით, აღნიშნული ძველი ენობრივ-სტილისტურად „ბალავარიანს“ უკავშირდება. აკად. შ. ნუცუბიძემ თავისებურად გამოიყენა აკად. კ. კეკელიძის დაკვირვება: სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და „ბალავარიანის“ ენობრივ-სტილისტური მსგავსება დამაჯერებლად მიიჩნია, გაიზიარა პ. ინგოროყვას მოსაზრება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ქრონოლოგიაზე და ორივე ძველი მე-7 საუკუნის მიაკუთვნა (იხ. მისი *К вопросу о времени написания греческого романа „Варлаам и Иоасаф“*, გვ. 128—129; მისივე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 301).

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 149.

⁵ ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ბრიტანის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, „მომბე“, 1905, VIII, განყ. II, გვ. 2.

იკით—№ 16). დასახელებულ ხელნაწერთა მინაწერების მიხედვით გერმანე ზარზმელის მოღვაწეობის ხანის გარკვევა ძნელდება. ცნობილია აგრეთვე ბენედიქტე ზარზმელი, რომელმაც მე-15 საუკუნეში გადაწერილი სასულიერო შინაარსის კრებული (A № 487) გადაკაზმა-აიქნა¹.

ა ხ ე ლ ი ხ ე

მე-13 საუკუნის სამოციან წლებში საქართველოს სახელმწიფო ორგანიზმს ვამოეყო სამხრეთი ნაწილი, სარგის ჯაყელის სამფლობელო—სამცხე, რომელიც უშუალოდ მონღოლთა ყანის დაექვემდებარა. მართალია, ამიერიდან ის ყანის მორჩილი იყო, მაგრამ ჯაყლებმა ძველი წოდებანი შეინარჩუნეს: სარგისი კვლავ სამცხის სპასალარად იწოდებოდა, ხოლო მისი მენეკვიდრე ბექა—მანდატურთუხუცესად. ასე, რომ, ერთგვარი დამოკიდებულება სამცხესა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ჯერ კიდევ არსებობდა. 1334 წლიდან სამცხე კიდევ შემოუერთდა საქართველოს, მაგრამ მე-15 საუკუნეში სამცხის ხელისუფალმა ყვარყვარე ათაბაგმა (1416—1498) კვლავ დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოაყალიბა ჯაყელთა სამფლობელო, რომელსაც ამიერიდან სამცხე-საათაბაგო ეწოდებოდა. მისი ტერიტორია ბორჯომის ხეობიდან ქოროხის ხეობასა და არზრუმის მხარემდე აღწევდა². ჯაყელთა რეზიდენციას წარმოადგენდა ახალციხე, რომლის, როგორც ქალაქის, ისტორია მეცხრე საუკუნიდან იწყება³. ათაბაგები კარგა ხანს ენერგიულად იბრძოდნენ მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ 1555 წლიდან სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილს (ტაოს, შავშეთს, კლარჯეთსა და სხვ.) ოსმალეთი დაეპატრონა, ხოლო აღმოსავლეთს—ირანი. მალე იქ სულ ოსმალთა დამყარდა. ოსმალთა დამყარება სამცხე-საათაბაგოში, საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. დედა-სამშობლოს მოწყდა დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მხარე⁴.

სამცხე-საათაბაგოში ქართული მწერლობა მხოლოდ ეკლესია-მონასტრებში არ ვითარდებოდა; მის განვითარებაზე მხოლოდ სასულიერო მოღვაწენი არ ზრუნავდნენ. როგორც ზოგიერთი ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, ძველ ქართულ ხელნაწერთა დაცვა-გამრავლებაზე ათაბაგები და მათი ოჯახის წევრებიც ზრუნავდნენ, რამდენიმე ხელნაწერი მათი თაოსნობითა და ინიციატივითაა გადაწერილი. მაგალითად, დავითნი (A № 351) შვიგნობარ ამბროსის გადაუწერია 1494 წელს „ბრძანებითა დიდისა წარჩინებულისა თვთმყარობელისა პატრონის ყუარყუარეს ძისა, მვნისა და ახოვნისა პატრონის მზეკაბუ-

¹ Описание рукописей (A), II, გვ. 52. გადმოცემით, ზარზმაში სწავლობდა შოთა რუსთაველი (И. Мегрелидзе, Руставели и фольклор, გვ. 29, 51).

² ა. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, თსუ შრომები, XXXVII, 1949, გვ. 39—95.

³ Ш. Месхиа, Города и городского строй феодальной Грузии, გვ. 37—38, 45—46, 53, 59 და 82დ.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯაყახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, გვ. 325.

კისითა¹: უაღრესად საყურადღებო კრებული A № 1737 ზებედე ნაუას ძეს (—ზოსიმე კუმურდოელს) გადაუწერია ყვარყვარეს შვილიშვილის ქეთაონ-ქრისტინეს დაკვეთით² და სხვ. ამავე ყვარყვარეს შვილებმა ბაადურმა (1453—1474) და ქაიხოსრომ (1447—1500) მოახატეინეს შავ მთაზე გადაწერილი ცნობილი სახარება (A № 845); ცნობილია ათაბაგთა ხელში გამოვლილი ნუსხებიც (A № 365, Q № 899 და სხვ.); ცალკე უნდა მოვიხსენიოთ XV—XVI სს. დაფითნი (H № 1717), რომელსაც ერთვის „სულთა მატინანე“—ათაბაგთა მოსახსენებელი 1474—1515 წლებისა³; ჩვენს მეცნიერებაში კარგა ხანია ცნობილია მესხური დაფითნის ქრონიკა (S № 947)⁴, რომლის ავტორად, უკანასკნელი ნაწილისა შინც, ქაიხოსრო ყვარყვარეს ძეს მიიჩნევენ⁵. საფიქრებელია, ზემოდასახელებული ხელნაწერები ათაბაგთა რეზიდენციასთან იყონ დაკავშირებულნი⁶.



¹ Описание рукописей (A), I, გვ. 350—351; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ნდ, „ივერია“, 1898, №№ 229, 230; ქართული წერის ნიშნუები, გვ. 318.

² ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 200—205; ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 205—216.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 149—150. ათაბაგთა მხენებას ვხვდებით სხვა ხელნაწერებშიც (H №№ 1738, 3004).

⁴ სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. CXXVII—CXLIX, გვ. 81—115. რუსული თარგმანი: Е. Т а к а ш л и ц и, Источники грузинских летописей, Т., 1900, გვ. 183—214.

⁵ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 271—280.

⁶ მრავლადა მოღწეული ახალიცხელ კათალიკეთა ხელნაწერები (H №№ 777, 1191; №№ 144, 266, 505, 513, 524, 542 და სხვ.).

ჯ ა ვ ა ნ ი

ვ ა რ ძ ი ა

ჯავახეთში, ასპინძიდან 30-ოდე კილომეტრის დაშორებით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მაღალ კლდეში ხუთასი მეტრის სიგრძეზე გამოკვეთილია ძველი ქართული სააღმშენებლო ხელოვნების უკვდავი ძეგლი — ვარძია. ძველი ციხე-ქალაქის გამოქვაბულები განლაგებულია რვა სართულზე, კარგად შეინიშნება შორიდანვე, ხოლო ახლოს ნახვისას წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ვარძიის ციხე-ქალაქი და მონასტერი გრანდიოზულია. ის ქართული მატერიალური კულტურის მაღალხარისხოვან ძეგლს წარმოადგენს. მაღალ პირქუშ კლდეებში ადამიანის ხელით შექმნილი შესანიშნავი ნაგებობა მძლავრ სამხედრო სიმაგრეს ქმნის.

ვარძია მე-12 საუკუნით თარიღდება. საქართველოს გაძლიერებამ და წინა აზიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფეოდალურ სახელმწიფოდ ქცევამ აუცილებელი გახადა მტკვრის ხეობის განსაკუთრებული დაცვა და შემოშტკიცება. ამ მიზნით გიორგი მესამე (1156 — 1184) შეუდგა ვარძიის ციხე-მონასტრის, ციხე-ქალაქის კლდეში გამოკვეთას. საქართველოს მეფის ხელისუფლების განმტკიცებაში ვარძიას ხელშემწყობის მისია უნდა დაკისრებოდა, აგრეთვე კულტურის კერადაც უნდა ქცეულიყო. ამიტომაც აქცევდნენ მას ასეთ ყურადღებას. გიორგი მეფეს არ დასცალდა წამოწყებული საქმიანობის დასრულება, მისი საქმე თამარმა განაგრძო და დაამთავრა. თამარის მემკვიდრე ამ საკითხზე გვაუწყებს შემდეგს: თამარ არა „უღებ იქმნა მოქმედებად საქმეთა სათნოთა ღმრთისათა. ამისთვის ქელ-ყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისსა ზეშთა-კურთხეულსა ვარძიისა ღმრთისმშობელისა, ზემო ვარძიის ქუემო ვარძიითა მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოქუეთა, თვთ პატრიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველ ყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამისა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ და შესწირნა მრავალნი და დიდროანი სოფლები“¹. ისტორიკოსი აღფრთოვანებულია ვარძიით და შეუძლებლადაც კი მიაჩნია ყოველივეს გადმოცემა: „ყოვლისაგანცა მოთხრობა ძნელ არს. თუ ვისმე ნებაავს

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 91—92.

ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი, ქმნულნი და ნაშენები ქუაბ-ქმნილი¹.

ამრიგად, თამარმა დაასრულა ვარძიის გამოქვაბულთა გამოკვეთა და ტაძრის მშენებლობა. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე მხატვარმა გიორგიმ გიორგი მესამისა და თამარის პორტრეტებიც გამოხატა. იქ თამარის ქალწულობისდროინდელი სურათია შემონახული (თავსაბურავი ყბის ქვეშ არა აქვს მოტარებული). ის შესრულებულია 1184—1186 წლებში (გ. ალიბეგაშვილი)².

ვარძიის ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აკურთხეს. იქ სამეფო მონასტერი დაარსდა³. თამარმა უხვად დააჯილდოვა იგი, შესწირა მრავალი სოფელი და განუჩინა დიდი შემოსავალი. შემდეგ ხანაშიც თამარი ხშირად მიდიოდა ვარძიაში და შეუწუნებელ ყურადღებას იჩენდა სამეფო მონასტრისადმი.

1204 წელს, როდესაც რუმის სულტანმა რუქანდინმა 400.000 კაციანი ლაშქარი შეკრიბა და საქართველოს დამორჩილება განიზრახა, ქართველთა მხედრობამ ვარძიასთან მოიყარა თავი, თამარმა იქ დალოცა ქართველობა, ვარძიის ღვთისმშობელს „შევედრა სოსლან დავით და სპა მისი“ და გაისტუმრა ბრძოლის ველზე. ბასიანში ბრწყინვალე გამბარჯეებისა და მრავალრიცხოვანი მტრის უკუქცევის შემდეგ ქართველმა მებრძოლებმა კვლავ ვარძიასთან მოიყარეს თავი. თამარმა „ჯეროვანი მადლობა“ შესწირა ვარძიის ღვთისმშობელს⁴.

1210 წელს თამარი კვლავ ეწვია ვარძიას და იქაურ ღვთისმშობელს სპარსეთს სალაშქროდ მიმავალი ქართველობა შეავედრა⁵. ამრიგად, ვარძიის მონასტრის არსებობის პირველი წლები ქართველთა ძლევამოსილ ბრძოლებს დაემთხვა⁶.

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 92.

² ეს პორტრეტი უდარესია თამარის პორტრეტთა შორის. ყველა სხვა, დღეს ცნობილი, პორტრეტი თამარისა (ყინწისი, ბეთანია, ბერთუბანი) შესრულებულია თამარის გათხოვების შემდეგ (სურათებში თამარს თავსაბურავი მოტარებული აქვს ყბის ქვეშ).

ვარძიის მხატვრობაზე იხ. Д. К а п и н д з е, О росиискомъ большомъ храмового пещерного сооружешия Вардзиз, ИКИ-АИ, III, 1925, გვ. 87—96; В. Л а з а р е в, История византийской живописи, М., 1947, გვ. 183; III. А м и р а н ш в л и, История грузинского искусства, I, გვ. 193—194; თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 306—317.

უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომლის მიხედვით ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მხატვრა ქართლის ერისთავს რატი სურამელს მიეწერება (გ. გ ა ფ რ ი ნ - და შ ვ ი ლ ი, უცნობი წარწერა ვარძიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XII, № 4, 1951, გვ. 247—254).

³ ვახუშტის ცნობით, ვარძიაში დაკრძალულნი არიან გიორგი მესამე, კონსტანტინე პირველი (1407—1411) და სხვ. (აღწერა, გვ. 128; საქართველოს ისტორია, I, გვ. 297). სხვა წყაროებით გიორგი მესამე გელათშია დაკრძალული (ამას სხვა შემთხვევაში ვახუშტიც ამოწმებს).

⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 90—91, 134.

⁵ იქვე, გვ. 105. შდრ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 275—278, 285.

⁶ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვარძიის წინამძღვარი ესწრებოდა ივანე მხარგრძელის მიერ 1216 წელს დეიშში გამართულ სამსჯავროს, რომელზეც სომხურ ქალკედონისტურ მონასტრებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხი ირჩეოდა (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, გვ. 479—480; მისი ივე. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 307; ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის გან-

1283 წლის მიწისძვრამ ვარძია საგრძნობლად დააზიანა, ჩამოინგრა გამოქვაბულთა ნაწილი და ტაძრის სტოა. გასამაგრებელი სამუშაოები ჩატარდა ბექა ჯაყელის დროს (1285—1306).

მე-13 საუკუნის მიწურულში ვარძიის მონასტრის ხელში ჩაგდებასა და გაძარცვას ლაშობდნენ მონღოლები, მაგრამ ვერ შესძლეს¹.

ვარძიის მონასტერი მცხეთას ეკუთვნოდა, უშუალოდ მცხეთას ექვემდებარებოდა და კათოლიკოსის სამწყსოს წარმოადგენდა². იქაური მღვდელ-დიაკონნი მცხეთაში იკურთხებოდნენ³. მე-15 საუკუნეში, როდესაც სამცხის ათაბაგებმა გადაწყვიტეს სამცხის ეკლესიის ჩამოშორება მცხეთის საკათედრო ტაძრისაგან, ვარძიის ძმობა მიიხსნა მცხეთას ერთგულებდა. ჩვენთვის ცნობილია ვარძიის ძმობის წიგნი მიცემული დავით ქართლის კათოლიკოსისადმი. მასში ვარძიელნი პირობას დებენ, რომ არ უღალატებენ მცხეთას, არ აპყვებიან სხვათა ცთუნებას, არც მღვდელ-დიაკონს აკურთხებენ „უმცხეთოდ“⁴. აღნიშნული წიგნიდან ჩანს, რომ ვარძიის ძმობა ჯერ ჩამოშორდა მცხეთას, ხოლო მე-15 ს. შუა წლებში კვლავ მცხეთის ერთგულებას აღიარებდა. ამის შემდეგ ვარძიელთ პირობა არ დაურღვევიათ, ფიცი არ გაუტეხიათ, ვარძია ქართლის მეფეების მოკავშირეთა და ერთგულთა სიმაგრე გახდა; როცა ათაბაგი ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდა და ქართლის მეფეს ებრძოდა, ვარძია მეფის მხარეზე იდგა. მაგალითად, 1552 წელს სამცხის ათაბაგმა ქაიხოსრო მეორემ თავისი ურჩი და ლუარსაბ მეფის მომხრე ფეოდალების დასათრგუნავად შაჰ-თამაზი მოიწვია. ამ უკანასკნელმა ვარძიასაც შეუტია, რადგან ის ლუარსაბის მომხრეთა სიმაგრესა და საფარს წარმოადგენდა. ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს რა აღნიშნულ ფაქტს, წერს: „მესხთ თავადები, ქაიხოსროვ ყორყორეს შვილის ურჩნი და მეფის ლუარსაბის მიმდევნი აიყარნეს და ციხეთა და ქვაბთა შიგან დაიხიზნეს. ამებზე კელმწიფემ ლაშქარი გაუძახა. ყველგან ქართველნი თავიანთ ხიზანს ზედან ძალმიცემით და თავგამომეტებით შემოებნენ და ზოგნი ციხეები აიღეს და კაცი დაიხოცნეს და ზოგნი ციხეები ვერ აიღეს და მრავალი ყიზილბაშნი ამოსწყდნენ“. ლუარსაბის მომხრე ზოგიერთი დიდებული ვარძიაში გამაგრდა. ყიზილბაშნი „გარშემოადგნენ“. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. „შიგნიდამ ქართველნი, გარედამ თათარნი ძალმიცემით იბრძოდეს, მრავალი ყიზილბაშნი დახოცეს“, მაგრამ მტერი შეიჭრა ციხეში, სადაც „ძრიელი ომი შეიქნა“. შაჰ-თამაზმა სასტიკად გაძარცვა ვარძია, გაზიდა დიდძალი ძვირფასეულობა. ქართველი მემკვიდრის ცნობით, ვარძიიდან წიგნებიც კი გაუტანიათ ყიზილბაშებს⁵. შაჰ-თამაზის მიერ ვარძიის გაძარცვა საგანგებოდ აქვთ აღწერილი სპარსელ ისტორიკოსებს—ჰასან რუმელუსა და ისკანდერ მუნშს.

მარტების გარშემო, თსუ შრომები, XXXIII, 1948. გვ. 111). ჩანს, ვარძია იმ დროს გარკვეული პატივით სარგებლობდა და იქაურ წინამძღვარს საქაო ანგარიშს უწევდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერისთავთ-ერისთავის, მსახურთუხუცესის აფრიდონის ცოლს ვარძიის „სამსახურად“ ეკლესია აუგია ქვემო ჯინისში (Е. Тавадшвили, Арх. описи, IV, გვ. 51—52).

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 300—301.

² იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 7.

³ ქრონიკები, II, გვ. 227, 269.

⁴ იქვე, გვ. 269. შდრ. გვ. 315.

⁵ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. გვ. 5—6. ფარსადანი ამ ცნობებს ისკანდერ მუნშის ზეგავლენით გადმოგვცემს (იქვე, გვ. VIII). შდრ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 500.

აობრებული და გაძარცული ვარძია ველარ გამოცოცხლდა. მე-16 საუკუნეში სამცხე-საათაბაგო თურქებმა ჩაიგდეს ხელთ, ქრისტიანობა განსაღდელის წინაშე აღმოჩნდა, მღვდელმსახურება შესუსტდა, ეკლესია-მონასტრები დაცარიელდა და გაუქვცრიელდა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საფარის ნივთები იქაურმა მოღვწეებმა არადენსა და ჩხარს გაზიდეს, ზარზმისა—შემოქმედს. საფიქრებელია, ვარძიის ციხე-მონასტრიდან გახიზნული ქართველების მიერ უნდა იყოს დაარსებული ვარძიის მონასტერი იმერეთში (ორჯონიკიძის რაიონში)¹. ვახუშტის დროს, მე-18 ს. შუა წლებში, ვარძია დაცარიელებული იყო ².

1828 წელს რუსთა მხედრობამ აიღო ახალციხე და მისი ახლომახლო რაიონებიც გაათავისუფლა მაჰმადიან დამპყრობელთაგან, ვარძია განთავისუფლდა მაჰმადიანთაგან, მაგრამ დანგრეულ-გაპარტახებულს ალარა ეშველა რა.

დაცარიელებული ციხე-მონასტერი მწყემსების თავშესაფარად და ყაჩაღების ბუდედ იქცა. თუ რამ იყო დარჩენილი, მასაც წვაიდნენ, იტაცებდნენ და ძარცვავდნენ ³. დიდ ტაძარში არა ერთხელ ცეცხლი დაუნთითათ და მხატვრობა გაუფუჭებიათ. ამას გულისტკივილით შენიშნავდა ჯერ კიდევ ნ. ჩუბინაშვილი ⁴.

ვარძია სათანადოდ დაფასდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მის მეცნიერულ შესწავლას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა. 1938 წელს იქ დაარსდა მუზეუმი, რომელიც ენერგიულად ეწევა ქართული კულტურის ამ დიდებული, უბადლო ძეგლის დაცვას, მეცნიერულ შესწავლასა და ტურისტ-ექსკურსანტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების მომსახურებას ⁵.

¹ ვახუშტი, აღწერა, გვ. 154; თ. მაქაჯარიანი, ვარძიის მონასტერი, „ცისკარი“, 1863, № 10, გვ. 153—155; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 30; თ. ხუსკივაძე, ყვარლიდან ვარძიაშიის, „დროება“, 1885, № 163; გ. ცქიტიშვილი, წარწერა იმერეთის სოფ. ვარძიის მონასტრის სამრეკლოზე, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 5—9.

² აღწერა, გვ. 128.

³ „დროება“, 1866, № 36.

⁴ А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 37.

⁵ ვარძიაზე დამატებით იხ. Fr. Dubois, Voyage, II, გვ. 317—325; M. Brosset, Rapports, II, გვ. 163—164; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 28—30; ქალისტრატე, ვარძიის მონასტერი, „მწყემსი“, 1886, № 5, გვ. 4—5; № 6, გვ. 5—7; № 7, გვ. 7—9; № 11, გვ. 12—13; Вардзინский монастырь, НО, 1891, № 263; ვ. წერეთელი, ვარძია, „კვალი“, 1893, № 8, გვ. 11—14; ი. ალხახიშვილი, ვარძია ინგრევა, „ივერია“, 1897, № 46; ვარძიის მონასტერი მესხეთში, „მოგზაური“, 1901, № 6—7, გვ. 533—536; ა. ფრონელი, ვარძია, „ივერია“, 1904, №№ 134, 141, 145, 150, 159; მისივე, დიდებული მესხეთი, თბ., 1915, გვ. 100—150; ა. ფევა, ვარძიაში გამგზავრება, „ამიანი“, 1908, № 117; М. Джанашивили, Вардзинский монастырь, „Ил Кавказа“, 1909, № 6; ლ. მელიქსეთ-ბეგი, ტოპონომიური შტუდიები, ცალკე ამონაბეჭდი, 1934, გვ. 160—164; ც. გაბაშვილი, ვარძია, თბ., 1948; Г. Ткешелашвили, Вардзия, Т., 1951; Д. Мшвениерадзе, Строительное дело в древней Грузии, გვ. 117—120; გ. გაფრინდაშვილი, ვარძია, „დროება“, 1953, № 9, გვ. 18—19; მისივე, ვარძიის ქვაბთა გეგმარების ტიპოლოგიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XV, № 1, 1954, გვ. 57—64; მისივე, ვარძიისა და მისი მიდამოების ქვაბები, თბ., 1957; კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, თბ., 1955; კ. მელითაური, ვარძიის გამოქვაბულთა კარების აღდგენის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVI, № 10, 1955, გვ. 837—840; ს. გამსახურდია, ვარძიის ტაძრის მხედრული მინაწერი, იქვე, XVII, № 10, 1956, გვ. 959—964; ა. ფირფილაშვილი, ვარძიის „თახჩიანი გამოქვაბულის“ დანიშნულების შესახებ, იქვე, XXI, № 3, 1958, გვ. 377—384; ვ. ცისკარიშვილი, ნ. ჯავახიშვილის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 115—116.

ვარძია იმთავითვე კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგებდა. ცნობილია, რომ ვარძიაში მოღვაწეობდა ქართველი მწერალი იოანე შავთელი—ძველი ქართული მწერლობის ე. წ. კლასიკური ხანის ბრწყინვალე წარმომადგენელი. როგორც ირკვევა, იოანე შავთელს ვარძიაში დაუწერია „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“ (თავნი იტყვან: „ზესთა დიდებისა აღმატებულო და ანგელოზთა და კაცთა დიდებად შენდა, ვითარ შობისა და ქალწულებისა, შემაერთებელო, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, ვარძიისა მოსახელესა ტაძარსა შენსა შინა მგალობელი ვინმე შენი მაცხოვრე და მიქსენ მე სულიერისა ტყუეობისაგან“)¹. ესაა ლიტურგიკული კანონის სახით დაწერილი იამბიკო, სამადლობელი საგალობელი, რომელიც ავტორს შეუთხზავს ბოლოსტიკის ომში ქართველთა სახელოვანი გამარჯვების აღსანიშნავად². იოანე შავთელი ჩვენი კულტურის ისტორიაში განსაკუთრებით ცნობილია როგორც კარის პოეტი და მეხოტბე, მაგრამ, ჩანს, მას საეკლესიო-სასულიერო მწერლობის საგანძურშიც შეუტანია თავისი წვლილი.

ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერები ვარძიის ბიბლიოთეკიდან. შეგვიძლია დავასახელოთ იოანე ოქროპირის თარგმანება მათეს თავისა (A № 365)³, ე. წ. ვარძიის ოთხთავი (Q № 899)—შესრულებული ორიგინალური თავსამკაულებითა და მინიატურებით (XII—XIII სს.), საინტერესო ისტორიული მინაწერით: „მეფეთ-მეფის ლეონის ძემან, პატრონმან იესე ვიყიდე ოთხთავი ესე თათართაგან. ოდეს ყვენმან ჯავახეთი აღაოჯრა და ვარძიის საყდარი დაღეწა... ესე ოთხთავი დატყუიქვდა. მას ეამსა დავიკსენით და შევსწირეთ ვარძიის ღმრთისმშობელსა“⁴.

საფიქრებელია, ვარძიის მწიგნობართა შემკვიდრეობა და იქაური ბიბლიოთეკა მომხდური მტრის მრავალგზისმა შემოსევამ გაანადგურა და მოსპო. ამის შედეგად ჩვენ ძალზე მცირე რამ ვიცით ვარძიის, როგორც მწიგნობრობის კერის, შესახებ⁵.

თ მ ო გ ვ ი

ასპინძის სამხრეთით, ხერთვისიდან 15-ოდე კმ-ზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მაღალ კლდეზე დღემდე შემონახულია ძველი ფეოდალური ციხე-ქალაქის თმოგვის დიდებული ნაშთი.

თმოგვის ციხე-ქალაქი ფეოდალური ხანის საქართველოს ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და მატინეც არა ერთგზის იხსენ-

¹ A № 518; S № 379; K №№ 22,94. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 383—386; ჩვენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 532—537.

² კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 323—326.

³ Описание рукописей (A), I, გვ. 358—360; ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი , არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 244—245.

⁴ Q № 899, 286 r; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 308. იხ. აგრეთვე Г. Церетели, Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря, ДВ, I, 1891, გვ. 262; ქრონიკები, II, გვ. 402.

⁵ ვარძიის მონასტრის ერთი ეტრატის ხელნაწერი ინახება კრაკოვში (ი. ც ი ნ ც ა ძ ე საქართველო პოლონეთის სიძველეთსაცავებში, „თბილისი“, 5.VI.59, № 131 (1829).

მსჯელობა ვარძიელი მემატინანის შესახებ („საიტორიო მოამბე“, 1924, I, გვ. 289—291. შდრ. ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. VI) არაღამაჯერებელი და მცდარია.

ნიებს მას. სანწუხაროდ, ციხის აშენების ზუსტი თარიღი უცნობია და არაფრის თქმა არ შეგვიძლია. მე-10 ს. დასაწყისში კი თმოგვის ციხე საკმაოდ მნიშვნელოვან სიმაგრედ ჩანს. მემათიანის ცნობით, არაბთა სარდალი აბულკასიმო 914 წელს დიდი ლაშქრით „მოადგა ციხესა თმოგვსასა და ვითარ იხილა სინტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით“¹. ჩანს, თმოგვის ციხე ისე გამაგრებული იყო იმ დროისათვის, რომ არაბებს მის დამორჩილებაზე ხელი აუღლიათ.

მე-10—11 საუკუნეებში თმოგვი სამეფო ციხედ ჩანს. ბაგრატ მესამემ იქ დააწყვედია კლარჯეთის ზღემწიფენი სუნბატი და გურგენი². შემდეგ ხანაში ქართველი მეფეები თავის ერთგულ დიდებულებს უბოძებდნენ ხოლმე თმოგვის ციხესა და მის კუთვნილ მამულებს. მე-11 ს. ნახევარში თმოგვს ფლობდა ფარსმან თმოგველი³, ხოლო 1073 წელს გიორგი მეორემ თმოგვის ციხე „საქონებლად“ უბოძა ნიანია ქვაბულის ძეს⁴. ამის შემდეგ თმოგვის ციხე მალე დაინგრა, 1088—1089 წწ. ბიწისძვრის შედეგად „თმოგვ დაიქცა“⁵, პაგრამ კვლავ განაახლეს და აღადგინეს. გიორგი მესამემ თმოგვი თავის ერთგულ პირს მსახურთუხუცეს აფრიდონს უბოძა, მაგრამ თამარის გამეფების ახლო ხანს, ოპოზიციის მომძლავრების გამო, ახალი მეფე იძულებული შეიქნა აღზევებულ-განდიდებული უფვარო პირები დაემდაბლებინა. მაშინ აფრიდონსაც ჩამოართვეს თმოგვი⁶ და ამირსპასალარ გამრეკელს გადასცეს. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1191 წელს თმოგვი და თმოგველობა უბოძეს სარგის ვარანის ძე მხარგრძელს⁷. აქედან მოყოლებული თმოგვი კარგა ხანს ეჭირათ მხარგრძელებს, თმოგვი მათ სამეგვიდრეო სამფლობელოდ იქცა. ცნობილი არიან ამ ფეოდალური სახლის სხვა გამორჩენილი წარმომადგენლებიც (თაყაიღინი, სარგის მეორე და სხვ.), ამ მხარეში ჯაყელთა გაბატონების შემდეგ თმოგვი მათ კუთვნილებაში გადავიდა. 1266 წ. შემდეგ თმოგვის ციხის პატრონი სამცხე-საათაბაგოს მთავრის ვასალად ითვლებოდა.

მე-14 საუკუნის დასაწყისში თმოგვი განმეორებით დაინგრა მიწისძვრით. ანის შემდეგ თმოგველები იქ აღარ ჩანან, მათ დაუტოვებიათ როგორც ციხე, ისე საგვარეულო მონასტერიც (ვანის ქვაბები). უკანასკნელ წლებში მიკვლეული წარწერიდან ჩანს, რომ 1350 წელს თმოგვში ზღუდის შენება დაიწყო ვარძიელმა საწოლის მწიგნობარმა მურვან კითხაისძემ. აღნიშნული პირის მიერ მშენებლობის წამოწყება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ამ დროს „თმოგვი

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 263.

² იქვე, გვ. 283, 382. შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 130.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 298. ქრონიკები, I, გვ. 206—207; ათონის კრებული, გვ. 258; რ. ბეკრელი, თმოგვის ეკლესიის წარწერები, საქართველო სახმუხუმის მოამბე, XIV-B, 1947, გვ. 239—242. იხ. აგრეთვე გ. გაფრინდაშვილი, ახალი ნავარძიევის წარწერა, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1953, № 9, გვ. 35—36; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 37—38.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316.

⁵ იქვე, გვ. 323.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

⁷ იქვე, გვ. 55.

თმოგველთაგან¹ დაცლილი იყო¹. მე-16 საუკუნის ცნობით, „თმოგველნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ ამბატაკიშვილებს ეპყრათ². 1576 წელს თმოგვი აიღო მანუჩარ ათაბაგმა, მალე მას ოსმალნი დაეპატრონენ (1578 წ.). თმოგვის ციხე და მისი სექტორი მხოლოდ 1829 წელს შემოერთდა დედა-სამშობლოს³.

თმოგველთა სახლში ლიტერატურული საქმიანობაც წარმოებდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ორი მწიგნობარი თმოგველთა საგვარეულოდან. ერთია სარგის პირველი, ხოლო მეორე მისი შთამომავალი—სარგის II. რამდენიმე სიტყვა მათ შესახებ.

ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში საკმაოდ თვალსაჩინო ფიგურაა სარგის თმოგველი, რომელსაც მიეწერება რუსთაველის ეპოქის შესანიშნავი მხატვრული ქმნილების „ვისრამიანის“ ქართული რედაქციის შემუშავება.

„ვისრამიანი“ ფალაურიდან ახალ სპარსულ ენაზე თარგმნა (მე-11 ს. ფახრ ად-დინ გორგანმა (ქართული ვერსიით—ფახფურ ჯორჯანელმა), ხოლო სპარსულიდან გადმოთარგმნა სარგის თმოგველმა. ამ უკანასკნელის ნაღვაწი არ წარმოადგენს ბრმა მიბაძვას, სიტყვა-სიტყვით გადმოცემას. ის საკმაოდ თავისუფალი მხატვრული თარგმანია. როგორც აღენიშნეთ, სარგის თმოგველი ერთობ თავისუფლად ეკიდება დედანს, უცვლის მას სახეს, ამოკლებს თუ აგრცობს სურვილისამებრ, ტექსტში შეაქვს ქართული სინანდვილის დამახასიათებელი მხატვრული სახეები, ყოფა-ცხოვრების ამსახველი ელემენტები. ამძაფრებს პატრიოტულ მოტივს. ქართული თარგმანი შესრულებულია დიდი ხელოვნებითა და ბრწყინვალე ოსტატობით⁴.

სარგის თმოგველის მიერ გადმოთარგმნილ-გადმოკეთებული ძველი საკმაოდ პოპულარული გამხდარა. მას იცნობდნენ და იმოწმებდნენ შავთელი, ჩახრუხაძე, რუსთაველი. იმის გამო, რომ „ვისრამიანი“ სატრფიალო-სამიჯნურო თხზულებას წარმოადგენდა და ადამიანთა ვენებათა ღელვას ასახავდა, საეკლესიო საზოგადოებრიობამ ის დევნის ობიექტად გამოაცხადა. ცნობილია ერთი სტროფი, რომელიც ნათლად გვამცნობს კლერიკალური საზოგადოებრიობის განწყობილებას:

სიტყვას ვიტყვი მეტად მზრინანს, თუ შეესმის კაცსა მღვთიანს,
მოვახსენებ ბრძენსა-კვეციანს, არ ვამხილებ გიჟს-ბნედიანს:

¹ თმოგვიდან წასული თმოგველები დასავლეთ ქართლში დასახლებულან. მათ საგვარეულო საძეაღეს ნიჭოზის ტაძარი წარმოადგენდა (ს. კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, თბ., 1913; მისივე, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი, თბ., 1913; მისივე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 50—60; მისივე, საისტორიო ძიებანი, გვ. 62—67).

² იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 7.

³ M. Brosset, Rapports, II, გვ. 154—155; П. Досегианк. Города, გვ. 64—65; ე. გაბაშვილი, ვარძია, 1945, გვ. 32—36; 1948, გვ. 31—33; კ. შელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, გვ. 54—58; ვ. ცისკარიშვილი, ციხე-ქალაქი თმოგვი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. შუხეუშის მთაბე, XIX-B, 1956, გვ. 97—105; III. Месхиа, Города и городская строи феодальной Грузии, გვ. 37, 38, 45—46. 91.

⁴ „ვისრამიანზე“ იხ. კ. ეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 45—60; ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 83—104 (იქვეა დასახელებული და განხილული საკითხის ლიტერატურა).

ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს „ვისრამიანს“,
დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთში ნახავს ზიანს!¹

მიუხედავად ამისა, „ვისრამიანი“ კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და აღორძინების ხანაში მისი გალექსავაც კი იქნა დაწყებული (არჩილი).

„ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი, ფსევდორუსთველური, სტროფის ცნობით, სარგის თმოგველს უქია დილარგეთი: „დილარგეთ (უქია) სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“. ამის მიხედვით სარგის თმოგველს მიაწერენ დაქარგულ თხზულებას „დილარიანს“ თუ „დილარგეთიანს“².

ჯერ კიდევ თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში: „სარგის (ანუ სერგიოს) თმოგველი მდივან-მწიგნობარი ყოფილა თამარ მეფისა. დილარგეთისა წიგნი მშვენიერი ზღაპარი შეუთხზავს სერგის თმოგველსა. დილარ კაბუკი ვინმე ყოფილა ძლიერი და გვარეულობითა, ესე იგი ნათესაობით გეთი ან გუთი. დიახ ჩინებული წიგნი ყოფილა დილარისა და სხვანიცა წიგნნი აღუწერია სერგის თმოგველსა, როგორათაც რომ ვისრამიანი ფრიადისა ენა-მზეობით არის შეთხზული“³.

სარგის თმოგველის „დილარიანი“ დამოწმებულია „ამირანდარეჯანიანის“ დამატებითი კარების შესავალში: „ოდესმე მეფესა ხაზართასა დილარს დაეპყრნეს ყოველნი გარემონი მეფენი, რომელნიცა თვითოეულად აღწერილ არს სარგის თმოგველისაგან, სიმხნენი და გოლიათობანი სიჭაბუქისა მისისანი“⁴. რასაკვირველია, შეცდომა იმის განცხადება, თითქოს „ამირანდარეჯანიანის“ დამატებითი კარები „დილარიანიდან“ იყოს შემოტანილი (პროფ. ა. ხახანაშვილი, ზ. ქიქინაძე).

„დილარიანი“ სადევგმირო და სამიჯნურო ნაწარმოები უნდა ყოფილიყო. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ჩახრუხადის ერთი განცხადება⁵. საკამათო არაა, რომ „დილარიანი“ სარგის პირველს მიეკუთვნება⁶.

სარგის პირველმა თმოგველობა, როგორც აღენიშნეთ, 1191 წელს მიიღო. განსვენებულ ლ. მუსხელიშვილის დაკვირვებით, ის გარდაიცვალა 1206 წ.

¹ S № 3183, გვ. 1. შტრ. S № 3693, გვ. 89; Описание рукописей (S), I, გვ. 293.

² ცდებოდა იოანე ბაგრატიონი, როდესაც დილარგეთს ავტორად მიიჩნედა (კალმახოვა, II, გვ. 185).

³ Описание рукописей (S), II, გვ. 585; თეიმურაზ ბატონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 290.

⁴ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, გვ. 111.

⁵ იქვე, გვ. 196.

⁶ კ. ქიქინაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 281—282. იხ. აგრეთვე ზ. ქიქინაძე, სარგის თმოგველი და მისი დილარიანი, თბ., 1891; მისივე, დილარიანი ქმნილი სარგის თმოგველის მიერ, თბ., 1897; ე. თაყაიშვილი, მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა? „მომამბე“, 1900, II, გვ. 41—56.

ზემოთ, თბილისზე მაჯღობისას, ჩვენ ზოგადად მოვიხსენიეთ სარგის თმოგველი და მისი „ვისრამიანი“. იქვე აღენიშნეთ, რომ ძნელია მისი გამოთიშვა თბილისის კულტურული ლიტერატურული გარემოდან. ამჯერად ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ სარგისის განმეორებით მოაუხეივება, რადგან ის, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად თბილისში ცხოვრობდა, ღროვადრო თმოგველიც იქნებოდა და ამდენად თმოგვეში მისი მოუსხენებლობა შეუძლებლად მივიჩნიეთ. კონკრეტულად თუ სად ეწეოდა ის ლიტერატურულ საქმიანობას, თბილისსა თუ თმოგვეში, არააიდან არ ჩანს. დაახლოებით ასევე გვესახება ჩვენ სარგის მეორის საკითხიც.

ახლო ხანაში¹. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ანტონ პირველი და იოანე ბატონიშვილი. ორივე ავტორი სარგისს მიიჩნევს ღრმად განსწავლულ მწიგნობრად, ნიჭიერ პოეტად და სიბრძნისმოყვარედ².

ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობდა მე-13 ს. ცნობილი ქართველი დიდებული, რუსუდანისა და დავით ლაშას ძის თანამედროვე პირი — სარგის II თმოგველი. მემატინის დახასიათებით, სარგისი რიტორი, სწავლული ფილოსოფოსი და მეცნიერი იყო³. მას კობთა თავის ცნობილ შეთქმულებაშიც კი მიუღია მონაწილეობა. მის ლიტერატურულ საქმიანობას გვამცნობს „ვეფხისტყაოსნის“ დამატებითი კარი.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ გაგრძელებას ე. წ. ხვარაზმელთა ამბავს შემოუნახავს ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების შემცველი შემდეგი სტროფი:

აწ, გონიერო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით:
ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით.
სარგის დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით⁴.

მსგავსი ცნობა შემონახულია ხვარაზმელთა ამბის ეპილოგშიც:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
აგრევე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად;
ესე სიტყვა მოახანგეს, ვინ ჩანს გმირთა რახმთა მწყობლად,
მიბრძანა თუ: „ლექსად თქვიო, მკევერ ქართულად, დაუშრობლად“⁵.

ამ ცნობებს სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევდნენ. მათი გამოყენებითა და სხვა მასალის მოშველიებით პ. ინგოროყვა სარგის თმოგველს მიაწერდა ინდოხატაელთა ამბავს⁶, ხოლო აკად. კ. კეკელიძის შენიშვნის⁷ შემდეგ — ინდოხატაელთა ამბის გალექსვასა და ხვარაზმელთა ამბის პროზაულად დამუშავებას⁸; სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოზიცია ეჭირა პროფ. ს. კაკაბაძეს. ის სარგის თმოგველს მიიჩნევდა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულიდან მთარგმნელად და წინა ნაწილის გამლექსავად⁹, უკანასკნელად — პოემის პროზაული ვერსიის შემთხვევლად¹⁰.

ამემამად ეს საკითხი სავსებით გარკვეულია. ხვარაზმელთა ამბავი, რომელშიც ზემომოტანილი სტროფები გვხვდება, გალექსილია არა უადრეს მე-16-

¹ ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 17.

² წყობილსიტყვაობა, გვ. 285; კალმასობა, II, გვ. 185.

³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 191.

⁴ ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით, გვ. 236.

⁵ იქვე, გვ. 309.

⁶ პ. ინგოროყვა, რუსთაფლიანა, გვ. 33.

⁷ „მნათობი“, 1927, № 2, გვ. 187—188.

⁸ „მნათობი“, 1927, № 3, გვ. 212.

⁹ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1913, გვ. 39—40. შტრ. ს. კაკაბაძე, „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემის გარშემო, „სისტორიო მთაბე“, 1924, I, გვ. 121—161.

¹⁰ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1927, გვ. XLII—XLV.

საუკუნის პირველი ნახევრისა¹. უცნობ პოეტს ხელთ უნდა ჰქონოდა ხვარაზმელთა აშბის პროზაული ვერსია, რომელიც შეუწყობლად დარჩა მე-13 ს. მოღვაწე სარგის II თმოგველს².

ვ ა ნ ი ს ქ ვ ა ბ ე ბ ი

ვარძიდან 4 კილომეტრის დაშორებით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მღებარეობს ნანგრევები ვანის ქვაბთა მონასტრისა. შემორჩენილ ქვაბთა ოდნობა და ნანგრევთა სიჭარბე საფიქრებელს ხდის რომ იქ ადრე დიდი საუანე არსებობდა.

ვანის ან ვაჰანის, —როგორც მას მე-14 საუკუნის მეორე ნახევრამდე უწოდებდნენ³, —ქვაბთა მონასტრის აღმოცენების შესახებ ცნობები არ გავგაჩნია. არ ვიცი, როდის გაჩაღდა იქ სამონასტრო მშენებლობა და როდის დაედო საფუძველი იქაურ ძმობას. ხალხური გადმოცემით, იქ მონასტერი ადრევე არსებობდა, მაგრამ მე-11 საუკუნეში მიწისძვრას, თმოგვთან ერთად, დაუნგრევია.

მე-13 საუკუნის დამდეგს მონასტერი მეფის კუთვნილებას წარმოადგენდა. 1204 წელს ანტონ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ქვაბთათვის ზღუდე აუგია⁴, ე. ო. ამ დროს ვანის ქვაბები სამეფო იყო.

1204—1234 წლებში მონასტერი საპატრონოდ მიუღიათ თმოგველებს. ამის შემდეგ აღნიშნული გვარეულობა ზრუნავს მონასტერზე, მას თავის „სამკვიდრებლად“ მიიჩნევს და უხვადაც ეხმარება. ამ პერიოდში ახალმა პატრონმა (—ერისთავთ-ერისთავმა, თმოგველ-მხარგრძელმა სარგისის ძემ) მონასტერს ტიბიკონიც განუჩინა⁵. აღნიშნული დოკუმენტი საკორპორაციო სამართლის შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს⁶ და კარგად გვაცნობს ძველი საქართველოს სამონასტრო წყობილებას⁷.

1350 წლიდან თმოგველები, როგორც აღვნიშნეთ, თმოგვეში ალარ ჩანან. ვანის ქვაბთა მონასტერიც ამიერიდან თმოგველთა მფლობელობაში აღარაა:

¹ ა. ბარამიძე, „ვეფხისტყაოსნის“ პლასტების დათარიღებისათვის, თფმ, IX, 1928, გვ. 121—131.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 366—367; ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 114—123.

³ A № 1347, 203r; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 431. ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 9—10.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ენიქის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 397, შენ. 7.

⁵ ტიბიკონით იმ დროს იქ 51 ბერი და 10 მსახური უნდა ყოფილიყო (იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, გვ. 35; შ. მესხია, ხელისნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ მონასტრებში, „მომომხილველი“, I, 1949, გვ. 58).

⁶ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 28—49; ქრონიკები, II, გვ. 91—94; ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.), გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1939.

⁷ საინტერესოა ცნობა მონასტრის კრებულის „უფროს მამათა“ და „უმცროს მამათა“ ასებად დაყოფის შესახებ (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია მე-13—14 ს., თსუ შრომები, VI, 1937, გვ. 288).

მურვან ლარიბას ძის წარწერით (1393 წ.), ის მისი „სამკვიდრებელია“¹. მე-14—15 საუკუნეებში ვანის ქვაბთა მონასტრის პატრონებად ლარიბასძენი ჩანან², ხოლო მე-16 საუკუნეში—რჩეულაშვილები³.

ვანის ქვაბთა მონასტერი არა ერთგზის აულია და დაურბევია მტერს; მე-16 საუკუნის ბოლოს მას ოსმალნი დაეპატრონენ და იავარყვეს იქაურობა⁴.

მონასტრის გამოქვაბულთა ზემო სართულში ჯვრის ტიპის პატარა გუმბათიანი ნაგებობის (ეკლესიასა თუ სამრეკლოს) კედლებზე მოიპოვება XV—XVI საუკუნეთა მხედრული წარწერები, რომელთა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ვანის ქვაბთა მონასტერი ერთგვარ კულტურულ-საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა. აღნიშნული წარწერები კარგა ხანია ცნობილია⁵, მაგრამ მათი ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო⁶.

ამჟამად გაშიფრული და დამაჯერებლად წაკითხულია 10 ლექსი: 8 მწიგნობრული და 2 ფოლკლორული. ყველა მათგანი შესრულებულია მონაზონი ქალების მიერ⁷.

ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე იკითხება „ვენეზისტყაოსნისა“⁸ და „როსტომიანის“ სტროფები, ქართველი მწიგნობარი ქალების (ანა რჩეულაშვილი, თუმიან გოჯოშვილი და სხვ.) ლექსები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. აღნიშნული წარწერებით ვეცნობით არა მხოლოდ მონასტრის ბინადარი ქალების განწყობილებასა და ლიტერატურულ გემოვნებას, არამედ იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის კულტურულ დონესაც.

ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე შემორჩენილი წარწერები მრავალმხრივია საყურადღებო და მათ ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული მეცნიერებისათვის. მათი შემდგომი შესწავლა კიდევ უფრო ნათლად გაგვაცნობს ქართველ მწიგნობარ ქალთა მოღვაწეობას ლიტერატურულ ასპარეზზე და კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს ვანის ქვაბთა მონასტრის, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო კერის, მნიშვნელობას.

¹ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 44—45.

² იქვე, გვ. 44—46.

³ იქვე, გვ. 48—49.

⁴ ც. ვაბაშვილი, ვარძია, გვ. 35—39; კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, გვ. 60—63; ვ. ციხკარიშვილი, ჯავახეთის გვირაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 49—51.

⁵ კ. ვსმაშვილი, რუსთველის საღაერთობის საკითხისათვის, „კომუნისტი“, 4.VIII.36, № 179 (4688); ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 10—11; ვ. ციხკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1954, გვ. 168—180.

⁶ კ. კეკელიძე, კედლებზე შერჩენილი სიტყუბლე (ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია), „კომუნისტი“, 24.II.59, № 45 (11351); შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 33—40; 1950, № 8, გვ. 33—42; მისივე, „ვენეზისტყაოსნის“ ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. აკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 287—293.

⁷ ამ პერიოდში (და უფრო ადრეც—XIV ს.) იქ დედათა მონასტერი ან დედათა განყოფილება ყოფილა (ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 46).

⁸ კ. კეკელიძე, კომენტარები „თამარის“ ზოგადრითი ტაგისა, ეტიუდები, III, გვ. 28—29; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 749; ვ. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 11, გვ. 168; ვენეზისტყაოსნის სიმფონია, გვ. 016.

ახალქალაქის რაიონში, ცენტრიდან 10-12 კილომეტრის; მანძილზე მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე შედევრი კუმურდოს ტაძარი — „გუნბათიანი, ფრიად დიდშენი, შვენიერად ნაშენი“ (ვახუშტი).

ამ ადგილას ეკლესია ადრევე ყოფილა აშენებული¹, იქაური მღვდელ-მთავარი 506 წლის კრების ოქმებშიც იხსენიება², მაგრამ კუმურდოს კათედრალის დაწინაურება მე-10 საუკუნიდან შეინიშნება. ადრე ჯავახეთის ადმინისტრაციულსა და საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა ძველი ციხე-ქალაქი წუნდა (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ასპინძიდან 25 კილომეტრზე), ხოლო 964 წლიდან ჯავახეთის საეპისკოპოსოს ცენტრად კუმურდო ჩანს. ამ დროისაა დღემდე შემონახული თლილი ქვით ნაშენი ცენტრალურ-გუმბათიანი დიდი ტაძარი, რომელიც თვალს იტაცებს და ახარებს ტექნიკური სრულყოფით, ჩუქურთმების ნაირგვარობით, წარწერების სიუხვით. სამხრეთის შესასვლელის თავზე ამოკვეთილი წარწერიდან ჩანს, რომ ის აშენებულია დიდი ხუროთმოძღვრის სახოცრის (საჯოცარი) მიერ იოანე ეპისკოპოსის თაოსნობით. ტაძარს აქვს გვიანდელი მინაშენებიც.

კუმურდოელი გარკვეული პატივით სარგებლობდა ძველ საქართველოში, „განგებად დარბაზობისაჲ“ მას მერევე ადგილზე იხსენიებს ქართველ მღვდელ-მთავართა შორის³. ერთობ დიდი ყოფილა მისი სამწყსოც: „ხერთვის ზეით სულ ჯავახეთი ხავეთამდი“⁴.

ემათა სიაყვემ კუმურდოს კათედრალის ძლიერება დასცა და შეასუსტა-ოსმალთა ბატონობამ ძველი დიდებული ნაგებობა დალუპვის პირად მიიყვანა⁵, ჩვენთვის ცნობილია ორიოდე მწიგნობარი კუმურდოდან.

ზემოთ მოიხსენიეთ ტაძრის აგების ინიციატორი იოანე კუმურდოელი. ეს უკანასკნელი, როგორც ირკვევა, შემდეგ ხანაში სინას მთაზე ცხოვრობდა და აქტიურად მონაწილეობდა იქაურ მწიგნობართა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ასე, მაგალითად, სვიმეონ სალოსის ცხოვრების იმ ნუსხაში (ა. ცაგარლით № 69), რომელიც ამჟამად გრაცში ინახება⁶, აღნიშნულია, რომ „ამის შექმნაჲ ჯელ-ჰყო“ იოანე კუმურდოელმა. მის სახელთანაა დაკავშირებული კიდევ ერთი კრებული — „იადგარნი გამოკრებილინი“⁷.

¹ ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სტელა ასომთავრული წარწერით ნასოფლარ არეშის მახლობლად, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზზე, V, № 7, 1944, გვ. 747—752.

² ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I^ა, გვ. 300, შენ. 3.

³ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6.

⁴ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 8 (შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 131).

⁵ M. Grosset, Rapports, II, გვ. 166—172; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 69; И. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, გვ. 79—92; სოფ. კუმურდო და მისი დიდებული ნაშთი, „მოგზაური“, 1921, № 2, გვ. 101—114; Е. Такайшвили, Христианские памятники. Эпскурия 1902 года, МАК, XII, 1909, გვ. 35—44; ც. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვარძია, გვ. 29—31; Ш. Амипрашвили, История грузинского искусства, I, გვ. 171; ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრები, გვ. 48—49; მისი ცე, კუმურდო, თბ., 1959; Г. Чупинашвили, Архитектура Кахети, გვ. 231, 404, 422; ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 8—25.

⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხელნაწერები გრაცში, თემ, I-X, 1929, გვ. 345.

⁷ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 109.

მე-11 საუკუნიდან ცნობილია ბაგრატ მეოთხისა და მისი დედის—მარიამ დედოფლის დროის მოღვაწე ზოსიმე კუმურდოელი. მის მღვდელმთავრობაში ტაძარში გარკვეული აღმშენებლობითი სამუშაო ჩატარებულა. მისი მინაწერები შემოუნახაეს ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ წიგნს (ა. ცაგარლით № 116; რ. ბლეკით № 73).

მე-16 საუკუნიდან ცნობილია კიდევ ერთი ზოსიმე კუმურდოელი, რომლის დროს ადგილი ჰქონდა ტაძრის „მეორედ აღშენებას“.

ზოსიმე კუმურდოელი იხსენიება მე-16 საუკუნის დამდეგის საბუთებში¹; 1515 წლის ახლოს ის იერუსალიმში ყოფილა და მისი პატრონის ქეთეონ-ყოფილი ქრისტინესა და გულქანის შესაწირავე მიუტანია². მასვე გადაუწერია კრებული (A №1737), რომელშიც ქეთეონ-ქრისტინეცაა მოხსენიებული³.

დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ აღრეული ხანიდან მოყოლებული ვეიან ხანამდე (XVI ს.) სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი ქართული მწერლობის მრავალი კერა არსებობდა. მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა გაჩაღებული იყო ჯაყელთა და თმოგველთა სასახლეებში, ქალაქებში, ციხეებსა და ციხე-ქალაქებში (ქალმახი, აწყური, ახალციხე, თმოგვი, ვარძია), მონასტრებსა (ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, პარეხი, ბერთა, მიძნაძორი, წყაროსთავი, ოშკი, ხახული, პარხალი, საფარა, ზარზმა, ვარძია, ვანის ქვაბები) და კათედრალებში (ანჩი, იშხანი, ბანა, ტბეთი, აწყური, კუმურდო).

დასახლებულ კერებში განსაკუთრებული ძალით განვითარდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდნენ მხატვრული სიტყვის ჩინებული ოსტატები (გრიგოლ ხანძთელი, არსენ საფარელი, სტეფანე მტევეარი, ბასილ ზარზმელი, გიორგი მერჩული, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მტევეარი, აბუსერისძე ტბელი და სხვ.), ნიჭიერი მთარგმნელები (გრიგოლ ოშკელი, დავით ტბელი და სხვ.), დახლოენებული კალიგრაფები (გრიგოლ ოპიზელი, გაბრიელ შატბერდელი, იოანე ბერაი, იოანე ვარძიელი, გაბრიელ პატარაი, სტეფანე ოშკელი და სხვ.). დაიწერა და ითარგმნა ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლი, დამზადებულ იქნა შესანიშნავი კრებულები, მაგალითად, შატბერდის კრებული (S № 1141), ოშკის ბიბლია, მიქაელ მოდრეკელის კრებული (S № 425), სვანური მრავალთავი (A № 19), პარხლის მრავალთავი (A № 95) და სხვ.

სამხრეთ საქართველოს მოღვაწენი ცხოველ ინტერესს იჩენდნენ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის თითქმის ყოველი დარგისადმი. კერძოდ, ბიბლიური წიგნებისადმი დიდ ინტერესს მოწმობს მთელი წყება სახარების ძვირფასი ხელნაწერებისა. აქ შეიძლება დავასახელოთ ოთხთავები შატბერდის (897 წ., 936 წ.), ოპიზის (913 წ.), პარხლის (973 წ.), ტბეთის (995 წ.),

¹ ქრონიკები, II, გვ. 345.

² ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 213.

³ ზოსიმე კუმურდოელი და ბელნაწორი A № 1737-ის დამაშხადებელი ზეზევე ნაუას ძე ქ. შარაშიძეს ძეგლად მიანიჭა (იქვე, გვ. 212—213). ვეიქობთ, უფრო მართალია ვ. მეტრეველი, რომელსაც ზეზევე ნაუას ძეა და ზოსიმე კუმურდოელი ერთი და იმავე პირად მიიჩნევს (ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 018, შენ. 3).

ნესტიის (i033 წ.), წყაროსთვის (1195 წ.), ბერთისა (X ს.) და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა ოშკის ბიბლია 978 წლისა.

საწიხრეთ საქართველოდან მოღწეულ ხელნაწერებში მრავლად გვხვდება აპოკრიფები (A №№ 19, 95), ეგზეგეტიკური და დოგმატიკური თხზულებანი. საყურადღებოა იპოლიტე რომაელისა და ეპიფანე კვიპრელის თარგმანები (N № 1141). აკად. ნ. ნარის აზრით, ტაო-კლარჯეთში უნდა იყოს თარგმნილი VIII ს. გასულს ან IX ს. დამდეგს „სახისმეტყუელი“ (S № 1141). შატბერდში ორიგინალური ეგზეგეტიკური ძეგლებიც კი იწერებოდა (A № 135).

გარკვეული ყურადღება ეთმობოდა პოლემიკას (არსენ საფარელი, გრიგოლ ოშკელი, ექვთიმე გრძელი), ასკეტიკას (ილარიონ იშხნელი) და სხვ.

დიდი წარმატებით ვითარდებოდა აგიოგრაფია როგორც თარგმნილი (დავით ტბელი), ისე ორიგინალური. დაიწერა ფრიად მნიშვნელოვანი აგიოგრაფიული ძეგლები: „წამებაა წმიდისა მოწამისა გობრონიასი, რომელი განიყვანეს ყუელის ციხით“ (სტეფანე მტბევარი), „ცაორებაა და მოქალაქობაა ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“ (ბასილ ზარზმელი), „შრომაა და მოღუაწებაა... გრიგოლისი“ (გიორგი მერჩული) და სხვ. შატბერდში ჩამოყალიბდა „მოქცევაა ქართლისაა“, დაწყებულ იქნა შედგენა აგიოგრაფიული კრებულისა (პატერიკი, მატერიკი).

არნახულ წარმატებას მიაღწია ქართულმა ჰიმნოგრაფიამ (გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩული, იოანე მტბევარი, შიქაელ მოდრეკილი, იოანე ანჩელი და სხვ.), შეიქმნა უდიდესი მნიშვნელობის ჰიმნოგრაფიული კრებული (S № 425).

განვითარდა ისტორიოგრაფია (სუმბატ დავითის ძე, აბუსერისძე ტბელი, მესხური დავითნის ქრონიკა), ასტრონომია (აბუსერისძე ტბელი) და სხვ.

ერთობ ძნელია მსჯელობა სამხრეთ საქართველოში საერო-მხატვრული ლიტერატურის განვითარებაზე, რადგან სათანადო მასალა თითქმის არ მოგვეპოვება. შეიძლება მხოლოდ დავასახელოთ ორიოდე კერა, სადაც ელემენტის სახით თავს იჩენს საერო-მხატვრული ლიტერატურა: თმოგვი, სადაც სარგის პირველი (XII—XIII სს.) და სარგის მეორე (XIII ს.) მოღვაწეობდნენ (თუ ის ძეგლები, რომელთაც ამ პირთა სახელებით ვიცნობთ, ნამდვილად თმოგვია დაწერილი და არა თბილისში, ან კიდევ სხვაგან), და ვანის ქვაბ. თა მონასტერი, სადაც, შეძლებისდაგვარად, გამოვლინდა მონაზონ ქალთა პოეტური ხიკი.

საწიხრეთ საქართველოს კერებს შორის გარკვეული კავშირთიერთობა არსებობდა. სხვადასხვა კერის მოღვაწენი ხშირად ეხმარებოდნენ ერთმანეთს, თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან და ა. შ. ასე, მაგალითად, იოანე ბერაიმ 973 წელს შატბერდში გადაწერა და პარხალს შესწირა ერთი ოთხთავი (A № 1453); მოსე ხანძთელმა 1085 წელს ეგნატი ხუცეს-მონაზვნის, წყაროსთაველის, დავალებით „დიდებულისა ლავრისა შატბერდისათვის“ გადაწერა საწელიწდო საწინასწარმეტყველო (H № 1350); შატბერდის კრებულის (S № 1141) ერთი ნაწილი „დაიწერა დედითა იშხნისაათა“; პარხლის მრავალთავის ვადამწერი გაბრიელ პატარაი სარგებლობდა პარხლურა დედნით, მაგრამ, რადგან ის ნაკლები იყო, „იშხნით მოიღო და მით გაასრულა“ (A № 95, გვ. 1222). მსგავსი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება. საგულისხმოა, რომ აქაურ მოღვაწეებს შორეულ კერებთანაც კი ჰქონდათ

კონტაქტი. მაგალითად, სახელგახტქული ოშკის ბიბლია (978 წ.) ოშკელმა მწიგნობრებმა (მიქაელ ვარაზეაჩეს ძე, სტეფანე მწერალი, გიორგი გელასის ძე) დაამზადეს ათონელი მოღვაწის იოანე-თორნიკეს დაკვეთით. ამ უკანასკნელისა და იოანე-ვარაზეაჩეს დაკვეთით სტეფანე ოშკელმა 977 წელს გადაწერა „სამოთხე“. მათივე დაკვეთით ნუსხებს ამზადებდა იოანე ჩირაი, ოშკელი და სხვ.

სამხრეთ საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი ბევრი მწიგნობარი შემდეგში სხვაგან მოღვაწეობდა. მაგალითად, მაკარი ლეთთელი (IX ს.) მოღვაწეობდა საბას ლავრაში, იოანე სააულელი (X—XI სს.)—ათონზე, ზეკეპე ბერთელი (X ს.)—ოლიმპზე, კვირიკე მიძნაძორელი (X ს.)—სინას მთაზე, ევრემ დიდი ოშკელი (XI ს.) და ანტონ ტბელი (XI ს.)—შვე მთაზე, გიორგი-პროხოვრე წყაროსთაველი (XI ს.)—იერუსალიმში, ზაქარია ბანელი (XI ს.)—კონსტანტინოპოლში და სხვ.

მას შემდეგ, რაც იქაური, პირველ რიგში, ტაო-კლარჯეთის კერების მნიშვნელობა დაეცა (თურქ-სელჩუკთა მომძლავრებისა და იმ მხარის საომარ ასპარეზად ქცევის შედეგად), ბევრი იქაური მოღვაწე უცხოეთში გაიხიზნა. იქაურ ხელნაწერთაგან ბევრი დაიკარგა, ბევრი კი სხვა კუთხეში იქნა გატანილი. სხვათა შორის, ამ ხელნაწერთა ნაწილი ახლაც გაფანტულია. მაგალითად, ბერთის ოთხთავი (X ს.) ქ. ნიუტონშია (აშშ), ტბეთის ოთხთავი (995 წ.)—ლენინგრადში, ოპიზის სახარება (913 წ.)—ათონზე და ა. შ.

მიუხედავად გვიან ხანაში დაცემა-განადგურებისა, „ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ. ჩვენი მწერლობის ისტორიაში; აქ დულდა ლიტერატურული შემოქმედება. ასე, რომ, უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნეებიდან, შექმნილა ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერჯია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია, ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავისი კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით“¹.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ტაო-კლარჯეთის, ისევე როგორც სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეების (შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი) კერებისა და იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის შესახებ მე-13 საუკუნიდან ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. მართალია, აქა-იქ, ამა თუ იმ კერაში შემდეგშიც წარმოებდა მუშაობა, მაგრამ, რასაკვირველია, არა ადრინდელი ძალითა და მასშტაბით. თურქ-ოსმალთა მომძლავრებამ და სამხრეთ საქართველოს დედა-სამშობლოდან ჩამოშორებამ (XVI ს.) საბოლოოდ ჩაკლა იქ ლიტერატურული ცხოვრება და შეწყვიტა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 97.

ი მ ე რ ე თ ი

ქ ე თ ა ი ს ი

ქუთაისი საქართველოს მეორე ქალაქია თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით. ამასთანავე ის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და განვითარების მეტად რთული და ძნელი გზა განვლო. ქუთაისის ისტორია საუკუნეთა წყვილადში იმალება, მაგრამ მისი დაწინაურება, როგორც სატახტო-ქალაქისა, რამდენადმე, გვიანი ხანის მოვლენაა. მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში რამდენიმე ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: ადრე ის იყო ლაზიკის ძლიერი ქალაქი, შემდეგში „აფხაზთა სამეფოს“ სატახტო ქალაქს წარმოადგენდა, თითქმის საუკუნენახევარს (980—1122) გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქის ფუნქციებს ასრულებდა, ხოლო გვიან ხანაში იმერეთის სამეფოს ცენტრად იქცა¹. საუკუნეთა მანძილზე ის იყო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიური ცენტრი. საფიქრებელია, ის ადრევე გაზდებოდა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობის კერად, მაგრამ, სამწუხაროდ, სველ მასალას ნაკლებად ვიცნობთ. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქუთაისში კერა ძველი ქართული მწერლობისა, კერა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობისა უკვე ადრეული ხანიდან, ყოველ შემთხვევაში, ბაგრატ მესამის (975—1014) დროიდან მაინც უნდა არსებულებოდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ბაგრატის მიერ 1007—1014 წლებში შედგენილი „აფხაზთა ისტორია“², მისივე ინიციატივითა და დაკვეთით თარგმნილი ზოგიერთი აგიოგრაფიულ-აპოკრიფული ნაწარმოები (მაგალითად, „ცხოვრებაჲ წმიდისა ბაგრატისი, ტავრომენიელთ ქალაქისა მღვდელთ-მოძღუ-

¹ ვ. ჩაკვეტაძე. ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960.

² ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, II, გვ. 3—29; მისივე, Диван афхазских царей. Что включала в себе т. н. „История Абхазии царя Баграта“, которую пользовался перусалимский патриарх Досифей для своей „Истории перусалимских патриархов“, „Аг“, 1918, № 2—3, გვ. 63—70; მისივე, Les sources des notices du patriarche de Jérusalem Dosithée sur les rois d' Apikhazie, JA, CCX, 1927, გვ. 3:7—368.

„რისაჲ“¹); შის ჯარზე ნომრავლება მწიგნობრებისა, მწერლებისა, რომელთა „ხედა მთავრად“ ერთ ხანს გიორგი მთაწმიდლის ბიძა გიორგი მწერალი იმყოფებოდა² და სხვ. მაგრამ ეს ორიოდ ცნობა, რასაკვირველია, ერთობ მცირეა ვარკვეული დასკვნების გამოსატანად. ასე, რომ, ჩვენ ისევ გვიან ხანაზე შეჩერება მოგვიხდება. ესაა ის პერიოდი, როდესაც ქუთაისი იმერეთის სატახტო ქალაქს წარმოადგენდა.

ძველი ქართული მწერლობა ქუთაისში ვითარდებოდა როგორც მეფე-დიდებულთა სასახლეებში, ისე ეკლესიებშიც. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიოდნენ ადგილობრივი კადრები, რომელთაც ხშირად ემატებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან ამა თუ იმ მიზეზით ლტოლვილი მწიგნობრებიც. ქუთაისის ლიტერატურულ წრეს არა ერთი აღმოსავლელი მწერალი ამშვენებდა.

იმერეთის სამეფო კარზე მწიგნობრულ-საგანმანათლებლო და კულტურულ-ლიტერატურული ინტერესები აღრეული ხანიდან შეინიშნება. ასე, მაგალითად, ცნობილია გიორგი მეორის (1548—1585) დაკვეთით დამზადებული ხელნაწერები (K № 165)³, სოლომონ პირველის (1756—1784) მიერ შემკობილი სახარება (Q № 901) და მისი კუთვნილი „ვეფხისტყაოსანი“ (S № 5006)⁴, მზებნათუნ ბატონიშვილის (გარდ. 1830 წ.) კუთვნილი „ვეფხისტყაოსანი“⁵ და სხვ. შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ ძალზე ბევრი ხელნაწერია დამზადებული იმერეთის მეფის, დავით გიორგის ძის, მეუღლის ანა დედოფლის (1765/70—1832) ინიციატივით. მისი დაკვეთით ნუსხებს ამრავლებდნენ ი. მუსხელიშვილი (H № 1071), გ. ჯათიშვილი (H № 2365), ოსე გაბაშვილი (A № 301, Q № 328 და სხვ.), გელათის არქიმანდრიტი ზაქარია⁶, მათა ჩიქოვანი⁷ და სხვ.

საკმაოდ ნაყოფიერი მწიგნობარი ყოფილა გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი (1778—1807). ეს უკანასკნელი სამეფო ტახტის პრეტენდენტად ითვლებოდა და ზოგიერთმა დიდებულმა მოისურვა მისი გამოყენება სოლომონ მეორესთან ბრძოლაში. 1797 წელს მეფის ერთგულებმა ის შეიპყრეს და „ციხესა შინა მუხურისასა“ გამოკეტეს. პირველმა გამოქცევამ შედეგი არ გამოიღო, ის მალე დაატყვევეს. 1806 წელს მეორედ გამოიქცა ციხიდან და რუს ხელისუფლებთან გამოცხადდა, ხოლო 1807 წლის 23 აპრილს რუსეთის გზას გაუდგა⁸.

გიორგი ბატონიშვილის სახელით რამდენიმე ნაწარმოებია მოღწეული. მას ჯერ კიდევ ტყვეობაში, მუხურის ციხეში, დაუწერია რომანტიკული თხზუ-

¹ კ. კეკელიძე, რომანი „ტავროშენიანი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში, ვტი-უდები, II, გვ. 24.

² ათონის კრებული, გვ. 288.

³ გ. ბოჭორიძე, რაქის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მონაბე, V, 1930, გვ. 191.

⁴ ახალი ამბები, „დროება“, 1880, № 259.

⁵ ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტრუქტურული შედგენილობა, გვ. 306.

⁶ ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის ყოფილი დედოფლის ანას მიმართ, გვ. 11—12, 37.

⁷ Р. Орбели, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 77—78; ი. მათურელი, პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 9.IV.50, № 15 (312).

⁸ ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 67, 99.

ლება „ხუმბარდინი“¹, ხოლო რუსეთში (1807 წ.)—„თავგადასავალი“, უფრო ზუსტად—„შემთხუევეანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა გიორგი ალექსანდრესისა“². მის კალამს ეკუთვნის საინტერესო ლექსები³, რომელთა ნაწილი იმერთის სამეფო კარზე ყოფნისასაა დაწერილი⁴. გ. ბაგრატიონი გარდამავალი ხანის ქართული მწერლობის ერთ-ერთი საყურადღებო წარმომადგენელია.

როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აღმოსავლეთ საქართველოდან გახიზნული ბევრი მწერალი. აქ პირველ რიგში თემურაზ პირველი უნდა მოვიხსენიოთ.

თემურაზი ადრეც რამდენჯერმე გადავიდა დასავლეთ საქართველოში (1614 წ., 1616 წ.), ხოლო 1649 წლიდან საკმაოდ დიდი ხნით, შეიღი წლით, დამკვიდრდა იმერეთში. სიძემ, იმერთა მეფე ალექსანდრემ (1639—1660), ის დიდი პატივით მიიღო, ქუთაისში დააბინა, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად რაქა მიუჩინა. გახიზნული თემურაზი ენერგიულად იღვწოდა ლიტერატურულ ასპარეზზე. არჩილი მას შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

ახლა ვსთქვი შვიდის კრებისა მამათა წმინდათ დასება,
სჯულის სიმტკიცე ნათლისა მით მიერ შეიმოსება,
სარწმუნოება მართალი მუნითგან დაუთესება,
ჯვრკვალთა, დრკუთა, მწვალებელთ ოდითგან ეყო დაესება.

ვარდს ბულბული გაეუბნე, შემოდგომა გახაფულსა,
კვლავ სანთელსა პეპელაი, მისგან დამწვარ-დადაგულსა,
ამ დროს ლექსი ვით გაეაწყვე, ძლივლა მხედავ მე სულდგმულსა,
მუნ „მაჯამას“,—შეყრილს,—ვხედავ, არ იქი-აქ დაკარგულსა⁵.

როგორც ციტირებული სიტყვებიდან ჩანს, თემურაზს დასავლეთ საქართველოში ყოფნისას დაუწერია (თუ გადმოუკეთებია) რამდენიმე თხზულება. მართალია, ზოგიერთი ნაწარმოები („შეღარება გახაფხულისა და შემოდგომისა“, „შამითარვანინი“) უცილობლად რაქაშია დაწერილი, მაგრამ, საფიქრებელია, თემურაზის არა ერთი თხზულება შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც დევნილი პოეტი ქუთაისში ცხოვრობდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა იქაურ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში⁶. არაა გამორიცხული, რომ თავისი პოეტური ნიჭით, მგრძნობიარე ლექსებითა და შთამაგონებელი პოემებით

¹ H № 2205. ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, გვ. 21—64.

² S № 303, გვ. 148—153; „მოამბე“, 1900, V, გვ. 43—53.

³ H № 874, S № 1088. ზოგიერთი მისი ლექსი შემოუნახავთ ლენინგრადისა და ოქსფორდის ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს.

⁴ გ. ბაგრატიონის ლიტერატურული მემკვიდრეობა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 25.VII.48, № 29 (222); ლ. ქუთათელაძე, ბესიკის „სადავო“ ლექსების ავტორისათვის, „ნათობი“, 1958, № 3, გვ. 113—125.

⁵ არჩილიანი, II, გვ. 121. სხვათა შორის, არჩილს დაწერილებით აქვს აღწერილი თემურაზ მეფის იმერთში ყოფნა, ქუთაისში ცხოვრება, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან ურთიერთობა და სხვ. (იქვე, გვ. 55—56, 65, 118—119).

⁶ Польство стозыника Толочапова и дьяка Исаева в Иверетню, გვ. 2,5—6, 21, 32, 42, 45—48, 52—53, 82—83, 89—90 და შმდ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 417, 425, 428—430.

თეიმურაზი გარკვეულ გავლენას მოახდენდა ქუთაისის ლიტერატურულ საზოგადოებრიობაზე.

საფიქრებელია, იმერეთში გახიზნულ თეიმურაზს სხვა მწიგნობრებიც გაჰყვნენ. თუ თეიმურაზთან ერთად არა, ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზისა და როსტომის ბრძოლის პერიოდში გადასულა იმერეთში ცნობილი პოეტი ფეშანგი. ის ჩხარში ცხოვრობდა, მაგრამ მალე დაუახლოვდა სამეფო კარს და „იმერეთ მეფის მდივან-მწიგნობრობასაც“¹ კი მიაღწია. ის არა მხოლოდ საბუთებს წერდა², არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდა თეიმურაზ პირველის, ალექსანდრე მესამისა და რუსი ელჩების ნ. ტოლოჩანოვისა და კ. იევლევის მოლაპარაკებაში (1650—1652 წწ.)³. აკად. გ. ლეონიძის აზრით, ფეშანგის შეუდგენია იმერეთის სამეფოს გეოგრაფიული, ეკონომიური და სტატისტიკური აღწერილობა და ალექსანდრე მეფის საფიცრის წიგნი რუსთა მფარველობის მიღებაზე⁴.

ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი პოეტი არჩილი, რომელიც ხუთჯერ ავიდა იმერეთის სამეფო ტახტზე (1661—1663, 1678—1679, 1690, 1695, 1698 წწ.)⁵. მართალია, ის მუდამ ბრძოლაში იყო ჩაბმული, ხან მოძალადე ოსმალებს ეომებოდა, ხან ურჩი ფეოდალების დათრგუნვით იყო გართული, მაგრამ, საფიქრებელია, ის არც ქუთაისში აიღებდა ხელს კულტურულ-შემოქმედებით მუშაობაზე.

იმერეთის მეფის კარზე ერთ ხანს მოღვაწეობდა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი-რუსთველი, როგორც აღენიშნეთ, ის 1724 წელს გაჰყოლია ვახტანგ მეექვსეს, მაგრამ რუსეთს აღარ წასულა, იმერეთში დარჩენილა ალექსანდრე მეფესთან. ის 1733 წელსაც ცოცხალი ჩანს⁶. ნ. რუსთველს არც იმერეთში შეუწყვეტია მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა, დაუწერია ლექსი — მიძღვნა ალექსანდრე მეფისადმი⁷, მასვე დაუწერია გრიგოლ კათოლიკოსის შეწირულების წიგნი ბიჭვინთისადმი⁸.

მალე იმერეთში ჩადის „ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწვენილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“⁹ ზაქარია გაბაშვილი (1707—1783). 1764 წლის დოკუმენტი, — „განჩინება და მსჯავრი სამოციქულომ ზემოესა საქართველოესა მამამთავრისა ანტონის მიერ და ეპისკოპოსთა, სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა საკათალიკოსოსა შეკრებულთაგან ზაქარიასთვის ხუცისა და ვიეთთამე მინდგომთა მისთა, ცხადად დამთრგუნველთა სჯულთა საღმრთოთა და მამათა კანონისათა“, — გვამცნობს, რომ ზაქარია აღრევე „წარვიდა სხვად სამეფოდ“.

¹ საქ. სიძველენი, II, გვ. 89—90; ისტ. დოკუმენტები, I, გვ. 30—31.

² *Посоветство столыпника Толочанова и дьяка Невлева в Имеретию*, გვ. 42—43, 51, 54—55, 60, 74, 81—82, 85, 87—88, 91—92, 94, 96, 98—101, 103—105 და შმდ.

³ გ. ლეონიძე, წერილები და გამოკვლევები, გვ. 13—14, 17—22. ეს მოსაზრება დამატებით საბუთს მოითხოვს.

⁴ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 203, 207, 213—214, 216—217.

⁵ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 131—147.

⁶ *Описание рукописей* (S), II, გვ. 49—50; ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 169—170; *Р. О р б с х и*, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 17, 31.

⁷ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 131—147.

⁸ კალმასობა, II, გვ. 195.

„განაბარა სამეფოთ საქართველოდსითა“¹. ამ ცნობის მიხედვით საფიქრბელი ხდება, რომ ზ. გაბაშვილი ჯერ კიდევ 1762—1763 წწ. გადასულა იმერეთში. 1764 წ. ის „პყრობილი“ ჩამოიყვანეს თბილისში და სასტიკად დასაჯეს.

მაღე მას შემდეგ, რაც ის განკვეთეს (18.X.1764), მისი აღმოსავლეთ საქართველოში დარჩენა შეუძლებელი შეიქნა; 1767 წლიდან ის რუსეთში ჩანს, ხოლო 1772 წლის ზაფხულში უკვე იმერეთშია (H № 2782, 9r). იქ ის უახლოვდება ხელისუფლებას, იღებს საცხოვრებელ ადგილს, წინაურდება სამეფო კარზე, წერს საბუთებს² და სხვ. როგორც ჩანს, განაგრძობს ლიტერატურულ საქმიანობასაც. ამ პერიოდის ნაწერებიდან აღსანიშნავია მისი შესხმამილოცვა სოლომონ პირველისადმი³. აღნიშნული ნაწარმოებით მან იმერთა მეფეს ამაღლებული ტონით, მაღალფარდოვანი სტილითა და საზეიმო განწყობილებით მიულოცა ოსმალებზე გამარჯვება ჩხერის ომში (1774 წ.). ზ. გაბაშვილის რიტორული თხზულება ქართული ორატორული ხელოვნების საინტერესო ძეგლია⁴.

ქუთაისში იყრიან თავს ზაქარია გაბაშვილის შვილები: ბესიკი, იოსები, ნიკოლოზი...

ბესიკი 1777 წლის იანვრის შემდეგ ხანაში ქართლში აღარ ჩანს. საფიქრბელია, ის ამ წელს გადავიდა იმერეთში, სადაც მალე დაწინაურდა სოლომონ პირველის კარზე. ის იმდენად სანდო პირად იყო მიჩნეული, რომ 1778 წელს სპარსეთშიც კი გაგზავნეს ალექსანდრე ბატონიშვილის, — ბაქარის ძის, — ჩამოსაყვანად. დავით გიორგის ძის გამეფების შემდეგ ბესიკი კიდევ უფრო დაწინაურდა. სუსტი და უნებისყოფო მეფის კარზე მისი გავლენა უსაზღვროდ გაიზარდა. ის არა მარტო „მდივანთუხუცესი“ იყო, არამედ მეფის პირველი მრჩეველი და თანაპზრახველი. მალე მან თავადობაც მიიღო, ხოლო 1787—1791 წწ. დიპლომატიური მისიის მეთაურობაც დაევალა. 1787 წლის 29 მაისს დავით მეფემ „უპირატესი მდივანი და მწიგნობართუხუცესი ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაონელიძე“ რუსეთს წარგზავნა თავის მუდმივ წარმომადგენლად⁵.

ქუთაისის სამეფო კარზე ბესიკი წერდა საბუთებს⁶, მაგრამ, რასაკვირველია, მისი საქმიანობა ამით არ ამოიწურებოდა. ქუთაისში ყოფნის დროს დაწერა მან არა ერთი საინტერესო ნაწარმოები. იქაა დაწერილი შესანიშნავი ლექსი „კრემლთა ისხარნი“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოდან გაძევების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშაა შეთხზული და ნათლად გვაცნობს ექსორირებული პოეტის სულიერ განწყობილებას; იქაა დაწერილი „რუხის

¹ ზ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 169.

² ისტ. დოკუმენტები, I, გვ. 129—132.

³ H № 926, 43r—45v; ვინმე მესხი, ისტორიული მასალები, „დროება“, 1879, № 193; ლ. ქუთათელაძე, ზაქარია გაბაშვილის რიტორული თხზულება და მისი დაწერის თარიღი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს საზ. მეზემის მოამბე, XIX-B, 1956, გვ. 41—42; ქართული მკვებეტყველება, გვ. 190—192.

⁴ ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ქართული კლასიკური მკვებეტყველება, გვ. 280—286.

⁵ შ. ბუ რ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის (1784—1789 წწ.), ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 93—97.

⁶ ზ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 108—109; ქ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, ახალი მასალები ბესიკის შესახებ, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის საზ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 121—124.

ბრძოლა“, რომელშიც გაცოცხლებულია საქარო-სახოტბო პოეზიის ტრადიციები და რიტორიკული ენაწყლიანობითაა შექმნილი სოლომონ პირველისა და მისი თანამებრძოლების გულადობა და ვაჟკაცობა¹; ქუთაისშივე უნდა იყოს დაწერილი სამგლოვიარო ოდა, სამძიმარი, რომელშიც მგოსანმა ცხარე ტრემლებით, გულმზურვალედ დაიტირა თავისი ყრმობის მეგობარი ლევან ბატონიშვილი (გარდ. 1781 წ.); საფიქრებელია, იქვე იყოს დაწერილი ოდა „ასპინძისათვის“, რომელშიც ავტორმა დიდებულად შეამყო დავით ორბელიანის ვაჟკაცობა და ქართველ მამულიშვილთა გმირობა; ქუთაისშივე უნდა იყოს დაწერილი სოლომონ პირველის ეპიტაფია, საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „დედოფალს ანაზედ“ და სხვ.²

საკმაოდ დაწინაურდა იმერეთის სამეფო კარზე ზაქარიას მეორე ვაჟი იოსები, რომელიც ადრე მამასთან ერთად იქნა შეჩვენებული³. იმერეთში იოსებმა მიიღო სახლთუხუცესობა, მეფემ უბოძა მამულები⁴. ცნობილია მის მიერ დაწერილი რამდენიმე საბუთი 1776–1777 წლებისა⁵.

1785—1803 წლების საბუთებში ხშირად იხსენიება ზაქარიას კიდევ ერთი ვაჟი ნიკოლოზი, რომელმაც საეკლესიო კარიერა ქუთაისში მოიპოვა და „ერთგულებისა და მსახურებისათვის“ გლეხებიც კი მიიღო. ნიკოლოზი წერდა საბუთებს, ეწეოდა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას და სხვ.⁶

დაახლოებით იმავე პერიოდში მოღვაწეობდა იმერეთის სამეფო კარზე ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ხსენებული ლირიკოსი, სოლომონ პირველის სიძე და დავით გიორგის ძის უახლოესი კარისკაცი—ელჩიზბარ ერისთავი (აქად. მ. ბროსეთი—1738—1813). როგორც აღვნიშნეთ, სამკვიდროჩამორთმეული დიდებული ქსნის საერისთავოს დაბრუნებაზე ოცნებობდა, მაგრამ სოლომონ მეორის ზეობაში იმერეთშიც ვეღარ გაჩერდა და იმედგაცრუებული ქართლში დაბრუნდა. მის ლექსებზე ბესიკის პოეზიის გავლენა, რაც თვალნათლივ შეინიშნება, საფიქრებელია, იმერეთის სამეფო კარზე მათი ერთობლივი მოღვაწეობისა და ახლო ურთიერთობის შედეგი იყოს.

¹ ერთი ხელნაწერით, ესაა „შესაზა იმერთა მეფე სოლომონ პირველისა დაეთიან-ბაგრატიონისადმი თქმული ბეაბრინ ზაქარიას ძის გაბაონიაგან, რომელიცა მიაართვა მან მეფესა თვით ხელითა თვისითა დღესა ქრისტეს აღდგომიასა და მიულოცა მით აღდგომა ქრისტესი და ძღვეა ძლიერი აფახათა, ჯიქთა და აღანელთა ზედა პროზად და შირად შეთხულო“.

² ბ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 8, 12—13, 25—37, 103, 123.

³ კ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოა ეკლესიისა, გვ. 173.

⁴ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, II, თბ., 1921, გვ. 56.

⁵ იქვე, გვ. 50—51; A № 1122, 57v—58v; H № 1705, 11r—14v. იოსების ლექსები შემოუნახავს მრავალ ხელნაწერს (A №№ 470, 1164, 1776; H №№ 21, 394; S №№ 1203, 1512, 1516, 1534, 1543, 3ა86, 5367; არქ. ხელნ. №№ 39ა, 418). აქ ლექსებზე იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი, გვარნი ანუ სახომი ქართულისა ენისა სტიხთა, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1948, გვ. 243—250.

⁶ H № 854, 4v—6r; H № 2955, 1v; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 85, 140. ნ. შაისურაძე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. მედავოგორი ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955, გვ. 97; თ. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 30—31.

1779 წელს იმერეთში ჩადის და სოლომონ პირველის კარზე მოღვაწეობს ერეკლეს მოწინააღმდეგე დასის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი—ალექსანდრე ამილახვარი (1750—1802), ძე რეაქციონერი ფეოდალის, დიპიტრი ამილახვარისა. მან ქუთაისში ყოფნის დროს დაწერა და მიართვა მეფეს პოლიტიკური ტრაქტატი—„ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვამისი საველმწიფოაჲსათჳს მმართველობისა შეძღვნობილი სამმადლობელად აწ მპყრობელად შეფისად იმერთა სოლომონისა თავადისა მიერ ალექსანდრე ამილახვარის შვილისა“¹.

ალექსანდრე ამილახვარი თავადთა წრისათვის უკეთესი სახელმწიფოებრივი წყობილების მიძებნელი და მქადაგებელია, ის თავადური იდეოლოგიის მკვეთრი გამომხატველია. მისი ტრაქტატი ქართული პოლიტიკური აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია².

ქართლიდან ლტოლვილი მწიგნობრები იმერეთში ჩადიან მე-19 საუკუნის პირველ წლებშიც. ასე, მაგალითად, 1801 წელს ქუთაისში ჩადის იულონ ბატონიშვილი, რომელიც ბინავდება „სასაყდროსა ქალაქსა შინა“, „სამეფოს პალატში“. მასთანაა იოანე ქართველიშვილი, რომელიც, იულონის ნებაართვით, ემსახურება სოლომონ მეორეს როგორც მდივანი. 1801 წლის დეკემბერში მას, სოლომონისა და იულონის სახელით, დაუწერია არზები რუსეთში წარსაგზავნად. 1801 წლის სექტემბერში იქვე შედგომია მემუარების წერას („ქუთაისს, ეზოსა სამეფოსა“);³ 1802 წელს იმერეთში ჩადის ერეკლეს ცნობილი მსაჯული, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე—სოლომონ ლიონიძე (1754—1811). სამეფო კარზე ის მალე დაწინაურდა, „დიდი კარგი ყმა შეიქმნა მეფის სოლომონისა. მეფემ შეიყუარა და დიდსა პატივსა უყოფდა და რჩევასაცა უსმენდა“ (H № 2130, 80v). სოლომონ მეორემ მას უბოძა მამულები რაქა-იმერეთში, დანიშნა კანცლერად და 1803 წელს რუსეთშიც მიავლინა. როგორც ირკვევა, იმერეთში ყოფნისას ს. ლიონიძეს არ შეუწყვეტია ლიტერატურული საქმიანობა, კერძოდ, იქ დაუწერია მას სატირა ნ. დადიანზე⁴.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ სამეფო კარის წარმომადგენლები ან აღმოსავლეთ საქართველოდან ლტოლვილი მწიგნობრები, არამედ ქუთათელი მღვდელმთავრებიც. ისინი ენერგიულად ზრუნავდნენ ქართული წერილობითი კულტურის დაცვასა და ძველი ხელნაწერების გამრავლებაზე. მაგალითად, ანტონ ქუთათელის (XII ს.) დავალებითაა გადაწერილი ერთი ოთხთავი (H № 325); სვიმონ ჩხე-

¹ S №№ 302; 4921; A № 879; „მოამბე“, 1922, II, გვ. 16—35; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 227—241.

² გ. აკოფაშვილი, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში XVIII საუკუნის დასასრულს, აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 271—302. სხვათა შორის, 1780 წლის ახლოს იმერეთში გადასულა კიდევ ერთი მწიგნობარი, გარეჯიდან ლტოლვილი იონა გუდევანიშვილი, მაგრამ „არა შეწყნარებულნი არცა მეფისა და არცა ეპისკოპოსთაგან, წარმოგზავნილ იქნა ქართლადე“ (მომოსულა, გვ. 2—3).

³ ი. ქართველიშვილი, მემუარები, გვ. 13—16, 42, 65, 87—90, 95.

⁴ S H № 3686, H № 2130, არქ. ხელნ. № 670 და სხვ. Описание рукописей (S), II, გვ. 376; ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 161. იხ. ავრეთვე ს. სხირტლაძე, რაქინა მატერიალურ კულტურის უძველესი ძეგლი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 4, გვ. 56.

ტიძემ, ქუთათელმა, სვიმეონ კარგარეთელს გადააწერინა გულანი (K № 16)¹; თეოფილე ქუთათელმა, გურიელის შვილმა, ოქროპირ ქავეარაძეს ახლად შეაკაზმინა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველი ძველი ხელნაწერი (K №9); მაქსიმე ქუთათელმა (აბაშიძემ) 1761 წელს მოიგო სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (Q № 35); დოსითეოს ქუთათელმა (წერეთელმა) ოსე გაბაშვილს გადააწერინა (1797 წელს) კაცხის მონასტრის გუჯრების კრებული (H № 1781) და სხვ. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი მწერალი ტიმოთე გაბაშვილი. ის ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა, გარეჯაში იყო დაუუღებელი, ხოლო მე-18 საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს იმერეთს გადავიდა, სადაც ქუთათელ მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. საფიქრებელია, რომ მან თავი გამოიჩინა როგორც გამჭრიახი გონებისა და დიდენერგიის პატრონმა. ამით უნდა აიხსნებოდეს ის ვარაუდი, რომ ტიმოთე დაუახლოვდა იმერთა მეფე ალექსანდრე მებუთეს (1721—1752) და მისი დავალებით 1737 წელს რუსეთსაც კი გაემგზავრა დიპლომატიური მისიით. განსწავლულ მღვდელმთავარს თან წაუღია იმერეთის რუკა, რომლის შედგენა უკანასკნელი გამოკვლევებით მას მიეწერება². რუსეთიდან დაბრუნებული ტიმოთე 1742—1747 წლებში კვლავ ქუთაისის ეპარქიას განაგებდა, ხოლო შემდეგ ქართლს გადმოვიდა³.

ტიმოთეს რუსეთში ყოფნის დროს, 1740 წლის 27 სექტემბერს ანტონი (— შემდეგში კათოლიკოსი ანტონ I) დაუდგენიათ ქუთათელ მიტროპოლიტად. ტიმოთე თვით გვაწვდის სათანადო ცნობას: „წლისა ოცისა მიტროპოლიტად ჰელდასხმულ იქმნა აფხაზეთის კათალიკოზისა გრიგოლის მიერ საყდარსა ზედა ქუთაისისა სეკდემბრსა კჳ(=27), დღესა შაბათსა“ (A № 123, 121v). იქ დაუყვია მას ორი წელი, ხოლო 1743 წლის 5 იანვარს გარეჯასა დასადგურებულა⁴. სამწუხაროდ, ჩვენთვის არაა ზუსტად ცნობილი თუ რა ხასიათის ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ტ. გაბაშვილი და ანტონი ქუთაისში,

¹ ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 78—82; ქრონიკები, II, გვ. 372. მას ხელთ ჰქონია ურბნისას სახარებაც (A № 28). ცნობილია კიდევ სხვა ქუთათელი მიტროპოლიტი სვიმონ ჩხეტიძე, რომელმაც ზ. ჭვარიანის გარდაცვალების შემდეგ, 1660 წელს, მიიღო კათოლიკოსობა. ის ამ პოატივ ჩანს გარდაცვალებამდე, 1664 წლამდე (ქრონიკები, II, გვ. 481—483; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბჭოები, I, გვ. 70—71; ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XV—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 132—133, 141). ვფიქრობთ, ბიბლიოფილი სვიმონ ქუთათელი მე-16 საუკუნის მოღვაწეა (მან 1529 წელს მიიღო ქუთათლობა—ქრონიკები, II, გვ. 372), რადგან მისი დაკვეთით მომუშავე გადამწერი ს. კარგარეთელი, მე-16 საუკუნეში ჩანს (იხ. საფარა).

² ამ რუკაზე იხ. ი. მათურაძე, იმერეთის ახლად აღმოჩენილი რუკა. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 14.IX.50, № 39 (336); მისივე, იმერეთის მეფის ალექსანდრე V რუკა, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის საბ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949, გვ. 203—221; ტ. გაბაშვილი, მიზნულა. გვ. 064—096; შ. ბურჯანაძე, ლიხთიმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 177—198.

³ ტ. გაბაშვილი, მიზნულა, გვ. 079, 0106—0108.

⁴ იქვე, გვ. 0106—0107, 0127. შდრ. პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 142.

მაგრამ, ვტიქრობთ, ისინი იქაც ჩაბმული იქნებოდნენ კულტურულ-საგანმანათ-
ლებლო საქმიანობაში¹.

ინერციის სატახტო ქალაქის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიცი-
ების ორგანულ დაგვირგვინებას წარმოადგენდა „სამეფოსა ქალაქსა ქუთათისს,
პალატსა სამეფოსასა“ ქართული სტამბის დაარსება და მრავალმხრივი საგა-
მომცენლო საქმიანობის გაჩაღება მე-19 საუკუნის დამდეგს. ქუთათისის სტამ-
ბიდან გამოსული წიგნები: დავითნი (1800 წ.), კურთხევეანი (1803 წ.), ჟამნი
(1808 წ.) და სხვ. მთელ დასავლეთ საქართველოს ეფინებოდა. სტამბის
მუშაკები (რომანოზ ზუბაშვილი, გიორგი პაიჭაძე, არქიმანდრიტი ზაქარია და
სხვ.) ცოდნასა და ენერჯიას არ ზოგავდნენ ბეჭდური გამოცემების სრულ-
ყოფისათვის.

გ ე ლ ა თ ი

ქ. ქუთათისიდან 10—11 კილომეტრის დაშორებით, მდ. წყალწითელას
მარცხენა ნაპირზე, ფოთლოვანი ტყით შემოსილი მთის დაგაკებულ ადგილზე
გაშენებულია ქართული კულტურის დიდებული კერა—გელათის მონასტერი,
„დიდშენიერი, დიდნაგები და ქმნული შიგნით სოფიის კენჭითა, გუმბათიანი,
კეთილს-მშვენიერს ადგილსა“².

განსაკუთრებით ლამაზი და მომხიბლავი ბუნება, შესანიშნავი ადგილ-
მდებარეობა, შეუდარებელი ოსტატობით შექმნილი ბუნებერაზული ნაგებობა,
მრავალრიცხოვან შენობათა ანსამბლი, სახელოვანი ისტორიული წარსული,
ბრწყინვალე მხატვრობა და მომაჯადოებელი მოზაიკა დიდების შარავანდედით
მოსაყვენ ქართული კულტურის ამ უებრო ძეგლს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის მონასტრის აშენების შე-
სახებ შემდეგს გვაუწყებს: „მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა
რონელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოველად შეუნიერსა
და ყოვლითურთ უნაკლულსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაჲ გარდა-
ართია ტაძარი ყოველად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთი-
სა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი
ზეშთა ჰმატს შეუნიერებასა ყოველთასა, სიერციითა და ნივთთა სიკეთითა და
სიმრაველითა, და მოქმუნლობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თანამოწ-
მობით ხედვენ თუალნი ყოველთანი“³. მემატთანე მოწონებით ახასიათებს
გელათის ტაძარს და იქვე შენიშნავს, რომ დავითმა ახალ მონასტერს დიდი
საბოძეარი მისცა.

¹ „მარწუხის“ ანდერძში ტიმოთე ქუთათელად იხსენიება (A №№ 118, 120, 870; H №№ 393, 2387; S №№ 189, 1099), მაგრამ ეს არაა გადამწყვეტი: ტიმოთე ერთ ხანს ქართლშიც ქუთათელად იხსენიებოდა, მაგალითად, 1753 წელს (მიმოსლვა, გვ. 0108).

² ვ ა ბ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 151.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329—330. აქ გელათი დასახელებული არაა, მაგრამ სა-
კანათო არ უნდა იყოს, რომ თხოვრება გელათის მონასტერს შეეხება. „ქართლის ცხოვრების“
ერთი ნუმა, ჰალაშვილისეული ხელნაწერი, კიდევ ასახელებს გელათს (იქვე, გვ. 330).

დავითის მიერ აგებული ღვთისმშობლის ეკლესია დღემდე კარგადაა დაცული. თავდაპირველი სახე მას თითქმის უცვლელად აქვს შენახული, ნხოლოდ მოეპოვება გვიანდელი ხანის მინაშენები ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მხრივ. მისი დღევანდელი მოხატულობა და წარწერები მე-16—17 საუკუნეებისა, აქა-იქ შეინიშნება მე-14 ს. მხატვრობაც. ჩრდილოეთ კედელზე მოთავსებულია დავით აღმაშენებლის ფრესკა (მე-16 ს.) სათანადო წარწერით¹. იქვეა კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1557—1578), ბაგრატ მესამის (1510—1565), გიორგი ბაგრატის ძისა და სხვათა პორტრეტები². განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი მაღალმხატვრული ღირებულებით საკურთხეველის კონქში შემონახული მოზაიკა³.

ველათის მონასტერი მე-12 საუკუნის დაწდევით თარიღდება, მისი მშენებლობა 1105 წელს დაწყებულა. ამას ადასტურებს არა ერთი წყარო, მაგალითად, შემოქმედის გულანის მინაწერში ვკითხულობთ: „ქქსა ტკვ (=1106) აქა დავით ველათი დაიწყო“⁴. მსგავსი ცნობა შემოუნახავს გელათ-გარეჯის გულანსაც (A № 186)⁵. დავით აღმაშენებლის შემატიანეს ველათის მონასტრის მშენებლობის დაწყების შესახებ ამბავი 1103—1110 წლებს შუა აქვს მოთბრობილი. დროის ეს მონაკვეთი საეგებით ეთანხმება კვინკლოსების ცნობებს. ველათის მშენებლობის დაწყების ზემოხსენებულ დათარიღებას უნდა უჭერდეს მხარს იოანე პეტრიწის ერთი ცნობაც⁶.

ველათის მონასტრის მშენებლობა კარგა ხანს გაგრძელებულა. დავითს მისი დამთავრება ველარ მოუსწრია. თავის ანდერძში ის გულისტკივილით

¹ ველათის წარწერებზე იხ. Г. Церетели, Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря. ДВ, I, 1691, გვ. 223—278; მისივე, О некоторых древностях в Гелатском монастыре. Пятый арх. съезд в Тифлисе. Протоколы подготовительного комитета, изданные под ред. И. Мапсвотова (Приложение к I вып. IX т. „Древностей“), М., 1882, გვ. 430—432.

² ველათის მონასტრის ტაძრებში უკანასკნელ ხანამდე წარმოებს პორტრეტების გამოვლენა (რ. ფეთისა შვილი, ისტორიულ კართა ახლად აღმოჩენილი პორტრეტები ველათის ტაძარში, „ლიტერატურა და ხელოვნება“. 30.XI.51, № 51 (400).

³ ველათის ძეგლების არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი იხ. Н. Толмачевская, Фрески древней Грузии, გვ. 30—31; გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, გვ. 17—15; В. Беридзе, Архитектура Грузии, М., 1948, გვ. 20—25; И. Амирашвили, История грузинского искусства, I, გვ. 188—190; 269—270; მისივე, История грузинской монументальной живописи, I, გვ. 115—133; ბ. ლომინაძე, ველათი, თბ., 1955, გვ. 26—55; Т. Вирсаладзе, Фрагменты древней фресковой росписи главного Гелатского храма, „ქართული ხელოვნება“, V, 1959, გვ. 163—203.

⁴ Q № 103, 430 v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 121. იხ. აგრეთვე I. Баградзе, Арх. путешествие по Гурии и Аджаре, გვ. 151; ქრონიკები, I, გვ. 238—239.

⁵ Описание рукописей (A), I, გვ. 196; ქრონიკები, I, გვ. 238—239; მ. ჯანაშვილი, დიდი ხელნაწერი, „მოამბე“, 1901, VI, განყ. VI, გვ. 57. გვხვდება განსხვავებული ცნობებიც. მაგალითად, ერისთავთა დიუჯდომლის ქრონიკით, ველათის მშენებლობა 1107 წელს დაწყებულა (Е. Тавадшвили, Хрошка Эриставского Акафиста, СМОМБ., XXIX, 1901, გვ. 103). ზოგი ხელნაწერი ველათის მშენებლობის დაწყებას 1057 წელს დებს (S № 252—გ, გვ. 15; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 259; ქრონიკები, I, გვ. 202; II, გვ. 426; Е. Тавадшвили, Мат. для истории Грузии, გვ. 9. იხ. აგრეთვე ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალები, II, გვ. 45).

⁶ ს. ყაუხჩიშვილი, ველათის აკადემია, თბ., 1948, გვ. 13—15.

აღნიშნავს, რომ დაუმთავრებელი დარჩა წამოწყებული მშენებლობა. მონასტრის მშენებლობის დასრულება დავითმა თავის ვაჟს დიმიტრი პირველს (1125—1156) დაავალა და უანდერძა: „ხოლო დამრჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შკლთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთჳსცა ტკივილი სამარადისო. აწ შკლმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჳყოს ყოგლითურთ საუკუნოდ ჩემთჳს და მისთჳს და მომავალთა ჩემთათჳს“¹.

დავითის სიცოცხლეში გელათის მონასტრის დაუმთავრებლობას² დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი ბოძებული ანდერძიც ამოწმებს. საფიქრებელია, 1125 წლისთვის, როდესაც დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა, მონასტრის მშენებლობის დასრულებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ყოველ შემთხვევაში, დავითის მემკვიდრე, რომელიც თავის თხოვლებას 1123—1126 წლებში წერდა³, გელათის ტაძარს დამთავრებულად ასახელებს და მას ხოტბასაც კი აახამს (იხ. ზემოთ). ეს გარემოება, საფიქრებელს ხდის, რომ გელათის მონასტრის მშენებლობა 1125 წლის ახლოს დასრულდებულა.

გადმოცემით, დავით აღმაშენებელს პირადად მიუღია მონაწილეობა გელათის ტაძრის მშენებლობაში. ეს გადმოცემა ავშანდაძის სიგელშიც კი აღბეჭდილია (XV ს.). თითქოს, დავითი გელათის მშენებლობისას გალავნიდან გადმოვარდა და ავშანდაძემ ირმის რძით განკურნა⁴. მკვლევართა ერთ ნაწილს (აკად. მ. ბროსე, თ. ეორდანი, აკად. ი. ჯავახიშვილი)⁵, აღნიშნული დოკუმენტი მიაჩნია ყალბად, ნაწილს — სარწმუნო წყაროდ⁶. ჩვენთვის აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ დავითი მიჩნეულია არა მარტო მშენებლობის ინიციატორად და საერთო ხელმძღვანელად, არამედ უშუალო მონაწილედაც. ჩანს, ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილი იყო, ლეგენდად იქცა და ისეთ პოპულარიზაციას მიაღწია, რომ მე-15 საუკუნეში ნატყუარ სიგელშიც შეიტანეს⁷.

გარკვეული წვლილი გელათის მონასტრის მშენებლობაში მიუძღვის დავით აღმაშენებლის ვაჟს — დიმიტრი პირველს. მამის ანდერძის თანახმად მას დაუსრულებია მშენებლობა და უკურთხებია ახალი მონასტერი. მემკვიდრის ცნობით, „დემეტრე მეფე ბელტის ციხეს მიიცვალა და გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა“⁸. აქ გარკვევითაა მითითებული, რომ გელათის ტაძარი დიმიტრის მეფობაში აკურთხეს. დიმიტრის დროსვეა შესრულებული გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველის კონქის მოზაიკა.

გელათის მონასტერი დღითი დღე მდიდრდებოდა იმ უშურველი და მრავალრიცხოვანი საბოძვარისაგან, რომელსაც ის ქართველ მეფე-დიდებულთაგან იღებდა. დიდად დაეხმარა ახალ მონასტერს დავით აღმაშენებელი,

¹ საქ. სამოთხე, გვ. 513; ქრონიკები, II, გვ. 52.

² ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 208—211.

³ ქრონიკები, II, გვ. 264—266; საქ. სიძველენი, II, გვ. 41—44.

⁴ ქრონიკები, II, გვ. 264—266; ი. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926, გვ. 161—162, 172—174.

⁵ ИСТОРИА, II, 1907, გვ. 26; საქ. სიძველენი, II, გვ. 42; ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელებიან შესახებ, „საისტორიო მოამბე“, 1924, II, გვ. 63—64.

⁶ ს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 19—21.

⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

მან „მამული ლიპარიტეთი... სხუათა მრავალთა... სოფელთა თანა მისცა... და უხრუნველი ტრაპეზი განუჩინა“¹. ლიპარიტეთი² ბაღვაშთა სახლის სამკვიდრო იყო. საცილობელი არაა, რომ ამ ძლიერ ფეოდალურ გვარეულობას არგვეთთი საკმაოდ დიდი მამული ექნებოდა. მაშასადამე, დავითის შეწირულება ერთობეწნიშენვლოვანი იყო.

შემდეგ ხანაში გელათის მონასტერს ენმარებოდნენ და ყმა-მამულს სწირავდნენ³. გიორგი მესამე⁴, თამარი⁵, დავით ნარინი⁶ და სხვა მეფე-დიდებულები⁷ საკმაოდ მრავალმაროიე შეწირულების შედეგად გელათის მონასტერი იქცა სახელ სამეურნეო-ფეოდალურ ორგანიზაციად. ის ფლობდა მრავალ სოფელს (სტბანელა, კვანჭირი, დერჩი და სხვ.)⁸, გლეხები ჰყავდა ბერ სოფელში (ჩხარს-ბოსლეჯი, სიმონეთს, რიონს, ოკრიბას, გეგუთსა და ა. შ.), მრავლად ჰქონდა ყანები, ვენახები, ტყეები, წისკვილები, დუქნები, ეწეოდა გლეხთა ექსპლოატაციას, აწარმოებდა ვაჭრობას, განთავისუფლებული იყო საეპისკოპოსო გადასახადებისაგან, საეკლესიო იერარქიული ხაზით ექვემდებარებოდა უშუალოდ კათოლიკოსს. ის მხოლოდ მეფის ბელისუფლებას აღიარებდა, საკუთარ საქმეებს თვით განაგებდა და მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის მორჩილებისაგან თავისუფალი იყო. ყოველგვარი ადმინისტრაციული, სამეურნეო და კულტურული საქმეების უმაღლესი მესაქე იყო მოძღვართ-მოძღვარი, რომელსაც მე-16 საუკუნიდან გელათელი ეპისკოპოსი ცვლის. მოძღვართ-მოძღვრის თანაშემწედ გვევლინება წინამძღვარი⁹.

გელათის მონასტერი მიჩნეული იყო მეფეთა საკრძალავადაც. მემატინეთა ცნობებით, იქ დაკრძალეს დავით აღმაშენებელი, დიმიტრი I, გიორგი III, თამარი, დავით სოსლანი, გიორგი ლაშა და სხვ.⁹

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო გელათი საყოველთაოდ აღიარებული იყო დიდ მონასტრად და მას ჩვეულებრივ ასე იხსენიებდნენ: „დიდი მონასტერი“, „დიდი ლავრა“, „ახალი იერუსალემი“, „მეორე იერუსალემი“ და

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

² ვ. დონდუა, „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თსუ შრომები, XXXIII-ბ, 1948, გვ. 136.

³ ქრონიკები, II, გვ. 50.

⁴ Груз. церк. гуджари, გვ. 131; ქრონიკები, II, გვ. 72—75; С. Кавабадзе, Грамота патрици Тамира великой на князя Гелат от 1193 г., ИКН-АН, III, 1925, გვ. 111—120; ი. ციციანიძე, თამარ მეფის გელათისადმი ბოძებული სიგელი, „საქართველოს არქივი“, 1927, III, გვ. 20—23.

⁵ ქრონიკები, II, გვ. 159—162.

⁶ იქვე, გვ. 434, 451; Груз. церк. гуджари, გვ. 131—136; გუჯრები, გვ. 108—110; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 21—27, 35—37, 48—49, 119—125, 130, 149.

⁷ სხუათა შორის, გელათის ტაძარმა შეწირულების სახით მიიღო „აბანოსის სახლი“—წყალტუბოს აბანო (ქრონიკები, II, გვ. 128—129; ნ. ბერძენიშვილი, წყალტუბოს ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზრებ., IV, № 7, 1943, გვ. 715—724).

⁸ ბ. ლონიანიძე, გელათი, გვ. 60—77.

⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 357, 369, 371; II, გვ. 113, 145, 167, 207, 295, 342, 361, 480, 493, 502; ვახუშტი, აღწერა, გვ. 152. გელათის მონასტრის დამოუკრებადმე დაუკრძალეთ იქ გიორგი ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337). ამ საკითხზე იხ. ნ. ბერძენიშვილი, სავახირო ფეოდალურ საქართველოში, ენიშკია მოაზრებ., V—VI, 1940, გვ. 285.

სხვ.¹ საყურადღებოა ერთი მინაწერი: „საქრისტიანოს შინა არა არის რაჲ განათისთანა“ (IK № 9, 339წ)².

მე-15 საუკუნიდან გელათი იმერეთას მეფის საკუთრებას წარმოადგენდა. ამ დროისათვის საქართველო პოლიტიკურად დაშლილი და დანაწევრებული იყო. ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიური დაუძღვრებისა და კულტურულ-ლიტერატურული დონის დაქვეითების შესაბამისად გელათის მონასტრის მატერიალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრებაც შეჩუქტდა. იმერთა მეფეებმა გელათი ერთობ დაუძღვრებული მიიღეს და ზათი დახმარებაც მონასტრისადმი საკმაოდ ეფექტური ვერ იყო³.

ამ დროისათვის საკმაოდ მოძძღაერდა თურქ-ოსმალთა სხელებით, რომელმაც დასავლეთ საქართველოს ბიზანტიასთან კავშირის შესაძლებლობა წაართვა და ვეროპის კულტურულ ცენტრებს მოწყვიტა. ოსმალეთი არ დასჯერდა ზემოაღნიშნულით და მე-16 ს. დამდეგიდან საქართველოს ტერიტორიის დაპყრობასაც ლამობდა. ოსმალთა ლაშქარმა არა ერთგზის დაარბია ქართველთა სამეფო-სამთავროები. განსაკუთრებით დაზარალდა დასავლეთი საქართველო. ოსმალთა ჯარს ვერც გელათის ტაძარი გადაურჩა.

1510 წელს ოსმალთა დიდი ლაშქარი სელიმის მეთაურობით შეესია დასავლეთ საქართველოს. მაჰმადიანმა ბარბაროსებმა გელათის ტაძარს ცეცხლი წაუკიდეს. თვალთმხილველის ცნობით, 1510 წლის 23 ნოემბერს „მოვიდეს თათარნი და დაწვეს საყდარი ქუთათისი და გელათი“⁴. სხვა პირის ცნობით, ოსმალებმა „დაწვეს დიდი მონასტერი გელათისა შიგნით და გარეთ“⁵.

ოსმალთაგან გელათის დარბევისა და აოხრების შედეგების ლიკვიდაციისა და მონასტრის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გელათის მონასტერში დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაატარა იმერეთის მეფემ ბაგრატ მესამემ (1510—1565). მან განაახლა ტაძრები. მონასტერს შესწირა დიდძალი მამულები, დაუმტკიცა ძველად კუთვნილი მიწა-წყალი და ა. შ.⁶ ერთ დოკუმენტში ბაგრატმა საგანგებოდ აღნიშნავეს, რომ გელათის წმ. გიორგის ეკლესიის ძველად შეწირული მამული, ეპძთა ვითარებისაგან მოშლილ იყო და

¹ ქრონიკები, II, გვ. 73, 159—169, 326; საქ. სიძველენი, I, გვ. 23; III, გვ. 434; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 3, 10, 68.

² ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 63.

³ იმერთა მეფემ ალექსანდრე მეორემ გელათს შესწირა მარგველაშილები 1509 წელს (ქრონიკები, II, გვ. 326—327; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 2—4).

⁴ S № 252-გ, გვ. 11; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 257; E. Такашвили, Мат. для истории Грузии, გვ. 6; ქრონიკები, II, გვ. 327. ზოგიერთი წყარო ამ ფაქტს ათარიღებს 1512 წლით (Q № 103, 430r; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 121; Д. Баррадзе, Арх. путешествие по Грузии и Аджаре, გვ. 153; ქრონიკები, II, გვ. 331; ვ. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, II, გვ. 45; მისივე, Хроника Эрцствацкого Акафиста, СМОИИР, XXIX, 1901, გვ. 109; მისივე, მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიაზე ნიკორწმინდის ხელნაწერში, გვ. 41, ზოგი 1508 (ქრონიკები, II, გვ. 326; ს. კაკაბაძე, ქრონიკა იკართის № 6 ეამნ-თულანისა, თბ., 1912, გვ. 5; H № 3004, 2 r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), VI, გვ. 332) თუ 1509 წლით (ქრონიკები, II, გვ. 326). აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, ნამდვილ თარიღად 1509 წ. ან 1510 წ. უნდა მივიჩნიოთ (ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 215—216).

⁵ ქრონიკები, II, გვ. 326; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 350, 487.

⁶ ბაგრატმა 1519 წელს გელათს შესწირა სოფ. ბალახვანი (ქრონიკები, II, გვ. 340—342), მანვე დაუმტკიცა მარგველაშილები (იქვე, გვ. 343).

დაკარგული იყო და რასაცა ოდენ მოვესწრებით და შევიტყვევით, ისიცა შემოეკრიბეთ“¹. მის დროს აღდგენილ იქნა გიორგის ეკლესია, მოიხატა ღვთისმშობლის ეკლესიის კედლები და სხვ. აღნიშნული საქმიანობის გამო ბაგრატ მეფეს გელათის „მეორედ აღმაშენებელს“ უწოდებდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეფეს მხარში უდგნენ მისი სახელოვანი თანამედროვენი—კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე და გელათელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე².

ბაგრატიანე მეფობაში ჰქონდა ადგილი ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას: 1519 წელს ბაგრატის თხოვნით მალაქია კათოლიკოსმა გელათში საეპისკოპოსო კათედრალი დააარსა და პირველ ეპისკოპოსად მელქისედეკ საყვარელიძე დაადგინა. კათოლიკოსი თავის სიგელში აღნიშნავს, რომ გელათელს დიდი სამწყსო მიუჩინეს („გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხი რიონსა და ქუთათის ქალაქსა ზედათ, ყვრილას გამოლმა და ვიდრე კაცხის ზღურამდის და ხრეთის აქეთ რაქის მთამდის, ოკრიბა სრულად“)³. ვახუშტის ცნობითაც, ბაგრატმა გელათელს (გენათელს) „მისცა სამწყსოდ არგვეთის ნახევარი და ოკრიბა, ქუთათლის სამწყსონი“⁴.

გელათში ახალი საეპისკოპოსო კათედრალის დაარსებას ჰქონდა ერთობ დიდი მნიშვნელობა, რაც მხოლოდ სასულიერო-საეკლესიო სფეროთი არ შემოიფარგლებოდა. მას პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ბაგრატს სურდა ეკლესია გაეძლიერებინა, მისი მორალური ავტორიტეტი აემალლებინა და მისი სახით ერთგული მოკავშირე შეეძინა იმერეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზმის მთლიანობისათვის ბრძოლაში. გელათში საეპისკოპოსო კათედრალის დაარსება ბაგრატ შესამის ფართო გეგმის ერთი ნაწილი იყო და საბოლოო ანგარიშში იმერეთის სამეფო ხელისუფლების შემდგომი გაძლიერებისათვის იყო გამიზნული.

გელათელი ეპისკოპოსი განაგებდა თავისი სამწყსოს საეკლესიო-სარწმუნოებრივ საქმეებს, იღებდა გადასახადს თავისი ყმა-გლეხებისაგან, ახლო ურთიერთობაში იყო იმერეთის სამეფო კართან.

მე-16 ს. მეორე ნახევარში გელათი გადაიქცა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციად. კათოლიკოსის რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათს გადმონაცვლება შედეგი იყო აფხაზეთში ოსმალთა ხშირი შემოსევისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანდათანობითი გამაჰმადიანებისა ბიჭვინთის საკათოლიკოსო ტაძრის მოძრავი ქონება გადმოტანილ იქნა გელათში, სადაც იმერეთის სამეფო კარმა საკათოლიკოსო ეკლესიად წმ. გიორ-

¹ საქ. სიძველენი, I, გვ. 20; ქრონიკები, II, გვ. 336.

² თ. ყ ა უ ხ ი შ ე ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 120; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, გელათი, გვ. 21—22, 32, 34—35, 38, 50. მელქისედეკ საყვარელიძეს მგონი ჰელიოზშიც უწარმოებია აღმშენებლობითი საქმიანობა (გ. ბ ო კ ო რ ი ძ ე, რაქის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, V, 1930, გვ. 197—198).

³ ქრონიკები, II, გვ. 342—343; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 10—11. გელათში საეპისკოპოსო კათედრალის დაარსებას 1519 წლით ათარიღებენ სხვა წყაროებით (A № 186; Описание русских (A), I, გვ. 196; H № 381; ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი, საისტორიო მასალანი, II, გვ. 45). ამ აზრს არ იწყნარებდა აკად. ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი. განსვენებული მეცნიერი გელათში საეპისკოპოსო კათედრალის დაარსებას ადრეულ ხანას მიაწერდა (ველმწიფის კარის გარიგება, გვ. XXXI—XXXII).

⁴ აღწერა, გვ. 152.

გის ტაძარი განაჩინა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ გელათის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამიერიდან გელათი იქცა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრების ცენტრად¹.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს გელათში გიორგი მეფემ (1548—1585) და ანტონ გელათელმა (1565—1568). იმ დროს იქნა მოხატული ლეთისმშობლისა და გიორგის ეკლესიების ნაწილები².

1651 წელს გელათი მონახულეს რუსთა მეფის ელჩებმა ნ. ტოლოჩანოვმა და ა. იეველევმა. მათი მოგზაურობისა და ელჩობის აღწერილობიდან ირკვევა, რომ გელათი მე-17 ს. ნახევარში ჯერ კიდევ ძლიერ სავანეს წარმოადგენდა. რუსი ელჩები აღუფრთოვანებია გელათის სალაროს, წიგნსაცავს, ძველი ქართველი ოქროშქედლების ნახელავს³.

მე-17 ს. მეორე ნახევარში გელათი დაეცა და დაქვეითდა. იმერეთის სამეფოს დასუსტებისა და გაპარტახების ხანაში გელათის დამცველი აღარავინ ჩანდა, მისი ძველთაგან კუთვნილი ყმა-მამული თავაშვებულ ფეოდალთა მიერ იქნა ნიტაცებული და დასაკუთრებული.

მე-18 ს. იწყება გელათის მონასტრის განახლება, შეინიშნება მისი აღმავლობის გზაზე დადგომა, ყმა-მამულის დაბრუნება, ახალ შეწირულებათა მიღება, აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

მე-18 ს. დამდეგს გიორგი მეფემ (1703—1720) განაახლა ლეთისმშობლის ტაძრის ერთი ეკვდერი, 1730 წელს ალექსანდრე მეფემ აღადგინა იმავე ეკლესიის ერთი ეკვდერი, რომელიც საკუთარ სამარხად მოაწყო, 1760 წელს სოლომონ პირველის ძმამ—იოსებ გელათელმა ახლად ააგო სამიტროპოლიტო ტახტი და ა. შ.⁴

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გელათი ერთხელ კიდევ გახდა მტრის მსხვერპლი. 1759 წლის 10 აგვისტოს გელათს თავს დაესხნენ ლეკები. ძველი მინაწერით, ამ დროს „იმერეთს ლეკის ლაშქარი მოვიდა, მრავალი სული ქრისტიანი იშოვეს, გელათი და სუჯუნის საყდარი დასწვეს“⁵. ზემოთ ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ ლეკთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების დარბევის ფაქტები (ზედაზენი, გარეჯა, ნეკრესი და ა. შ.). როგორც უკანასკნელად მოხმობილი ცნობიდან ჩანს, ლეკთა მოთარეშე რაზმებს იმერეთიც დაულაშქარავთ ღრ გელათის ტაძრისთვისაც კი წაუკიდებიათ ცეცხლი. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ გელათი შედარებით ადვილად გადაურჩა მტრის ნაბიჯს (ჩვენთვის მხოლოდ ორი ფაქტია ცნობილი მტრის თავდასხმისა). საფიქრებელია, გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი გადარ-

¹ როგორც აღვნიშნეთ, კათოლიკოსს ებოძა წმ. გიორგის ეკლესია, ხოლო გელათელ ეპისკოპოსს დარჩა მთავარი ტაძარი. ეს ორი საეკლესიო თანამდებობა ჩვეულებრივ სხვადასხვა პირს ეპირა, მხოლოდ ორჯერ მოხდა მათი გაერთიანება ერთი პირის ხელში (ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 22—24; მისივე, ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან („საწინამძღვრო“), მსალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 154).

² გიორგი მეფეს ერთობ დიდი დახმარება აღმოუჩენია გელათის მონასტრისათვის (ქრონიკები, II, გვ. 409—410; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 17—19, 29—32).

³ Посольство столыпна Толочанова и дьяка Исвлева в Имеретию, გვ. 74—80, 144—152.

⁴ ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 25—26, 42.

⁵ Q № 103, 431v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 122. იხ. აგრეთვე დ. Бах-რადзе, Арх. путешествие по Гурии и Аджаре, გვ. 153.

ჩენა უცხო მტრის ხშირი შემოსევებისაგან. ქართველებმა გელათი სწორედ ამ დაცულობის გამო მიიჩნიეს ძვირფასეულობის საფარად და იქ დაასვენეს ხაბულის, აწყურისა და ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატები და სხვა ეროვნული სიწმინდენი.

ენერგიულად ზრუნავდა გელათის მონასტრის ძველი სიძლიერის აღდგენასა და ყმა-მამულის შემოკრებაზე სოლომონ პირველი (1756—1784)¹.

იმერეთის უკანასკნელმა მეფემ სოლომონ მეორემ (1795—1810) და გელათის უკანასკნელმა ეპისკოპოსმა ექვთიმემ² საკმაოდ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს მონასტერში. მათ აღადგინეს წმინდა ნიკოლოზის ეკლესია³.

მე-19 ს. დამდეგს გელათი კიდევ ძლიერ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა. ის ფლობდა 42 სოფელს, 395 კომლს და იღებდა ორი ათას მანეთზე მეტ ფულად შემოსავალს⁴.

იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გელათი გადაკეთდა საეკლესიო შტატის დაწესებულებად, ხოლო 1822 წელს იქაური საეპისკოპოსო იმერეთის საეპისკოპოსოს შეუერთდა. შემდეგში მან, როგორც ფეოდალურმა ერთეულმა, მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ საკულტო დაწესებულებად დარჩა.

ძველი ქართული კულტურის თვალსაჩინო ნიმუში ამჟამად დაცულია კარგად და იმყოფება საეკლესიო მეთვალყურეობის ქვეშ. საბჭოთა მეცნიერები (ისტორიკოსები, არქეოლოგები, ბელოვებამთცოდნეები, ფილოსოფოსები) ახლაც ენერგიულად განაგრძობენ მისი წარსულის შესწავლას⁵.

გელათი დავითისავე ხანაში თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იქნა მიჩნეული. მონასტრის დამაარსებელმა დროულად დაიჭირა სათანადო თადარიგი და განსწავლული პირები მიიწვია იქ, საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს თავი მოუყარა და ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მათ. მემპტიანის ცნობით, დავით აღმაშენებელმა „მუნვე

¹ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 4—7, 53, 78—81.

² ექვთიმე გელათელი იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის (H. M a x a p a დ ა ხ e. Восстание в Имеретии 1819—20 гг., მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 19, 1942, გვ. 19, 54—68, 141 და შმდ.) რუსეთში გადასახლეს 1820 წლის 5 მარტს. გარდაიცვალა ის ნოვოროდის მხარეში 1822 წელს (S № 252-გ, გვ. 26; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 261; E. T a k a მ ი შ ხ ი ი, Мат. дан истории Грузии, გვ. 19, 56; H № 607, 140 რ; A № 1278, 34რ—ვ; A № 1370; H № 2108, 162რ. ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 74; V, გვ. 67; (A), IV, გვ. 353, 457).

ექვთიმე გელათელს 1791 წელს ჯრუჭის მონასტრისათვის შეუწირავს იოანე სინელის კლდეპაქი (H № 1669).

³ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 95—96, 106—107, 120—121, 160—161.

⁴ ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 26. გელათში ქალებიც ყოფილან დასადგურებულნი, იხ. „ტიბიკონი გელათის დედათ საზოგადო საცხოვრებელი მონასტრისა წმინდისა“ (H № 1215, 7 რ—17რ).

⁵ გელათზე საკმაოდ ბევრი დაწერილა (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 242). უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული შრომებიდან აღსანიშნავია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის „გელათის აკადემია“ (თბ., 1948), მ. გოგსაძის „ნარკვევები გელათის ძვლის ისტორიიდან“ (თბ., 1949), ვ. ჩაკვეტაძის „გელათის აკადემია“ (თბ., 1958) და ბ. ლომინაძის „გელათი“, რომელიც ორჯერ დაიბეჭდა (თბ., 1955, 1959). იხ. აგრეთვე ი. ა რ ჯ ე ვ ა ნ ი ძ ე, ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ადგილი ქუთაისსა და მის მიდამოებში, თბ., 1959, გვ. 73—85.

შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შექმულნი ყოვლითა სათნო-
ებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდე-
თათ სადათცა ესა ვითმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ჯორ-
ციელითა სათნოებითა აღსაველობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანა
და დაამკვდრნა მას შინა¹.

ისტორიკოსის თხრობიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სახელო-
ვან მეფეს გელათის მონასტრის დაარსებისას ფართო მიზანი ჰქონდა დასახუ-
ლი. ის საფუძველს უყრიდა და ქმნიდა არა მხოლოდ საკულტო დაწესებულე-
ბას, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქ-
მედების დიდ ცენტრს. მართლაც, გელათი სულ მალე იქნა მიჩნეული „მე-
ორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულე-
ბისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დი-
აკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად“². უკვე ეს ცნობაც კი გვაძ-
ლევს იმის საფუძველს, რომ გელათი მიეიწინოთ როგორც საერო-ფილოსო-
ფიური მეცნიერების (ათენი), ისე სასულიერო-საეკლესიო (იერუსალიმი) გა-
ნათლების თვალსაჩინო ცენტრად. არაა ინტერესმოკლებული ის ფაქტიც, რომ
მემატთანე გელათს ათენზე მალეც კი აყენებს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გელათის მონასტერი 1106—1126 წლებში
გაშენდა. მშენებლობის დასასრული დაახლოებით 1126 წლით თარიღდება.
საგულისხმოა, რომ საეკლესიო-სამონაზვნო, აგრეთვე მწიგნობრულ-ლიტერა-
ტურული საქმიანობა გელათში გაჩაღებულია ჯერ კიდევ ადრე, დავითის სი-
ცოცხლეში. ჩანს, განსწავლულმა და განათლებულმა მეფემ ადარ დაუცადა
მონასტრის მშენებლობის დასრულებას და ქართველ მწიგნობრებს ადრევე
წოუყარა იქ თავი. მე-12 ს. დამდეგს გელათში მოღვაწეობდნენ ქართული
კულტურის გამოჩენილი მუშაკები—არსენ იყალთოელი და იოანე ჰეტრიწი.
მოკლე ხანში იქ ისე ფართოდ გაიშალა მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა,
რომ დავითის გარდაცვალების ხანს გელათს ათენსა და იერუსალიმსაც კი
აღარებდნენ (დავითის მემატთანე, შავთელი).

დიდი მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა იყო გაჩაღებული გელათის
მონასტერთან დაარსებულ აკადემიაში. საფიქრებელია, იქ შეიქმნა ძრავალი
ფილოსოფიურ-ლიტერატურული ხასიათის თხზულება, იქ გაიშალა მოღვაწეობა
იმ ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეებისა, რომელთაც არნახულ სიმალ-
ლეზე აიყვანეს ქართული კულტურა.

გელათში აკადემიის არსებობის საკითხი ვაბედულად დასევა აკად.
ე. თაყაიშვილმა. მან ყურადღება გაამახვილა მის მიერ აღმოჩენილი „ქელმწი-
ფის კარის გარიგების“ ერთ მომენტზე, სახელდობრ—მოძღვართ-მოძღვრის
ინსტიტუტზე. მკვლევარმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ მოძღვართ-მოძღვარი
მასწავლებელთ-მასწავლებელია, გელათის აკადემიის ბელმძღვანელია. ძეგლის
„მოძღვართ-მოძღვარი,—წერს აკად. ე. თაყაიშვილი,—ემისკაპოსია, ის გელათ-
ში ზის, ის მასწავლებელთა მასწავლებელია, ის მეცნიერთა მეცნიერია, მას
მოწაფეები ჰყავს. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ გელათში უმაღლესი
სასწავლებელია, იქ აკადემია და ამ აკადემიის ხელმძღვანელი, უფროსი, ანუ

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

² იქვე, გვ. 330—331.

ვხლანდელის ტერმინოლოგიით რექტორი გელათის აკადემიის ეპისკოპოსია, რომელსაც მოძღვართ-მოძღვრის ხარისხი აქვს¹.

აკად. ე. თაყაიშვილის აზრი შეიწყნარა და აკადემიის შენობად გელათის ერთი მოზრდილი ნაგებობის ნანგრევები მიიჩნია აკად. გ. ჩუბინაშვილმა². მისი ვარაუდი სავსებით დადასტურა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციამ.

გელათის აკადემიის შენობა მდებარეობს ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთით, წარმოდგენს დიდ ნაგებობას, აქვს ვრცელი დარბაზის სახე. არქიტექტურულად საერო-სამოქალაქო სტილისაა. კედლების გასწვრივ შემონახულია ქვის დასაჯდომები, დარბაზის შუა. ადგილას დასავლეთის კედელთან ცალკეა ქვის მაგიდა, რომელიც ძველად კათედრის როლს ასრულებდა. კედლებში დღემდე შემორჩენილია თაჩები, რომლებსაც, ალბათ, სასწავლო ნივთების შესანახად იყენებდნენ.

საფიქრებელია, გელათში ისწავლებოდა ის საგნები (გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია), რომლებსაც სწავლობდნენ იმ დროს ბიზანტიის უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლების სისტემა ბიზანტიური უმაღლესი სკოლების ტრადიციების მიხედვით იყო შემუშავებული³. აკადემიის მთელ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობდა მოძღვართ-მოძღვარი⁴.

¹ კელმწიფის კარის გარიგება, გვ. XXII. შტრ. 6. ბერძენი შვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყაწყობილება, „მომთხილველი“, I, 1926, გვ. 109—110, შენ.

² გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ზუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, თემ, III, 1923, გვ. 108—112. იხ. აგრეთვე მისივე, საბჭოთა საქართველოს მიღწევები ხელოვნების ისტორიის დარგში, თბ., 1952, გვ. 12—13, შენ.; მისივე, А р х. К а х е т и н, გვ. 569.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 83—84; ს. ყაუხჩი-შვილი, გელათის აკადემია, გვ. 15—18. აკად. ი. ბერიტაშვილის აზრით, გელათის აკადემიაში ბუნებისმეტყველებაც ისწავლებოდა (იხ. მიაი მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, გვ. 132—134). გელათის აკადემიას ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს ანტიკურ ხანაში არაებული კოლეჯის აკადემიის ტრადიციების აღმდგენ სამეცნიერო დაწესებულებად (შ. ნუცუბიძე, ქართული რენესანსი და განათლების ცენტრები, „აქედავიკა“, II, 1944, გვ. 1—20. შტრ. მისივე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 433—454). სინტერესოდაკვირვებები გვხვდება პროფ. გ. თაყაიშვილია წიგნაკში: უპალესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში (I, გვ. 42—43 და შპდ.).

⁴ ცნობილია რამდენიმე გელათელი მოძღვართ-მოძღვარი, მაგალითად, ანტონი—XIII ს. (ქრონიკები, II, გვ. 161; ნ. შარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 49), საბა—XIV ს. (საქ. სიძველენი, II, გვ. 35), ილარიონი—XVI ს. (ქრონიკები, II, გვ. 326—327, 341, 343; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 3—6), მანასე—XVI ს. (ქრონიკები, II, გვ. 370; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 9) და სხვ. მოძღვართ-მოძღვართა გვერდით მოქმედებდნენ გელათელი წინამძღვრები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მონასტრის ადმინისტრაციულ-ეკონომიურსა და საეკლესიო-სარწმუნოებრივ საქმეებს (ქრონიკები, II, გვ. 159, 161, 311, 343, 370; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 6, 9). გვიან ხანაში მოძღვართ-მოძღვრები გვხვდებიან სხვაგანაც. მაგალითად, ქართლში (ქრონიკები, II, გვ. 8, 26, 210—213; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 284, 353), კახეთში, კერძოდ, შუამთაში (ქრონიკები, II, გვ. 428; ქართლ-კახეთის მონასტრები საბუთები, გვ. 246—248; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 353; არჩილიანი, II, გვ. 42; ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 61.)

მე-16 ს. პირველ მეოთხედში გელათის აკადემიის კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრება შენელდა, მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი გაქრა. როგორც აღვნიშნეთ, იმ დროიდან გელათში საეპისკოპოსო კათედრალი შეიქმნა, მოძღვართ-მოძღვარი ეპისკოპოსმა შეცვალა, რომელსაც სამეფო კარზე ისეთივე უფლებები ჰქონდა, როგორც მოძღვართ-მოძღვარს ძველად. აკადემიის შენობამ თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა. ის ბერთა სატრაპეზოდ იქნა მიჩნეული¹. მიუხედავად იმისა, რომ გელათმა, როგორც უმაღლესმა სასწავლებელმა, დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა, ის კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ცენტრად მაინც დარჩა და იქაური მოღვაწენი დაუღლელად იღვწოდნენ მშობლიური კულტურის საგანძურის დაცვისა თუ გამდიდრების მიზნით². რამდენიმე სიტყვა გელათელ მწიგნობრებზე.

გელათის მონასტრის ერთ-ერთ პირველ მოღვაწედ მიჩნეულია არსენ იყალთოელი. 1114 წელს სამშობლოში დაბრუნებული ქართველი მეცნიერი ერთ ხანს, თითქოს, გელათში დამკვიდრებულა და იქ გაუშლია კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა, კერძოდ, იქ უთარგმნია მას დიდი რაჯულისკანონი³.

დავით აღმაშენებლის ხანაშივე მოღვაწეობდა გელათში მეორე გამოჩენილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. პეტრიწონის მონასტერში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ იოანე სამშობლოში დაბრუნდა და დავით აღმაშენებლის ზრუნვით, დახმარებითა და ხელისშეწყობით გელათის მონასტერში გაშალა მრავალმხრივი მუშაობა, ენერგიულად დაიწყო შემოქმედებითი საქმიანობა— ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო თხზულებათა თარგმნა. ნემესიოს ემესელის თხზულების იოანესეული თარგმანის ერთ ნუსხას შემონახული აქვს ასეთი მინაწერი: „ელადადელთ კმათაგან გარდამოიცა ესე ქართულად საკვირველისა

ცნობილი არიან ხარკაშნელი მოძღვართ-მოძღვრებიც, მაგალითად, პართენიონი (დ. აღვა-ნელი, აღვანის სიძველენი, „კვალი“, 1837, № 6, გვ. 129—130; ვ. ციციკარი შვილი, ხარკაშნელთა კათედრის ლოკალიზაციისათვის, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, 1950, გვ. 211—215. იხ. აგრეთვე ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 249), ბიკტორი (Hd № 8951) და სხვ. მოძღვართ-მოძღვარი ყოფილა წაღენჯიხაშიც (H № 1719). მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი არსებობდა მე-19 საუკუნეშიც (H № 1028). სამწუხაროდ, ეს ინსტიტუტი ჯერ კიდევ არაა შესწავლილი სათანადოდ.

¹ *Посолиство столыника Тохатинова и дьяка Иелюна в Иверетию*, გვ. 79, 151.

² აქვე უნდა აღვნიშნათ, რომ გელათი წარმოადგენდა ქედური ხელოვნების მნიშვნელოვან ცენტრს. იქ მოუტედავთ კარედი კუბო ხახულის ღვთისმშობლის ხატისა (XII ს.), გელათის ღვთისმშობლის ხატი (XVI ს.) და სხვ.

³ მკვლევართა ერთ ნაწილს დადასტურებულად მიაჩნია არსენ იყალთოელის გელათში მოღვაწეობა. ასეთ ვარაუდს თითქოს ერთგვარ საფუძველს უქმნის გრიგოლ ჩახრებაისძის ანდერძი (K № 25, 29ა; ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 115; კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 274, 284; В. Бенешевич, *Грузинский великий помощник по спискам Тифлисского церк. музея*, XV, 1917, ტ. V, ნაკვ. II, გვ. 120—121), მაგრამ საკითხი კვლავ შესწავლას საჭიროებს და დამატებით საბუთიანობას მოითხოვს. სხვათა შორის, პ. ინგოროვაც არსენ იყალთოელს გელათის პირველ მოძღვართ-მოძღვრად (რექტორად) მიიჩნევს (იხ. მისი ანტიკური ხანისა და საშუალო-საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა, „მნათობი“, 1958, № 2, გვ. 124).

ფილოსოფოსისა ჩუენისა პეტრიწისა მიერ, იოახხედ სახელდებულისა კელლისსა შინა გაენათისასა“ (S № 1358, 266 r)¹.

იოანე პეტრიწი უკმაყოფილებას გამოთქვამს მისი დაუფასებლობის გამო; გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მას დეენიდნენ და ავიწროებდნენ ბერძნები და ქართველები. განსაკუთრებით ნაწყენია ის თანამემამულეებზე, რომელთაც არ შეუწყვეს ხელი და არ აღმოუჩინეს დახმარება ფილოსოფიაში დასპეცი-ალისტებასა და გაწაფვაში. სათანადო დახმარების გაწევის შედეგად ის იმედოვნებდა ფილოსოფიური კვლევა-ძიების ჯეროვნად წარმართვას: „თუმცა მერაჟე თანსიყუარული და შეწვენაჲ მჩუენებოდა მათგან... ენაჲმცა ენისადა გამეწერა და ხელდაჲმცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მერარისტოტელურა“². საქართველოში დაბრუნებულს მას დავითის იმედილა შერჩა: „არამედ აწ შეძლებისაებრ და ძალისა ჩემისა აწცა ვილონო სწორადვე წყალობათა ღმრთისათა დავითის გამგონობისა და წყალობათა და თანადგომისა მინდობილმან“³.

იოანე პეტრიწის მოღვაწეობა გელათში საკმაოდ მრავალმხრივი და ერთობ ნაყოფიერი ყოფილა. თავისდათავად ის ფაქტი, რომ იმ პერიოდისა და მომდევნო ხანის გელათელი მწიგნობრები პეტრიწონული სკოლის მიმდევრებად გვევლინებიან და მათ ენასა და სტილს პეტრიწონული სკოლის იერი დაჰკრავს, უთუოდ იმას მოწმობს, რომ იოანე პეტრიწმა გელათში საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა, თანამოაზრენი და თანამოღვაწენი შეიძინა, თანამშრომლები შემოიკრიბა. ამიერიდან გელათი იქცა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების ცენტრად და ამ დარგის კადრების სამკვდლოდ.

აკად. კ. კეკელიძის აზრით, გელათშივე მოღვაწეობდა იოანე პეტრიწის ძმა პავლე, რომელსაც ერთგვარი თანამშრომლობა გაუწევია ძმისთვის და დაუწერია გალობანი (A № 290)⁴.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდაა ცნობილი ერთი ავიოგრაფიული კრებული, რომელშიც წარმოდგენილია გაგრძელება სვიმეონ მეტაფრასტის შრომისა — გადამეტაფრასებული საკითხავები თებერვლის, მარტისა და ივნის-აგვისტოს თვეებისა. ის მოღწეულია რამდენიმე ტომად (K №№ 1—3), გადაწერილია მე-16 საუკუნეში. ანდერძით, ის გადამეტაფრასებულია „პალატისა მწიგნობართა უადრესისა, ყოვლად ბრძნისა ფილოსოფოსისა“ ქსიფილინოსის მიერ. იქვეა დაცული იოანე ქსიფილინოსის შრომა: „მოსაქსენებელი დიდისა მეფისა ალექსის მიმართ“ (K № 1, 578r—581r). ქართული მასალებით გაირკვა, რომ სვიმეონის შრომა განუგრძია იოანე ქსიფილინოსს, რომელიც თავის საქმეს 1081 წელს შესდგომია⁵. „ეს ცნობა, — წერს აკად. კ. კეკელიძე, — სრულიად მოულოდნელი, ანაზღვეული აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში, ამიტომ მან ერთგვარი სენსაცია გამოიწვია დაინტერესებულ სამეცნიერო წრეებში როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.

¹ Описание рукописей (S), I, გვ. 723; ნემესიოს ნემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის რედაქციით, თბ., 1914, გვ. XIV. პროფ. მ. გოგიბერიძის აზრით, იოანე პეტრიწს გელათში ყოფნისას უთარგმნია სხვა შრომებიც (იოანე პეტრიწი, შრომები, I, გვ. XXVIII—XXIX, XXXI, XLIX).

² იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 222.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 289, შენ. 1.

⁴ კ. კეკელიძე, Иоанн Ксифизли, продолжатель Симеона Метафраста, етюдები, V, თბ., 1957, გვ. 227—241.

ყველაზე საყურადღებო შვიქმნა ის, რომ ქსიფილინოსის უზარმაზარი შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცული. ასე, რომ, შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება¹.

სხვათა შორის, აკად. კ. კეკელიძის მიერ იოანე ქსიფილინოსის შესახებ მასალების მიკვლევისა და პუბლიკაციის დროისთვის აკად. ვ. ლატიშევს გამოქვეყნებული ჰქონდა ბერძნული ანონიმური აგიოგრაფიული მეტაფრასული ძეგლები—საკითხავები თებერვალ-აგვისტოს თვეებისა (Menologii anonymi Byzantini saeculi X quae supersunt). აკად. კ. კეკელიძის წერილისა და იოანე ქსიფილინოსის შრომების ნუსხის საფუძველზე აკად. ვ. ლატიშევმა მის მიერ გამოქვეყნებული ანონიმური ტექსტების ავტორად ქსიფილინოსი მიიჩნია. ამას აფიქრებინებდა ის გარემოებაც, რომ ხერსონელთა ცხოვრება, რომელიც გელათურ ხელნაწერში იყო შემონახული, ცნობილი იყო მხოლოდ მის მიერ გამოცემული რედაქციით². ამ აზრის დასადასტურებლად მკვლევარმა მოისურვა ხერსონელთა ცხოვრების ქართული რედაქციის გაცნობა. მიიღო რა აკად. კ. კეკელიძისეული თარგმანი, აკად. ვ. ლატიშევი იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ მისი ვარაუდი არ გამართლდა და ქართულ ენაზე შემონახული თხზულება განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენდა³. ამრიგად, დადასტურდა აკად. კ. კეკელიძის აზრი იმის შესახებ, რომ იოანე ქსიფილინოსის ტექსტები მხოლოდ ქართულადაა შემონახული⁴.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ იოანე ქსიფილინოსის შრომები ქართულად უთარგმნიათ მე-12 საუკუნეში, მეფე დიმიტრი პირველის დროს (1125—1156). თარგმნის ადგილად მიჩნეულია გელათის აკადემია⁵. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია გელათელი მთარგმნელის სახელი. მისი ხელიდან გამოსული თხზულებების გაცნობა უცილობელს ხდის, რომ ის პეტრიწონის ლიტერატურული სკოლის ტრადიციების მატარებელია⁶.

აღნიშნულ კრებულს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. მისი გამოყენებით იქნა გამოქვეყნებული რამდენიმე საინტერესო თხზულება, მაგალითად, აკად. კ. კეკელიძემ განოაქვეყნა „ლუაწლი წმიდათა და დიდებულთა ქრისტეს

¹ კ. კეკელიძე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში, ეტიუდები, III, გვ. 7.

² В. Латышев, Четьи-минеи Иоанна Ксифилипа, ИАН, 1913, გვ. 237—240.

³ В. Латышев, Житие св. епископов херсонских в груз. миссии, ИАК, ნაკვ. 49, 1913, გვ. 76. იქვეა დაბეჭდილი აკად. კ. კეკელიძის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი ხერსონელთა ცხოვრებისა (გვ. 83—88).

⁴ გელათურ ხელნაწერებში (К №№ 1—3), როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია 5 თვის საკითხავები, იოანე ქსიფილინოსს კი შვიდი თვის ტექსტები გადაუმეტაფრასებია. აპრილის თვის საკითხავები გვხვდება ზოგიერთ სხვა ნუსხაში (კომენი, I, გვ. XXVI; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 234), მაისის თვის საკითხავები ცნობილი არაა.

⁵ კომენი, I, გვ. XXV—XXVI; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი, თაუ შრომები, XIX, 1941, გვ. 152; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 506.

⁶ ადრე მთარგმნელად იოანე პეტრიწს მიიჩნევდნენ, მაგრამ ახლა ეს საკითხი საბოლოოდ მოხსნილია (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 506, შენ. 4).

მოწამეთა ორენტიოს, ეროტოს, ფარნაკიოს, ფირმოს, ფირმინოს, კკრიაკოს და ლონგინოზისა¹, „იოსებ მონაზონისა ჭურჭელთმცველისა—ცხოვრებისა მიმართ და საკურეველებათა ღირსისა მამისა ჩუენისა იოანნი, წმიდისა სერგის მონასტრისა წინამძღუარ-ქმნილისათა“², „მოთხრობაჲ ლუაწლისა და ვნებულებათა ღირსისა და აღმსარებელისა მაქსიმესათა და ანასტასი მოწაფისა მისისათა და ამით თანა მრავალლუაწლისა რომთა პაპისა მარტინესი“³, დოც. მ. კახაძე—„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ასტერი ამასიელ ეპისკოპოსისაჲ შესხმაჲ წმიდისა მღვდელმოწამისა ქრისტესისა ფოკაჲსი“⁴ და სხე.

ზოგიერთი ცნობით, გელათში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი პოეტი იოანე შავთელი. მისი თხზულების, „აბდულმესიანის“, ზოგიერთი ნუსხით, ხოტბა არის „ქმნილი გელათის მონასტერსა შინა და მუნითვე მორთმეული აბდულ მესია შავთელისაგან, პირველ ყოფილისა მდივნად ღირსსახსოვარისა ამის მეფაჲსა და შემდგომად მონაზონებისა ბილბებისა მას მონასტერსა შინა იოანედ წოდებულისა“⁵. ხელნაწერებისავე ცნობით, გელათს შემონახუნებული შავთელი იქვე გარდაცვლილა (H № 391, 4r).

აღნიშნულ ცნობას ზოგიერთი სწავლული იწყნარებს და იზიარებს. საეცებით ეთანხმებიან მას თეიმურაზ ბატონიშვილი და პ. იოსელიანი⁶.

იოანე შავთელი რომ ბერად იყო შემდგარი, ეს არაა საუკუო, ამას „აბდულ-მესიანის“ ზოგიერთი მოტივიც გვაფიქრებინებს, მაგრამ მისი გელათში მოღვაწეობა არ დასტურდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო მეტად საფიქრებელია, იოანე შავთელი ვარძიის ციხე-მონასტრის მკვიდრი ყოფილიყო (იხ. ვარძია).

მე-13 ს. მეორე ნეოთხედში გელათის მონასტერში ცხოვრობდა კათოლიკოსი არსენ ბულნაისიმისძე. მისი ბიოგრაფია ბურუსითაა მოსილი. ზოგ მკვლევარს ის სრულიად საქართველოს კათოლიკოსად მიაჩნია⁷, ზოგს კი აფხაზეთის კათოლიკოსად⁸. საგულისხმოა, რომ არსენი თავის თავს „ქართ-

¹ K № 3, 227r—241r; კ. კეკელიძე, ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტილოზა, ეტიუდები, IV, გვ. 293—325.

² K № 2, 347v—356v; კ. კეკელიძე, ახლად აღმოჩენილი აგიოგრაფიული თხზულება იოსებ სვეფოფილაქისა, ეტიუდები, III, გვ. 251—270. იხ. აგრეთვე მისი ცეცხ, *Нечувствительность памятны византийской литературы в грузинской литературе*, „ლიტერატურული ძიებანი“, IX, 1955, გვ. 103—108.

³ K № 1, 372v—389v; კ. კეკელიძე, თეოდოსი ვანგრელის „მოსაწენებელის“ ქართული ვერსია და მისი მეცნიერული მნიშვნელობა, ეტიუდები, III, გვ. 271—310.

⁴ K № 3, 649v—655r; მ. კახაძე, ატერი ამასიელის „შესხმაჲ ფოკაჲსი“, ენიმკის მოამბე, XIV, 1944, გვ. 226—233. იხ. აგრეთვე K № 4, 248r—253r; ენიმკის მოამბე, XIV, 1944, გვ. 234—239.

⁵ H №№ 391, 2324; A № 1411; S № 3701; არკ. ხელნ. № 186 და სხე.

⁶ *Описание рукописей* (S), II, გვ. 585; თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გვ. 292; თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, გვ. 39; A. Цагарели, *Сведениа*, III, გვ. 181; თამარ მეფასი და მეუღლისა მისის დავით მეფის შესხმა თქმული ლექსად აბდულ-მესია შავთელისაგან, წელსა ქრისტესით 1192—სა, პ. იოსელიანი მის გამოცემა, თბ., 1838, გვ. 6. იხ. აგრეთვე ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 17—20.

⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 326—329. იხ. აგრეთვე ს. კაკაბაძე, XIII საუკ. პირველი ნახევრის საქართველოს კათოლიკოზები, თბ., 1913.

⁸ 5. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 397—409; 6. შოშიაშვილი, XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVIII-B, 1954, გვ. 129.

ლის სამეფოვს მოქალაქედ¹ აცხადებდა. როგორც არ უნდა იყოს, ერთი-უცილობელია, ერთი ხანი არსენს გელათის მონასტერში გაუტარებია.

არსენ ბულმაისიმისძე საკმაოდ ნაყოფიერი შწერალი ყოფილა. მას ახლო-ურთიერთობა ჰქონდა მისი დროის ცნობილ მეცენატებთან—ვარდან და აბუსერ აბუსერისძეებთან და ზოგი შრომა მათი მოწოდებითა თუ დაკვეთით შეუსრულებია.

არსენი ჩინებული ჰიმნოგრაფია. მას დაუწერია „იამბიკური სვანქსარი ოთხთა თთუფთან“ (A № 85) აბუსერ აბუსერისძის თხოვნით. მისივე თხოვნით დაუწერია ძლისპირნი ანტონ მარტყოფელის მიერ ედესიდან მოტანილი ხელთუქმნელი ხატისა (A № 85). ვარდან აბუსერისძის თხოვნით დაუწერია დასახელებული ხატის „უფალო ღალადვეყვის“, სტიქარონნი. წარდგომა, კანონი და „აქებდითი“ (A № 85). მასვე ეკუთვნის შიო მღვიმელის საგალობლები (A № 385, H № 1349)² და მისივე სვინაქსარული ცხოვრება (H № 1349, 2r—r)³. არსენს დაუწერია ნინოს საგალობლები⁴ და სხვა თხზულებანიც.

ჩვენამდე მოღწეულია არსენის მიერ აბუსერ აბუსერისძისადმი გელათიდან გაგზავნილი ეპისტოლე, რომელიც სავეებით ცხადყოფს არსენის ღრმა განსწავლულობას, დიდ განათლებასა და მკვერმეტყველების უნარს⁵. საგულისხნოა არსენის შემდეგი გამონათქვამი, რომელიც საკმაოდ გვაცნობს მის კულტურულ-ლიტერატურულ პროფილს: „დიდ არს ძალი სიყუარულისა, რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა, ვითარ ესე იქმნა აწ ჩემზედა... ვითარმედ ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუჴლი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომლისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხვსა განქიქებად უმეცრებისა, ვითარ ვხედავ აწ ჩემსა“⁶.

მე-13 საუკუნეში გელათში ცხოვრობდა მწიგნობარი პეტრე გელათელი. მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ გაგვაჩნია. პ. იოსელიანი, პეტრე ცხოვრობდა 1250 წლის ახლოს, დაქრძალულია გელათში⁷. იგივე მკვლევარი პეტრეს მიაწერს 6 შრომას, მაგრამ მისი დაუსაბუთებელი მოსახრების შეწყნარება შეუძლებელია⁸.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ანტონ კათოლიკოსი პეტრე გელათელს წარმოვედგენს რიტორად და ფილოსოფოსად, ამასთანავე მას აღარებს იოანე, პეტრიწს, არსენ იყალთოელსა და ეფრემ მცირეს⁹. ასეთი შედარება, ვფიქრობთ, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ პეტრე გელათელი ნამდვილად საყურადღებო შემოქმედი ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, მის ნაწერებს ჩვენამდე ნაკლებად მოუღწევიათ. არანაკლებ ახასიათებს პეტრეს იოანე ბატო-

¹ ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტაბ-ტაგ.

² ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 70—71.

³ H № 1349; A №№ 561, 1272-თ, 1401; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 388—390; ჩვენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 542—545.

⁴ ქრონიკები, II, გვ. 108—110.

⁵ იქვე, გვ. 109. არსენ ბულმაისიმისძეს შესანიშნავად ახასიათებენ ანტონ პირველი და იოანე ბაგრატიონი (წყობილისტყვაობა, გვ. 213; კალმასობა, II, გვ. 165—176).

⁶ წყობილისტყვაობა, გვ. 267, შენ. 144.

⁷ იქვე. პ. იოსელიანის მოსახრებას იწყნარებდა ხ. კიკინაძე (იხ. მისი ქართული-წერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე, გვ. 2).

⁸ წყობილისტყვაობა, გვ. 267.

ნიშვილიც („ფილოსოფიასა შინა ზედმიწევნილი და აღძრკვილი ღვთისმეტყველებასა შინა“)¹.

პეტრეს სახელითაა მოღწეული მხოლოდ ერთი თარგმნილი შრომა — იოანე სინელის კლემაქსი ფოტი პატრიარქის სქოლიოებითურთ (Δ № 39). პეტრე გელათელის მთარგმნელობას ამოწმებს თარგმანის ბოლოს დართული იამბიკოს კიდურწერილობა: „ქიბედ ვინაჲ ცად მიავლენ, წარმიმართე“ და ფრაზები: „ქიბე განსთაღე გელათს ნავები“, „პეტრე წერად ვეცადე“ და სხვ.²

როგორც ცნობილია, იოანე სინელის კლემაქსი ადრეც იყო თარგმნილი, მაგრამ ის საზოგადოებას აღარ აკმაყოფილებდა, რადგან არ იყო ზუსტი. პეტრემ ის ახლად თარგმნა გელათის მონასტერში. მისი ენა ცხადყოფს, რომ პეტრე გელათელი პეტრიწონული სკოლის მიმდევარია³. პროფ. ი. აბულაძის დაკვირვებით, პეტრე გელათელის შრომა სომხურად (უსქოლიცობად) თარგმნა სვიმეონ ხუცეს-მონაზონმა⁴.

მე-14 საუკუნის გელათელი მოღვაწის, გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე პირის მიერ უნდა იყოს დაწერილი საყურადღებო იურიდიული ძეგლი „კელმწიფის კარის გარიგება“. მასში ფრიად საყურადღებო მასალაა წარმოდგენილი საქართველოს სასულიერო-საეკლესიო და სამოქალაქო-სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, დიდი მნიშვნელობა აქვს მას საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების, ყოფა-ცხოვრების, შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად⁵.

გელათის მონასტერში უნდა იყოს დაწერილი ერთი საყურადღებო საისტორიო წყარო, რომელიც „გელათური ქორონიკონის“ სახელითაა ცნობილი. მისი ავტორი უცნობია, მაგრამ ტექსტის გაცნობა უცილობელს ხდის, რომ ის გელათელია; თხზულება, უთუოდ, გელათში უნდა იყოს დაწერილი. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ქუთაისისა და გელათისადმი, ვრცლად ჩერდება საეკლესიო საკითხებზე და კარგად გვაცნობს მე-16 ს. ისტორიის ცალკეულ მომენტებს⁶.

მე-16 საუკუნეში გელათში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე (1557—1578)⁷. ის ერთობ ენერგიული და მუყაითი მღვდელმთავარი ყოფილა. მისი ინიციატივით მოუხატავთ გელათის წმ. გიორგის ეკლესია, მასვე მოუქედინებია 1568 წელს.

¹ კალმასობა, II, გვ. 178.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 394.

³ ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 331—334.

⁴ ი. ლ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ენიშკის მოამბე, III, 1938, გვ. 128—130.

⁵ კელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1920. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 62—68; ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 569; ი. სურგულაძე, საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხი „კელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „საბჭოთა სამართალი“, 1959, № 3, გვ. 49—53.

⁶ გვარი, ახლად აღმოჩენილი გელათის მატთანე, „ივერია“, 1887, № 193; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 281—283. იხ. აგრეთვე ს. ქაქაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, გვ. 12—21.

⁷ ქორონიკები, II, გვ. 416.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი¹. ევდემონის პორტრეტი შემონახულია ღვთისმშობლის ეკლესიაში, დავით აღმაშენებლის სურათის გვერდით, და წმ. გიორგის ეკლესიაშიც, სადაც მისი გვამი ასვენია².

ევდემონ ჩხეტიძეს „ფრიადი სურვილი აქუნდა ეკლესიადთა და საღმრთოათა წერილთათჳს“ (K № 4, 663r). მისი შეკვეთით მრავალი ხელნაწერი იქნა დაზაღებულა. მაგალითად, ევდემონის დავალებით იოანე ქობინაშვილმა გადაწერა საღვთისწავლო და პარაკლიტონი (A № 49, A № 507)³. მანოელ ინანიკიშვილმა 1565 წელს გელათში გადაწერა მოზრდილი მეტაფრასი (K № 4)⁴. მისივე დაკვეთითაა გადაწერილი ის მეტაფრასიც (K № 5)⁵, რომელშიც სავა მნიშვნელოვან ძეგლებთან ერთად დაცულია ფერემ მცირის ორიგინალური თხზულება: „მოსაქსენებელი მცირე სჳმეონისთვის ლოლოთეცისა და თბრობაჲ ნიზეზსა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“ (K № 5, 576r—579r)⁶.

ზ. ჭიჭინაძე ევდემონ ჩხეტიძეს მიაკუთვნებდა რამდენიმე თხზულებას (იანბიკონი, იოანე დამასკელის წიგნი, ცხოვრება თეოდორესი, ათთა ბერძენთა წამებულთა წიგნი, განგებულებით ღვთისმეტყველება)⁷, მაგრამ ამის დამადასტურებელი მასალა არ ჩანს.

ევდემონ ჩხეტიძეს კათოლიკოს მალაქიასთან (1531—1549) ერთად მონაწილეობა მიუღია იმერეთის საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელსაც შემუშავებია სპეციალური „სამართალი კათოლიკოსისა“ („სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“)⁸.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მოღვაწეა კათოლიკოსი ექვთიმე საყვარელიძე (1578—1616)⁹. ის ადრე მოქველი მთავარეპისკოპოსი იყო (Q № 39), ხოლო 1578 წელს კათოლიკოსად დაუდგენიათ. ექვთიმე საყვარელიძე ძველი ქართული წერილობითი კულტურის დამცველი და პოპულარიზატორია. როგორც მისი დაკვეთით მომუშავე ერთი გადამწერი შენიშნავს, ექვთიმე „ქმშმართად იჭირვოდა საღთოათა წერილთაჲ წიგნთა წმიდაათა წერასა და

¹ Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 35—36; А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 42; ბ. ლომინაძე, ბიჭვინთის ხატი 1568 წლის წარწერა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 99—102.

² ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 30, 50—51.

³ Описание рукописей (A), I, გვ. 39; II, გვ. 60—61.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 25—35.

⁵ იქვე, გვ. 35—42.

⁶ ქ. ქეკელიძე, Симеон Метафраст по грузинским источникам, ეტიუდები, V, გვ. 212—226. ფურემის შრომა იხ. აგრეთვე A № 90, 310r—314v.

⁷ ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე, გვ. 2.

⁸ ნ. ურბნელი, ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან, სამართალი კათალიკოზისა, „მოამბე“, 1898, III, გვ. 1—17; ს. კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, თბ., 1913; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 50—57; ი. სურგულაძე, საქართველოს საეკლემიოზისა და სამართლის ისტორიისათვის, I, გვ. 78; А. Хижанов, Дополнение к грузинским каталожным указам, ЮВ, ტ. XI, წ. III—IV, 1892, გვ. 569—571. ძეგლის რუსული თარგმანი იხ. Сборник законов груз. царя Вахтанга VI, Т., 1887, გვ. 129—133.

⁹ შტრ. ქრონიკები, II, გვ. 435.

ამკობდა პატრიოსანთა საყდართაჲ ქახეთით, ქართლით, იმერით, ოდიშით და გურიით და დასდებდა დიდროანსა და პატრიოსანსა ყოვლითურთ შემკობილსა წიგნებსა და ჩუშნ გვბოძებდა... საქონელსა მრავალსა და აურაცხელსა და არა დასცირებოდა საღთოასა სურვილისაგან და ყოველსა წელიწადსა შინა ოთხ-ოთხისა, სამ-სამისა და ორ-ორისა მწერლითაჲ გუაწერინებდა და გუაწერომებდა“ (ჩ № 10, 1r)¹.

ექვთიმეს თაოსნობითაჲ დამზადებული მთელი წყება ხელნაწერებისა. მისი ინიციატივითაჲ გადაწერილი ცნობილი კრებული (ჩ № 1, ჩ № 2)². მისივე დაკვეთით ონოფრე შონაზონსა და მანოელს გადაუწერიათ მოზრდილი მეტაფრასი (ჩ № 8), ნათანაელს, გიორგის, ზებედესა და იოანეს—გულანი (ჩ № 38), ნაგვრატოზ ციმცაძეს—მეტაფრასი (ღ № 39)³; ანანია კალანდაძეს—ეამნ-გულანი (ა № 687)⁴; მისივე დაკვეთითაჲ გადაწერილი ერკეთის გულანი (ღ № 87)⁵, იოსიპოს ფლავიოსის „წიგნი ჰურიისაჲ“ (ჩ № 10). ეს ძეგლი ზოგიერთ მკვლევარს ექვთიმე საყვარელიძის მიერ თარგმნილად მიაჩნდა⁶. ეს, რასაკვირველია, სწორი არაა. აღნიშნული ძეგლის ყველა ნუსხა-მომდინარეობს ექვთიმესეული ხელნაწერიდან, რომელშიც დასაწყისი ასე იკითხება: „იწყებიან სახელითა ღისაჲთაჲ და წადინება-ბრძანებითაჲ დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოასა პატრიარხისაჲ, კათალიკოზის პატრონის ეფთჳმესითა“ (ჩ № 10, 1r). შესავალში ექვთიმეს ხსენებამ განაპირობა შრომის ექვთიმესეულად მიჩნევა. სინამდვილეში „წიგნი ჰურიისაჲ“ უთარგმნია იოანე პეტრიწს⁷.

ძველ წყაროებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ზაქარია ქვარიანის სახელი. ის 1637 წლიდან გელათელი ეპისკოპოსია, 1656 წელს მიტროპოლიტობას იღებს, ხოლო 1657—1660 წლებში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსია⁸.

ზ. ქვარიანი იყო შრომისმოყვარე და გამრჯე მღვდელმთავარი, ნიჭიერი ხელმძღვანელი და ენერგიული მმართველი. მისი თაოსნობითაჲ შესრულებული მხატვრობა გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის ზოგიერთი ნაწილისა, აღნიშნულ ეკლესიაში დაცულია მისი ფრესკა სათანადო წარწერით, ხოლო ჩრდილოეთ მინაშენის შუა განყოფილებაში—მისი საფლავიც⁹.

¹ ქრონიკები, II, გვ. 436; ხელნაწერთა აღწერილობა (ჩ), I, გვ. 64.

² ხელნაწერთა აღწერილობა (ჩ), I, გვ. 1—15.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (ღ), I, გვ. 46—53; ქრონიკები, II, გვ. 435—436.

⁴ Описание рукописей (ა), II, გვ. 162—163.

⁵ ხელნაწერთა აღწერილობა (ღ), I, გვ. 99—102; ქრონიკები, II, გვ. 436—437. იხ. აგრეთვე Д. Б а к р а д з е, Арх. путешествие по Грузии и Аджарии, გვ. 229.

⁶ დ. კაროიძე შვილი, კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა, თბ., 1905, გვ. 209.

⁷ ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 286—287.

⁸ ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 132, 139, 141. გელათ-გარეჯის გულანის ცნობით, ზ. ქვარიანი მიტროპოლიტად უკურთხებია კათალიკოს მაქსიმე მაჭუტაძეს (ა № 186, გვ. 549; Описание рукописей (ა), I, გვ. 196; ქრონიკები, II, გვ. 469). ახლანან მიკვლევულ დოკუმენტით, 1657 წელს კათალიკოსად, მგონი, ნ. ჩოლოყაშვილიც ყოფილა (ბ. გიორგაძე, ახალი დოკუმენტი ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის შესახებ, „მნათობი“, 1960, № 2, გვ. 157—161).

⁹ А. Ц а г а р е х и, С в е д е н и я, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 40; ქრონიკები, II, გვ. 476; ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 32, 38, 40, 43, 54, 81.

ზაქარია ქვარიანის ინიციატივითაა გადაწერილი გელათ-გარეჯის გულანის (A № 186) 1653—1655 წლებში¹. მას შემოუნახავს ზაქარიას ანდერძი: „მე, ცოდვილმან გენათელ მთავარეპისკოპოსმან ბატონმან ზაქარია კელეყავ წისა აპას გულანისა აღწერად... ვიწყეთ წერად ქქსა ტმა (=1653) და სრულ იქმნა წელიწადსა ორსა ქქსა ტმგ (=1655)“. როგორც ჩანს, გულანის დამზადების პერიოდში ზაქარია მხოლოდ მთავარეპისკოპოსი ყოფილა.

გელათ-გარეჯის გულანი საკმაოდ მოზრდილი ხელნაწერია. ის დამზადებულია რამდენიმე პირის მიერ (იესე ბაღდათაშვილი, დემეტრე მწერალი, იოსებ კარგარეთელი და სხვა). შემოუნახავს საინტერესო ისტორიული ხასიათის ნინაწერები.

1705 წელს ხელნაწერი გიორგი აბაშიძემ უძღვნა გარეჯის მონასტერს, რისთვისაც ონოვრე მაჭუტაძესა და კრებულს მისი ხსენება დაუწესებიათ დავითის ლავრაში.

მე-17 ს. მეორე ნახევრიდან ცნობილია გელათელი მღვდელმთავარი გედეონ ლორთქიფანიძე. ის ენერგიული საეკლესიო მოღვაწე იყო. აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. 1669—1676 წლებში ბაგრატ მეფემ ელჩადაც გაგზავნა რუსეთში. გედეონი დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის დასაველეთის მინაშენში. იქვეა საფლავის ქვა, რომლის ცნობით გედეონი 1682 წელს გარდაცვლილა².

გედეონ ლორთქიფანიძე არც მწიგნობრულ-საგანმანათლებლო სფეროს ტოკებდა უყურადღებოდ. ჩვენამდე მოღწეულია მის მიერ გადაწერილი თუ ზისი თაოსნობით დამზადებული საბარება-სამოციქულოს საკითხავები (H № 895)³.

¹ Описание рукописей (A), I, გვ. 192—206; პ. კარბელაშვილი, საისტორიო და საბიბლიოთეკული მინაწერები დავით გარეჯის უღაბნოს ტყავზედ ნაწერის ხელნაწერებისა, „ივერია“, 1899, № 32; ქრონიკები, II, გვ. 458—459; მ. ჯანაშვილი, დიდი ხელნაწერი, „მოაზებ“, 1921, VI, განყ. II, გვ. 36—60; К. К е к е л и ძ а е, Литургические грузинские памятники, გვ. 405—408.

² ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 47. გ. ლორთქიფანიძე 1660 წელს ნიკორწმიდად იანაიებდა. 1664 წელს—გელათულ-ნიკორწმიდად, ხოლო, მომდევნო წლებში—გელათელად (ქრონიკები, II, გვ. 481; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 64, 69, 71).

გედეონ გელათელს გელათის მონასტერში აღუზრდია თავისი დისწული პოეტი დათუნა (ბესარიონ) ქვარიანი, რომელსაც ეყუთუნის საყურადღებო პოემა: „წამება და სასწაულთმოკმედემა წმინდა გიორგისა“ (H №№ 2879, 2904; Q № 320. ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი, „კომუნისტი“, 4.II.47, № 27 (7811); მ. ჩიქოვანი, უცნობი პოეტი დათუნა ქვარიანი, ა. პუშკინის საუბლობის თბილისის საბ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1947, გვ. 185—199; ს. კიციანიძე, დათუნა ქვარიანი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 5.XII.48, № 48 (241); მ. ჩიქოვანი, წერილი რედაქციის მიმართ, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 19.XII. 48, № 50 (243).

³ გედეონ გელათელი (ძმა შოშიტა ერისთავისა) ცნობილია მე-18 საუკუნეშიც (ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 232; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 127; II, გვ. 174; თ. სოსელია, გიორგი ერისთავის ყმათა ქონება და ვალდებულება, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 37). მისი ინიციატივითაა გადაწერილი მარხვანი (A № 1582, 795r—944v).

მე-18 ს. მოღვაწეობდა გელათში დადიანი გოდერძ-ყოფილი გოჩა, რომელიც ჯერ კიდევ 12 წლისა მისულა იქ. მას დაუწერია „გოჩასა და სოფლის ბაასი“ (H № 496, S № 1085, A № 1632, არქ. ხელნ. № 167). ამ საკითხზე იხ. ბ. ქიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, გვ. 179—184.

გელათში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწერალი ანტონ პირველიც. ერთ ხელნაწერს შემოუნახავს ტიმოთე გაბაშვილის მინაწერი, რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ანტონის შესახებ. კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე იქ ვკითხულობთ: „ათვრამეტისა წლისა მონაზონ იქმნა და აღიკვეცა ბერად მონასტერსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა გაენათს ფებერვალსა ორსა; ფებერვალსა სამსა დიაკონად ქელდასმბულსა იქმნა დღესა შაბათსა ქელითა გაენათელ მიტროპოლიტისა ეფთემისათა“ (A № 123, 121v)¹. ე. ი. ანტონი ბერად აღკვეცილა გელათში (1720+18=)1738 წელს. იქ, —ტიმოთე გაბაშვილისავე ცნობით,—დაუყვია მას ორი წელი, ხოლო 1740 წელს ქუთათელ მიტროპოლიტად უკურთხებიათ. სამწუხაროდ, ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია იმ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე, რომელიც ანტონს გელათში ჩაუტარებია.

მე-18 ს. მეორე ნახევრის მოღვაწეა იმერთა მეფის ალექსანდრეს ძე—იოსებ გელათელი ეპისკოპოსი, შემდეგ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი. ის იყო ძმა სოლომონ პირველისა. 1745—1769 წლებში გელათელ მიტროპოლიტად, ხოლო 1769—1776 წლებში კათოლიკოსადაც იყო არჩეული. თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა და გონიერმა მღვდელმთავარმა. 1760 წ. ააშენა სამღვდელმთავრო ტახტი ღმრთისმშობლის ეკლესიაში, მანვე ცადა ნიკოლოზის ეკლესიის განახლება. ღმრთისმშობლის ეკლესიაში შემონახულია მისი ფრესკაც (ჩრდ. სვეტზე)².

ძმის—სოლომონ პირველის დავლებით იოსები სახელმწიფოებრივ საქმეებშიც კი ერეოდა. 1766 წელს ის ოსმალებს ეწვია იმერეთის საქმეების მოგვარების მიზნით.

ცნობილია იოსებ გელათელის მიერ მოგებული ხელნაწერები. მან ჯერ კიდევ მიტროპოლიტობაში „დაკარგული ამოიღო“ და გიორგის ტაძარს შესწირა იოანე ქსიფილინოსის შრომების კრებული (K №№ 1, 2, 4). მანვე დაიხსნა და საჩინოს ვანის მთავარანგელოზის ეკლესიას შესწირა ე. წ. ვანის სახარება (A № 1335, 273v).

იოსებ კათოლიკოსმა 1761 წელს თბილისის ჯვრის მონასტრის დეკანოზს იოანეს დააწერინა რჯულისკანონი (K № 26)³, 1776 წელს მანვე დააწერინა იოანე სინელის კლემაქსი (K № 31) და ორივე ხელნაწერი გელათს შესწირა⁴. 1766 წელს, ოსმალეთს გამგზავრების წინ, იოსებმა გელათის ტა-

¹ ტ. გაბაშვილი, მიმოხლვა, გვ. 0106 (შდრ. პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 142). იხ. აგრეთვე ანტონ პირველი, მზამეტყველება, პ. კარბელაშვილის რედაქტორობით, თბ., 1892, გვ. 616.

² ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 31—32, 53; მისივე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 137, 139, 142. როგორც ირკვევა, იოსებ ალექსანდრეს ძეს საკათოლიკოსო კათედრასთან ერთად გენათელ-მიტროპოლიტობაც ეპყრა.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 116—117; В. Бенишвили, Грузинская великая книгохранилища по спискам Тифлисского церк. музея, ХВ, 1917, ტ. V, ნაკვ. II, გვ. 123.

⁴ მასვე ჯრუჭის საეპისკოპოსოსი შეუწირავს პალატაში დამზადებული ძვირფასი კრებული 1040 წლისა (H № 1662).

ძარს შესწირა მრავალი ხელნაწერი წიგნი (სახარება, სამოციქულო, დავითნი, გულანი და სხვ.)¹.

დაახლოებით ამავე პერიოდში ცხოვრობდა გელათში ზაქარია გაბაშვილი. მის დროს გელათში კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები საკმაო სიმძლავრისა იყო და ზაქარიაც აქტიურად ჩაება მუშაობაში. ის წერდა წიგნებს, ამზადებდა ახალ ნუსხებს, ქართულ თარგმანებს უდარებდა ბერძნულსა და რუსულს, ასწორებდა და აზუსტებდა მათ, ენერგიულად თანამშრომლობდა იოსებ კათოლიკოსთან. ჩვენამდე მოღწეულია ზაქარიას მიერ დამზადებული ხელნაწერი (1772 წ.) საინტერესო ანდერძით: „აღესწერენ ბრძანებითა... იოსებ კათალიკოზ-მამამთავრისა. ერთობით ვიღვაწეთ და თანაშეგაწამენით ბერძენ-როსიისა საპატრიარხოთა ლიტურღიათა და ესრეთ აღვაგესეთ ნაკლი რაჟმე და ყოვლითურთ გავასრულეთ. განიკარგა გენნათისა დიდისა ეკლესიისა ეზოსა შინა“².

სათქვამელია, გელათში ყოფნისას დაწერა ზ. გაბაშვილმა ლოცვა სინანულისა—„თხოვნა ღვთის მიმართ“ („გოდება ღვთისა მიმართ ანუ განზრახვანი“)³.

ზ. გაბაშვილი გარდაიცვალა გელათში 1783 წლის 6 თებერვალს⁴. მის ძმისწულს დაუწერია სპეციალური თხრობა: „მიცვალება ხუცისა და მოძღვრისა ზაქარია იობიან, გაბაშონისა წმიდასა გაენათს მონასტერსა შინა“ (K № 517)⁵.

¹ იხ. ანდერძი გენათელის მეფის ძის იოსებისა (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 54—57. იხ. აგრეთვე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 55—56).

² Q № 331, 113v—114r; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 350. ამავე ხელნაწერში მოთავსებულია ზ. გაბაშვილის ხელით დაწერილი სოლომონ პირველის „დამტკიცების წიგნი“ იოსებ კათოლიკოსის შეწირულებისა გელათის დიდი ეკლესიისადმი (Q № 331, 1r).

³ H №№ 409, 437, 1228, 1283, 1364, 2977; A № 1076; S №№ 517, 5156; Q №№ 422, 724.

⁴ გელათშივე მოღვაწეობდა, იქვე გარდაიცვალა (17.XI.1798) და „წმიდა გიორგის ეკლესიის ვარე საქურთხველის წინა“ დაკრძალეს მისი ვაჟი იოანე (H № 2955, 2r). იქვე უნდა იყოს დაკრძალული მეორე ვაჟი იოსებიც (გარდ. 20.II.1778). გელათში 1816—1817 წწ. მოღვაწეობდა ზაქარიას მესამე ვაჟი ცნობილი კალიგრაფი ოსე, რომელსაც იქ „დამარხვა ენება მამა ხაზარასთან და საყვარელ ძმებთან“, მაგრამ სურვილის ასრულება აღარ დააცალეს და ბელგოროდის ვხას გაუყენეს (ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის ყოფილი დედაოფლის ანას მიმართ, გვ. 3—5, 42 და შმდ.).

⁵ ნ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI V, 1955, გვ. 89—101. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ნაყოფიერი მწიგნობარი, ოსე გაბაშვილის ახლობელი თანამშრომელი, „გენათისა დიდებულისა ეკლესიისა არხიმანდრიტი“ ზაქარია (გარდ. 19.XI.1823). ეს უკანასკნელი ამზადებდა ახალ ნუსხებს (Q № 895; ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის ყოფილი დედაოფლის ანას მიმართ, გვ. 11—12, 37), ქართულად მართავდა რუსულთან თარგმნილ ძეგლებს (A № 301) და სხვ. უნდა შევნიშნოთ. რომ ზაქარიას კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა, მეტწილად, მისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს, ბელგოროდში ცხოვრების ხანას განეკუთვნება (შდრ. ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 305). სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია აგრეთვე „გელათის მონასტრის წმიდის გიორგის ეკლესიის არხიმანდრიტისა ზაქარია კუტისშვილისაგან აღწერილი“ ლოცვები, პარაკლისი და დაუჯღოშელი (თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, გვ. 25; A. Παπαρηξ, Σειδεσσα, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 169). ზ. კუტისშვილის საფლავი აქად. კ. კეკელიძეს უნაბავს გელათის მონასტერში. მაშასადამე, ეს კიდევ სხვა ზაქარია გელათელი ყოფილა.

გელათის მონასტერში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გრძელდებოდა მე-19 საუკუნეშიც. ჩვენამდე მოღწეულ მასალებს შემოუნახავთ ამ პერიოდის არა ერთი გელათელი მოღვაწის სახელი.

მაგალითად, მღვდელ-მონაზონმა ნიკოლოზ მორჩაძემ 1825 წელს გელათში გადაწერა მოზრდილი მეტაფრასი (K № 18), მანვე მოაქედინა რიონის საყდრის სახარება (K № 75); 1853 წელს გელათელმა მღვდელ-მონაზონმა ისაკმა, რომელიც ადრე დავითის ლავრაში მოღვაწეობდა, აღწერა ლექთაგან ლავრის დარბევა 1851 წელს (H № 649) და სხვ.

გელათში ძველთაგანვე დიდი წიგნსაცავი არსებობდა. რუსი ელჩები ნ. ტოლოჩანოვი და ა. იველევი საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ წიგნებით სავსე კიბობანი იდგა ღვთისმშობლის ეკლესიის საკუთხეველში¹.

გელათის ხელნაწერთა კოლექციიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იოანე ქსიფილინოსის შრომების შემცველი კრებულები, ე. წ. გელათის ბიბლია (XII ს.), რომელიც, სპეციალისტთა აზრით, ძველი აღთქმის ყველა წიგნს შეიცავდა², დიდი ოსტატობითა და გემოვნებით შესრულებული ოთხთავი (XI ს.)³, გრიგოლ ჩახრუხაისძისეული რჯულისკანონი (K № 25) და სხვ.⁴

კ ა მ ბ ი

იმერეთში, კიათურის დასავლეთით (10 კილომეტრის დაშორებით) მდებარეობს სოფ. კაცხი, სადაც უკანასკნელ ხანამდე კარგადაა დაცული „ეკლესია მაცხოვრისა, გუნბათიანი, დიდ ფრიად, კეთილშენი“ (ვახუშტი), რომელსაც სპეციალისტები მე-10—11 საუკუნეთა მიჯნით ათარიღებენ. იქვე ახლოს ყურადღებას იპყრობს „კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი“, რომლის თხემზე

¹ Посольство столыпника Толочанова и дьяка Истева в Имеретию, გვ. 149.

² A № 1108; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 92—93. იხ. აგრეთვე ქრონიკები, II, გვ. 36—39; თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმჯრნელ მიტროპოლიტისაჲ, გვ. XXVII—XXIX; P. B x a n s, O древнегрузинских версиях Ветхого Завета, ИКОМО, VI, 1921, გვ. 1—40; მისივე, Ancient Georgian Versions of the Old Testament, HTR, XIX, № 3, 1926, გვ. 271—297; პ. ი ნ გ ლ რ თ ყ ვ ა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 4, გვ. 123—126; მისივე, გიორგი მერჩულე, გვ. 716—719.

³ Q № 908; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 327—332 (იქვეა დასახელებული ლიტერატურა).

⁴ K №№ 1—38, 40—44, 75; A №№ 49, 186, 616, 673—6E9, 729, 747, 749, 750, 752; H № 1718; Q №№ 37, 901 და სხვ. იხ. აგრეთვე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 55—56, 68—69; Д. Гордеев, Материалы к обиходованию гелатских древностей, „საისტორიო მოამბე“, 1925, I, გვ. 118—119.

გელათელ მოღვაწეებად მიიჩნევენ შოთა რუსთაველს (Ш. П у ц у н д з е, Творчество Руставели, Т., 1958, გვ. 258), მოსე ხონელსა (ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 11) და ზოსრო თერმანიძეს (ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეოთხრამეტე საუკუნეებში, გვ. 3), მაგრამ აღნიშნულ მონახრებათა დამადასტურებელი მასალა ჩვენ არ შეგვხვედრია.

არის მცირე ზომის ეკლესია. ეს გარეწობა, საფიქრებელს სდის. რომ მესვეტეობა საქართველოში უცხო არ ყოფილა¹.

საოფ. კაცია არვეციის ფარგლებში შედიოდა და ბალეაშთა საგვარეულო საპულობელოს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ბალეაშთა სახელგანთქებულ სახლში ლიტერატურული ინტერესები საქმაოდ ცხოველი ყოფილა.

საქართველოს ისტორიაში ფრიად ცნობილია ბაგრატი მეოთხის დაუცხლონელი მოწინააღმდეგე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი, რომელიც თითქმის ოცი წლის განმავლობაში (1040—1057) დაუნდობლად იბრძოდა ქართველი ნეფის წინააღმდეგ. ის დიდ ტერიტორიას ფლობდა, მეფის შემდეგ პირველ გავლენიან პირად ითვლებოდა, უგვირგვინო მეფედ იყო მიჩნეული და უცხო ქვეყნებთან კავშირთუთიერთობა ჰქონდა. მრავალა წლის ბრძოლის შემდეგ ლიპარიტი ტყვედ ჩაკარდა, ის სულა კალმახელმა შეიპყრო და მეფეს მიჰგვარა. დაპარკაებულა მეამბოხე ფეოდალი ბერად შედგა და ანტონად იწოდა. მან დააწყო პილიგრიმობა. გარდაიცვალა 1064 წ. კონსტანტინოპოლში, ჩამოასვენეს და თავის „საძუალეს“ კაცის დაკრძალეს².

ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრების დროსაც ცხოველ ინტერესს იჩენდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობისადმი. მისი დაკვეთითა და ინიციატივით არა ერთი წიგნი იქნა გადაწერილი. ცნობილია, მაგალითად, რომ მისი დაკვეთით გაბრიელ კოტაის მანგლისში გადაუწერია მათეს თავის თარგმანება (K № 19, K № 20) 1047—1048 წლებში. ლიპარიტისავე დავალებით გაბრიელ მწერალს, კოტაის, 1053 წელს „დიდებულსა საყდარსა აწყურისასა“ გადაუნუსხავს იოანეს თავის თარგმანება იოანე ოქროპირისა (K № 21). სამივე ხელნაწერი ლიპარიტმა შექმდეში კაცის, თავის „საძუალე“ ეკლესიას შესწირა. იმ დროს ის ბერად შედგარი იყო და „ანტონი, ლიპარიტ-ყოფილად“ იხსენიებოდა³.

ლიპარიტ ლიპარიტის ძეს თვითაც უწარმოებია ლიტერატურული საქმიანობა. ამ მხრივ საგულისხმო ცნობას გვაწვდის გიორგი ხუცეს-მონახონი—ბიოგრაფი გიორგი მთაწმიდლისა. მისი განცხადებით, ლიპარიტი იყო გიორგი

¹ П. Носелъпанл, Кацхский храм и Имеретин, Т. 1845; Д. Бакрадзе, Кавказ в древности: памятники христианства, გვ. 64; Описание памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 140—144; Г. Церетели, Арх. прогулка по Кахетинскому уезду, МАК. VII, 1898, გვ. 92—93; გ. წერეთელი, კაცის სვეტი. „კვალი“, 1925, № 40; ვ. ცინცაძე, კაცხუ „სუეგი“, საქ. სსრ მეც. აკად. შიამბე, VII, № 8. 1946, გვ. 557—554; ვ. ბერიძე, კაცხუ ტარო, „ქართული ბელოუება“, III, 1950, გვ. 53—94 (იქვე დასახელებული ლიტერატურა); მისივე, კაცხი, თბ., 1959: თ. ყაუხჩი-შვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 167—168; ს. კინწულაშვილი, ჩუნი ბელოუნებათმცოდნეობა და ძველი ქართული ძეგლები, „ლიტერატურული გახეთი“, 19. VI. 59, № 25 (1143). იხ. აგრეთვე ლ. გოთუა, მგზავრული კრილოსანი, გვ. 79—103. აკად. ა. შანიძის აზრით, კაცხი სუანური სიტყვაა და მწვერვალს (კაცხ) ნიშნავს.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 306. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 135—149, 164—167; მ. კახაძე, ლიპარიტ ლიპარიტისძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხულება, ენიშკის შიამბე, XIV, 1914, გვ. 77—87; ვ. კობალიანი, ბაგრატი მეოთხისა და ლიპარიტ ლიპარიტის ძის ურთიერთობიდან, თხუ შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 241—281.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 92—101. იხ. აგრეთვე ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 148—149, 160—162; ქრონიკები, I, გვ. 190—194; ა. შანიძე, კვლე მანგლისის წარწერების შესახებ, „მომომხილველი“, I, 1926, გვ. 231—234.

მთაწმიდლის შრომების პოპულარიზატორი, გამოჩენილი მეცენატი და ორიგინალური შემოქმედი. გიორგი მთაწმიდლის შრომები, — შერს გიორგი ხუცეს-მონაზონა, — „ანტონი, ლიპარიტ-ყოფილმან... თვისისა მონასტრისა, ბარალამ წმიდისათვის დააწერანა და წმიდასა აჰას ბერსა (გიორგი მთაწმიდელს — ლ. მ.) დიდად პატივ უპაჲ და ნუგეშინის სცა, და თვისისა მონასტრისაგან გაქუეთილი შეუქმნა, და სიმკიცე თვისითა ჯელითა დაუწერა, და შეუნიერი ქებაჲ და მადლობაჲ დაწერა მას შინა ღუაწლთა და შრონათა მისთაჲს“¹.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია აღნიშნული მონასტრისთვის ლიპარიტის დაკვეთით გადაწერილი ნუსხები, ასევე მისი ორიგინალური შრომა „შუენიერი ქებაჲ და მადლობაჲ“ გიორგი მთაწმიდლისა.

ლიპარიტ ლიპარიტის ძეს პ. ინგოროყვა და მ. კახაძე მიაწერენ ერთ ორიგინალურ შრომას „მართლმადიდებლობისა და მწვალებლობისათვის“, რომელიც გაბრიელ კოტაის მიერ გადაწერილ წიგნს შემოუნახავს (K № 21, 483r—484v)².

ბიბლიოფილი ყოფილა ივანე ლიპარიტის ძეც, რომელმაც 1059 წელს კაცხის ტაძარს შესწირა ალავერდის ცნობილი ოთხთავი (A № 484)³.

კაცხში საკმაოდ კარგი წიგნსაცავი არსებობდა. იქაური ბიბლიოთეკიდან განსაკუთრებით ცნობილია ე. წ. კაცხის გულანი (Q № 631) გადაწერილი გიორგი აბაშიძის დაკვეთით 1723 წელს⁴, მარხვანი 1575 წლისა (Q № 657), სახარება (Q № 653) და სხვ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოებდა ჯრუჭის მონასტერშიც⁵. ჩვენთვის ნაწილობრივ ცნობილია იქაურ მოღვაწეთა სახელები და იქ დამზადებული ხელნაწერები. მაგალითად, დიაკონ-მონაზონმა მაქსიმემ იქ გადაწერა იოანე ოქროპირის სწავლანი 1785 წელს (K № 47), იოანე ზაქარიას ძე გაბაშვილმა — სათნოებათა ყვაილი (K № 61) და მამათა სწავლანი (K № 64) 1788 წელს, იოანე სინელის კლემაქსი (K № 55) დაახლოებით იმავე ხანაში და ა. შ. დიდი ბიბლიოფილი ყოფილა მიტროპოლიტი დავით ზურაბის ძე წერეთელი (H №№ 1516, 1670, 1671, 1683).

ჯრუჭის მონასტერში არაებობდა წიგნსაცავი, რომელიც მდიდრდებოდა შეწირულებით. მაგალითად, კათოლიკოსმა იოსებმა 1765 წელს შესწირა

¹ ათონის კრებული, გვ. 316.

² მ. კახაძე, ლიპარიტ ლიპარიტის ძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება, ნიშნის მონაბე, XIV, 1944, გვ. 73—91. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ლგ, „ივერია“, 1891, №№ 124, 125.

³ Описание рукописей (A), II, გვ. 50; ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, „ქართული ხელოვნება“, III, 1950, გვ. 69. პ. ინგოროყვა ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწე პირად მიიჩნეეს რატი ორბელსაც (გიორგი მერხუღე, გვ. 041, 052—098).

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 84—85 (იხ. აგრეთვე МАК, VII, 1898, გვ. 88—92). სვეათა შორის, კაცხის გულანი ან ღურჯია ანონაწერი ჭიანია აკაცი წერეთელს (H № 1496, 1).

⁵ Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 46; ი. წერეთელი, ჯრუჭის მონასტერი, „მწვენი“, 1985, № 28, გვ. 4—6. სოლომონ მეორის ცნობით, სოლომონ პირველმა „თვით ბაჲაჲ მონასტერა ესე“. წაართვა მოცილე დიდებულებს — წერეთელსა და რაქის ერისთავს და გადააქცია „უღაბნოდ“ („საისტორიო კრებული“, I, 1928, გვ. 46—47).

პალავრაში გადაწერილი (1040 წ.) ძვირფასი ხელნაწერი (H № 1662), მიტროპოლიტმა ექვთიმე გელათელმა—იოანე სინელის კლემაქსი (H № 1669) და სხვ. ჯრუჟის მონასტრიდან მოღწეულია მრავალი ხელნაწერი (K №№ 45—72; H №№ 1620—1667, 1669—1673, 1675—1681, 1683, 1686, 1689 და სხვ.). განსაკუთრებით საყურადღებოა შატბერდის სახარება 936 წლისა (H № 1660), პალავრის კრებული 1040 წლისა (H № 1662), გოლგოთის სენიქსარი 1156 წლისა (H № 1661), ოთხთავი XII—XIII საუკუნეებისა (H № 1667) და სხვ.

ერთგვარ კერას წარმოადგენდა ვანიც. იქაურ ეკლესიებში ინახებოდა ძვირფასი ხელნაწერები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვანის ოთხთავი გადაწერილი XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე თამარ მეფის მლოცველის „იოანე უღირსის“ მიერ რომანას მონასტერში და მოხატული მიქაელ კორესელის მიერ (A № 1335). თავისი დიდებული მინიატურებითა და დახვეწილი მხატვრული გემოვნებით შესრულებული დეკორატიული შემკულობით აღნიშნული ოთხთავი კარგა ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში¹.

ვანიდანაა ერთი საყურადღებო მეტაფრასი (K № 172). იქიდანვე ყოფილა ის საინტერესო ხელნაწერი, საიდანაც მომდინარეობს ქართველ მოღვაწეთა ის პორტრეტები, რომლებიც დღეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორში ინახება (E № 12)².

ბეერი ხელნაწერია მოღწეული მღვინის მონასტრიდანაც (Q №№ 624, 628, 639, 652, 654—656, 658; არქ. ხელნ. №№ 684, 686—688, 690—698. და სხვ.).

¹ *Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии*, გვ. 47—50; ე. თაყაიშვილი, არქ. მღვახურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 12—19; E. Takaichvili, *Cerques en Van, en Icheri, et ses antiquités*, ИКИ-АИ, II, 1927, გვ. 94—108; E. Takaichvili, *Antiquités géorgiennes. L'Évangile de Vani, Byzantion*, X, 1935 (Bruxelles), გვ. 655—663; თ. ყაჯხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული წინაწერები, „მომომხილველი“, II, 1951, გვ. 455—456; ხელნაწერთა აღწერილობა (A). IV, გვ. 407—410; ე. მაჭავარიანი, XII საუკუნის ხელნაწერი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 11, გვ. 81—83; მისივე, ვანის ოთხთავის დეკორატიული მორთულობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოაზრებ., II, 1950, გვ. 135—144.

² П. Иоселиани, *Жизнеописание святых*, გვ. 20—21; ბ. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, გვ. 180—181; Р. Орбелли, *Груз. рукописи ИВ АН СССР*, I, 22, 94—95. სხვათა შორის. იანოში მოლოაწინი სხიობანი რეკონსტრუირებული ნუსხები (K № 53).

ს ა მ ე ბ რ ე ლ ო

მ ა რ ტ ვ ი ლ ი

სამეგრელოს კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარტვილის მონასტერი, რომელიც გეგეჭკორის რაიონში მდებარეობს¹. ვახუშტი წერს: „ბანძას ზეით, მალალს ადგილზედ, არს ჭყონდილი, ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, მარტვირისა“².

ძველი წყაროებით ჭყონდილში მარტვილთა ეკლესიის აგება აფხაზთა მეფეს—გიორგი მეორეს (912—957) მიეწერება. მემატრანის ცნობით, გიორგიმ „ალაშენა საყდარი ჭყონდილისა, შექმნა. საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვლთათა“³. ამრიგად, ჭყონდილის კათედრალის დაარსება მე-10 საუკუნით თარიღდება. რაც შეეხება ტაძარს, რომელიც ჯვრის ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, მეცნიერები მას უფრო ადრეული ხანით (VI—VII სს.) ათარიღებენ. როგორც ჩანს, მე-10 საუკუნეში ის საგრძნობლად გადაუკეთებიათ.

ბაგრატ მეოთხის მეფობაში (1027—1072) ჭყონდილის ტაძარი უპირველესად იყო მიჩნეული და მეფეს იქ საკრძალაეიც კი ჰქონდა გამზადებული⁴. იმ პერიოდში ჭყონდილის კათედრის პატივი და დიდება საგანგებოდ აქვს აღნიშნული გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფს. მისი ცნობით, „არს წარჩინებული სამღვდელთ-მოძღრო საყდართა შორის სამეუფოსა მისისათა საყდარი ჭყონდილისა“⁵. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში ჩამოსულ გიორგი მთაწმიდელს მეფემ ჭყონდილის კათედრა შესთავაზა.

ჭყონდილის ტაძარი თავისი ლამაზი და მოხდენილი ადგილმდებარეობით, მშვენიერი მორთულობითა და დიდებული წარსულით დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს⁶.

¹ ამ პუნქტს ძველად ჭყონდიდს (პეგრ. დიდი მუხა) უწოდებდნენ. ფიქრობენ, რომ იქ ადრე მუხის მსახურების სალოცავი იყო. როდესაც იქ მოწამეთა (—მარტვილთა) ეკლესია ააგეს და მონასტერი გაშენდა, მას მარტვილი ეწოდა. საეპისკოპოსო კათედრალს ჭყონდილი სახელი შერჩა.

² აღწერა, გვ. 166.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 265. იხ. აგრეთვე ქრონიკები, I, გვ. 84—85.

⁴ ათონის კრებული, გვ. 305. სხვათა შორის, ბაგრატს იქვე დაკრძალეს მისმა მემკვიდრეებმა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315).

⁵ ათონის კრებული, გვ. 305.

⁶ ჭყონდილის ტაძარზე იხ. Fr. Dubois, Voyage, I, გვ. 314, 424; III, გვ. 39—47; M. Brosset, Rapports, I, გვ. 11—17; A. Муравьев, Грузия и Армения, III, გვ. 246—260;

ჰყონდიდელი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძველ საქართველოში განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. გარკვეულ პერიოდში ის მწიგნობართუხუცესობასაც ითავსებდა. საქართველოს მეფის პირველი მინისტრი - ჰყონდადელ-მწიგნობართუხუცესად და ვახირთა ყოველთა უპირველესად იწოდებოდა. მას ყველა სახელმწიფო დაწესებულებაზე მიუწვედებოდა ხელი¹. ძველ ძეგლებში (-ეკლმწიფის კარის გარიგება², „განგებაჲ დარბაზობისაჲ“) ჰყონდიდლის პატივი საგანგებოდაა აღბეჭდილი და გახაზული³.

ჰყონდიდელი მღვდელმთავრები ხშირად საქართველოს ცენტრში მოღვაწეობდნენ. აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ახლოს იყვნენ სამეფო კართან და საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდნენ. მაგალითად, სვიმონ ჰყონდიდელ-ბედიელ-ალავერდელი დავით აღმაშენებელმა ანისის გამგებლადაც კი დაადგინა⁴, რუსუდანის დავალებით არსენ ჰყონდიდელი ბათოს კარზე გაიგზავნა⁵ და სხვ.

მას შემდეგაც, რაც საქართველოს ძლიერი სამეფო დაცვა და დანაწევრდა, ჰყონდიდის კათედრა კვლავ ინარჩუნებდა ძალას და იქაური მღვდელმთავრები აღწმენებლობით საქმიანობასაც კი ეწეოდნენ. ასე, მაგალითად, ზოსიმე ჰყონდიდელმა (-კობალაძემ) მე-17 საუკუნეში ახლად მოახატინა სოფ. სე-

1. Б а к р а д з е. Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 80—81; მ ა რ ტ ვ ი დ ე ლ ი. მარტვილი, „ივერია“, 1878, № 38; Описание памятников древности в некоторых краях и монастырях Грузии, გვ. 66—79; А. П а в л и п о в. Эксцидиция на Кавказ 1868 года, МАК, III, 1893, გვ. 4, 46—57; მარტვილის მონასტერი, „მწყემსი“, 1894, № 4, გვ. 4—6; ბ. კ-ძე, სოფ. მარტვილი, „ივერია“, 1900, № 250; დ. მ ე გ რ ე ლ ი, მარტვილის საეკლესიო ნივთების გატანა რუსეთში, „ივერია“, 1903, № 42; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 39—128; Н. Толмачевская, Фрески древней Грузии, გვ. 33—34; გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 115—128; მ ი ს ი ვ ე ჯ. Памятники типа Джвари, Т., 1948, გვ. 51—59, 117—118, 178—193; III. А м и р а н - и в и ლ ი, История грузинского искусства, I, გვ. 146—148; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 91—104; ა. ნ ი ნ უ ა, წინაპართა ნაკვალევზე, „საბჭოთა ბუღვენება“, 1957, № 8, გვ. 60—62. სხვათა შორის, იქაურ ტაძარში მე-19 ს. 70-იან წლებში არსებობდა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც შემდეგში სოფელში გადაიტანეს ი. ვ ა რ თ ა ჯ ა ვ ა. მოგონებები, I, თბ., 1956, გვ. 25—26. იხ. აგრეთვე ა. წ ე რ გ თ ე ლ ი, (ნახსენებთა სრული კრებული, XI, გვ. 220).

² ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, I, გვ. 217—218.

³ აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებით, გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივ აპარატში ჰყონდიდელი იყო მომგონებელი და წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოს ძველი დროის პოლიტიკური და საეკლესიო პრივილეგიებისა. აქედან წარმოდგა მისი უპირველესობა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 50).

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345. შერ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 208—209. სე. ჰყონდიდელს აუგია სვეტი უბისში (Е. Такашвили, Арх. взысканий, V, გვ. 10. იხ. აგრეთვე მ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, უბისი, თბ., 1930, გვ. 1, 4; რ. შ მ ე რ ლ ი ნ გ ი, უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. ნოაზე, XVI, № 2, 1955, გვ. 169).

⁵ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, არსენ ჰყონდიდლის ახლად მოპოვებული სიგელი 1240 წლის ახლო დროისა. „საისტორიო ნოაზე“. 1925, II, გვ. 123—133; ი. ც ი ნ ც ა ძ ე, არსენ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ახლად მოპოვებული სიგელი 1240 წლის ახლო დროისა, „საქართველო არქივი“, 1927, II, გვ. 24—28; С. Какабадзе, Грамота Арсения Чкошдидекого архиепископа ок. 1240 г., „საისტორიო კრებული“, 1928, II, გვ. 71—80.

ფეთის ეკლესია¹; იერემია ჰყონდიდელმა (—ქილაძემ) მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ტყვირის ეკლესიას მიაშენა ეკვლერი²; ევდემონ ჰყონდიდელი (—ლოლობერიძე) ენერგიული მოღვაწე იყო და ხშირადაც იხსენიება მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის საბუთებში³.

ჩვენთვის განსაკუთრებით სნიშვნელოვანია ის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელსაც აღგილი ჰქონდა მარტილში. მოღწეული მასალებით ხერხდება ნაწილობრივი გათვალისწინება იმ კულტურულ-ლიტერატურული მუშაობისა, რომელიც ჰყონდიდელ მოღვაწეებს ჩაუტარებიათ. ცნობილი არიან იქაური მწიგნობრები: სტეფანე სანანოსძე, გიორგი ჰყონდიდელი, იოანე მთავარეპისკოპოსი, იოანე მესვეტე, ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი, რომანოზ მესვეტე და სხვ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის პირნიც, რომლებიც, მართალია, საქართველო ცენტრში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ჰყონდიდის კათედრას ხელმძღვანელობდნენ და ჰყონდიდლებად იწოდებოდნენ (გიორგი ჰყონდიდელ-მწიგნობაოთხუცესი, ანტონ გლონისთავასძე).

სტეფანე სანანოსძე ჰყონდიდელი ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პირია. როგორც აღვნიშნეთ, ძველ წყაროებში სტეფანე მეტწილად დავით ტბელთან ერთად იხსენიება⁴. მის შესახებ შემონახულია ბუნდოვანი ცნობები⁵, რომელთა მიხედვით მისი მოღვაწეობის ხანის დადგენა საკმაოდ ძნელდება⁶. აკად. კ. კეკელიძის გამოკვლევით, სტეფანე სანანოსძე მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა.

სტეფანე სანანოსძე ჰყონდიდელად იხსენიება მიქაელ მოდრეკილის ცნობილ კრებულში (S № 425)⁷. საფიქრებელია, სტეფანე სანანოსძე იყოს ის სტეფანე ჰყონდიდელი, რომელიც ექვთიმე მთაწმიდლის კითხვა-მიგებაში იხსენიება⁸. საგულისხმოა მისი დაინტერესება აპოკრიფული მწერლობის საკითხებით.

სტეფანე ჰყონდიდელს შეუთხზავს ორიგინალური ჰიმნები—დაუწერია ნათლისღების, აბო თბილელისა და სტეფანე პირველმოწამის დასდებლები⁹. მასვე ჩაუტარებია მთარგმნელობითი მუშაობაც; ქართულად გადმოუღია „საკითხავი დაუჯდომელთა“ (A №№ 5, 140, 162, 272; Q № 762; K №№ 2, 8), „ცხორება თეოქტისტის ლეზველისაჲ“ (S № 384) და გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ წმიდისა სტეფანე პირველმოწამისაჲ“ (A № 1170; K № 5)¹⁰.

¹ გ. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 34.

² იქვე, გვ. 4—6, 18.

³ იქვე, გვ. 31—31; დასაუბეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 114.

⁴ საქ. სამოთხე, გვ. 530; ქრონიკები, I, გვ. 113—114; II, გვ. 71.

⁵ Н. Марр, Из книги наречья Вараха о грузинских переводах духовных сочинений и горичтеской повести „Дареджашнаш“, ИАН, X, № 2, 1889, გვ. 234, 239.

⁶ აკად. ნ. შარა სტეფანეს მოღვაწეობას სხვადასხვა დროს ათარიღებდა მე-7, მე-8—9 და მე-10 საუკუნეებით (იქვე, გვ. 241—242, შენ. 1; მისივე, Из поездки на Афон, КРИМ, 1899, III, გვ. 5; მისივე, Археографические материалы по грузинским рукописям Инсра, ЗБОРАО, XIII, 1901, გვ. 106).

⁷ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 546, 552—553, 556, 564—565, 567.

⁸ საქ. სამოთხე, გვ. 433.

⁹ ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. რნა—რნხ; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 643—644, 697—699, 873, 017, 092—095. იხ. აგრეთვე ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტოპიათა, I, გვ. 350.

¹⁰ კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 177, 192, 207, 225.

სტეფანე ჭყონდიდელი თავისი დროის მწერლობის საყურადღებო წარმომადგენელია¹. თანამედროვენი თუ მემკვიდრენი მას ღირსეულად აფასებდნენ. ეს გარემოება საგანგებოდაა აღბეჭდილი რუის-ურბნისის კრების დადგენილებაში².

მე-11 საუკუნის პირველი ნახევრიდან ცნობილია გიორგი ჭყონდიდელი. როგორც ჩანს, მას კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა ათონის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლებთან. ზემოხსენებული კითხვა-მიგება წარმოადგენს ექვთიმე ათონელის პასუხს გიორგი ჭყონდიდლის შეკითხვაზე.

ექვთიმე ასე იწყებს: „ღმერთშემოსილო მამაო გიორგი, მომიბოძენ ღწ ღად ლოცვაჲ თქუშნი ამათ პართათჳს, რომელ გეკითხნეს ჩუშნისა უღარსები-საგან; განმარტებაჲ მისი ღწ გამოგვიცხადოს და თქუშნისა საკითხაგისათჳს მეცა მიუწყოს ჯგროვანი პასუხი“³. ამას მოსდევს ვრცელი განმარტება და ჩამოთვლა იმ წიგნებისა, რომელთაც „კათოლიკე ეკლესია არა შეიწყნარებს“. აქ მოხსენიებული გიორგი, ჭყონდიდელი მოღვაწე უნდა იყოს. ამას საფიქრებელს ხდის ტექსტის ცნობა: „მოეწერა მუნით სტეფანე ებისკოპოსსა“, „მოეწერა ქართლით სტეფანე ებისკოპოსსა ჭყონდიდისასა“⁴.

როგორც ჩანს, გიორგი ჭყონდიდელი დანიტერესებული ყოფილა სასულიერო-საეკლესიო მწერლობით. მას სურდა ქართული ეკლესია განეტვირთა და დაეცვა აპოკრიფული ძეგლებისაგან და საკითხის გასარკვევად ექვთიმე მთაწმიდლისათვის მიუმართავს. ექვთიმეს მისი სურვილი გაუთვალისწინებია, აპოკრიფული წიგნების სპეციალური ნუსხა შეუდგენია და საქართველოში გამოუგზავნია.

ამრიგად, გიორგი ჭყონდიდლის ინიციატივით გარკვეულ იქნა ზოგიერთი საცილობელი საკითხი, რომელიც იმხანად ქართულ ეკლესიას აწუხებდა⁵.

მე-11 საუკუნეშივე მოღვაწეობდა იოანე ჭყონდიდელიც. ის 1054 წელს ერისკაცად ჩანს, ხოლო 1065 წელს უკვე მთავარეპისკოპოსია და მართა დედოფალს ახლავს კონსტანტინოპოლში. ბიზანტიის დედაქალაქში ის საქართველოს საელჩო საქმეებს აგვარებდა, იქვე მიუღია სვინგელოზობა⁶.

იოანე ჭყონდიდელი გარკვეულ ყურადღებას უთმობდა ათონის ქართულ სავანეს, ეხმარებოდა მას, ზრუნავდა იქაურ ძმობაზე⁷ და მის ლიტერატურულ ცხოვრებასაც ადევნებდა თვალს. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების აღწერისა. გიორგი მცირე საგანგებოდ გვაუწყებს, რომ იოანე ჭყონდიდელი იყო ერთი იმათგანი, ვისი დავალებითაც მან თავისი დიდი მასწავლებლის ცხოვრების აღწერას მიჰყო ხელი⁸.

¹ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 178—180 (სტეფანე იხსენიება H № 341 ხელნაწერშიც. იხ. „მიმომხილველი“, I, 1926, გვ. 280—281).

² საქ. სამოთხე, გვ. 530; ქრონიკები, II, გვ. 71.

³ ქრონიკები, II, გვ. 83.

⁴ იქვე; საქ. სამოთხე, გვ. 433.

⁵ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 180, 195, 431—433, 435, 564, 567, 580. იხ. აგრეთვე ა. შანიძე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები, თსუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 29.

⁶ H № 1350, 77v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 306.

⁷ ათონის კრებული, გვ. 220.

⁸ ათონის კრებული, გვ. 280. სხვათა შორის, იოანემ და მისმა ძმამ განუწყესს სააღაპოდლე გიორგი მთაწმიდელს (იქვე, გვ. 347).

მე-11 საუკუნიდანვეა ცნობილი იოანე მესვეტეც. ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მარტვილის მონასტრის სვეტზე¹. მის სახელთანაა დაკავშირებული 1031 წელს გადანუსხული ერთი ძვირფასი ხელნაწერი — აგიოგრაფიული კრებული (Q № 240). აღნიშნული ხელნაწერი მას დაუშვადებია „სვეტსა ზედა ჭყონდილისასა“ ვახტანგ ფარჯანიანის დავალებით.² მისივე დავალებით გადაუწერია იოანეს ერთი ნაწილი მხატვრულად გაფორმებული ოთხთავისა (S № 391)³.

საკმაოდ ცნობილი მოღვაწეა დავით აღმაშენებლის თანამედროვე და ახლობელი პირი გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. როგორც აღნიშნეთ, ის იყო დავითის აღმზრდელი და ერთგული მოკავშირე, ხელისშემწყობი და მიმდევარი; ის იყო პირველი მოღვაწე, რომელმაც მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლის თანამდებობა და პატივი გააერთიანა და შეათავსა. ჩვენამდე მოღწეულია მისი დაკვეთით დამზადებული ხელნაწერი (A № 1114).

თამარის დროის ცნობილი მოღვაწეა ანტონ გლონისთავისძე, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (იხ. თბილისი). მისი ინიციატივითაა თარგმნილი „წიგნი სააქიმოა“ (S № 1274, 7r).

1777—1788 წლებში ჭყონდიდის ეპარქიას მართავდა ცნობილი ქართველი მწერალი ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი. ის იყო შვილი სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანისა (1728—1744), აღიზარდა მთავრის კარზე, ხოლო შემდეგში მარტვილის მოღვაწეთა დახმარებით გაიწაფა სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში. სწავლის გასაგრძელებლად გამოემგზავრა აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც დაემოწაფა ფილიპე ყაითამაზაშვილს. იმდენად კარგად შეისწავლა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, რომ ფილიპეს თანამოღვაწე და თანამშრომელიც კი გახდა (I № 95). დაბრუნდა რა დასავლეთ საქართველოში, ის ჯერ ცაგერლად (1761—1777), ხოლო შემდეგ ჭყონდილად დაადგინეს. 1788 წელს დატოვა ჭყონდიდის კათედრა და ნახარებუს მონასტერში დასადგურდა, მაგრამ საეკლესიო საქმეებში შემდეგშიც ერეოდა, კერძოდ, ხელმძღვანელობდა 1792 და 1794 წლებში მოწვეულ საეკლესიო კრებებს. გარდაიცვალა 1815 წელს, დაკრძალულია ნახარებუს მონასტერში⁴.

ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი ნაყოფიერი მქადაგებელი ყოფილა. ჩვენს სიძველეთსაცავებში მისი ქადაგებები ხშირად გვხვდება⁵.

¹ აღნიშნული სვეტი გასულ საუკუნეში კიდევ არსებობდა. ის ნახეს დ. ბაქრაძემ, პ. კარბელაშვილმა და სხვ. იხ. А. Павлович, Экспедиция на Кавказ 1888 года, МАН, II, 1893, გვ. 55—56. სვეტი ცნობილია აგრეთვე შეგუთში (იხ. ტბეთი), ოლთისში (ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 54), იმერეთში (იხ. კაცხი და ზემოთ გვ. 550, შენ. 3), კახეთში (ი. ა. ჯეჯეანიძე, თბილისიდან აღაზნის ველისაკენ, გვ. 69; ვ. დოლიძე, ნორიოსა და მარტყოფის არქიტექტურული ძეგლები, „თბილისი“, 10.1V.58, № 73 (1476) და სხვ.

² ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 246—247. აღნიშნული ხელნაწერი სვანეთში ნახეს და აღწერეს დ. ბაქრაძემ, პ. კარბელაშვილმა და აკად. ე. თაყაიშვილმა. პ. კარბელაშვილს შესაძლებლად მიაჩნდა იოანე მესვეტის დაკავშირება მიქაელ მოღრეკილის კრებულის ერთ იოანესთან, რა ე, რასაკვირველია, მცდარია (იხ. მისი სვანეთში ორი კვირით, „ივერია“, 1904, № 68; მისივე, IX საუკუნის ტყაუხუ ნაწერი საჯალობელი, „ივერია“, 1836, № 140).

³ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 489—490.

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 368, 391—395.

⁵ A №№ 513, 719, 1163, 1478; H №№ 77, 669, 866, 1008, 1775, 2014; S №№ 105, 291;

საყოფადღებოა, რომ ანტონი იყო არა მხოლოდ გამოჩენილი მქადაგებელი, ნიჭიერი და წვევრმეტყველი ორატორი, არამედ მთარგმნელ-რედაქტორიც. ზას ფ. ყაითაზაშვილთან ერთად უთარგმნია-გადმოუყუებებია სომხური თხზულებანი (N № 250, K № 95). მისი სახელით მოღწეულია აგრეთვე ანდერძი ნაპარებუს მონასტრისადნი (A № 1379)¹.

ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება სხვა ქყონდიდელ მწიგნობრებზეც, რომლებიც თვით წერდნენ თუ სხვებს აწერიებდნენ ძველ თხზულებებს. მაგალითად, გაბრიელ ქყონდიდლის.—ბეჯან დადიანის ძის,—ინიციატივითაა გადაწერილი ვატიანის საპართალი (II № 1683), ოჯულისკანონი (Q № 53), დოგმატიკურ-ასკეტიკური და მეცნიერული კრებული (S № 269) და სხვ. წიგნები მე-18 ს-ის იან წლებში; ბესარიონ ქყონდიდელმა (1765—1828) ეგნატი კანდელაკს გადააწერინა მეტაფრასი²; დავით ქყონდიდლის,—ზურაბ წერეთლის ძის,—დაკლებით დამხადდა რამდენიმე ხელნაწერა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში (H № 1009; A № 1523; Q № 75); გრიგოლ ქყონდიდელ არქიმანდრიტმა გადააწერინა ანტონ ქყონდიდლის ქადაგებანი (A № 1478), ლევან დადიანის ძემ, გიორგი ქყონდიდელმა 1838 წელს—საბას ლექსიკონი (Q № 82), 1839 წელს—გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება (Q № 48) და ა. შ.

მე-19 ს. 20—30-იან წლებში მრავალი ხელნაწერი დაუმზადებია რომანოზ ნეჰვეტეს, რომელსაც, მისი ცნობით, მარტვილის სვეტზე გაუტარებია 35 წელი³.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მარტვილის მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია. რომელიც დღეს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მშენებას წარმოადგენს⁴.

ზ უ გ რ ი დ

სამეგრელოს სამთავრო აღრე ეგრისის საერისთავოს სახელით იყო ცნობილი⁵, ხოლო შემდეგში, მე-12 საუკუნიდან, ოდიშის საერისთავოდ იწოდებოდა⁶. იქაური ერისთავი საქართველოს მეფეს ექვემდებარებოდა და ემორჩილებოდა. ცენტრალური ხელისუფლებისაგან განკერძოებისა და დამოუკი-

Q № 303; K № 235; არქ. ხელნ. № 375 და სხვ. ანტონის ქადაგებები. გამოქვეყნო თ. ყორღანიანი 1898 წელს წ. ქუთაისში. ამ გამოცემა გამოემაჟოა ა. წერეთელი. იხ. „აკაკის თეიური კრებული“, 1897. II. გვ. 105—107 (---). წერეთელი, თხზულებანი (სრული კრებულნი შვიდ ტომად). VI, ობ. 1957, გვ. 135—137). ანტონის, როგორც მქადაგებლის, როლი ჩვენი კულტურის ისტორიაში გარკვეული აქვს დოქ. ნ. კანდელაკს (იხ. მისი კართული კლასიკური მწვერმეტყულება, გვ. 327—333).

¹ გამოქვეყნა თ. ნუსკივაძემ („კოლიდა“, 1912, №№ 39, 40). როგორც ანდერძიდან ჩანს, ანტონს ნაპარებუს მონასტრისათვის შეუწირავს მრავალი ხელნაწერი. ამ მონასტრიდან ნოღწეულია რამდენიმე ხელნაწერი. (A № 1712; H № 77; Q №№ 101, 102, 137, 246).

² ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 28, 31, 162.

³ A №№ 1497, 1523; H №№ 1035, 1009, 1695; S № 350; Q №№ 43, 48, 82; K № 103.

⁴ Q № 34—160. ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 36—100. ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 78—118.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24, 57.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34.

დებლობის მოპოვებისაკენ სწრაფვა ოდიშის ერისთავებს აღრევე დაეტყობ, მაგრამ ამ მისწრაფების განხორციელების ცდა თვალნათლივ შეინიშნება მე-13 საუკუნის 20—30-იანი წლებიდან. ხვარაზმელთა შემოსევამ, ხოლო მომდევნო ხანაში მონღოლთა გაბატონებამ ძირი განმოთხარა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფეოდალური მონარქიის ძლიერებას. ერისთავები განდგნენ, განკერაოვდნენ და საკუთარი ინტერესების შესაბამისი მოქმედებით შემოიფარგლნენ. მე-14 საუკუნის ოციანი წლებში სამეგრელოს მთავრად ჩანს გიორგი დადიანი. მას ჰქონდა მთავრის თითქმის ყველა ნიშანი. ხოლო მისი ძე—მანია დადიანი ერთ ხანს მაინც (1323—1327) სრულიად დამოუკიდებელი მთავარი იყო. სამეგრელოს მთავრები შემდეგში კიდევ უფრო ძლიერდებიან და მე-15 საუკუნის 60-იან წლებში ახალ წარმატებას აღწევენ; ისინი ხარკსაც აღარ აძლევენ იმერეთის მეფეს და მათი მეფესთან დამოკიდებულება მხოლოდ „ლაშქრობასა“ და „ქვეგანწესებაში“ გამოიხატებოდა, ხოლო მე-16 საუკუნის შუა წლებში აღარც ეს დამოკიდებულება არსებობდა. იმერთა მეფემ ბაგრატ მესაძემ (1510—1565) სცადა სამეგრელოს მთავრის ლევან I დადიანის (1532—1572) დამორჩილება, 1564 წელს ის „გელათის სამრეკლოსა შინა პატინარჰყო“, მაგრამ დადიანი გაიპარა და იმერთა მეფის განხრახვა შეუსრულებელი დარჩა. ამის შემდეგ სამეგრელოს მთავარი კიდევ უფრო განუდგა და გაენიჭნა მეფეს. ლევან პირველის დროს სამეგრელოს სამთავრომ სავსებით დააღწია თავი იმერთა მეფისადმი დამოკიდებულებას, მას არც ეკონომიური, არც სამხედრო ვალდებულება არ გააჩნდა მეფის წინაშე (არქანჯელო ლამბერტი). მიუხედავად დამოუკიდებლობის მოპოვებისა, დადიანები ერთ ხანს კიდევ ატარებდნენ იმერეთის სამეფო კარის ტიტულებს (მაგალითად, ლევან I ერისთავთ-ერისთავად და მანდატურთუხუცესად იწინიებოდა), მაგრამ ეს ტველი ვითარების მოგონება იყო და რეალური საფუძველი აღარ გააჩნდა¹. ლევან პირველის შემდეგ დადიანები ძველ ტიტულებს აღარ ატარებდნენ და ზოგჯერ ხელმწიფეებადაც კი იწოდებოდნენ².

მე-19 საუკუნის დასაწყისში (1803 წ.) სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მთავრობის ქვეშ შევიდა, მაგრამ ავტონომიური უფლებებით არსებობდას განაგრძობდა საუკუნის მეორე ნახევარმდე. 1857 წელს სამთავრო გაუქმდა, სამეგრელო რუსეთს შეუერთდა³.

სამეგრელოს ცენტრში, ზუგდიდში, სადაც იყო „სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი. ზღუდე-გოდლიანი“⁴, ლიტერატურული ტრადიციები აღრეული ხანიდან შეინიშნება⁵.

¹ ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, „სისტორიო მოაზრებ.“, 1925, II, გვ. 203.

² ქრონიკები, II, გვ. 447, 472; საქ. სიძველენი, I, გვ. 29—30; II, გვ. 78, 80; ეთაჟაი-შვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 191; ისტ. დოკუმენტები, I, გვ. 151; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 40, 61—62, 65—67, 87; II, გვ. 176. თ. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, „მიმონიშნულნი“, II, 1951, გვ. 171—183. ირ. აბრეთეე ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

³ ა. თორცხალიაშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955: ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1951, გვ. 245—268.

⁴ ვახუშტი, აღწერა, გვ. 167.

⁵ მე-11 საუკუნის პოეტის ივანე დადიანის (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300) სხელთანაა დაკავშირებული ერთი საინტერესო ავთოგრაფიული კრებული (II № 1709; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 139—140).

ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისადმი ინტერესს იჩენდა ლევან პირველი (1532—1572). მან და მისმა მეუღლემ ელენე დედოფალმა ქართველ მწიგნობრებს რაფაელსა და მანასეს გადააწერინეს ის ოთხთავი, რომელიც აკად. ე. თაყაიშვილმა წალენჯიხაში აღმოაჩინა¹.

ერთგვარი ლიტერატურული ტრადიციები არსებობდა მისი მემკვიდრის გიორგი ნესაის (1572—1582) კარზეც. გიორგი დადიანისა და მისი მეუღლის თანარის დაკვეთითაა გადაწერილი მოქვის გულანი, რომელიც დღეს ნაწილების სახითაა ნოღწეული (A №№ 743, 744, 745, 746, 747)². ხელნაწერთა მინაწერებიდან ირკვევა; რომ დადიანთა დაკვეთა შეუსრულებიათ ზებედე და გიორგი კალიგრაფებს. გიორგი III დადიანის დაკვეთითაა დამზადებული აგრეთვე თენი (A №№ 824, 827)³.

განსაკუთრებით ცხოველი ლიტერატურული საქმიანობა იყო გაჩაღებული ლევან II დადიანის (1611—1657) კარზე. ლევანი თუ ერთის მხრივ იყო „ბოროტი, ხეანჯიანი, ამაყი, მზაკვარი“ (ვახუშტი), მეორეს მხრივ, ცნობილია როგორც მეცენატი და ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწე პირთა ხელშემწყობი. ჩვენთვის ცნობილია ლევან II დადიანის კარზე მოღვაწე ორი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა. მასალების გაანალიზებით ირკვევა, რომ ლევანის კარზე მოღვაწეობდნენ მამუკა თავაქალაშვილი და ბარძიმ ვაჩნაძე.

მამუკა თავაქალაშვილი ქართული კულტურის თავდადებული მუშაკია. ის იმერეთის სამეფოს მდივანი ყოფილა, მეფის მდივნად იხსენიება ლევან დადიანის განჩინების წიგნშიც⁴. მე-17 საუკუნის ოცდაათიან წლებში მამუკა ტყვედ მოხვდა სამეგრელოში. როგორც ცნობილია, ქართლის მეფემ როსტომმა და ლევან II დადიანმა 1634 წელს დაამარცხეს თეიმურაზ პირველისა და იმერეთის მეფის გიორგის ლაშქარი⁵. ბრძოლის ველზე ლევან დადიანმა მრავალი ტყვე ჩაიგდო ხელში და სამეგრელოში წაიყვანა; მათ შორის უნდა ყოფილიყო მამუკა მდივანიც. ამ უკანასკნელს ლევან დადიანის კარზე 1634—1657 წლებში საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა გაუჩაღებია. იქ შეუქმნია მას „ზაქიანი“—ძველ ქართულ მწერლობაში საკმაოდ პოპულარული თხზულება⁶. მასში ცალკე თარობადაა წარმოდგენილი ზაქის თავგადასავალი, რომელიც „შაქ-ნამე“ ეპიზოდის სახით გვხვდება. როგორც ირკვევა, მამუკას ის სპარსულიდან კი არ უთარგმნია, არამედ ქართულ ენაზე არსებული თარგმანები გამოუყენებია⁷.

¹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 237.

² Описание рукописей (A), II, გვ. 204—208.

³ იქვე, გვ. 17—18, 20—21.

⁴ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 52. ამ გვარიდან არა ერთი პირი ყოფილა მდივნად (იქვე, გვ. 10, 19, 31, 34, 37, 59, 80; ისტ. დოკუმენტები, I, გვ. 17, 26, 28—29, 35—41, 63, 69, 142, 159. იხ. აგრეთვე ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, „საისტორიო მოამბე“, 1924, II, გვ. 39, 67; მისივე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, „საისტორიო კრებული“, III, 1928, გვ. 51).

⁵ ქრონიკები, II, გვ. 451, 463. თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ საბუთებში მცირედენი ქრონოლოგიური შეცდომაა.

⁶ შაქ-ნამე, I, გვ. 1—36.

⁷ ა. ბარაძემ იქვე, შაქ-ნამეს ახლად აღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 203—207.

„ზააქიანის“ ავტორი თვით გვაწვდის საინტერესო ცნობებს როგორც მისი ცხოვრების, ისე თხზულების ლიტერატურული ისტორიის შესახებ.

მეფის მდივანმანქამუშავე¹ თქვი ესე „ზააქიანი“,
მარგია ესე სასმენლად,—აკი ვინცა ხარ თ ქვიანი.
ოდიშს ტყვედ ვიყავ, გავლექსე, მე თავსა უყავ ზიანი,
ვინცა შენდობა მიბძანოთ, თქვენი არ იყოს ზიანი².

მამუკა მდივანი დიდად აქებს თავის მეცენატს, უწოდებს მას „მზეებრ-მანათობელს“, „ოდიშის მფლობელს“, „ორგულთა დამამგობელს“, „მეტრთა-მზარავს“ და ა. შ.³ ის აღნიშნავს, რომ ძველი ამბავი გაულექსავად იყო დარჩენილი და მან „პატრონთა ბრძანებით“ გალექსა:

საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის ძველი⁴ და
პატრონთ მიბრძანეს, გავლექსე ამბავი ზააქისანი
ტაბილთა სიტყვათა შეწყობა, მოკლედ ამბისა თქმისანი⁵.

იმ პატრონად, რომელმაც „ზააქიანის“ გალექსვა დაავალა, მამუკა ლევან-დადიანს ასახელებს. ამ უკანასკნელის ღვაწლი აღნიშნულია „ზააქიანის“ ხელნაწერის მინაწერშიც: „აქა გათავდა ესე წიგნი ბრძანებითა ხელმწიფისა დადიანის ბატონის ლევანისათა და ხელითა მამუკა თავაქალაშვილისათა ქორონიკონსა სამას ოცდათუთხმეტსა, თვესა ივლისსა ოცდაშვილსა“ (S № 1594).

მამუკა მდივანი კარგი კალიგრაფი ჩანს. ლევან დადიანისავე დავალებით მას გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი საყურადღებო ხელნაწერი (H № 599) 1646 წელს. ესაა მდიდრულად მოხატული ნუსხა, ახლავს ორმოცამდე ილუსტრაცია შესრულებული ფერადი საღებავებითა და ოქრომელნით და პორტრეტები ლევან დადიანის, შოთა რუსთაველისა და მამუკა მდივნისა. ფიქრობენ, რომ ხელნაწერი მოხატულია მამუკა თავაქალაშვილის მიერ⁶. როგორც არ უნდა იყოს, ამ უძველესი თარიღიანი ხელნაწერის მოხატულობა

¹ მამუკა მდივნის გვარი რომ თავაქალაშვილია, დღეს ეს საბოლოოდ გარკვეულია (ა. ბარამიძე, „შენიშვნები შაჰ-ნაშეს ქართული ვერსიების შესახებ“, „საქართველოს არქივი“, 1927, III, გვ. 66—68).

² შაჰ-ნაშე, I, გვ. 6—7.

³ მამუკა გარკვევით ასახელებს ლევან დადიანს და არავითარი საფუძველი არ არსებობს მის პატრონად მანუხარ დადიანის მიჩნევისათვის (იქვე, გვ. 6, შენ. 7. შტრ. Описание рукописей (S), II, გვ. 366—368).

⁴ შაჰ-ნაშე, I, გვ. 3.

⁵ იქვე, გვ. 9.

⁶ შ. ა. მ. ი. რ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის, „ქართული მწერლობა“, 1927, № 6—7, გვ. 191—192; მისივე, „Витязь в тигровой шкуре“ в грузинской миниатюре, „Заря Востока“, 17.V. 37, № 111 (4132); მისივე, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, ენიშნის მონაშე, III, 1938, გვ. 136, 151—152; მისივე, История грузинского искусства, I, გვ. 285; დ. ჯანელიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ადრინდელი დამსურათებელი, „კომუნისტი“, 24.XII.37, № 294; ბ. გორდენიანი, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებანი, „ლიტერატურული საქართველო“, 26.XII.37, № 32 (54); მისივე, ქართული გრაფიკა, თბ., 1959, გვ. 24; ნ. ქელიძე, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 5, 12, 31—41. იხ. აგრეთვე ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 52; გაბაყელევი, გვ. 166. გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებად. იხ. ლ. შერვაშიძე, „ვეფხისტყაოსნი“ 1646 წლის ხელნაწერის მინიატურების ავტორობის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მონაშე, XVI, № 6, 1955, გვ. 487—494.

აგრეთვე მასალას იკლავა მე-17 ს. საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფის, სა-
ოჯაო ინვენტარისა და სხვა დეტალების შესასწავლად¹. მიუხედავად იმისა,
რომ ამჟამად ლეკანას დაქვეითი უადებოდა მეშობა, ის მაინც თავის მდგო-
მა-ეობას ანეუად თვლიდა და თავისი ნამუშევრით არ კმაყოფილდებოდა.
საკვლისამოა იმეა მინაწერია: „თუ რამ აკლდეს, ნურავინ დამწყველით,
ტყვეობამიდ ვწერი“ (H № 599, 267r). მინაწერებითვე ირკვევა, რომ მამუკა
ტყვეაა ვანთავისუფლებასზე ოცნებობდა: „ქ. ღმერთო, დაიხსენ მძევლები ამ
განააკლელიდა. აქედან მზვიდობით წაიყვანე თავის ქვეყანასა“ (H № 599, 20r).
დაწუკის გადაუწერია აგრეთვე „უთრუთიან-საამიანი“ (S № 1594)².
დაახლოებით იმავე პერიოდში მოღვაწეობდა სამეგრელოში ბარძიმ ვაჩ-
ნაძე. მის შესახებ ცნობას გვაწვდის არჩილი:

ბარძიმ ვაჩნაძემ „საამის წიგნი“ გალუქა ოდიშსა,
სხვა მელექესთან ჯდომაში უბამ იხდილეს ბოდიშსა!
თუ არ შედლო, რასთვის თქვა, რად შეიქმნა საამბოდ იშსა?
ვეპე, თუ არ ეთქვა, მით უთქვამს, საქმეს უხამდენ საშიშსა³.

ბარძიმ ვაჩნაძის შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით. ძნელია ზ. ჭიკი-
ნაძის ნიერ შეთხზული ბიოგრაფიის შეწყნარება⁴, მაგრამ ერთი მაინც ცხა-
ლია—ბარძიმ ვაჩნაძე კახელი თავადიშვილია. საფიქრებელია, ისიც 1634 წელს
ჩაუვარდა ტყვედ ლეკან დადიანს.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს დამაჯერებლადაა გარკ-
ვეული, რომ თავისებურად გადამუშავებული „შაჰ-ნამეს“ დასაწყისი ნაწილი
აოთხნაწილი სახით თარგმნილი ყოფილა ქართულად მე-16 საუკუნეში. ამ თხზუ-
ლებას „უთრუთიან საამიანს“ უწოდებენ (აკად. კ. კეკელიძე). შემდეგში ის
გაულებსავთ⁵. აი, ეს ნაწარმოები, „საამიანის“ ლექსითი რედაქცია, მიეწე-
რება ბარძიმ ვაჩნაძეს. გარდა არჩილის ზემოასენებული გამონათქვამისა, ამ
გარეშობას ადასტურებს ხელნაწერის ცნობაც: „საამის ამბავი ბარძიმ ვაჩნა-
ძის ნათქვამია“ (S № 1505).

ბარძიმ ვაჩნაძე მისი თანამედროვეების შეფასებით „ბრძენი და უკეთილ-
შობილესი ადამიანი იყო“⁶. როგორც პოეტი, ის მამუკაზე მაღლა დგას; მისი
ლექსი, რამდენადმე, უფრო დახვეწილია და მხატვრული ღირსებაც მეტად
მოუპოვება. არჩილის მკაცრი საკმაოდ მკაცრი და ძნელი შესაწყნარებელია⁷.

¹ Описание рукописей (S), II, გვ. 569—572; ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 51—52; გზაჰკვლევი, გვ. 166.

² მამუკა მდივანზე გარდა დასახელებული შრომებისა იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 342—347; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 45—49, 78—89. იხ. აგრეთვე ს. ყუბანეიშვილი, ლიტერატურული და ხალხური ზაქიანი, საქ. სპ. მეც. აკად. მოაზგ. XIV, იხ. 6, 1953, გვ. 377—382.

³ არჩილიანი, II, გვ. 4.

⁴ ზ. ჭიკინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 13.

⁵ შაჰ-ნამე, I, გვ. 37—297.

⁶ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 189.

⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 337—342; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 82—93.

ძველ საქართველოში ფრიად პოპულარული იყო სახლპრო თხზულება „რუსუდანიანი“¹. ამ ძველ მკვლევარნი სხვადასხვა დროს ნიაქუთენებდნენ. პროფ. დ. ჩუბანაშვილი და პროფ. ა. ხანაშვილი მას მე-13 საუკუნით ათარილებდნენ, აკად. მ. ბროსე—მე-15 საუკუნით, აკად. ე. თაყაიშვილი—მე-16 საუკუნით, ხოლო აკად. ნ. მარი—მე-17 საუკუნის გასულით. უკანასკნელ წლებში გავრცელებულა მოსაზრებით „რუსუდანიანის“ ჩამოყალიბება მე-17 საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და სამეგრელოს სამთავროს უკავშირდება².

1716—1728 წლებში სამეგრელოს მთავრად იყო ბეგან დადიანი. ის ენერგიულად მართავდა თავის სამფლობელოს, ერეოდა საეკლესიო ცხოვრებაშიც (მისი სიტყვით და ბრძანებით აუბაზეთას კათოლიკოსმა გრიგოლმა კყონდიდელ მიტროპოლიტად აკურთხა ევდემონ ლოლობერიძე)³.

ბეგან დადიანის კარზე მოღვაწეობდა „მდივან-მგალობელ-მწიგნობარი“ პეტრე ჩხატარაისძე. მისი სახელი ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში საკმაოდ ცნობილია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის წველილი, რომელიც პეტრე ჩხატარაისძეს შეუტანია „ალექსანდრიანის“ ქართული ვერსიების ჩამოყალიბების საქმეში.

საგმირო-სახლპრო თხზულება „ალექსანდრიანი“ სერბიულიდან ნომდინარე რუსული რედაქციიდან თარგმნა არჩილ მეფემ⁴, ხოლო ვალექსა პეტრე ჩხატარაისძემ. სათანალო ცნობას თვით პეტრე გვაწვდის:

ესე ამბავი ჩრდილოეთს, რუსთ ქვეყნად იყო დებული,
ვამთა სიგრიძისა ძველქანითა ყოვლს ქვეყნად დავიწყებელი,
გაოდნოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო ქებული;
მიბრძანება, ლექსად გამოვთქვი, მამენო, იყვენით შევებული⁵.

პეტრე ჩხატარაისძე სხვაგანაც შენიშნავს, რომ მას კი არ უთარგმნია, არამედ მხოლოდ გაუღებესავეს „ალექსანდრიანი“:

ვინებე პეტრე ვალექსად აა „ალექსანდრიანისა“⁶.

„ალექსანდრიანის“ გამლექსავად ზოგს პეტრე ლარაძე მიაჩნდა⁷, მაგრამ ეს სწორი არ აღმოჩნდა. ამ საკითაზე ჩვენ მოგვეპოვება სრული და ამომწუ-

¹ „რუსუდანიანი“ დატულია მრავალ ნუსხაში (S №№ 23, 436, 1541, 2541, 3638, 4625, 4626; H №№ 65, 1036; Q №№ 353, 967; არქ. ხელნ. № 102...). ადრე მისი ცალკეული კარები გამოაქვეყნეს პროფ. დ. ჩუბანაშვილმა, აკად. ნ. მარმა, აკად. ა. ბარამიძემ. 1957 წელს დაიბეჭდა სრული სახით პროფ. ილ. აბულაძისა და დოც. ი. გიგინეიშვილის რედაქციით.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 423—433; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 86—113. „რუსუდანიანის“ წინასიტყვაობაში დოც. ი. გიგინეიშვილმა სცადა ძველის მე-17 საუკუნის უწინარესი ხანით დათარიღება (გვ. V—XXXI), მაგრამ მისი მოსაზრების შესაწინააღმდეგებლად დამატებითი საბუთიანობაა საკირო (ა. ბარამიძე, „რუსუდანიანის“ გამოცემის გამო, „წნათობი“, 1958, № 6, გვ. 164—172. შდრ. დ. ჯანელიძე, „რუსუდანიანი“ და ძველი. სანააოობრივი კულტურა, „ლიტერატურული გაზეთი“, 13.II.59, № 7 (1125).

³ A № 1122, 74v—75r; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 114.

⁴ A. Хачапов, Грзуницкая повесть от Алексеандре Македонском и сербская Александрия, ИМНП, 1933, IX, გვ. 241—252; მისივე, Очерки, III, გვ. 100—112. მისივე, ქართული ალექსანდრია, „ველი“, 1893, № 20, გვ. 15—16.

⁵ H № 2418, 1r; Q № 250, 1r; Q № 736, 3v; K № 195, 1r.

⁶ H № 2418, 160v; Q № 250, 154r.

⁷ თ. ბერაძე, ძველის ხელნაწერის „ალექსანდრიანის“ გამო, „ივერია“, 1900, № 284.

რავი ცნობა პეტრე ჩხატარაისძისა: „ბრძანებითა და ჯერჩინებითა საქართველოს მეპატრონეთა—იმერთა, ოდიშ-გურიის აქიმის და განმგებლის დადიანის ბეჯანისათა და დისწულისა მათისა შეილებრ აღზრდილის და შეყვარებულის, ლეწლისა მძლისა, ახოვნისა სარდრისა... ჩიჩუას გიორგის¹ ბრძანებით მე, მდივან-მგალობელ-მწიგნობარმან ჩხატარაისძემან პეტრე რუსეთით მოღებულის ამბვისაგან გარდმოლებით ვაგლექსე და აწ პელახლა გამოთქმით აღმიწერია წიგნი ესე ისტორია დიდისა ალექსანდრისა“².

მოტანილი ამონაწერიდან ჩვენ რამდენიმე საყურადღებო ცნობას ვიღებთ. აქ პირდაპირაა დასახელებული ის პირი, ვისი დაკვეთითაც მუშაობდა პეტრე ჩხატარაისძე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ უკანასკნელმა ჯერ გალექსა „ალექსანდრიანი“, ხოლო შემდეგში კვლავ პროზაულად გადაამუშავა³.

პეტრე ჩხატარაისძე არჩილს გარდაცვალებულად იხსენიებს. მაშასადამე, „ალექსანდრიანის“ ახალი რედაქციების ჩამოყალიბებას 1713 წლის შემდგომ ხანაში ჰქონდა ადგილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბეჯან დადიანი 1728 წელს მოკლეს, მაშინ „ალექსანდრიანის“ ჩხატარაისძისეული რედაქციები 1713—1728 წლებით უნდა დავათარილოთ⁴.

პ. ჩხატარაისძეს დაუწერია აგრეთვე ჩახრუხული—ხოტბა გიორგი გურიელისა⁵. მასვე დაუწერია გიორგი გურიელის შეწირულების წიგნი 1713 წლისა⁶.

ანტონ I და იოანე ბატონიშვილი პ. ჩხატარაისძეს საქმაოდ კარგად ახასიათებენ, უწოდებენ მას „მალალ მეზაირეს“, „მესტიხეს“, რიტორს, მშვენიერ მოუბარს, „წერილთა შინა გამოცდილს“⁷. ზოგიერთი ცნობა პეტრეს შესახებ გვხვდება პ. იოსელიანის შრომებშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, საბუთების დაუსახელებლად და წყაროების მიუთითებლად⁸.

ლიტერატურული ტრადიცია სამეგრელოს სამთავროში გვიან ხანამდე გრძელდებოდა. ინტენსიურად წარმოებდა ხელნაწერების გამრავლება. ამ საქმის ინიციატორებად მეტწილად დადიანები ჩანან. ასე, მაგალითად, ოტია დადიანისა (1728—1744) და მისი მეუღლის გულქან დედოფლის დაკვეთითაა გადაწერილი ტიბიკონი (Q № 76) 1738 წელს; გულქანისავე ბრძანებითაა

¹ მოღწეულია გიორგი ჩიჩუას ბრძანებით გადაწერილი კრებული (Q № 41), რომლის მოზრდილი ნაწილი საბელგანთქმული შატბერდის კრებულის პირს წარმოადგენს.

² H № 376, 2r; H № 1204, 1r; K № 199, 1r; K № 213, 2r.

³ ჩვენამდე მოვლადაა მოღწეული პ. ჩხატარაისძის მიერ დამუშავებული „ალექსანდრიანის“ როგორც ლექსითი (S №№ 355, 2841, 3623; H № 2418; Q №№ 250, 736; K № 195; არქ. ხელნ. № 152), ისე პროზაული რედაქციები (S №№ 1514, 3619; H №№ 376, 1047, 1204; Q №№ 393, 735; K №№ 199, 213).

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 71, შენ. 3; II⁴, გვ. 362—364; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 235—246.

⁵ S № 355, Q № 736; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 190—191; ანთოლოგია, II, გვ. 159—160.

⁶ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 108—109.

⁷ წყობილსიტყვაობა, გვ. 275; კალმასობა, II, გვ. 181.

⁸ წყობილსიტყვაობა, გვ. 275, შენ. 452; П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 159.

დამზადებული თენისა (Q №№ 88—89) და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის (H № 172) ნუსხები; „სრულიად ოდიშთა და ლეჩხუმთა“ მკერობელმა გრიგოლ დადიანმა (1788—1804) „პალატა სამეფოსა“ გადააწერინა პარაკლიტონი (Q № 63) და ტ. გაბაშვილის „მიმოსლვა“ (H № 1014); ლევან დადიანის (1804—1846) მეუღლის, მართა დედოფლის ინიციატივითაა გადაწერილი კლემაქსი (A № 1489) და მეტაფრასი (A № 1485); მანუჩარ კაციას ძე დადიანმა 1839 წელს რომანოზ მესვეტეს გადააწერინა მეტაფრასი (H № 103); ელიზბარ გიორგის ძე დადიანმა 1841 წელს გადააწერინა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (H № 786) და სხვ. რასაკვირველია, კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურებოდა. დადიანთა ზოგიერთი წარმომადგენელი საკმაოდ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია მოვივიროთ ნიკო გიორგის ძე (1765—1834)¹ და გრიგოლ ლევანის ძე (1814—1902)² დადიანებისა და სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით ლევანის ძე დადიანის (1840—1853)³ კულტურულ-ლიტერატურული შემკვიდრება.

სამეგრელოს ცენტრის—ზუგდიდისა და მისი შემოგარენის ლიტერატურულ ცხოვრებასა და იქაურ მოღვაწეთა ფართო გონებრივ ჰორიზონტზე მეტყველებს ხელნაწერთა ის მდიდარი კოლექცია, რომელიც დადიანთა წიგნსაცავიდანაა მოღწეული⁴.

მცირეოდენი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა შეინიშნება სამეგრელოს სხვა ეკლესია-მონასტრებშიც. აქვე ვიძლევიტ ცნობებს მათ შესახებ.

წალენჯიხა ახლა რაიონულ ცენტრს წარმოადგენს, მდებარეობს ზუგდიდიდან 25 კილომეტრის დაშორებით. იქ დღემდე შემორჩენილია თლილი ქვით ნაგები ლამაზი ეკლესია (X—XI სს.), რომელიც იქაური ეპისკოპოსის სადგომს წარმოადგენდა. ვახუშტის ცნობით, „ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუნბათიანი, დიდშენობა, შვენიერი,

¹ ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 164—167. საყურადღებოა მისი „დასტურლამა“ (თბ., 1897) და „საქართველოს ისტორია“ (—მეტწილად იმერეთის ისტორია), რომელიც ნაწილობრივ გამოქვეყნდა „ივერიასა“ (1877, №№ 5—7, 9, 12—14, 18; 1879, № 7—8) და S ფონდის რუსულ აღწერილობაში (I, გვ. 14—56. იქვეა რუსული თარგმანიც—გვ. 57—104).

² ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდაშავალი ხანის“ ლიტერატურაში, გვ. 209—216; ს. ცაიშვილი, იოანე გუგუქორისა და კოლაზიდელის იგივეობის შესახებ, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, 1947, გვ. 109—130.

³ ი. მეუნარგია, სამეგრელო სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები ს. ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939. სამეგრელოს სანთავროს ლიტერატურულ ტრადიციებზე იხ. გ. შერვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი, 1946, გვ. 45—46 და შმდ. ი. ბალახაშვილი, ლიტერატურული წიგნები და საღონები საქართველოში, თბ., 1940, გვ. 213—227.

⁴ დადიანთა წიგნსაცავიდანაა S №№ 247, 254, 256—262, 271, 276, 282, 283, 288, 289, 291, 296—299, 315, 335, 337, 341, 347, 373, 374, 406, 419 და მრავალი სხვა ხელნაწერი.

კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიიდან ზღვამდე¹.

წალენჯიხის ტაძარი დადიანთა მეთვალყურეობის ქვეშ იყო, მათი დახმარება-შეწირულებით ძლიერდებოდა², მათ საკრძალავს წარმოადგენდა³.

წალენჯიხის კათედრალთან არსებობდა მონასტერიც⁴. ცნობილი არიან იქაური მოღვაწენი: ბიბლიოფილი ზებედე წინამძღვარი (იხ. ალავერდი) და მოძღვართ-მოძღვარი ილარიონი, რომლის დავალებით გაბრიელ ბოკუჩავას „ქუეყანასა ოდიშსა და მონასტერსა წალენჯიხისასა“ 1667 წელს გადაუწერია კურთხევანი (H № 1719)⁵.

ცაი შის ტაძარი მდებარეობს 9—10 კილომეტრზე ზუგდიდიდან. ძველი ეკლესიის ნანგრევებზე XIII—XIV საუკუნეებში აუგიათ ახალი გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც შემდეგში რამდენჯერმე აღუდგენიათ და გადაუკეთებიათ მიწისძვრით დაზიანების გამო. ვახუშტის დროს ის იყო „დიდი, გუნბათიანი, კეთილშენი და შემკული“⁶. მისი არქიტექტურული ანსამბლი ახლაც გარკვეულ ინტერესს იწვევს⁷.

როგორც ირკვევა ცაიშელი მოღვაწენი სათანადო ყურადღებას უთმობდნენ ხელნაწერთა გამრავლებას. აქ უნდა მოვიხსენიოთ მე-17 საუკუნის მოღვაწე მაქსიმე ცაიშელი⁸, რომლის ბრძანებითაა დამზადებული სახარება⁹ და გრიგოლ ცაიშელი, რომელმაც „განაახლებინა და შეაკვრევინა“ ცაიშის სახელგანთქმული გულანი XVI საუკუნისა¹⁰.

ხო ბი მდებარეობს 15 კილომეტრზე ქ. ცხაკაიდან, ამჟამად რაიონის ცენტრს წარმოადგენს. იქ, ხობის წყლის მარცხენა მხარეს, მალლობზე დაცუ-

¹ აღწერა, გვ. 167. წალენჯიხა ნიშნავს ქვემო ციხეს (ა. ჩიქობავა, ისტორიულ-მედიკალინური ნარკვევები ქართველური ენებიდან, ენიკის მოამბე, I, 1937, გვ. 45).

² სხვათა შორის, ლევან II დადიანმა იმერთა ლაშქარზე გამარჯვების შემდეგ მეფის დროშა წალენჯიხის ტაძარს შესწირა (კ. გრიგოლია, ილარიონ წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 157).

³ ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 121.

⁴ Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 50; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 209—238; Н. Тохмачелсая, Фрески древней Грузии, გვ. 19—20, 33—34; III. Амиранияшвили, История грузинского искусства, I, გვ. 247—248, 272; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 51—65; ა. მიქავა, წალენჯიხის ისტორიული ძეგლები, „ლიტერატურული გაზეთი“, 24.VII.59, № 30 (1148).

⁵ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 152—153.

⁶ აღწერა, გვ. 167.

⁷ ცაიშის ტაძარზე იხ. Fr. Dubois, Voyage, I, გვ. 314; III, გვ. 37; M. Brosset, Rapports, I, გვ. 22, 26—38; Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 145—146; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 93—95; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 163—193; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 67—75; ბ. ზაქარაია, ცაიში, თბ., 1957; მისი ვე, ცაიშის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1956.

⁸ საქ. სიძველენი, I, გვ. 44.

⁹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 187—189.

¹⁰ იქვე, გვ. 189—193.

ლია უგუმბათო, ბაზილიკის ტიპის ეკლესია, რომელსაც სტილით, ჩუქურთმებითა და გეგმით აკად. ე. თაყაიშვილი X—XI საუკუნეებით ათარილებს. ვახუშტით ისაა „გუნბათიანი, კეთილშენი და შემკული“¹.

ხოზის მონასტერში არსებულ მწიგნობრულ ტრადიციებს ამოწმებს დიდებულ ხელნაწერთა კოლექცია, რომელიც კარგა ხანია იპყრობს შვედეთთან ყურადღებას².



¹ აღწერა, გვ. 167. ხოზის ტაძარზე იხ. Fr. Dubois, Voyage, I, გვ. 76, 229, 233, 363; III, გვ. 37; M. Grosset, Rapports, I, გვ. 38—49; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 142; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 80—92; კალისტრატე, ხოზის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო, ახალსენაკი, 1894; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 131—163; Н. Тоhmaчeвская, Фрески древней Грузии, გვ. 37—39; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 75—86.

² ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 157—161.

ა უ ს ა ზ ე თ ი

მ ო ქ ე ი

მოქეი მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში, ცენტრიდან 15-ოდე კილომეტრის დაშორებით. იქ ეკლესია აუგია აფხაზთა მეფე ლევანს (957—967), მასვე დაუარსებია საეპისკოპოსო კათედრა¹. მე-18 საუკუნის შუა წლებში იქ იჯდა „მწყემსი კოდორის მღინარისა და მოქეის მღინარის შორისის ადგილისა“².

მოქეის ტაძარში საუკუნეთა მანძილზე წარმოებდა ხელნაწერთა გამრავლება, ძველი ნუსხების გაცხოველება და სხვ. ცნობილია იქაური ბიბლიოთეკიდან მოღწეული საყურადღებო ხელნაწერები, რომლებიც მოქველ მოღვაწეთა სახელებს გვაცნობენ. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მოქეის ოთხთავი (Q № 902)—გადაწერილი დანიელ მოქველის თაოსნობით 1300 წელს. ის მობატულია მდიდრულად, შემკულია კარგად შესრულებული ორნამენტებით. ოთხთავის გადაწერი და გამფორმებელია ბერი ეფრემი³; საინტერესოა მეტაფრასი (Q № 39)—გადაწერილი მოქველი მღვდელმთავრის ექვთიმე საყვარელიძის ბრძანებით (1578 წლამდე) ნავკრატოზ ციმცაძის მიერ⁴; მოქეისთვისაა გადაწერილი (XVI ს.) ზებედე დიაკვნისა და გიორგი მწერლის მიერ გულანი (A №№ 743—747) და სხვ.

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 270.

² ვახუშტი, აღწერა, გვ. 169. მოქეზე იხ. Fr. Dubois, Voyage, I, გვ. 314; M. Brosset, Rapports, I, გვ. 111—112; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 86—87; А. Павлинов, Экспедиции на Кавказ 1886 года, МАК, III, 1893, გვ. 14—16; მოქეის ტაძარი, „მწყემსი“, 1893, № 8, გვ. 13—14; მოქეის ტაძარი, „კვალი“, 1893, № 16, გვ. 9—10; თ. ჟორდანიას, მოქეის ეკლესიის ომფორი ისტორიული წარწერებით, „ივერია“, 1902, № 92; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 105—109; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 30—31; Сухули (Краткий историко-краеведческий сборник), Сухули, 1955, გვ. 189—190; В. Пачулия, По историческим местам Абхазии, Сухули, 1958, გვ. 157—161.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 312—315; გზამკვლევი, გვ. 230. იხ. აგრეთვე Опись палатников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 76—78; ქრონიკები, II, გვ. 172—174; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 106—109.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 46—53; ქრონიკები, II, გვ. 435—436. ცნობილია ნ. ციმცაძის მიერ დამზადებული სხვა ხელნაწერებიც (H № 1031, Q № 271).

* ბედია მდებარეობს ოჩამჩირიდან 25 კილომეტრის დაშორებით. ის საკმაოდ ცნობილია ძველ წყაროებში¹.

ბედიაში დიდებული ეკლესიის აგება და საეპისკოპოსო კათედრის დაარსება მიეწერება ბაგრატ შესამეს (980—1014). ახალმა კათედრამ შეცვალა გუდაყვის² ძველი საეპისკოპოსო. მემეტინის ცნობით, ბაგრატმა „ალაშენა საყდარი ბედიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვისა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ქვეთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი“³. ამ ცნობებს ადასტურებს ვახუშტიც⁴.

„მეტინს ქართლისაჲს“ ავტორი რამდენადმე გადაჭარბებით აქებს ბედიის ტაძარს და აწვადებს მის ღირსებას: „უკეთუ ვისმე ენებოს განცლად და გულისხმისყოფად სიმაღლისათჳს დიდებისა მისისა (ბაგრატ მეფისა—ლ. მ.), პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“⁵.

მართალია, მემეტინის შეფასება გადაჭარბებულია, მაგრამ ბედიის ტაძარი თავისთავად საყურადღებო ნაგებობას წარმოადგენს და გარკვეულ ინტერესს იმსახურებს⁶. აქ საქმარისია მოვიგონოთ აკად. გ. ჩუბინაშვილის სიტყვები: „უქველია, ბედიის ტაძარი ვერ მოვიდოდა თავისი ზომებითა და კომპოზიციით, აგრეთვე თავისი დეკორაციული მორთულობით ბაგრატის მიერვე აგებულს ქუთაისის ტაძართან, მაგრამ არ ჩამოუვარდებოდა მას არც თავისი შინაგანი მოკაზმვით, როგორცაა, მაგალითად, სპეციალური არქიტექტურული სახატე შენაშენები, არც კედლის მხატვრობით და არც ძვირფასი და მაღალი ხელოვნების ქურჭლეულობით. ვინ იცის, იგი იქნება სჯობდა კიდევ ოდესღაც ქუთაისის ტაძარს“⁷.

¹ ლეონტი მროველის ზღაპრული ცნობით, ამ ადგილას ვგროსმა ააგო ქალაქი და უწოდა ვგროსი (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 5).

² ძველი გუდაყვის შესახებ იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1952, გვ. 193, 357—358, 415.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 281.

⁴ აღწერა, გვ. 168. მისივე ცნობით, მე-18 საუკუნის შუა წლებში ბედიაში იჯდა მწყემსი „დადის-წყლისა და მოქვის-წყლის შუათის ადგილთა“ (იქვე).

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 281.

⁶ Fr. Dubois, Voyage, I, გვ. 314; II, გვ. 11; M. Brosset, Rapports, I, გვ. 90—94; П. Исоселуани, Города, გვ. 34—35; Д. Бахრაдзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 23; А. Павлилов, Эспедиция на Кавказ 1888 года, МАК, III, 1893, გვ. 4, 26—29; ბედიის ტაძარი, „მწყემსი“, 1893, № 12, გვ. 3—4; № 13, გვ. 13—14; ა. ბ., აფხაზეთ-სამურზაქანო, „ივერია“, 1894, № 52; Н. Толмачевская, Фрески древней Грузии, გვ. 8; Сукушш, გვ. 190—192; В. Паулиа, По историческим местам Абхазии, გვ. 164—168; რ. შ მე რ ღ ი ნ გ ი, ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVIII, № 4, 1957, გვ. 503—511. იხ. აგრეთვე ა. ხ ე ლ ა ი ა, ბედიის ტაძარი (Q № 587).

⁷ გ. ჩუბინაშვილი, ბედიის ოქროს ბარძიმი, საქართველოს საბ. მუზეუმის მოამბე, X-B, 1940, გვ. 12. საგულისხმოა, რომ ბაგრატი ბედიაშია დაკრძალული (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 283).

ბედიელ მღვდელმთავრებს კარგი ბიბლიოთეკა შეუქმნიათ და თვითაც მიუღიათ მონაწილეობა ხელნაწერთა დამზადებაში. ბედიელი მიტროპოლიტის გერმანე ჩხეტიძის (XVI ს.) ინიციატივითაა გადაწერილი ბედიის გულანი (A № 187). აღნიშნულ პირს შავშეთიდან ჩამოუყვანია გაბრიელ ლომსაძე და მისთვის გადაუწერინებია გულანის ნაწილი (თვენი, მარხვანი). დანარჩენი ნაკვეთები გადაუწერიათ ამბროსი კარგარეთელს, საბა ნაფოტაძესა და სხვ.¹

ბიბლიოფილი ყოფილა ბედიელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ჟვანიძეც (XVI ს.)².

~

¹ Описание рукописей (A), I, გვ. 206—210; ვხამკელევი, გვ. 126.

² Q № 899, 11v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 309; Описание рукописей (A), I, გვ. 22.

ბ უ რ ი ე

მ ზ უ რ გ ე თ ი

გურია ძველად ისტორიული საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ცენტრალური ხელისუფლება მას მართავდა ერისთავის ან ერისთავთ-ერისთავის მეშვეობით. გურიელის, ვითარცა ერისთავთ-ერისთავის, ხელისუფლება მე-13 საუკუნის ორმოციან წლებში აღმოცენდა. მომდევნო ხანაში გურიელმა თანდათანობით შეიძინა მთავრის ატრიბუტები, განთავისუფლდა იმერეთის მეფის სამხედრო და ეკონომიური დამოკიდებულებისაგან და მე-16 საუკუნის შუა წლებისათვის სამთავროს მმართველად და გამგებლად იქცა. ამის შემდეგ მას ახლებური დამოკიდებულება ჰქონდა იმერეთის მეფე-დიდებულებთან, დიდიანთან, ოსმალებთან¹,

გურიელის რეზიდენციას ძველთაგანვე წარმოადგენდა ოზურგეთი, სადაც მას ჰქონდა „სასახლე დიდშენი, კეთილპალატოვანი“². აი აქ, გურიელის სასახლეში, გურიელის სამთავროს კარზე ადრევე გაჩაღდა ერთგვარი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. გურიელების ინიციატივით იწყება ხელნაწერთა გამრავლება, ახალი ნუსხების დამზადება, ძველი კრებულების გაცხოველება და ა. შ. მაგალითად, ჭიხოსრო პირველისა (1626—1660) და მისი დედის, ათაბაგის ასულის, თამარის, დაკვეთით დამზადებულ იქნა თეთროსნის დავითნი (H № 75), რომელიც თავისი შესრულების ტექნიკით, გემოვნებითა და ოსტატობით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს³; „ბრძანებითა გურიელის ბატონის მამიასითა“ დამზადებულ იქნა სახარების საკითხავები და კურთხევანი (K № 246)⁴; გიორგი გურიელის დაკვეთით გაბრეღ საბლუმ გამაწერა თვენი (A № 1488), გიორგი მწერალმა—გულანის ერთი ნაწილი—ტიბიკონი (H № 1714, 1r—173r)⁵; ამ გულანის (H № 1614) ზოგი-

¹ თ. სოსელია, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (XIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის დამდეგამდე), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 115—142 (იქვეა მოცემული გურიის მთავართა ზეობის წლები). იხ. აგრეთვე მ. დუმბაძე, გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX ს-პირველ მესამედში, იქვე, გვ. 5—6.

² ვახუშტი, აღწერა, გვ. 175.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 60—61; ზამკვლევნი, გვ. 191.

⁴ ეს უნდა იყოს მამია II (1600—1625) ან მამია III (1689—1711).

⁵ ეს უნდა იყოს გიორგი III (1664—1684). იხ. აგრეთვე A № 1526.

ერთი ნაწილი გადაწერილ იქნა მამია გურიელის ბრძანებით¹; მამია მეოთხის (1726—1784) დაკვეთითაა გადაწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი შემოქმედის გულანი (Q № 103). აღნიშნული ხელნაწერი 1749 წელს დაუმზადებიათ მთავარდიაკონ იოანესა და ათანასე ქავთარაძეს. ეს უკანასკნელი გვამცნობს, რომ მამიამ „იგულსმოდგინა თავის გონებით პატიოსანისა გულანისა აღწერა თავის სახლს სალოცველად და საქებელად. მოიყვანა მისი საბატონოს მწერალი და თითო-თითო ყუშლას დასაწერათ უბოძა, დააწერი-
ნა“². კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები ოზურგეთში გრძელდებოდა გვიან ხანამდე, მე-19 საუკუნის პირველ მესამედშიც კი. კერძოდ, უკანასკნელ მთავარს, მამია მეხუთეს (1809—1826), თავის სასახლეში ერთგვარი სალონიც კი მოუწყვია³.

შ ე მ ო ქ ე რ ი

მახარაძის რაიონში, ქ. მახარაძიდან 7—8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფ. შემოქმედი. იქ, მდ. ბუჟუყის მარცხენა ნაპირზე, საშუალო ზომის გორაკზე აშენებულია საკმაოდ ლამაზი და კოხტა ეკლესია, „დიდშენი, გუნბათიანი, შემკული ყოვლითა“⁴. აღრე ის მონასტრის ეკლესია იყო, ხოლო შემდეგში კათედრალად იქნა გადაკეთებული. ვახუშტის დროს იქ იჯდა „მწყემსი მას ქვეითის გურიისა“⁵.

შემოქმედის სავანე გურიის ეკლესია-მონასტრებს შორის განსაკუთრებულ სახელითა და პატივით სარგებლობდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამცხეში ქრისტიანთა შევიწროებისა და ეკლესია-მონასტრების დაუძლურების ხანაში იქაური სიძველენი შემოქმედის ტაძარში გადაუტანიათ (იხ. ზარზ-მა). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შემოქმედი ქართულ სიძველეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საცავს წარმოადგენდა და ყოველთვის აღაფრთოვანებდა მკვლევრებს⁶.

¹ ეს უნდა იყოს მამია III (1689—1711).

² Q № 103, 100v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 119. ამავე მამიასა და მის მეუღლეს, იმერთა მეფის ალექსანდრე მეხუთის ასულს, როდამს, ტყვეობიდან დაუხსნიათ და სეპტიცოვლისათვის შეუწირავთ განთავსული სახაყება (S № 522B).

³ ი. ბაღაჩაშვილი, ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში, გვ. 25—29. იხ. აგრეთვე ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 77. ვახტანგ II გურიელის (1792—1797) ერთი ლექსი მიწერილი ყოფილა მისი ბრძანებით გადაწერილ მარჯანზე (ე. თაყაიშვილი, ზოგიერთი ძველი ხელნაწერის შესახებ, „ივერია“, 1891, № 89).

⁴ ვახუშტი, აღწერა, გვ. 175.

⁵ იქვე.

⁶ Fr. Dubois, Voyage, III, გვ. 105—109; M. Brosset, Rapports, II, გვ. 183—189; Д. Баградзе, Арх. путешествие по Гурии и Абхазе, гв. 114—161; მისივე, Кавказ в древних памятниках христианства, гв. 147—148; Онисс паматлизов древности в некоторых храмах и монастырях Грузии, гв. 111—133; Е. Такашвили, Арх. экскурсии, III, гв. 31—34; მისივე, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 37—41; თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 38—42; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 105—107.

შემოქმედელ მოღვაწეებს ერთგვარი წვლილიც შეუტანიათ ძველი ქართული კულტურის საგანძურში.

ლიტერატურულ სარბიელზე მოღვაწეობდა იაკობ დუმბაძე შემოქმედელი—გიორგი მეთერთმეტისა და იოსებ თბილელის თანამედროვე და მათთან ახლოს მდგომი პირი. მისი დაბადების წელი არ ვიცით. განათლება მან თითქოს ტრაპიზონში მიიღო. შემდეგში დადგენილ იქნა შემოქმედელად¹. ამ პოსტზე ის მოღვაწეობდა ენერგიულად². შემდეგში გამგზავრებულა ათონის მთაზე, სწვევია იერუსალიმსაც³, სადაც აღსრულებულა კიდევ⁴. საფიქრებელია, იაკობი მე-18 საუკუნის დამდეგს გარდაიცვალა. ყოველ შემთხვევაში, 1713 წ. შემოქმედელად ნიკოლოზი იხსენიება⁵.

ი. დუმბაძე მრავალმხრივი შემოქმედი ყოფილა. ის ქართლის მეფის, გიორგი მეთერთმეტის, კარზეც აქტიურად მოღვაწეობდა. გიორგის დავალებით გალექსა მან ბაგრატ მუხრანბატონის ანტიმამაღლიანური თხზულება (უსჯულოს მამაღლიანთა და ქრისტიანთა გაბაასება, ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან, ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა შანაოზისათა). ავტორთან შედარებით ის თითქოს მეტ ორიგინალობას იჩენს აპოლოგეტიკურ ნაწილში⁶. ი. დუმბაძის გალექსილი რედაქცია გვხვდება მრავალ ხელნაწერში⁷, რაც, რასაკვირველია, მის პოპულარობას მოწმობს.

ი. დუმბაძემ საგანგებოდ შეაქო არჩილ მეფე, მიუძღვნა მას ხოტბა⁸. მეტიც, მან გადააკეთა „აბდულმესიანის“ შემცველი ხელნაწერები და იქ, სადაც თამარი ან დავითი იყო ნახსენები, ყველგან არჩილი ჩაწერა, ქების ობიექტად არჩილი წარმოგვიდგინა⁹.

¹ ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იაკობი 1632 წელს ეკურთხა შემოქმედელად (პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, პ. კარბლაშვილი, კ. კეკელიძე). თ. გოლდანიას მიერ შეკრებილი მასალებით კი იაკობი 1647 წელს უკურთხებიათ შემოქმედელად (ქრონიკები, I, გვ. 304; II, გვ. 460).

² Д. Бақраძе, Арх. путешествіе по Гуріи и Адгваре, გვ. 120—121, 125, 294.

³ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებს დაუკავთ იაკობისეული მინაწერები (ა. ცაგარლით № 138; რ. ბლიკით № 16; ნ. მარით № 25; ქრონიკები, I, გვ. 179, 181).

⁴ ბიოგრაფიული ცნობები იხ. წიგნილიტიცვაობა, გვ. 224, შენ. 12; Д. Бақраძе, Арх. путешествіе по Гуріи и Адгваре, გვ. 156; ხ. კიკინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეზვიდმეტე და მეფურამეტე საუკუნეებში, გვ. 33—36; ქრონიკები, I, გვ. 304—309; II, გვ. 460; А. Хаханов, Очерки. III, გვ. 323—324; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 526, შენ. 6. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, იაკობ შემოქმედელი დუმბაძე, „სახალხო გაზეთი“, 1912, №№ 572, 573. იაკობი თითქოს რუსეთშიც ყო ყოფილა (Е. Такайшвили, Арх. ахсарши, III, გვ. 34; მისივე, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 39).

⁵ Д. Бақраძе, Арх. путешествіе по Гуріи и Адгваре, გვ. 126.

⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 338.

⁷ S №№ 342, 951-გ, 1103, 1508, 1511, 1516, 2775; H №№ 38, 394, 2101; A № 860.

⁸ S №№ 424, 1508; H № 153; A №№ 1575-გ, 1735; Q № 548; Описание рукописей (S), II, გვ. 153; ანთოლოგია, II, გვ. 118.

⁹ S №№ 395, 1512, 1516, 1547; A №№ 656, 1164; H №№ 773, 1193, 2069 და სხვ. ამ საკითხზე იხ. ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 105—103. ი. დუმბაძის მიერ კლასიკური ხანის ძეგლის მითვისება და თავის საკუთრებად გამოცხადება, რასაკვირველია, მის სასარგებლოდ არას ლაპარაკობს, ასეთი მოქმედება მას რამდენადმე ჩრდილს აყენებს.

ი. ღუმბაძეს ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა იოსებ თბილელ-თან. ცნობილია მათი გაპაექრება ლექსებით¹. მოღწეულია იაკობის სხვა ლექსებიც².

იაკობ ღუმბაძეს კარგად აფასებდნენ მისი თანამედროვე თუ მომდევნო ხანის მწერლები. იაკობს საგანგებო სტროფს უძღვნის არჩილი:

აწ სამებელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარი,
ამუამდ მას მეცნიერნი არსად არა ჰყავს უბარი,
ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი,
სრულად ამისთვის არ ვაქვ, რომ იყო ჩემი მკობარი³.

იაკობის ხსენებას ვხვდებით მამუკა ბარათაშვილისა და დავით გურამი-შვილის ლექსებშიც. მამუკა ბარათაშვილი თავის ოდაში „ქება მეფისა ბაქა-რისა“ იგონებს იაკობისაგან არჩილის შექების ფაქტს:

იაკობ მბაძეს და ჩაზრუხაძეს ექოთ მეფენი მათ სიბრძნის მწებად,
არჩილ და თამარ, არა მათ ამარ, დაკრიხი ბაქარის მე მონა მქებად.

აქ, რასაკვირველია, იგულისხმება არა იაკობის ერთი სტროფი—ქება არჩილისა („მწენე, ახოვან...“), არამედ მის მიერ გადაკეთებული, საქები ობი-ექტის სახელშეცვლილი „აბდულმესიანი“.

დავით გურამიშვილის თხზულებაში ვკითხულობთ:

შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ (დაბლა) ზილს მიეტკებურება;
ბეგთაბეგ, ნოღარ, თთარი, ონანა ბანს ეშურება,
დვრიხვენ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურება⁴.

როგორც ჩანს, დ. გურამიშვილი კარგი აზრისა ყოფილა იაკობზე. სხვა-მხრივ აუხსნელი დარჩებოდა მის მიერ ღუმბაძის მოხსენიება რუსთაველის, თეიმურაზის, არჩილისა და ვახტანგის გვერდით.

დიდად აქებენ იაკობს ანტონ პირველი და იოანე ბატონიშვილიც. „სიბ-რძნის მოყუარე ფრიად, კეთილ გამომთქმელ, მეშაირე შეუნიერ, მაღალ-გონება“, „კაცი მეცნიერი და მესტიხე პირველი“,—აი, მათი გამონათქვამები⁵.

¹ A №№ 1076, 1221, 1272, 1278, 1541, 1575-გ, 1735; H №№ 660, 771, 1132-ა, 1193, 2781; S №№ 1508, 1512, 1535, 2409, 3704; არქ. ხელნ. № 201; „ივერია“, 1879, VII—VIII, გვ. 95; „სახალხო გახეთი“, 1912, № 572; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 526—527.

² S № 424; A № 1735; Описание рукописей (S), II, გვ. 154.

³ არჩილიანი, II, გვ. 4.

⁴ დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 29.

⁵ წყობილსიტყვაობა, გვ. 224—225; კალმასობა, II, გვ. 168, 189. გაუგებრობას წარმოადგენს იოანე ბატონიშვილის ცნობა იაკობ შემოქმედელმა „ლეილმავჯუნისანი“ გალექსაო-

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ი. დუმბაძის როგორც მწერალსა და მოღვაწეს თავის დროზე ერთობ დიდი სახელი მოუპოვებია¹.

შემოქმედის ტაძარს საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა. იქაურ ხელნაწერთაგან საყურადღებოა ზემოხსენებული „ფუტკარი“ (A № 691), საკმაოდ მოზრდილი გულანი (Q № 103), რომელიც ორ ფუთამდე იწონის, ზატიკი (Q № 651), სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (Q № 92) და სხვ.²



¹ ცნობილია ი. დუმბაძის ხელში გამოვლილი ხელნაწერები (S № 144; A № 1116; ლ. შე რ ვ ა შ ი ძ ე, მინიატურები ქუთაისის ხელნაწერისა № 115 და ლენინგრადის ხელნაწერისა O1 № 58, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XIV, № 1, 1953, გვ. 61—62). მისი მინაწერი-მოეპოვება „ფუტკარსაც“ (A № 691). აღნიშნული კრებული თ. ჟორდანიას ი. დუმბაძის დამზადებულად მიაჩნდა (ქრონიკები, I, გვ. 303; Описание рукописей (A), II, გვ. 168).

² ცნობილია გურიის სხვა პუნქტებიდან მოღწეული ძვირფასი ნუსხები, მაგალითად, ლიხაურის სახარება მე-11 საუკუნისა (Q № 645), გურიანთის გულანი მე-18 საუკუნისა (Q № 104-ა, ბ) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია უდაბნოს მრავალთავი მე-10 საუკუნისა (A № 1109).

რ ა ჯ ა

ნ ა ს ი

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა რაჭაში ადრევე გაჩაღებულა. ამ ხასიათის საქმიანობაში ჩაბმულან როგორც ადგილობრივი მოსახლენი, ასევე დროებით იქ ჩასული მწერლებიც. აქ პირველ რიგში თეიმურაზ I უნდა მოვიხსენიოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1649—1656 წლებში აღმოსავლეთ საქართველოდან დევნილი პოეტი იმერთა მეფეს შეეფარა და ქუთაისში ცხოვრობდა. როგორც ჩანს, ამ წლებში ის ხშირად რაჭაში იმყოფებოდა¹ და ლიტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა. კერძოდ, რაჭაში ყოფნისას დაუწერია მას „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „შამითარვანიანი“ და სხვა თხზულებანი².

რაჭაში რამდენჯერმე იმყოფებოდა არჩილ მეფეც (1679, 1690—1691, 1698 წლებში)³, მაგრამ მისი იქაური ლიტერატურული საქმიანობის შესახებ გარკვევით ვერას ვიტყვით. გზად გაუვლიათ რაჭაში სულხან-საბა ორბელიანს, ვახტანგ მეექვსესა და მისი ამალის წევრებს (1724 წ.)⁴, ბესიკს (1778 წ.)⁵ და სხვა ქართველ მწერლებს, მაგრამ, რასაკვირველია, რაჭაში მათ მიერ კულტურულ-ლიტერატურული მუშაობის ჩატარების შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება. ისინი ჩრდილოეთისაკენ მიიწევდნენ და რაჭაში შესაჩერებლადაც კი არ ეცალათ...

მე-18 საუკუნეში მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გაიშალა რაჭის ერისთავთა სასახლეებში (წესში). ეს საქმიანობა ძირითადად ხელნაწერთა გამრავლებასა და ახალი ნუსხების დამზადებაში გამოიხატებოდა. მართალია, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით მთლიანი ლიტერატურულ-შემოქმედებითი პროცესის გათვალისწინება არ ხერხდება, მაგრამ იმ ორიოდვე ცნობას, რომელსაც დღემდე მოუღწევია, გარკვეული მნიშვნელობა

¹ Посольство стольника Толочанова и дьяка Поняева в Имеретию, გვ. 33, 37, 43, 44, 48, 51, 59, 85, 124—125, 184. როგორც რუსთა აღწერილობიდან ირკვევა, თეიმურაზი ამ დროს ნიკორწმინდის მიდამოებში ცხოვრობდა.

² თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 17, 23, 109.

³ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 207, 213—214, 216.

⁴ ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, გვ. 118, 121—144.

⁵ ბ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 104.

ენიჭება ჩვენი საკითხის გასაშუქებლად. ირკვევა, რომ რაჰის ერისთავები ხელნაწერთა გამრავლების ინიციატორებად გამოდიოდნენ. ასე, მაგალითად, შოშიტა მესამის (1697—1729)¹ დაკვეთითაა გადაწერილი გულანი (A № 1582), როსტომ ერისთავის (1750—1766)² ბრძანებითაა გადაწერილი სამართლის წიგნები 1751 წელს (H № 1070)³, „ქილილა და დამანა“ (S № 4541)—1753 წელს⁴, კარაბადინი (K № 239)—1763 წელს და სხვ. უკვე ეს ორიოდ ცნობა გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ რაჰის ერისთავები ენერგიულად იღვწოდნენ ძველი ხელნაწერების გამრავლებისა და ფილიაციისათვის⁵.

რაჰის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიდან აღსანიშნავია ქელი-შის მონასტერი, სადაც თავის დროზე საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა იყო. საკმარისია დავასახელოთ იქ ნაპოვნი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (H № 600), რომელიც კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში⁶. იქიდანვეა დავითნი (H № 1716) და ოთხთავი, რომელიც ნიკოლოზ მწირონა გადაწერა, შეამკო და შესწირა „მონასტერსა ქელიშს“⁷.

მნიშვნელოვანი წიგნსაცემები არსებობდა აგრეთვე სევაში (ონის რაიონი)⁸, ლაბეკინსა (ამბროლაურის რაიონი)⁹ და ნიკორწმინდაში¹⁰.

¹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 75; მისივე, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 146.

² თ. სოსელია, მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 175—177.

³ ესაა უძველესი თარიღიანი ნუსხა ჩვენამდე მოღწეულ მამართლის წიგნებს შორის (ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. VI, 63—64).

⁴ გზამკვლევი, გვ. 69.

⁵ 1809—1811 წწ. წესში სტამბაც იქნა გამართული (ქართული წიგნი, I, გვ. 86—87).

⁶ ა. ხელაია, ქელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“, „ძველი საქართველო“, I, გვ. 1—29; Описание рукописей (S), II, გვ. 704—708; ს. ყუბანეიშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქელიშური რედაქცია, თსუ შრომები, XII, 1940, გვ. 91—101.

⁷ ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 212—213.

⁸ გ. ბოჭორიძე, რაჰის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მეზემის შიამზე, VIII, 1935, გვ. 323—325.

⁹ ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 11—30.

¹⁰ გ. ბოჭორიძე, რაჰის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მეზემების შიამზე, VII, 1933, გვ. 219—221.

ლ ე ჩ ხ უ მ ი

ს ა გ ე რ ი

ლეჩხუმის სასულიერო-საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა ცაგერი. იქაურ „დიდშენ, გუნბათიან“ ეკლესიას ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია ლეჩხუმ-სვანეთის ისტორიაში. ვახუშტის დროს იქ იჯდა ეპისკოპოსი, „მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა“¹.

როგორც ირკვევა, ერთგვარი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები ცაგერის კათედრალსაც მოეპოვებოდა. ცნობილია რამდენიმე მოღვაწე იქაური კულტურულ-საგანმანათლებლო კერიდან. მაგალითად, გრიგოლ ცაგერელი (XVIII ს.), რომლის დაკვეთით ნიკოლოზ ჩხატარაძემ გადაწერა თვენი (A № 1470), ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი², იოანე ცაგერელი (1777—1823), ძე კაცია დადიანისა³, ნიკოლოზ გაბუნია (A № 1200) და სხვ.

ცაგერის კათედრალს ჰქონია მდიდარი წიგნსაცავი. იქიდან მოღწეულია არა ერთი საყურადღებო ხელნაწერი⁴. საკმაოდ დიდი წიგნსაცავეები ყოფილა აგრეთვე ლეჩხუმის სხვა სვანეებში, კერძოდ, საირმესა⁵ და ნამბარნევეში⁶.

¹ აღწერა, გვ. 149. ცაგერზე იხ. Д. Бакрадзе, *Кавказ в Древних памятниках христианства*, გვ. 144—145; ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 48—63.

² იხ. ჰყონდიდი. ჰყონდიდისა და ცაგერის ეპარქიების მმართველად ზოგჯერ ერთი პიროვნება იყო (დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 73, 78, 81, 86, 110—112).

³ მისი მოგებულია რამდენიმე ხელნაწერი (Q №№ 62, 65, 69 და სხვ.). მის ხელში გამოვლილია A № 1496, A № 1555 და Q № 642 ხელნაწერები. ამათგან მეორე მან შესწირა ცაგერის ეკლესიას, ხოლო მესამე — ლაბეკინის ტაძარს.

⁴ გარდა დასახელებულისა ცაგერიდანაა აგრეთვე Q №№ 271—273 ხელნაწერები.

⁵ იქიდანაა H №№ 433, 786; Q №№ 42, 45, 46, 73, 74 და სხვა ხელნაწერები.

⁶ იქიდანაა H № 374; A №№ 1478, 1485, 1489, 1491, 1493, 1494, 1497, 1510, 1524, 1556; Q № 93 და სხვა ხელნაწერები.

დ ა ს კ ე ნ ა

ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული მემკვიდრეობა საფიქრებელს ხდის, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა დასავლეთ საქართველოში IX—X საუკუნეებში უკვე გაჩაღებული ყოფილა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა, ერთი მხრივ, უცნობი ავტორის აგიოგრაფიული თხზულება: „ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფისა ჯაფარის მიერ“ (IX ს.), ხოლო, მეორე მხრივ, ის კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც გაშლილი იყო ბაგრატ მესამის (975—1014) კარზე. მართალია, IX—X საუკუნეები, რამდენადმე, გვიანი ხანაა (—ეს გარემოება კიდევ უფრო მკვეთრად იჩენს თავს, თუ მოვიგონებთ როდის გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოს აღმოსავლეთსა და სამხრეთ მხარეებში), მაგრამ, როგორც ცნობილია, დასავლეთი საქართველო ზოგად-ქართულ პოლიტიკურ-კულტურულ მშენებლობაში, გარკვეული მიზეზების გამო, ამ დრომდე აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებდა (აკად. კ. კეკელიძე).

მას შემდეგ, რაც ქუთაისი იქცა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიური ცხოვრების ცენტრად, იქ ფართოდ გაიშალა შემოქმედებითი მუშაობა, გამოცოცხლდა და აყვავდა ლიტერატურული ცხოვრება. კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ტალღა თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს გადასწვდა. მუშაობა გაიშალა არა მხოლოდ მეფეთა (ქუთაისი), არამედ მთავართა (ზუგდიდი, ოზურგეთი) და ერისთავთა (რაჭა) სასახლეებში, მონასტრებსა (გელათი, ჯრუჭი, მარტვილი, წალენჯიხა, ხობი...) და კათედრალურ ტაძრებში (გელათი, ცაიში, ბეღია, შემოქმედი, ცაგერი...). მდიდარი წიგნსაცავები შეიქმნა აგრეთვე ვანის, მღვიმის, უდაბნოს, ლაბეკინის, ნიკორწმინდის, საირმის, ნამარნევისა და სხვა ეკლესია-მონასტრებში.

განსაკუთრებული ძალით გაიშალა მუშაობა გელათის აკადემიაში. გელათი იქცა დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებად, სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის მძლავრ კერად, ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების ცენტრად, რომელსაც ენერგიულად ხელმძღვანელობდნენ ეროვნული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები.

დასავლეთ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ როგორც ადგილობრივი კადრები (სტეფანე სანა-

ნოისძე ჭყონდიდელი, მამუკა თავაქალაშვილი, იაკობ დუმბაძე, პეტრე ჩხატარაისძე, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, გიორგი ბაგრატიონი, დადიანები და სხვ.), ისე აღმოსავლეთ საქართველოდან გადასული მწერლები (თეიმურაზ I, ფეშანგი, არჩილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ანტონ I, ზაქარია გაბაშვილი, ბესიკი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ამილახვარი, იოანე ქართველიშვილი, სოლომონ ლიონიძე და სხვ.), აგრეთვე უცხოეთიდან დაბრუნებული ქართველი მეცნიერები (არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი...). აღმოსავლეთ საქართველოს მწიგნობართა გადასვლა დასავლეთში, უთუოდ, გარკვეულ გავლენას ახდენდა ადგილობრივი ლიტერატურული ძალების საქმიანობაზე.

გარკვეულ წარმატებას მიაღწია საერო-მხატვრულმა ლიტერატურამ. იქ დაიწერა თეიმურაზ პირველისა („შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „ვარდბუღბულიანი“, „შამითარვანიანი“, „მაჯამა“) და ბესიკის („ცრემლთა ისხარნი“, „ასპინძისათვის“, „დედოფალს ანაზედ“...) საუკეთესო პოეტური კმნილებანი, საგმირო („ზაქიანი“, „სამიანი“, „ალექსანდრიანი“), რომანტიკული („ხუმბარდიანი“) და საზღაპრო („რუსუდანიანი“) ეპოსის საყურადღებო ძეგლები, გ. ბაგრატიონისა და სხვათა ლექსები, შესამჩნევად განვითარდა საქარო-სახობტო პოეზია (მამუკა თავაქალაშვილი, პეტრე ჩხატარაისძე, ბესიკი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი...).

დასავლეთ საქართველოს მწერლები ცხოველ ინტერესს იჩენენ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ყველა სფეროსადმი, ყველა დარგისადმი. მნიშვნელოვანი ძეგლები დაიწერა თუ ითარგმნა აგიოგრაფიასა (სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელი, იოანე ქსიფილინოსის შრომების მთარგმნელი, არსენ ბულმანისისძე) და ასკეტიკაში (პეტრე გელათელი), ლიტურგიკასა (ზაქარია გაბაშვილი) და ჰომილეტიკაში (ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი), ჰიმნოგრაფიასა (სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელი, არსენ ბულმანისისძე) და ფილოსოფიაში (არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი). საქმოდ განვითარდა კანონიკური მწერლობა („ქელმწიფის კარის ვარიგება“, „სამართალი კათოლიკოსისა“) და ისტორიოგრაფია („აფხაზთა ისტორია“, „გელათური ქორონიკონი“, ნ. დადიანის „საქართველოს ისტორია“), შეითხზა პოლიტიკური ტრაქტატი („ბრძენი აღმოსავლეთისა“) და ა. შ.

დასავლეთ საქართველოში დამზადდა მრავალი ძვირფასი ხელნაწერი. იქაური კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიდანაა მოღწეული ისეთი საყურადღებო ხელნაწერები, როგორიცაა გელათის ბიბლია (A № 1108), გელათ-გარეჯის (A № 186), კაცხის (Q № 631), ცაიშის, ბედიის (A № 187), შემოქმედისა (Q № 103) და გურიანთის (Q № 14-ა, ბ) გულანები, თეოროსნის დავითნი (H № 75), მოქვისა (Q № 902) და გელათის (Q № 908) ოთხთავები, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (H № 600), „ვეფხისტყაოსანი“ (H № 599) და მრავალი სხვა (ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გელათის, ჯრუჭის, მარტვილისა და სხვ. ეკლესია-მონასტრების მდიდრული კოლექციები). სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოდანვე მოაღწია ჩვენამდე უცხოეთში შექმნილმა ზოგიერთმა ძვირფასმა ნუსხამ. მაგალითად, გოლგოთის სვინაქსარმა (H № 1661), რომანას მონასტერში დაწერილმა სახარებამ (A № 1335), პალავრის კრებულმა (H № 1662) და ა. შ. აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებში შექმნილმა რამდენიმე ხელნაწერმა: შატბერდის სახარებამ (H № 1660), ადიშის ოთხთავმა, უდაბნოს მრავალთავმა (A № 1109)...

მე-19 საუკუნის დამდეგს დასავლეთ საქართველოს მოღვაწენი აღარ
კმაყოფილდებიან ხელნაწერი წიგნებით და ერთიმეორის მიყოლებით აარსე-
ბენ სტამბებს ქუთაისში, წესსა და საჩხერეში.

მიუხედავად აღნიშნულისა, უცილობელია, რომ გარკვეული პოლიტიკურ-
ეკონომიური მდგომარეობის გაზო დასავლეთი საქართველო თავისი კულტუ-
რულ-ლიტერატურული ცხოვრებით საგრძნობლად ჩამორჩებოდა როგორც
აღმოსავლეთ, ისე სამხრეთ საქართველოს.

შ ე მ რ ი კ ლ ე ბ ა თ ა ბ ა ნ მ ა რ ტ ი ბ ა

ათონის კრებული — ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაბებით, თბ., 1901.

ანთოლოგია — ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, I, თბილისი — ქუთაისი, 1928; II, თბ., 1928.

არქეტიპები — ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, გამოსცა ს. კაკაბაძემ, „საისტორიო კრებულის“ I წიგნის დამატება, თბ., 1928.

აღწერა — ეახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.

არჩილიანი — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1936; II, 1937.

გზამკვლევი — აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, თბ., 1952.

გუჯრები — გუჯრები (საისტორიო მასალა), ა. ხახანაშვილის გამოცემა, ქუთაისი, 1891.

დოკუმენტები — დოკუმენტები საქართველომ სოციალური ისტორიიდან (ბატონშვირის ურთიერთობა), ნ. ბერძენიშვილისა და რედაქციით, I, თბ., 1940; II, 1953.

ენიშის მოამბე — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

თსუ შრომები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.

თუმ — თბილისის უნივერსიტეტის მოამბე.
ისტ. დოკუმენტები — ისტორიული დოკუმენტები

ტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ლიქსის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958.

ისტ. საბუთები — ისტორიული საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, I—V, თბ., 1913.

ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა — ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ეპისკოპოსის ქებათა, თ. ყორღანიას გამოცემა, თბ., 1896.

კალმასობა — იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, თბ., 1936; II, 1948.

კიმენი — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I, კიმენი, გამოსცა კ. კეკელიძემ, I, თბ., 1918; II, 1946.

მასალები — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, I, თბ., 1938; II, 1953; III, 1955.

სამი ისტ. ქრონიკა — სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, თბ., 1890.

საქ. სამოთხე — საქართველოს სამოთხე. სრული აღწერა და აღწერა და ენებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ქრონოლოგიურად და გამოცემული მ. საბინიის მიერ, სპბ., 1882.

საქ. სიმეფლენი — საქართველოს სიმეფლენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, I, თბ., 1899; II, 1909; III, 1910.

სცსსა — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.

ქართლის ცხოვრება — ქართლის ცხოვრება,

ტანტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მახდელი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I. თბ., 1955; II. 1959.

ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.) — ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთაფრამეტე საუკუნემდლს. ნაწილი მეორე. ახალი მოთხრობა 1400 წლამდე კიდრე 1800 წლამდე. გამოცემული დ. ჩუბინოვის აგან, სპ. 1854.

ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები — ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები. შეკრებილი თ. ეორდანიას მიერ, ფოთი, 1903.

ქართული შევერმეტყველება — ძეგლები და მასალები შეკრება. ნარკვევი წარუშმდვარა და საბუთები დაურთო ნ. კანდელაძე. თბ., 1958.

ქრონიკები — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ეორდანიას მიერ, I. თბ., 1892; II. 1897.

წყობილხიტვაობა — ანტონ I, წყობილხიტვაობა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1853.

Акты — Акты, собранные Кавказской археографической комиссией.

БВ — Богословский вестник.

БСЭ — Большая советская энциклопедия.

ВВ — Византийский временник.

ВДИ — Вестник древней истории.

Грамоты — Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под редакцией А. Цагарели, I, СПб., 1891; II. 1, 1898; II. 2, 1902.

Груз. двор. акты — Грузинские дворянские акты и родословные росписи (Материалы для истории Грузии), изданные с предисловием и примечаниями А. Хачаурова, М., 1893.

Груз. церк. гуджари — Грузинские церковные гуджари (грамоты). Материалы для пятого арх. съезда, Составил Д. Пурцеладзе, Т., 1881.

ДВ — Древности восточные.

ЖМНП — Журнал министерства народного просвещения.

ЗКВ — Закавказский вестник.

ЗАН — Записки Академии Наук.

ЗВОРАО — Записки Восточного отделения Русского археологического общества.

ЗКОРГО — Записки Кавказского отделения Русского географического общества.

ИАК — Известия Археологической комиссии.

ИАН — Известия Академии Наук.

ИВГО — Известия Всесоюзного географического общества.

ИКИ-АН — Известия Кавказского историко-археологического института.

ИКОИА — Известия Кавказского общества истории и археологии.

ИКОМАО — Известия Кавказского отделения Московского археологического общества.

ИКОРГО — Известия Кавказского отделения Русского географического общества.

ИВ АН СССР — Институт востоковедения Академии Наук СССР.

ИРА АН СССР — Институт русской литературы Академии Наук СССР.

КВ — Кавказский вестник.

КК — Кавказский календарь.

МАК — Материалы по археологии Кавказа.

НО — Новое обозрение.

ОРГСН — Общество распространения грамотности среди грузинского населения.

Переписка — Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями. Изд. М. Броссе, СПб., 1861.

ПБЭ — Православная богословская энциклопедия.

ППС — Православный палестинский сборник.

СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

СВ — Советское востоковедение.

СРПО — Сообщения Русского палестинского общества.

ТРА-ГФ — Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии.

ТРКФ — Тексты и разыскания по кавказской филологии.

ТЛ — Тифлисский листок.

ТКДА — Труды Киевской духовной академии.

УЗ АГУ — Ученые записки Азербайджанского государственного университета.

УЗ ИВ — Ученые записки Института востоковедения.

ХВ — Христианский Восток.

ЦВ — Церковные ведомости.

ЭВ — Эпиграфика Востока.

ЮВ — Юридический вестник.
AB — Analecta Bollandiana.
AO — Archiv Orientalni.
HTR — Harvard Theological Review.
JA — Journal Asiatique.
MA — Mélanges asiatiques.
OC — Oriens Christianus.
OSP — Oxford Slavonic Papers.
PO — Patrologia Orientalis.
ROC — Revue de l' Orient Chrétien.
SH — Subsidia Hagiographica.
WZKM — Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes.
CSCO — Corpus Scriptorum Christianorum Orientalium.
ხელნაწერთა ფონდების დასახელების გამოყენებულია შემდეგი ნიშნები:
A — ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია.
Ad — იმავე მუზეუმის საბუთები.
S — ყოფ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის

გამაერთებელი საზოგადოების“ მუზეუმის ხელნაწერების კოლექცია.

Sd — იმავე მუზეუმის საბუთები.
H — ყოფ. „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია.
Hd — იმავე მუზეუმის საბუთები.
Q — აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ახალი კოლექცია.
Qd — იმავე მუზეუმის საბუთები.
ყველა დასახელებული კოლექცია ამჟამად ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.
K — ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერების კოლექცია
Ath. — ათონის მთაზე დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექცია.
Sin. — სინას მთაზე დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექცია.

საქმიანობები

(შეადგინა თამარ ხეთერელმა)

პირთა საქმიანობა

ა

- აბას I (1587—1629) 190, 285, 287, 302, 337, 360, 362.
აბას II (1642—1666) 340.
აბაშიძე გიორგი 318, 542, 547.
აბაშიძე ვახუშტი 49, 89, 92, 106, 117, 377, 417.
აბაშიძე მაქსიმე (ქუთათელი) 523.
აბაშიძე ნიკოლოზ 49.
Абегян М. 40
აბიბოს ნეკრესელი 76, 124, 197, 199; 305, 321, 322, 328, 329, 379.
აბო თბილელი 31, 130—132, 379.
აბრაამ (დოდორქის წინამძღვარი) 295.
Абрамишвили А. 256.
აბრაჰამ კათოლიკოსი (XIII ს.) 283.
აბულაძე ილ. (Абуладзе И.) 44, 46, 56, 67, 70, 71, 75, 76, 78—80, 82, 83, 120, 135, 176—178, 194, 198, 200, 204, 273, 274, 283, 328, 407, 410, 418, 425, 445, 449, 459, 460, 464, 502, 539, 559.
აბულაძე ი. 57, 120, 239, 249.
აბულ-ისაყი 153.
აბულ-კასიმი 471, 506.
აბულსერ ერისთავი 479, 480.
აბულსერისძე ვარდან 474, 538.
აბულსერისძე იოანე 485.
აბუსერისძე ტბელი 393, 446, 474, 475, 479, 488, 513, 514.
აგათანგელოსი 10, 11.
აგათონ პატრიარქი 406.
ადარნასე II (888—923) 442, 448, 460.
ადარნასე III (958—961) 448.
ადარნასე აშოტის ძე 387, 402.
ადარნასე კურაპალატი 410.
ადარნასე მაგისტროსი 407.
ავალიშვილი არსენ (ალავერდელი) 486.
ავალიშვილი გიორგი 54, 76, 85, 87, 99, 316, 395.
ავალიშვილი დომენტი (მროველი) 92, 212.
ავალიშვილი ზ. 134.
ავალიშვილი იოანე 88, 239.
ავალიშვილი ქაიხოსრო 117.
Авдусиш Д. 25.
ავთანდილიძე სულხან 73.
ავრელიუსი მ. 87.
ავშანდაძე 526.
ათაბეგოვი ა. 88.
ათანასე ალექსანდრიელი 61, 472.
ათანასე მალეშწერალი 103.
ათანასე ოპიზელი 391, 393.
აკელია მტბევერი 473.
აკინიანი ნ. 177.
აკოფაშვილი გ. 522.
ალადაშვილი ნ. 387.
ალბოროვი ბ. 336.
ალექსანდრე I (1412—1443) 189, 209, 237, 284, 285.
ალექსანდრე I კახთა მეფე (1476—1511) 88, 285, 288, 336 — 338, 340.

ტექნიკური მიზეზების გამო საქმიანობები იბეჭდება რამდენადმე შემოკლებული სახით და, თითქმის, განმარტებათა გარეშე.

ალექსანდრე II კახთა მეფე (1574—1605) 279, 285, 341, 353, 361, 362.

ალექსანდრე II იმერთა მეფე 528.

ალექსანდრე III იმერთა მეფე (1639—1660) 518, 519.

ალექსანდრე V იმერთა მეფე (1721—1752) 349, 530, 543, 568.

ალექსანდრე ბატონიშვილი (არჩილის ძე) 60, 86.

ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაქარის ძე) 520.

ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლეს ძე) 358.

ალექსანდრე მკედლონელი 88.

ალექსიშვილი ანდრია 171—172.

ალექსიშვილი დავით (ალექსიშვილ-მესხიშვილი დავით, რუქტორი დავით) 43.75, 108, 153, 166, 167, 171, 317, 325, 326, 330, 333, 346, 370—377.

ალექსიშვილი ეფრემ 172.

ალექსიშვილი იაკინთე 172.

ალექსიშვილი იერონიმე 171.

ალექსიშვილი იოველ 172.

ალექსიშვილი ლ. 120.

ალექსიშვილი მ. 11—13, 27, 41.

ალექსიშვილი ტარასი (არქიმანდრიტი ტარასი, ალექსიშვილ-მესხიშვილი ტარასი) 124, 171, 191, 195, 236, 238, 240, 241.

ალექსიშვილი (მესხიშვილი) ჰარონ 99, 172.

ალექსიძე დიმიტრი 171, 317.

ალბეგაშვილი გ. 502.

Алиева Д. 84, 142.

ალიშანი ლ. 177.

ალხაზიშვილი ი. 504.

ამბერკი იშხნელი 446.

ამბროსი მელილონელი 96.

ამბროსი (მწიგნობარი) 499.

ამბროსი ნეკრესელი. ნ. მიქაძე ამბროსი.

ამბროსი წიკნელი. ნ. მიქაძე ამბროსი.

ამილახვარი ალექსანდრე 522, 576.

ამილახვარი დარეჯან 98.

ამილახვარი დიმიტრი 522.

ამილახვარი ნინო 98.

ამილახვარი აეთანდილ 339.

ამილახვარი ბანგუა 109.

ამილახვარი გივი (XVII ს.) 189, 232.

ამილახვარი გივი (XVIII ს.) 190, 294, 310.

ამილახვარი თაყა 233.

ამილახვარი ნიკოლოზ (კათოლიკოსი) 203, 233.

ამირანაშვილი შ. (Амиранияшвили Ш.) 62, 81,

140, 154, 182, 204, 216, 239, 246, 269,

271, 282, 283, 322, 341, 360, 394, 439,

443, 474, 502, 525, 550, 557, 562.

ამირანიძე კირილე 103, 104, 341, 346.

ამირეჯიბი შარიამ 250.

ამონა ოპიზელი 386.

ანა ბატონიშვილი (ქიხოსროს ასული) 87.

ანა (იმერთა) დედოფალი 88, 517, 521, 544.

ანა დედოფალი (ალექსანდრე I-ის, კახთა მეფის მეუღლე) 54, 88, 148, 200, 228, 272, 273, 336, 361, 385.

ანა დედოფალი (ერეკლე I-ს მეუღლე) 290.

ანა დედოფალი (თეიმურაზ I-ის მეუღლე) 338, 340.

ანა (ქსნის ერისთავის ასული) 116.

ანა (ჯადამჭერი) 83.

ანანიაშვილი მაკრინე 98.

ანასტასია (თეიმურაზ II-ის ცოლისდა) 166, 167.

ანახანუმ დედოფალი (თეიმურაზ II-ის მეუღლე) 167.

ანდრია კრიტელი 60, 87, 137, 172, 346.

ანდრია მესხი 171.

ანდრია მოციქული 139, 483.

ანდრია ოპიზელი 386.

ანდრია სალოსი 250.

ანდრონიკაშვილი იოსტოს 317, 318.

ანდრონიკაშვილი მერაბ 373.

ანდრონიკაშვილი ნიკოლოზ 351.

ანდრონიკაშვილი ონოფრე (ბოდბელი) 86, 95, 357.

ანდრონიკაშვილი ქიხოსრო 86.

ანთიმოზ ივერიელი 81.

ანუკა ბატონიშვილი 97, 117, 158, 377.

ანტონ I (1720—1788) 40, 48, 59, 60, 77, 86, 89,

99, 114, 139, 163, 164, 169, 170, 179, 180,

192, 193, 203, 206, 214, 234—237, 244, 245,

256, 286, 298, 302, 303, 307, 309, 312, 358,

362, 367, 369, 371, 379, 396, 509, 523, 538,

543, 570, 576.

ანტონ II კათოლიკოსი 172, 251, 324, 346.

ანტონ ანგელი 438.

ანტონ ბედიელი. ნ. ევანიძე ანტონ.

ანტონ გელათელი 530.

ანტონ გლონისთავისძე 141, 283, 446. ნ. ანტონ ჭყონდიდელ-მთავარეპისკოპოს-მწიგნობართუხუცესი.

ანტონ იშხნელი 442.

ანტონ მარტყოფელი 349, 538.

ანტონ შროველი 210, 419, 424.

ანტონ ტბელი 474, 515.

ანტონ ქუთათელი 522. ნ. ანტონ I.

ანტონ ქუთათელი, საღირისძე. ნ. საღირისძე ანტონ.

ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი 169, 368, 551, 553.

ანტონ ჭყონდიდელ-გარეჯელი 74.

ანტონ ჭყონდიდელ-მთავარეპისკოპოს-მწიგნობართუხუცესი 186, 510.

- არისტაკეს ლასტივერტელი 463.
 არისტოტელი 88, 370.
 არსენ ალავერდელი. ნ. ავალიშვილი არსენ.
 არსენ ამართლი 475.
 არსენ ბერი. ნ. საღირისძე არსენ.
 არსენ ბულმაისიძისძე 194, 537, 538, 576.
 არსენ იალოთოელი 100, 135, 136, 145, 190, 192,
 193, 198, 330, 332—334, 341, 364, 378 —
 380, 447, 532, 534, 538, 576.
 არსენ იშხნელი 146, 446, 447.
 არსენ I კათოლიკოსი საფარელი (830—887) 33,
 76, 176, 196—200, 321, 328, 329, 379, 405,
 447, 482, 488, 513, 514.
 არსენ II კათოლიკოსი (X ს.) 86, 196, 200,
 273, 378.
 არსენ კათოლიკოსი (XIII ს.) 185.
 არსენ ნინოწმიდელი 279, 288, 353,
 არსენ წილენელი 228.
 არსენ კეონდიდელი 442, 550.
 არსუკისძე 196.
 არტევაზ ერისთავი 385.
 არქიმოს (გადამწერი) 472.
 არშაკ მირზანის ძე 320.
 არშუშა პიტიახში 176.
 არჩილ მეფე (1647—1713) 46, 50, 51, 60, 71, 74,
 86, 89, 107, 149, 152, 155, 160, 212, 248—

- 250, 254, 287, 338, 341, 353, 360, 361 365,
 380, 381, 508, 518, 558, 560, 569, 570, 572,
 576.
 არჩილ მეფე (წმ.) 211, 302, 305.
 Архиповский А. 25.
 არჩაიშვილი იოანე 416.
 არქევიანიძე ი. 182, 298, 322, 331, 341, 348,
 359, 364, 365, 531, 553.
 ასათიანი ლ. 57, 73, 97, 168, 251, 344, 345,
 362, 562.
 აფაქიძე ს. 49.
 აფრიღონ მსახურთუხუცესი 503, 506.
 აფშინაშვილი გ. 303.
 აფთიაური რ. 227.
 ალა-მამკაღ-ხანი 43, 93, 257.
 ალათონ გარეჯელი 317.
 ალაბიძე დიკონი 370.
 ალბულა ათაბაგი 479.
 აღნიაშვილი გ. 329.
 აღსართან II 142.
 ამოთან მუხრანბატონი 362.
 ამოტ I კურაპალატი, დიდი 384, 388, 389, 432.
 ამოტ II კურაპალატი, ადარნასეს ძე 388, 405.
 ამოტ გურამის ძე 389.
 ამოტ კუხი 397, 405, 468, 470.
 ახვლედიანი გ. 84, 120.
 ახვლედიანი ხ. 476.

ბ

- ბაადონ ბეგი 462.
 ბაადურ ყვარყვარეს ძე 500.
 ბაგრატ I კურაპალატი (836—876) 227, 387,
 402, 404, 414, 428, 432, 442, 444, 445,
 454, 470.
 ბაგრატ III (975—1014) 390, 456, 457, 472,
 495, 505, 516, 565, 575.
 ბაგრატ IV (1027—1072) 86, 183, 193, 389, 390,
 420, 432, 435, 461, 465, 468, 513, 546, 549.
 ბაგრატ III იმერთა მეფე (1510—1565) 525,
 528, 529, 555.
 ბაგრატ VI (1466 —1478) 189, 232.
 ბაგრატ ბატონიშვილი (1776—1841) 51, 61, 87,
 95, 108, 165, 296, 314, 340, 517, 533.
 ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი 408, 410, 439, 448.
 ბაგრატ იმერთა მეფე (XVII ს.) 542.
 ბაგრატ მაგისტროსი 407.
